კვირის პალიტრა

ფეხი

N18 (308) 4/V-10/V.2006. ფასი 60 თ.

1168
2006

„ირაკლისთან ცხოვრება რთული იყო...?

რუბრიკის პრემიერა

ვინ შეასხა ფრთები რამაზ ჩხიკვაძეს

ბროლის სათამაშო, რომელიც დაიმსხვრა

ვინ ასწავლის დათო ხუჯაძის საცოლეს ქართულს

რა დაუტოვა ირაკლი ჩარკვიანმა ქეთათოს და ნიკუშა შენგელაიას

ქალბატონებისათვის — ვარჯიში და სხეულის გამკვრივება

2 მაისიდან

ყოველთვიური სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი

მაისის ნომერში იხილეთ:

3 პოსტერი

ახალი რუსული ხაფანგი საქართველოსთვის

მარჩენალი ლაფსიგიდან

ქართული ნაგაზი



ცაში ჩამოკიდებული მრისხანე გამანადგურებელი

რუსული „რულეტკის“ მთავარი ატრიბუტი

ყველაზე კაცური ჟურნალი არა მარტო მამაკაცებისთვის

№18 (308)
4 — 10 მაისი, 2006
ფასი 60 თეთრი

მინიატურები 3

ერთი კითხვა 4

პოლიტიკა

შეგზავნა თუ არა ნაცმოძრაობამ საარჩევნო კომისიებში საკუთარი აგენტები და ვინ გააკონტროლებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს 6

ეკონომიკა

- „ღვინო ყურძნისგან დავამგადოთ და ჯანსაღ ბაზარზე შევიდეთ“ 8
- ღვინის ტურიზმი – როგორც ღვინის მოყვარულთა „იმპორტის“ საშუალება 9

ჟურნალისტის როლში

ბროლის სათამაშო, რომელიც დაიმსხვრა „ირაკლისთან ცხოვრება რთული იყო და სწორედ ეს მომწონდა მასში“ 11

კრიმინალი

„შვილი მოსაკლავად არ უნდა გამემეტებინა...“ 13

პრობლემა

ეკომიგრანტები, მოტაცებული სახლ-კარი და ამბიციური მიზანი: ყველა დევნილს – საკუთარი სახლ-კარი! 17

გზავნილები

ახდენილი ოცნება 18

შოუმენი

„მიმოდრამის თეატრის“ ჰამლეტი, ჩინელების „ვახტანგური“ ჩემპიონთა ლიგის ფინალი და მარიხუანის ფოთლებით მიღებული სიამოვნება 22

აქტუალური ინტერვიუ

იმედები, რომლებიც ხელისუფლებამ ხალხს გაუცრუა, კრიმინალებად ქცეული კოვზოები და რას ნიშნავს დემოკრატიის „სტერილური ნორმები“ 24

ობიექტივი

ფოტოოსტატის ალბომიდან 27

ანტიდეპრესანტი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 28

გასტროლი

„ყველას ჰგონია, რომ სხვისი ცოლი უკეთესია...“ 28

თინეიჯერული პონტები

„ქალს შიშველ ფეხზე კაცის შარვლის ტოტი რომ მოხვედროდა, ეგრევე დაფეხმძიმდებოდა“ 30

სახე

„რა ვქნა, თუ ვინმეს რჩეული არ ვარ?!“ ეკა კვალიაშვილი ჰოლივუდიდან გამოძახებას ელოდება 33

იმედები, რომლებიც ხელისუფლებამ ხალხს გაუცრუა, კრიმინალებად ქცეული კოვზოები და ...

„ხელისუფლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ემბარგოს გამოცხადებამდე, მას უკვე დაწყებული ჰქონდა ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ დიდი კამპანია და უახლოეს მომავალში, საქართველოს ექნება უნიკალური, უმაღლესი ხარისხის ღვინო, რომელიც დიკავებს შესაფერის ადგილს მსოფლიო ბაზარზე“.

24

„მიმოდრამის თეატრის“ ჰამლეტი, ჩინელების „ვახტანგური“ ჩემპიონთა ლიგის ფინალი და ...

„ევროპა-პარკის“ მფლობელმა კიდევ ერთხელ დამირეკა და გერმანიისა და ჰოლანდიის საფეხბურთო ნაკრების შეხვედრისთვის სანახაობის დადგმა მთხოვა. მართლა შთამბეჭდავი შოუ გამოვიდა. მსახიობების ერთ ნაწილს, გერმანიის საფეხბურთო ნაკრების ფორმა ჩავაცვი“.

22

ბროლის სათამაშო, რომელიც დაიმსხვრა

„გარემომ რაღაც არჩევანი გააკეთა, როცა ნანა მოავლინა ამქვეყნად. ირაკლი ბავშვის დაბადების შემდეგ, ძალიან შეიცვალა. თითქოს მის ირგვლივ ყველაფერი აჩქარდა, რაც მანამდე შეიძლება, უფრო გაწელილი ყოფილიყო“.

11

ეკომიგრანტები, მოტაცებული სახლ-კარი და ამბიციური მიზანი: ყველა დევნილს – საკუთარი სახლ-კარი!

„სახელმწიფოს არა აქვს იმის საშუალება, რომ დევნილების ყველა პრობლემა რამდენიმე თვეში მოაგვაროს. მაგრამ პირობას გაძლევთ, რომ 4 წელიწადში შევძლებთ, მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ მათი ყოფა“.

17

მსახიობი

როგორ იპოვეს საერთო ენა მსახიობმა და უშიშროების სამინისტროს თანამშრომელმა? 34

ტაიმ-აუტი 36

ბესტსელერი

შიო გვეტაძე. მონანიება (გაგრძელება) 38

მაღლი

მარტოხელა დედა – ორი შვილისა და სამი შვილობილის პატრონი 43

სხვათა შორის

ტანგო მეოთხესთან ანუ მე რომ გეიშა ვიყო... 44

ტაძარი

უფლის ანგელოზის კვერთხით აღმოცენებული წყარო და შვილიერების მაღლის მომნიჭებელი წმინდა მამის სასწაულები 46

ჯანმრთელობა

- როცა ირგვლივ ყველაფერი ყვავის
- სიბნელის შიში
- „მინუსი“ ხელს არ შეგვიშლის 49

მოდა

სოხუმელი დიზაინერი, არეული მოდა და „ვერსაჩეს“ იარლიყი 50

საკითხავი ქალებისთვის 51

ასპარეზი

რაფაელ ჩიმიშკიანი – რეკორდების მჭედელი „პატარა სასწაული“ 53

ვარსკვლავები 56

შოუბიზნესი

დათო ხუჯაძე თბილისში ჩუმ-ჩუმად ჩამოდის 58

რომანი

რუსუდან ბერიძე. თქეში (გაგრძელება) 60

კატასტროფა

„ლუგიტანიის“ უკანასკნელი რეისი (დასასრული) 64

მუნდიალი 66

ავტო 68

სკანვორდი 69

ჰოროსკოპი

კვირის (4-10 აპრილი) ასტროლოგიური პროგნოზი 70

ტესტი 71

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com

„ყველას ჰგონია, რომ სხვისი ცოლი უკეთესია...“

„უჰ, ემოცია რომელია, ბღაოდნენ... კონცერტი რომ დაიწყო, ტიროდნენ, დამთავრდა და უფრო მეტად ატირდნენ. ჩვენი ერი ხომ დაავადებულია იმ ავადმყოფობით, რომელსაც ნოსტალგია ჰქვია“.

28

„ქალს, შიშველ ფეხზე კაცის შარვლის ტოტი რომ მოხვედროდა, ეგრევე დაფხანძიმდებოდა“

„დასაკარგი დრო არ მაქვს, ბუნებით შრომისმოყვარე ვარ. მგონია, რომ როცა ყველაფერს ვისწავლი, როცა ყველაფერი ისე იქნება, როგორც მე მინდა, მერე გართობისთვისაც დიდი დრო მექნება, მაგრამ მართალია ისიც, რომ ბავშვობის ასაკს უკან ვერასდროს დაიბრუნებ.“

30

რაფაელ ჩიმიშკიანი – რეკორდების მჭედელი „პატარა სასწაული“

„1956 წლის მელბურნის ოლიმპიადისთვის ტაშკენტში ვემზადებოდით და ავსტრალიაში გამგზავრებამდე ორიოდე დღით ადრე მითხრეს, რომ ჩემ მაგივრად, ტურნირზე სხვა – რუსი სპორტსმენი უნდა წაეყვანათ“.

53

მონანიება

მე იმედი მქონდა, რომ ხოგოველი გაგყდებოდა და იმის შიშით, რომ მისთვის ძარცვა არ დაებრალებინათ, სიამოვნებით აღიარებდა იმას, რაც ჩაიდინა და რასაც ბოლოს და ბოლოს, ჩვენ პროცესუალურადაც დავუმტკიცებთ, ხოლო კიტოვანი და მისი ამხანაგები სულ სხვა ბოროტმოქმედები არიან, მათ ასე იოლად ვერ გამოტეხ...

38

უმაყოფილო მთავრობა და უკმაყოფილო მოსახლეობა ანუ „დენი – 15, გაზი – 34, ლოპესი – 500.000"

რას აღარ აკეთებს ჩვენი ხელისუფლება, რომ მოსახლეობამ დემოკრატიულ ქვეყანაში მცხოვრებად იგრძნოს თავი. დემოკრატია ხომ, უპირველეს ყოვლისა, შენი აზრის გამოთქმის თავისუფლებას ნიშნავს. ჰოდა, მთავრობაც სულ ახალ და ახალ მიზეზებს აძლევს თავის ხალხს, რომ მანაც თავისი უკმაყოფილება სულ უფრო და უფრო ხშირად და ხმამაღლა გამოთქვას.

აი, ახალი მიზეზიც: დენი და გაზი გაძვირდა. სხვათა შორის, თუ კარგად დავაკვირდებით, მივხვდებით, რომ დენისა და გაზის ტარიფი ბავშვივითაა: თვალსა და ხელს შუა იზრდება. გუშინდელივით გახსოვს, სულ პატარა და საყვარელი რომ იყო და უცებ იმხელა გახდა, რომ ვერც შესწვდები... ეს მთავრობა კი, ამ შემთხვევაში, მშობელივითაა: რამხელაც არ უნდა გაიზარდოს ტარიფი, მაინც პატარა ჰგონია და ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ კიდევ უფრო გაზარდოს. ამიტომ თამამად შეიძლება მას წერეთლის უკვდავი პოემის

სახელი — „გამზრდელი" ვუწოდოთ.

დამნაშავე, რა თქმა უნდა, ისევ ჩვენ ვართ — ხალხი. ეკონომია არ ვიცით და გადასახადებიც ჭკუის სასწავლებლად გაგვიზარდეს. ყველაფერი ჩართული უნდა გვქონდეს, რაც დენს უერთდება. ისე გავთავხედდით, რომ მაცივარშიც კი გვინდა, ნათურა ენთოს. არადა, რა ჯანდაბად გვინდა მაცივარში ნათურა, კარგად რომ დაინახო, როგორი ცარიელია?! სიბნელე იყოს იმ მაცივარში და იმედი გქონდეს, ეგება, აგდია რაღაცაო, არ სჯობია?! ან საერთოდ, რად გინდა ის მაცივარი, ჩართული რომ გაქვს? ვის ან რას აცივებ? თუმცა, არა — საჭიროა: ხომ გვითხრეს „ზემოდან", ვისაც გადასახადების გაზრდა არ მოსწონს, ცივი წყალი დალიოსო...

ან ტელევიზორს რატომ ვრთავთ და ვაწვევინებთ ამ „ოთუზბირის" ფას ელექტროენერგიას. სწორედ იმ ტელევიზორმა არ გვითხრა გაძვირების შესახებ?! ისე, ენას ძვალი არა აქვსო, ტელევიზორზეა ნათქვამი. ხომ არ გგონია რაიმე შეპარვით გითხრას და პირდაპირ არ მოგახალოს: „დენი და გაზი ძვირდება. ამის შესახებ რეკლამის შემდეგ..." შენც ელოდები და მარტო იმ რეკლამების ყურებაში გიწერს მრიცხველი იმდენს, შენი ხელფასის ნახევარს რომ ჩაყლაპავას თვის ბოლოს.

კიდევ არის ერთი დამღუპველი ელექტროხელსაწყო ყველა ოჯახში — ე.წ. „მინუტკა", ჩაის ასადუღებლად რომ იყენებს ხალხი. იცით, რა „ყაჩაღი" რამეა ეგ „მინუტკა"?! ან რა აუცილებელია ცხელი ჩაის დალევა, როცა ცივ ჩაის მიაქვს დახლები. არც ადუღება სჭირდება და არც კარაქიანი პური... ასე რომ, ნუ ჩართავთ ტელევიზორს, მაცივარს, უთოს, სარეცხ მანქანას, „მინუტკას" და დენის გაძვირებაც ნაკლებად გატკენთ გულს...

ახლა გაზი ავიღოთ: სირცხვილი არ იყო, ერთი კუბური მეტრი გაზი სულ რაღაც 27 თეთრი რომ ღირდა?! თქვენი არ ვიცი და, მე ისე მრცხვენოდა ინკასატორისა, რომ თვალს ვერ ვუსწორებდი ან საერთოდ არ ვუღებდი კარს. მაინც უკმაყოფილოა ხალხი, როგორ გადავიხადოთ გაზში 34 თეთრი, როცა პურის ფულს ძლივს ვშოულობთო?.. მარტო პური რომ გვაქვს, მით უმეტეს, რად გვინდა გაზი?! პურს არც მოხარშვა სჭირდება და არც — შეწვა. დაჭერი და ჭამე, თან დახუჭე თვალები და იფიქრე გოჭზე, ქათამზე, მწვადზე და ხინკალზე. თვალები რომ დახუჭული გექნება, შუქის ანთებაც აღარ დაგჭირდება და ორმაგ ეკონომიას გააკეთებ.

მაგრამ ხომ იცით ჩვენი ხალხის ამბავი — გაზით გათბობაც უნდა, გენაცვალე! საკუთარი სხეულის სითბო — 36,6 გრადუსი აღარ აკმაყოფილებს და ოთახის გაღუღუნებაც უნდა. რად გვინდა სითბო?! სითბოში ხომ სხეული ფართოვდება, ფიგურა ირღვევა, ტანსაცმელი აღარ გეტევა და იწყება დიეტის დაცვის გაუთავებელი და აუტანელი პროცესი...

ხომ ხედავთ, რომ ხელისუფლების მისამართით საყვედური კი არა, მადლობა გვაქვს სათქმელი. ახლა პასუხი კითხვაზე, თუ სად მიდის გადასახადებში აკრებილი თანხა?! სად მიდის და ქვეყნის პრესტიჟს ხმარდება. იმ ნატოსა და ევროკავშირში შესვლა რომ გვინდა, ვინ შეგიშვებს ისე, თუ შენს ქვეყანაში ჯენიფერ ლოპესი მაინც არაა ნამყოფი?! ჩვენი დენისა და გაზის არ იყოს, ქალბატონ ჯენიფერსაც გაუძვირებია ტარიფი — ერთი კონცერტი — 500 ათასი დოლარი. ამას კიდევ შევძლებდით, გადავიხდიდით, მაგრამ სხვა პირობამ გვათქმევინა უარი: სცენის კულისებში საგრიმიორო და საძინებელი მინდა, რომ კონცერტის წინ დავიძინოო. აი, რა იყო საშიშროება: 26 მაისს ქუჩაში კონცერტზე მოსულმა მაყურებელმა რომ იცის, მისგან 10 მეტრში ჯენიფერ ლოპესია წამოწოლილი, შენ გამოწიწკნი ქართველ კაცებს იმ საძინებლიდან?!

P.S. მთავრობის სხდომაზე:

— რა ვქნათ, ბატონო მინისტრებო, რა სიურპრიზი მოვუმზადოთ ხალხს 26 მაისისთვის?

— ჯენიფერ ლოპესი, პამელა ანდერსონი, მადონა და ბრიტნი სპირსი ჩამოვიყვანოთ ამერიკიდან.

— კარგი აზრია, ძვირი არ დაგვიჯდება მაგათი ჩამოყვანა?

— მაშინ, ჩვენ წავიდეთ ამერიკაში და იქ ვნახოთ.

— ყოჩაღ! კარგი აზრია...

პროვოკატორი

„საქართველოს ისტორია „აფხაზეთის ისტორიით“ უნდა ჩაანაცვლონ“

— გალის რაიონში ქართულ ენაზე სწავლება იკრძალება, სასწავლო პროგრამაში კი, საქართველოს ისტორია „აფხაზეთის ისტორიით“ უნდა ჩაანაცვლონ. აღნიშნულთან დაკავშირებით რისი გაკეთება შეუძლია საქართველოს პარლამენტს?

ნოდარ გრიგალაშვილი, *განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარე:*

— რამდენიმე დღის წინ, გალში ე.წ. პრეზიდენტის რწმუნებულმა და გალის ადმინისტრაციის უფროსმა, ქართული სკოლების დირექტორები შეკრიბეს და გამოუცხადეს, რომ სექტემბრიდან ყველა სკოლაში პირველი კლასიდანვე რუსულ ენაზე დაიწყება სწავლება. ვინც სათანადოდ არ ფლობს რუსულ ენას, ჰპირდებიან, რომ კვალიფიკაციის ასამაღლებლად ტრენინგებს ჩაუტარებენ. ეს ქართული სკოლებიდან მშობლიური ენის გამოდევნას ნიშნავს. მსგავსი რამ, XX საუკუნეში არსად ხდება. ქართველ კაცს, თავის სამშობლოში მშობლიურ ენაზე განათლების მიღება აუკრძალო, ეს ხომ ბარბაროსობაა. ამ ეტაპზე გალის რაიონში ქართული სახელმძღვანელოები არალეგალურად შედის. პედაგოგებისთვის ხელფასის მიწოდებაც არალეგალურად გვიწევს. ის ადამიანები, რომლებიც ამ ტერიტორიაზე ასწავლიან, ნამდვილი გმირები არიან, მაგრამ ჩვენი დახმარების გარეშე, ძალიან გაუჭირდებათ. 12 მაისს, აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობა ამ საკითხზე მსჯელობას აპირებს. მანამდე კი ჩვენმა პარლამენტმა მოამზადა შესაბამისი განცხადება და თუ 12 მაისს, ასეთ აღმაშფოთებელ გადაწყვეტილებას მართლაც მიიღებენ, მთელ საერთაშორისო თანამეგობრობას ფეხზე დავაყენებთ. ერთ მუჭა სეპარატისტებს არ მივცემთ იმის უფლებას, ბავშვებს მშობლიურ ენაზე სწავლის უფლება წაართვან და საქართველოს ისტორიის ნაცვლად, დამახინჯებული ფაქტებით ხელოვნურად შეთითხნილი, „აფხაზეთის ისტორია“ შესთავაზონ. ■

მაისში კვლავ სიცივეა მოსალოდნელი

— როგორი იქნება გაზაფხულის ბოლო თვე, ტემპერატურის მომატება რა პერიოდიდანაა მოსალოდნელი?

ირაკლი ჩოგოვაძე, *ჰიდრომეტცენტრის წარმომადგენელი:*

— მაისის საშუალო ტემპერატურა საქართველოს თითქმის მთელ ტერიტორიაზე საშუალო მრავალწლიურ მაჩვენებელზე ერთი ან ორი გრადუსით დაბალი იქნება. შავი ზღვის სანაპირო რაიონებსა და კოლხეთის დაბლობზე თვის საშუალო ტემპერატურა +14, +15 გრადუსია მოსალოდნელი, ნალექების ოდენობა კოლხეთის დაბლობზე — ნორმაზე მეტი, შავი ზღვის სანაპირო რაიონებში კი, ნორმასთან ახლოს იქნება. დასავლეთ საქართველოში მაისის საშუალო ტემპერატურა +11, +14 გრადუსია ნავარაუდევი, მაღალ მთაში კი +8, +9 გრადუსი. თვის საშუალო ტემპერატურა შიდა ქართლში — +12, +14, ქვემო ქართლში კი — +15, +16 გრადუსია მოსალოდნელი, ნალექი ამ რეგიონებში ზოგან ნორმის ფარგლებში, ზოგან კი მასზე მეტი რაოდენობით მოვა. გარე და შიდა კახეთისთვის საშუალო ტემპერატურა +13, +16 გრადუსი იქნება. ნალექის რაოდენობა კი ნორმაზე მაღალი. მაისის საშუალო ტემპერატურა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში +10, +12, მაღალ მთაში კი

+6, +7 გრადუსია ნავარაუდევი. ნალექის რაოდენობა ზოგიერთ რაიონში კვლავ ნორმაზე მეტია მოსალოდნელი. თბილისში საშუალო ტემპერატურა +15, +16 გრადუსი იქნება, ნალექის რაოდენობა კი — ნორმასთან მიახლოებული. შეგახსენებთ, რომ თვის საშუალო ტემპერატურაზე ვსაუბრობთ, აქედან გამომდინარე, გამორიცხული არ არის, მაისში ზოგიერთ დღეს +28-30-გრადუსიანი სიცხეც იყოს. ასევე შესაძლებელია, +5 გრადუსამდეც დაეცეს ტემპერატურა. უხვნალექიანობა კი, მდინარეების ადიდებას გამოიწვევს. ■

„არა მგონია, რუსებმა ეთნიკურ წმენდას მიჰყონ ხელი“

— რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის უკიდურესად დაძაბვის პარალელურად ვრცელდება ინფორმაცია, რომ იქ მცხოვრებ ქართველებს სერიოზული პრობლემები აქვთ და საქართველოში გამოძევებით ემუქრებიან...

კოტე გაგაშვილი, *საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე:*

— ეს რუსეთში არსებული დაბალი დონის დემოკრატიის და ტოლერანტული ტრადიციების უარყოფის ბრალია. არა მგონია, რომ განსაკუთრებული უპატივცემულობით ქართველებს ეპყრობოდნენ. ეს არის ზოგადად, უარყოფითი დამოკიდებულების გამოვლენა ჩასულების მიმართ. ზუსტად ანალოგიური პრობლემები აქვთ რუსეთში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს, სომხებს და ჩრდილოკავკასიელებს. ცოტა ხნის წინ, სწორედ ეთნიკურ ნიადაგზე მოკლეს ერთი სომეხი და ერთი აზერბაიჯანელი ახალგაზრდა, მაშინ, როცა, სომხეთთან რუსეთის ხელისუფლებას გაცილებით კარგი ურთიერთობა აქვს, ვიდრე საქართველოსთან. მე დარწმუნებული ვარ, რუსეთის ხელისუფლება თავადაც ცდილობს ამ პრობლემის მოგვარებას, მაგრამ ვერ ახერხებს. თუ ოფიციალური სტრუქტურები მსგავს ნაბიჯს გადადგამენ და მიიღებენ გადაწყვეტილებას, რომ ეთნიკური წმენდა ჩაატარონ, ეს ძალიან ცუდად აისახება მათ იმიჯზე. რუსეთში ჩასული თითქმის ყველა ადამიანი გარკვეული სამართლებრივი სტატუსით მუშაობს. თუ მათ გამოდევნას მოისურვებენ, არც ამით დაიღუპება საქართველო, საკუთარ მოქალაქეებს, როგორც იქნება, თავად ვუპატრონებთ, თუმცა არა მგონია, რუსებმა ეთნიკურ წმენდას მიჰყონ ხელი და აქამდე დაეშვნენ. ეს თავად რუსული საზოგადოებისთვის ძალიან ცუდი მაგალითი იქნება, რომ აღარაფერი ვთქვათ, მის იმიჯზე საერთაშორისო ასპარეზზე. ■

„ბენდუქიძე კარგი იდეებით ჩამოვიდა, მაგრამ ახლა დაბნეულია“

— ბუნებრივ აირსა და ელექტროენერგიაზე ტარიფის ზრდა, გააძვირებს თუ არა ქართულ პროდუქციას?

ნიკო ორველაშვილი, *ეკონომიკური ექსპერტი:*

— გაზრდილი გადასახადების გადახდას მოსახლეობის ერთი, ძალიან დიდი ნაწილი, უბრალოდ ვეღარ შეძლებს. მათ ექნებათ დენიც, გაზიც, მაგრამ მოხმარებას ვეღარ გაბედავენ. გაზრდილი ენერგიის პირობებში თუ მოსახლეობის შემოსავალი იგივე დარჩება, ეს შრომის ბაზარზეც იქონიებს გავლენას და ხელფასების გაზრდის მოთხოვნა მასობრივ ხასიათს მიიღებს. თუ მათი ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ხელფასებისა და ფასების ერთდროული ზრდა ინფლაციის პროცესის დაწყებას არ გამორიცხავს. სავალუტო ფონდი აღნიშნულთან დაკავშირებით რატომ დუმს, ჩემთვის გაუგებარია. ეს ბენდუქიძის ინიციატივის ერთგვარი სტიმულია, სახელმწიფო მინისტრი კი უტიფარ განცხადებებს აკეთებს, ცხოვრება არ გაძვირდებაო. ნებისმიერ პროდუქტს გარკვეული თვითღირებულება აქვს. რისი წარმოებაც მიბმულია ენერგომატარებლებთან — როცა ენერგია ძვირდება, ძვირდება პროდუქტის თვითღირებულებაც, ეს მარტივი ჭეშმარიტებაა. ბენდუქიძე საქართველოში კარგი იდეებით ჩამოვიდა, მაგრამ დაინახა, რომ აქ ამ მიზნების რეალიზება შეუძლებელი იყო. ახლა დაბნეულია, ერთი მხრივ დაგვცინის, ამასთან, კრემლის საქმის კეთებას აგრძელებს, რადგან შესაძლებელია, მალე რუსეთში დაბრუნებამ მოუწიოს. მაგრამ სად გაიქცევა საქართველოს მოსახლეობა? მათ გაძვირებული გაზისა და ელექტროენერგიის პირობებში უკიდურესად გაუჭირდებათ ცხოვრება. ■

„შრომის კანონი დასაქმებულთა დისკრიმინაციის ხარჯზე არ უნდა მიიღონ“

— ოპოზიციის განცხადებით, ახალი შრომის კანონი მონურ პირობებს უქმნის დაქირავებულ ადამიანებს, რომელი პუნქტებია თქვენთვის მიუღებელი?

მანანა ნაჭყებია, *პარლამენტის წევრი:*

— პირველ რიგში, არ ვეთანხმებით ქალთა დეკრეტული შვებულების ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტას. დღემდე ქალს უნაზღაურდებოდა დეკრეტული შვებულების 4 თვე და ამ ოთხ თვეში ის იღებდა მისთვის სრულად გამოყოფილ ხელფასს. ახალი კანონმდებლობით, ზედა ზღვარი 600 ლარი იქნება. ანუ ფეხმძიმე თვეში 150 ლარს მიიღებს, რაც 4 თვეში 600 ლარს შეადგენს. როგორ ფიქრობთ, ის ქალბატონები, რომელთაც თვეში 700 ან 800 ლარი აქვთ შემოსავალი, კიდევ მოინდომებენ დეკრეტულში გასვლას?.. ეს კი საბოლოო ჯამში ისევ ჩვენს გენოფონდზე აისახება. დღეს თუ ქალი, რომელიც მუშაობს, ერთ შვილს აჩენს, ამ კანონის პირობებში, ალბათ ამაზეც უარს იტყვის. ხელისუფლება თავს იმართლებს — ვინც არ მუშაობს, მათ დასაცავად შევიმუშავეთ ეს მუხლიო. უმუშევრების უზრუნველყოფა სახელმწიფომ თავის თავზე უნდა აიღოს და არ უნდა დააზარალოს ის ქალბატონები, რომელთაც მაღალი ხელფასები აქვთ. საქართველოში ფეხმძიმე ქალებს რომ ხელშეწყობა არა აქვთ, იმიტომაა ქართველი ერი მომაკვდავ ერთა სიაში შეტანილი. გარდა ამისა, ახალი კანონების მიხედვით, დამსაქმებელს შეუძლია, დაქირავებულ ადამიანს აზრის გამოხატვის თავისუფლება შეუზღუდოს, რაც ჩვენს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება. შენიშვნები გვაქვს კოდექსში შრომითი ურთიერთობის წარმოშობის ასაკთან დაკავშირებით. ბავშვმა მუშაობა იმ ასაკიდან უნდა დაიწყოს, როცა მის ჯანმრთელობას საფრთხე არ შეექმნება. 14 წელი, რაც კოდექსში წერია, ძალიან ადრეა შრომითი ურთიერთობების დასაწყებად. ახალ კოდექსში ლაპარაკია ზეპირ შრომით ხელშეკრულებაზეც, მაშინ, როცა ზეპირი შეთანხმების პირობებში, სიტუაციის დაძაბვის შემთხვევაში, სასამართლოშიც კი ვერ გაირკვევა სიმართლე. შრომის კანონი აუცილებლად მისაღებია, მაგრამ არა დასაქმებულების დისკრიმინაციის ხარჯზე. ■

„სპეცრაზმელები შემთხვევითი გამვლელების სიცოცხლეს საფრთხეში აგდებენ“

— შს სამინისტროს ახალმა სპეცოპერაციამ კვლავ ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა დაბადა. თქვენ ინფორმაციით, რა მოხდა „ჯორტებთან“?

კოკა გუნცაძე, *ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე:*

— მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ სამინისტრომ ერთი მოწმის წარმოდგენაც ვერ შეძლო, რომელიც დაადასტურებდა, რომ სროლა იმ მანქანიდან დაიწყეს, სადაც მათი ინფორმაციით, კრიმინალები ისხდნენ. სააკაშვილმა რამდენიმე თვის წინ, სამართალდამცავებს ნება მისცა, მოეკლათ ყველა, ვინც თვალში არ მოუვიდოდათ და შედეგი სახეზეა: ე.წ. სპეცოპერაციების დროს დაღუპულთა რიცხვმა ორმოცს გადააჭარბა. არც გამაფრთხილებელი გასროლა, ალყა, მოლაპარაკების მცდელობა და სხვა ბევრი მექანიზმი, რომელიც დამნაშავის აყვანის დროს კანონმდებლობით არის გათვალისწინებული. ნიღბიანები პირდაპირ მკვლელებად იქცნენ, თანაც სროლებს იწყებენ ისეთ ადგილზე, სადაც ჩვეულებრივი, რიგითი მოქალაქეების, შემთხვევითი გამვლელების სიცოცხლესაც საფრთხეში აგდებენ. შს სამინისტრომ მიიღო „ენკავედეს“ ფორმა. მას აქვს ისეთი უფლებები, როგორიც არ ჰქონია პოსტსაბჭოთა პერიოდში არც ერთ შსს-ს. ქვეყანაში მალე სრული ქაოსი დაიწყება, თუ შს სამინისტროს არ გამოეყო უშიშროება, ცალკე უწყებად არ ჩამოყალიბდა კრიმინალური პოლიცია. ამასთან, პატრული მუნიციპალური უნდა გახდეს, დამკვიდრდეს შერიფის ინსტიტუტი, რომელიც არჩევითი იქნება. მანამდე კი, ჩვენ კიდევ ერთხელ მოვითხოვთ ვანო მერაბიშვილის გადაყენებას. პასუხისმგებლობა არ ასცდება გენპროკურორსაც, რომელიც არ იძიებს მაღალი თანამდებობის პირებისა და ძალოვნების მონაწილეობით ჩადენილ დანაშაულებს. ■

მალე! ახალი გაზეთი პარასკევობით

კვირის პალიტრა

ყველა სიახლე

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი. გამოდის პარასკევობით.

კვირის პალიტრისგან

ცხინვალში საქართველოს იურისდიქცია აღდგება

— ირაკლი ოქრუაშვილი კიდევ ერთხელ დებს პირობას, რომ 1-ელ იანვარს ცხინვალიდან მოგვილოცავს. კონფლიქტის ზონის მოსახლეობას მისი პირობის სჯერა?

გურამ ვახტანგიშვილი, *ლიახვის ხეობის მაჟორიტარი:*

— ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული, რამდენი წელია, ცხინვალის რეგიონში საომარი მოქმედებები მიმდინარეობს, ვფიქრობ, სიტუაცია უკვე მომწიფებულია იმისათვის, რომ კონფლიქტი დასრულებისკენ წავიდეს. მე პირადად, კარგად ვიცნობ თავდაცვის მინისტრს, ირაკლი ოქრუაშვილს და დარწმუნებული ვარ, საკუთარ სიტყვას შეასრულებს. რეგიონის მოსახლეობა უდიდესი იმედით ელოდება დათქმულ თარიღს. ის ადამიანი, ვისაც კონფლიქტის ზონაში არ უცხოვრია, ალბათ ვერც კი წარმოიდგენს, მუდმივ დაძაბულობასა და თავდასხმის მოლოდინში როგორ უჭირს ადგილობრივ მოსახლეობას წლიდან წლამდე თავის გატანა. ისინი სწორედ იმ დღეზე ოცნებობენ, როცა ამ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქცია აღდგება და სიმშვიდე დაისადგურებს. ოქრუაშვილის განცხადებაში არანაირი საომარი რიტორიკა არ ყოფილა, მისი გამოსვლა არც პიარს ემსახურებოდა, ამ სიტყვების უკან კი რეალური გეგმა დგას, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება განახორციელებს. ცხინვალში საქართველოს იურისდიქცია აღდგება და ეს არა სამხედრო ოპერაციებით, არამედ მშვიდობიანი გზით იქნება შესაძლებელი. დარწმუნებული ვარ, 2007 წლის 1-ელი იანვარი ყველა ქართველისთვის, ერთ-ერთი ყველაზე ბედნიერი ახალი წელი იქნება.

■

რუბრიკა მოამზადა
ხათუნა მაღრაძემ

საშემოდგომოდ დაგეგმილი, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგები, ოპოზიციონერთა წინასწარი პროგნოზით, გაყალბდება. ამის მიზეზად, ისინი ნაციონალურ მოძრაობასთან საოლქო და ცენტრალური საარჩევნო კომისიების წევრთა მჭიდრო ურთიერთობას ასახელებენ: „კომისიები მმართველი პარტიის აქტივისტებით არის დაკომპლექტებული, ამდენად, არჩევნების ობიექტურად გამართვა წარმოუდგენელია“, — ამბობს ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი. ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე კი, ოპონენტების შენიშვნებს არ იზიარებს. მისი თქმით, „ოპოზიციის ხმაურიანი განცხადებები საფუძველს მოკლებულია“.

შეგზავნა თუ არა ნაცმოძრაობამ საარჩევნო კომისიებში საკუთარი აგენტები

და ვინ გააკონტროლებს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს

თამარ როსტიაშვილი

კახა კუკავა, *კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:*

— ოპოზიციური პარტიების ძირითადი მოთხოვნა ის გახლავთ, რომ შეიცვალოს საარჩევნო ადმინისტრაცია და კორექტივები შევიდეს საარჩევნო კოდექსში. ოპოზიციონერებისთვის საარჩევნო ადმინისტრაცია მიუღებელია, რადგან საქართველოში, გუმბარიძის, გამსახურდიას თუ შევარდნაძის მმართველობის შემდეგ პირველად, ცენტრალური თუ საოლქო კომისიები ერთპარტიულია. საოლქო კომისიები აქამდე, ყოველთვის ინტერპარტიული იყო, ეს კი იძლეოდა იმის საშუალებას, რომ კომისიებში პარტიებს თავიანთი ინტერესები დაეცვათ. საერეოსოდ, ხუთიდან ხუთივე წევრი საოლქოში, ხოლო შვიდიდან შვიდი — ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, ნაციონალური მოძრაობის მიერ არის დანიშნული. გაუქმებულია პარტიების ურთიერთკონტროლის მექანიზმი. ასეთი რამ არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. მეორე მთავარი მოთხოვნა კი ის გახლავთ, რომ თბილისის და არა მარტო დედაქალაქის, არამედ ყველა დიდი ქალაქის მერი პირდაპირი გზით უნდა იყოს არჩეული. ის მოდელი, რომელიც საკრებულოსა და მერის არჩევისას საქართველოში გამოიყენება, მხოლოდ ოთხ ქვეყანაში მოქმედებს. როდესაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, ნანა დევდარიანი გახლდათ, არსებობდა კომპიუტერული პროგრამა, რომლითაც შესაძლებელი იყო, ერთი და იმავე გვარისა და სახელის პატრონი სხვადასხვა რაიონის საარჩევნო უბანზე მოგვეძებნა. აქედან გამომდინარე, ხმების რაოდენობის გაკონტროლებაც გაცილებით იოლი იყო. ამჟამად ეს შესაძლებლობა ჩამოგვერთვა — ამომრჩეველთა სიების ელექტრონულ ვერსიას „აკრობატის ფორმატში“ გვაწვდიან, რაც ნიშნავს იმას, რომ სიაში ერთი და იმავე სახელისა და გვარის ამომრჩევლის ძებნა სხვადასხვა რაიონში შეუძლებელია. ცესკოს თავმჯდომარემ, გურამ ჩალაგაშვილმა საოლქო კომისიის წევრები არა მათი პროფესიონლიზმის, არამედ თავისი პირადი შეხედულების მიხედვით დანიშნა. კონკურსის მიხედვით, კომისიებში არა „95-ქულიანი“, არამედ „70“ და „75-ქულიანი“ წევრები მოხვდნენ.

— როგორ ფიქრობთ — ოპოზიციის ბოიკოტის ერთ-ერთ მოთხოვნას, რომელიც საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანასა და საარჩევნო ადმინისტრაციის შეცვლას უკავშირდება, რამდენად გაითვალისწინებს ხელისუფლება?

— მიუხედავად ოპოზიციის მიმართ ხელისუფლების ცინიკური დამოკიდებულებისა, ვიმედოვნებ, რომ ამ კონკრეტულ საკითხში ხელისუფლება გვეთანხმება და შენიშვნებსაც გაითვალისწინებს. ეს მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული საერთაშორისო ორგანიზაციებზე, რადგან მათი გავლენა დღევანდელ ხელისუფლებაზე საკმაოდ ძლიერია. იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციურ პარტიებთან ერთად, საერთაშორისო ორგანიზაციები და აგრეთვე, არასამთავრობო სექტორი აიძულებს ხელისუფლებას, საარჩევნო კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებები შეიტანოს, საშემოდგომოდ დაგეგმილი არჩევნები შესაძლებელია, მეტ-ნაკლებად ობიექტურად ჩატარდეს. თუ ასე არ მოხდა, მაშინ, რაკიღა საოლქო და ცენტრალური კომისიები მმართველი პარტიის აქტივისტებით არის დაკომპლექტებული, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ობიექტურად გამართვა წარმოუდგენელი იქნება. ოპოზიციონერებს გვქონდა შეხვედრები დიპლომატიურ კორპუსთან. უცხოელ დიპლომატთა მოსაზრებები ჩვენი საარჩევნო კანონმდებლობის თაობაზე, ასევე ნეგატიურია. იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლებამ ოპოზიციის მოთხოვნები არ გაითვალისწინა, საპროტესტო აქციები პერმანენტულად გაიმართება. ვიმედოვნებთ, როგორც უცხოელი დიპლომატები, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები მხარს დაგვიჭერენ.

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერის ბრალდებებს, ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე, გურამ ჩალაგაშვილი არ იზიარებს და ამბობს, რომ არც საოლქო და არც ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებს არავითარი შეხება არც აქვთ და არც ჰქონიათ რომელიმე პოლიტიკურ პარტიასთან. ამასთანავე, დასძენს, რომ საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანა — მხოლოდ პარლამენტის კომპეტენციაა. რაც შეეხება ამომრჩეველთა სიების ელექტრონულ ვერსიას — ჩალაგაშვილის თქმით, მან ექსპერიმენტი ჩაატარა და დაგვანახვა, თუ რაოდენ მარტივადაა შესაძლებელი, ამომრჩეველთა სიებში სხვადასხვა ადგილას მცხოვრები ერთი და იმავე სახელისა და გვარის მქონე ამომრჩეველთა მოძიება.

საერთაშორისო ორგანიზაციები და აგრეთვე, არასამთავრობო სექტორი აიძულებს ხელისუფლებას, საარჩევნო კანონმდებლობაში გარკვეული ცვლილებები შეიტანოს

გურამ ჩალაგაშვილი, *ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე:*

— ჯერჯერობით დაუზუსტებელია ამომრჩეველთა სიები. დიდუბის რაიონის მოსახლეობის აღრიცხვა უკვე დასრულებულია. სიები, როგორც პოლიტიკურ პარტიებს, აგრეთვე საოლქო საარჩევნო კომისიებს, უკვე გადავეცით. თითქმის დასრულებულია ჩუღურეთში და მთაწმინდა-კრწანისის რაიონებში მცხოვრებ ამომრჩეველთა სიების შედგენაც. ცენტრალური საარჩევნო კომისია მადლიერი იქნება, თუ ოპოზიციური პარტიები ითანამშრომლებენ და ამომრჩეველთა სიების დაზუსტებაში დაგვეხმარებიან. პოლიტიკურმა პარტიებმა, რომლებიც ცესკოს მიმართ პრეტენზიებს გამოხატავენ და ეჭვი ეპარებათ ამომრჩეველთა სიების სიზუსტეში, კეთილი ინებონ და გადაამოწმონ. თუ რომელიმე სიაში გარდაცვლილი ადამიანის გვარ-სახელს ან ნებისმიერ დარღვევას აღმოაჩენენ, ვპირდებით, რომ გავატარებთ კანონით დადგენილ პროცედურას. არჩევნების დროს, ხშირია, როდესაც ამომრჩეველთა სიებში გარდაცვლილი ადამიანის გვარ-სახელი შემთხვევით ხვდება. ასეთი რამ უფრო ხშირად, რაიონებში ხდება, რადგან ადამიანის გარდაცვალებისას ოჯახი არ იღებს ე.წ. გარდაცვალების ცნობას და ესა თუ ის პიროვნება იუსტიციის სამინისტროს მონაცემთა ბაზაში, როგორც გარდაცვლილი, არ რეგისტრირდება. ამდენად, თუ იუსტიციის სამინისტრომ გარდაცვლილთა ზუსტი სიები ვერ მოგვაწოდა, შესაბამისად, არ არის გამორიცხული, საარჩევნო სიებში ე.წ. „მკვდარი სულები“ კვლავაც აღმოჩნდეს. იმ პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც ცენტრალურ საარჩევნო კომისიას არ ენდობიან, ვურჩევ, საარჩევნო სიები გადაამოწმონ: აქტივისტებმა და მხარდამჭერებმა კარდაკარ ჩამოიარონ და თითოეული ოჯახი აღრიცხონ. ამ პროცედურით, ამომრჩეველთა სიებს დააზუსტებენ. საქართველოში სულ 75 საარჩევნო ოლქი, 2780 საარჩევნო უბანი და ცესკოს მონაცემებით, 2 მილიონამდე ამომრჩეველია. საარჩევნო უბნებისა და ამომრჩეველთა რაოდენობა ჯერჯერობით დაუზუსტებელია. გარდა ამისა, არსებობს ცესკოს ვებ-გვერდი, რომელზეც ნებისმიერ პიროვნებას შეუძლია, კონკრეტული რაიონის მითითებით, ამომრჩეველთა სიებში საკუთარი თავი და იმავე გვარ-სახელის მქონე სხვა პიროვნებაც იპოვოს. ეს პროგრამა ეტაპობრივად განახლდება.

არსებობს ცესკოს ვებ-გვერდი, რომელზეც ნებისმიერ პიროვნებას შეუძლია, კონკრეტული რაიონის მითითებით, ამომრჩეველთა სიებში საკუთარი თავი და იმავე გვარ-სახელის მქონე სხვა პიროვნებაც იპოვოს

— **ოპოზიციური პარტიები საარჩევნო კოდექსს აპროტესტებენ. მათი თქმით, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე საოლქო და ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები ნაციონალური მოძრაობის აქტივისტებით არის დაკომპლექტებული. ოპონენტთა ამ პრეტენზიაზე რა კომენტარს გაა-კეთებთ?**

— ის, რომ საოლქო საარჩევნო კომისიები „ნაციონალებით“ არის დაკომპლექტებული, მტკნარი სიცრუეა. კომისიის თითოეული წევრის ბიოგრაფიას გადავხედეთ და არც ერთი მათგანი არ არის და არც ყოფილა რომელიმე პარტიის წევრი. კომისიის წევრების 95%-მა კონკურსში უმაღლესი ქულები დააგროვა. თუ რომელიმე პოლიტიკოსს საოლქო თუ ცენტრალური საარჩევნო კომისიის კონკრეტული წევრის მიმართ პრეტენზია აქვს, რომ იგი სახელისუფლებო პარტიის წევრია, მოგვმართოს და ვპირდებით, რომ აუცილებლად გამოვარკვევთ. ოპოზიციის განცხადება იმის თაობაზე, რომ საოლქო და ცენტრალურ კომისიებში ნაციონალისტები არიან უსაფუძვლოა.

— **რა არის მთავარი იმისათვის, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ობიექტურად ჩატარდეს?**

— მთავარი არის მონდომება და საზოგადოების აქტიურობა. გარკვეული ხარვეზები, რა თქმა უნდა, იქნება, მაგრამ საერთო ჯამში, ვვარაუდობთ, რომ არჩევნები სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარდება. თუ რომელიმე უბანზე ან საარჩევნო ოლქში გარკვეული სახის ინციდენტი მოხდება, გპირდებით, რომ აუცილებლად შევისწავლით და სათანადო რეაგირებას მოვახდენთ. როგორც არასამთავრობო, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციები, თითოეულ საარჩევნო უბანზე განახორციელებენ დაკვირვებას და მონიტორინგს. საგარეო საქმეთა სამინისტროს უკვე ვთხოვეთ, დაგეგმილ არჩევნებთან დაკავშირებით საქმის კურსში ჩააყენონ საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. უცხოელი დამკვირვებლები კანონით დადგენილ ვადებში გაივლიან რეგისტრაციას და გადანაწილდებიან საარჩევნო უბნებზე. არჩევნების დასრულების შემდეგ, უცხოელი დამკვირვებლები მოამზადებენ დასკვნას და შეაფასებენ, თუ რამდენად ობიექტურად ჩატარდა საქართველოში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები.

■



„ბოლო პერიოდში, რუსეთმა საქართველოს ორი შოკური დარტყმა მიაყენა: პირველი — გაზის ტარიფის გაორმაგება გახლდათ, რასაც ელექტროენერგიის ტარიფის ზრდა და რუსულ ბაზარზე ქართული პროდუქციის აკრძალვა მოჰყვა. ამის შედეგად, საქართველოში მთლიანი შიდაპროდუქციის ზრდის ტემპები 1%-ით შემცირდა, მაგრამ გარწმუნებთ, რომ მიმდინარე წელს, ეკონომიკური ზრდის ორნიშნა მაჩვენებლით დავასრულებთ“, — ასე ახასიათებს პრემიერი ნოღაიდელი, ქვეყნის მაკროეკონომიკურ სურათს და გვაიმედებს, რომ მიმდინარე პროცესები ინფლაციაზე მინიმალურ გავლენას იქონიებს. დამოუკიდებელი ექსპერტები და მეწარმეები კი, უკვე შემოდგომისთვის სერიოზულ ეკონომიკურ კრიზისზე ლაპარაკობენ და საჩვენებელ თითს, ხელისუფლების არათანამიმდევრული პოლიტიკისკენ იშვერენ. რა ზარალი მიადგება ქართულ ეკონომიკას და დაიღუპება თუ არა საქართველო რუსეთის ბაზრის გარეშე? — ეს კითხვები საზოგადოებისთვის კვლავ აქტუალურია.

„ღვინო ყურძნისგან დაეჭაჭნადოთ და ჯანსაღ ბაზრებზე ვეძიდეთ“

ემა ტუხიაშვილი

ზურაბ ტყემალაძე, *ფრაქცია „მრეწველების“ ლიდერი:*

— კომუნისტური რეჟიმის მმართველობის პერიოდში, როდესაც აქტიურ სამეწარმეო საქმიანობას ვეწეოდი, რუსეთში მშრალი კანონი გამოცხადდა და ალტერნატიული ბაზრების ძიება დავიწყეთ. პოლონეთის ბაზრის სახით, საუკეთესო ვარიანტი გამოჩნდა, ჯერ ერთი, რომ სლავური ქვეყანაა და ღვინის მომხმარებელთა პოტენციალი მაღალია, მეორეც ის, რომ ქვეყნის მოსახლეობა 40 მილიონს აჭარბებს და ერთ-ერთი ქვეყანაა აღმოსავლეთ ევროპაში, რომელსაც საკუთარი ყურძენი არ გააჩნია და მთლიანად იმპორტზეა დამოკიდებული. ყოველწლიურად, პოლონეთში 10-15 მილიონი ლიტრი ღვინო გაგვქონდა, მაგრამ 1991 წელს, თბილისში განვითარებულმა მოვლენებმა, მოგვიანებით კი, საომარმა მოქმედებებმა და ჩეჩნთში დაწყებულმა ომმა, ექსპორტის განხორციელებისას პრობლემები შეგვიქმნა. ასე დავკარგეთ პოლონეთის ბაზარი, სადაც მალევე დასავლური პროდუქცია ჩაგვენაცვლა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ დღევანდელი მთავრობა არათანამიმდევრულ პოლიტიკას აწარმოებს. რუსეთის ბაზარზე ასე იოლად არ უნდა ვთქვათ უარი. საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ დღეს მსოფლიოში ჭარბად წარმოებული პროდუქციის გასაღების პრობლემა დგას და ყველა განვითარებული ქვეყანა პოტენციურ ბაზარს ეძებს. თუ ლაპარაკია ახალი ბაზრების დაპყრობაზე, ეს რუსეთის ბაზარზე დაბრუნების პარალელურად უნდა მოხდეს, რადგან საამისო პოტენციალი ჩვენს ქვეყანას ნამდვილად აქვს. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში ყოველწლიურად 200-300 ათასი ტონა ყურძენი მოიწევა. ციფრებს თუ დავუჯერებთ, აქედან, ღვინის გადამუშავებაზე მხოლოდ 100 ათასი ტონა იხარჯება, დანარჩენს კი, თურმე მოსახლეობა მოიხმარს, ანუ ჭამს. ეს ხომ სრული აბსურდია? მართალია, სახელმწიფო მინისტრმა კახა ბენდუქიძემ ბრძანა: იმ პროდუქციას, რასაც რუსეთში ვერ გავიტანთ, ჩვენ თვითონ შევჭამთო, მაგრამ მისი მადაც რომ გავამრავლოთ 4 მილიონ ქართველზე, ამდენ დოვლათს მაინც ვერ მოვერევით. ვშიშობ, რომ ახლო მომავალში, ქართველი გლეხი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის პრობლემის წინაშე აღმოჩნდება და იძულებული იქნება, ისევე მოიქცეს, როგორც რამდენიმე წლის წინ. კონკრეტულად კი, თავის გადარჩენის მიზნით, მრავალწლიან კულტურებს შეელევა და დავუბრუნდებით ისევ იმ დროს, როდესაც კახეთში 100 ათასი ჰექტარი ვენახი გაიჩეხა და მის ადგილას, საზამთროს მოყვანა დაიწყეს.

— მაგრამ აშკარაა, რომ ქართული პროდუქციისთვის რუსული ბაზრის ჩაკეტვა პოლიტიკური გადაწყვეტილებაა...

— რამდენიმე თვის წინ, როდესაც პარლამენტში სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტს განვიხილავდით, მახსოვს, ბატონი ნოღაიდელი გამობრძანდა ტრიბუნასთან და ასეთი რამ განაცხადა: არ დავუშვებ, რომ რუსეთმა ეკონომიკური ბლოკადა მოგვიწყოსო. დღეს კი, გვეუბნებიან, რომ ის რაც დაგვემართა, ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის საზღაურია. დიდი ბოდიში, მაგრამ დამოუკიდებლობისთვის და სუვერენიტეტისთვის ჩვენმა ხალხმა, მრავალი წლის წინ ზღო. კეთილი ინებოს ჩვენმა მთავრობამ და ქვეყნის ეკონომიკური დამოუკიდებლობა უზრუნველყოს იმისთვის, რომ ქართველი კაცის ყოფა, ხან რუსეთის მიერ გაზის გაძვირებაზე და ხან ბაზრების ჩაკეტვაზე არ იყოს დამოკიდებული. პრობლემას, რომელიც მეტწილად ქართული ბიზნესის და ხალხის კისერზე გადაივლის, უფრო ღრმა და დაქსაქსული ფესვები აქვს. ვშიშობ, რომ ამ ინფორმაციის გამოაშკარავებით მეც და შენც, ძლიერ კლანურ მოძრაობებს ვუპირისპირდებით. ცოტა ხნის წინ, დავინტერესდი და საბაჟო დეპარტამენტიდან მოვიძიე ინფორმაცია, რომელიც ცხადყოფს, რომ ღვინის წარმოებისთვის საჭირო ძირითადი მასალები: ყურძნის წვენი, სპირტი და სხვა, საქართველოში სხვადასხვა ქვეყნიდან შემოდის. პარადოქსია, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყურძნის წვენის იმპორტი რუსეთიდანაც ხორციელდება. ყველაზე დიდი უბედურება კი ის არის, რომ იმპორტირებული ღვინის მასალების ყოველწლიური მოცულობა, 5 ათასი ტონა ყურძნის ეკვივალენტურია. შედეგებს კი, ყოველ შემოდგომაზე ვიმკით, როდესაც გლეხს ყურძნის ჩაბარებასთან დაკავშირებით პრობლემები ექმნება. არადა, საქართველოში მოწეული ყურძენი მთლიანად რომ ავითვისოთ და გადავამუშაოთ, სულ მცირე, ორასი მილიონი ლიტრი ღვინის მიღება შეგვიძლია. ხოლო თითო ბოთლი 2 დოლარადაც რომ გავყიდოთ, წელიწადში 600 მილიონის ბრუნვა გვექნება, მაგრამ რად გინდა, დღეს მთავრობა მშვიდად ლაპარაკობს, რომ ქართული პროდუქციისთვის ბაზრის ჩაკეტვა ქვეყნის ეკონომიკას დიდად არ აზარალებსო, რადგან ექსპორტი, ბიუჯეტისთვის შემოსავლიანი არ არისო. ჩვენი უბედურებაც ისაა, რომ ეკონომიკური წარმატება, მხოლოდ ბიუჯეტის ზრდასთან არის გაიგივებული და არავის აინტერესებს ის, რომ ერთი კილოგრამი პურის ფასი 2 ლარს მიუახლოვდა. ასე რომ, მსოფლიო ფასებს ყველა პარამეტრით გავუსწორდით.

— მანამ, სანამ ქართული პროდუქციის ექსპორტი ბლოკირებულია, მას აქვს შანსი — ქვეყნის ბაზარი მნიშვნელოვნად აითვისოს, ასე არ არის?

— სამწუხაროდ, საქართველოში მოწეული სოფლის მეურნეობის პროდუქცია, ფასის თვალსაზრისით, კონკურენციას ვერ უწევს იმპორტირებულ თუნდაც, მდარე ხარისხის პროდუქტს. იმისათვის, რომ ქართველმა გლეხმა ზამთარშიც მოიყვანოს ბოსტნეული, სერიოზული ენერგორესურსი სჭირდება, რაც

სოლიდურ ხარჯებთან არის დაკავშირებული და საბოლოოდ, ქართული პროდუქციის ღირებულებაში აისახება, ხოლო იმავე ჩვენს მეზობელ თურქეთში, სოფლის მეურნეობა მნიშვნელოვანი სუბსიდირების ხარჯზე ვითარდება. ქართველი მომხმარებელი კი, დაბალი მსყიდველობითი უნარის გამო, დაბალ ფასზეა ორიენტირებული და არა ეკოლოგიურ ღირებულებებზე.

პაატა შეშელიძე, *„ახალი ეკონომიკური სკოლა“:*

— ვერ ვიტყვი, რომ მსოფლიო ეკონომიკაში, რუსეთის ბაზარს მნიშვნელოვანი წილი უკავია. რუსეთის მოსახლეობის მსყიდველობითი უნარი გაცილებით დაბალია, ვიდრე ჰოლანდიელების და ბელგიელების. შესაბამისად, უნდა ვაღიაროთ, რომ კარგ ქართულ ღვინოსთან ერთად, რუსულ ბაზარზე დაბალი ხარისხის ღვინოც შედიოდა. ქართული პროდუქციის ბლოკირებით მნიშვნელოვნად იზარალებს რუსი მომხმარებელი. შედარებით იაფფასიანი ქართული ბოსტნეულის და ციტრუსის ნაცვლად, უფრო ძვირად ღირებული პროდუქციის შეძენა მოუწევს, რაც დამატებით ხარჯებთან იქნება დაკავშირებული. ვწუხვარ, მაგრამ ადვილად შესაძლებელია, რომ მთელი რიგი ქართული პროდუქციისთვის რუსული ბაზარი მანამ დაიხუროს, სანამ პრეზიდენტ პუტინის ადმინისტრაცია არ შეიცვლება. რუსეთის პრეზიდენტის მმართველობის ვადა კი, როგორც მახსოვს, მხოლოდ 2008 წელს იწურება, მაგრამ როგორც კი, ქართული ბიზნესი, მთავრობის დახმარების იმედს საბოლოოდ დაკარგავს, გამოსავალს იპოვის და რუსულ ბაზარზე არალეგალურად შევა. ასეთი პროდუქტის შეძენა, რუსებს უფრო ძვირი დაუჯდებათ, ქართულ ბიზნესს კი, უფრო დიდ შემოსავალს მოუტანს. საბჭოთა პერიოდში როდესაც სამეწარმეო საქმიანობისთვის ადამიანებს იჭერდნენ და ფიზიკურადაც ანადგურებდნენ, კომუნისტურმა სისტემამ მაინც ვერ შეძლო კონტრაბანდის აღმოფხვრა. მეტსაც გეტყვით: მასხადოვის მმართველობის პერიოდში, ჩეჩნეთში შარიათის კანონი მოქმედებდა, რაც მოქალაქეებისთვის ალკოჰოლის მიღებას მკაცრად კრძალავდა. ამ პერიოდში, არაერთხელ ვარ ჩეჩნეთში ნამყოფი და გარწმუნებთ, რომ სუფრაზე ყოველთვის ედოთ რუსული არაყი. ასეთ ვითარებაში, ერთადერთი გონივრული ნაბიჯი ის იქნება, რომ ქართველმა მეწარმეებმა გააუმჯობესონ ღვინის დამზადების ტექნოლოგიები, რაც მთავარია, ღვინო ყურძნისგან დაამზადონ და ჯანსაღ ბაზრებზე შევიდეთ. ვერ წარმომიდგენია, თავმოყვარე ქართველი კაცი, რომელიც მიიჩნევს, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი ღვინის მწარმოებელია, როგორ უნდა შეეგუოს იმას, რომ ევროპაში არგენტინული და ახალზელანდიური ღვინო უფრო კოტირებულია, ვიდრე ქართული. დროა დავუბრუნდეთ იმ დროს, მშობლიური „რვა ნომრით“ რომ ამაყობდა ქართველი კაცი.

■

ღვინის ტურიზმი – როგორც ღვინის მოყვარულთა „იმპორტის“ საშუალება

ეკა ლომიძე

რუსები ღვინოს არა მარტო გვიწუნებენ, არამედ გვიწონებენ კიდეც: აპრილის დამლევს, მოსკოვში გამართულ ღვინის საერთაშორისო ფესტივალზე მსოფლიოში ცნობილ ღვინის მწარმოებლებთან ერთად ქართველებიც მონაწილეობდნენ და ჟიურიში რუსი დეგუსტატორების სიმრავლის მიუხედავად, ქართული სამარკო ნიშნით წარდგენილ „საფერავს“ ვერცხლის მედალი მიენიჭა.

კონკურსში კი გავიმარჯვეთ, მაგრამ ქართულ ღვინოზე გამოცხადებული ემბარგო გრძელდება. მეღვინეების თქმით, საქმეს კარგი პირი არ უჩანს და არც უახლოეს მომავალშია მოსალოდნელი სასიკეთო ცვლილებები. სამგიეროდ, გულგატეხილი არ ჩანს საქართველოს ხელისუფლება, რომელიც მსოფლიო ღვინის ბაზრის დაპყრობას აპირებს. თუმცა, ცხადია, საამისოდ სხვადასხვა ქვეყანაში მხოლოდ კარგი ნაცნობებმეგობრების ყოლა არ კმარა. ღვინის ყველაზე ძლიერი იმპორტიორებიც კი, მსოფლიო ბაზარზე პოზიციის გასამყარებლად, ყოველწლიურად კოლოსალურ თანხებს ხარჯავენ სარეკლამო კამპანიაში. მაგალითად, ავსტრალიას ამისათვის ყოველწლიურად, 80 მლნ დოლარის გაღება უწევს. სამწუხაროდ, არც საქართველოს ხელისუფლებას აქვს ასეთი ხელგაშლილობის საშუალება და ვერც ქართველი მეღვინეები გადაიფარებენ საბანს იმაზე მეტად, ვიდრე ხელისუფლებას შეუძლია ფეხის გაშლა. ამიტომ მეღვინეები და ეკონომისტები ფიქრობენ, რომ ხელისუფლებამ, სხვა ბაზრებზე დამკვიდრებისთვის ზრუნვის პარალელურად, მეღვინეებს რუსული ბაზრის დაბრუნებაშიც უნდა შეუწყოს ხელი. ამასთან, საქართველოში უნდა შეიქმნას იმის პირობები, რომ ტურისტებთან ქართული ღვინის პოპულარიზაცია ისე შევძლოთ, რომ ადგილზევე მოხერხდეს ღვინის დიდი რაოდენობით რეალიზაცია. ამისთვის კი, როგორც ეკონომისტი **ნოდარ კაპანაძე** *აცხადებს, აუცილებელია ღვინის ტურიზმის განვითარება. მისი აზრით, სახელმწიფოს თავის დროზე რომ ეზრუნა ტურიზმისა და მეღვინეობის დარგების „ურთიერთშერწყმაზე“, ახლა იმ კაცის მდგომარეობაში არ აღმოვჩნდებოდით, რომელიც ვაზის ჩაყრის შემდეგ სავენახის შემოღობვას იწყებს. ე.წ. ღვინის ტურიზმის კარგად განვითარების შემთხვევაში, ტურისტები იმაზე ნაკლებ ღვინოს არ იყიდიან, ვიდრე საექსპორტოდ გაგვაქვს. ნოდარ კაპანაძეს, ნათქვამის დასტურად, შოტლანდიის მაგალითი მოჰყავს, სადაც ღვინის არა, მაგრამ შოტლანდიელთა სიამაყის ობიექტის — ვისკის პოპულარიზაციას სწორედ ტურიზმის სპეციფიკური სეგმენტის წყალობით ეწევიან. შოტლანდიურ ციხე-დარბაზში ღამის გათევა, ეროვნული კერძებით გაწყობილ სუფრასთან კილტებში (მამაკაცის ეროვნული სამოსი) გამოწყობილი მასპინძლების მომსახურება, შოტლანდიური ლეგენდების, მითებისა და ისტორიის მოსმენა და გემრიელი ვისკის წრუპვა, ტურისტებისთვის დროს ტარების ერთ-ერთი საყვარელი საშუალებაა.*

— ღვინის ტურიზმის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი სახელმწიფომ უნდა შეასრულოს. თავის დროზე, ავსტრიაში კაიზერმა გასცა განკარგულება, რომლის თანახმადაც, სასტუმროებისა და რესტორნების მეპატრონეები გადასახადისგან თავისუფლდებოდნენ, თუ ვენახს გააშენებდნენ და მხოლოდ იქ მოწეულ ღვინოს გაყიდდნენ რესტორნებში. ამან განაპირობა ის, რომ ავსტრიული ღვინო საექსპორტოდ თითქმის არ გააქვთ. ღვინის საკმაოდ დიდი მოცულობა კი, ქვეყანაშივე იყიდება. ამასთან, ვაზის მოვლისა და ღვინის დაყენების ოსტატობა ავსტრიელების ეროვნული კულტურის ნაწილი გახდა.

ფაქტია, საქართველოს ღვინის ტურიზმის გასავითარებლად დიდი პოტენციალი აქვს. თუნდაც ის რად ღირს, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა. სამწუხაროდ, ამ მიმართულების განვითარებაზე საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან ვლაპარაკობთ, მაგრამ სიტყვა საქმედ ჯერაც ვერ იქცა. უმოქმედობით კი, ბევრს ვკარგავთ. არადა, შეიძლება, ღვინის მწარმოებელი რეგიონების სოფლებში 5-10-ოთახიანი, ოჯახური ტიპის სასტუმროების აშენება და კონტრაქტის საფუძველზე, ოჯახებისთვის ჩაბარება. სულ მცირე ძალისხმევაა საჭირო იმისთვის, რომ კონტრაქტორ ოჯახებს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ტურისტის მიღება და გამასპინძლება ას-

მხოლოდ იქ მოწეულ ღვინოს გაყიდდნენ რესტორნებში. ამან განაპირობა ის, რომ ავსტრიული ღვინო საექსპორტოდ თითქმის არ გააქვთ. ღვინის საკმაოდ დიდი მოცულობა კი, ქვეყანაშივე იყიდება. ამასთან, ვაზის მოვლისა და ღვინის დაყენების ოსტატობა ავსტრიელების ეროვნული კულტურის ნაწილი გახდა.

ფაქტია, საქართველოს ღვინის ტურიზმის გასავითარებლად დიდი პოტენციალი აქვს. თუნდაც ის რად ღირს, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა. სამწუხაროდ, ამ მიმართულების განვითარებაზე საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან ვლაპარაკობთ, მაგრამ სიტყვა საქმედ ჯერაც ვერ იქცა. უმოქმედობით კი, ბევრს ვკარგავთ. არადა, შეიძლება, ღვინის მწარმოებელი რეგიონების სოფლებში 5-10-ოთახიანი, ოჯახური ტიპის სასტუმროების აშენება და კონტრაქტის საფუძველზე, ოჯახებისთვის ჩაბარება. სულ მცირე ძალისხმევაა საჭირო იმისთვის, რომ კონტრაქტორ ოჯახებს საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ტურისტის მიღება და გამასპინძლება ასწავლო. ამით საქართველოსთვის მტკივნეულ მიგრაციის პრობლემასაც ეშველება — სოფლებში ხალხი დასაქმდება. მალე შეიძლება, სოფლები დაცარიელდეს და ბევრგან ვაზის მომვლელი და ღვინის დამყენებელიც აღარ დარჩეს. ასე ხომ ვაზის მოვლისა და ღვინის დაყენების კულტურის დიდი ნაწილიც დაიკარგება.

ღვინის ტურიზმის განვითარების აუცილებლობაზე ლაპარაკობენ ქართველი მეღვინეებიც. „თბილღვინოს“ გენერალური დირექტორის, ***გიორგი მარგველაშვილს*** *თქმით, შარშან ამერიკის განვითარების სააგენტომ საქართველოში ღვინის განვითარების დეტალური კვლევა ჩაატარა. დასკვნაც წარმოადგინეს, რომლის თანახმადაც, საქართველოს აქვს შესანიშნავი ისტორია, კარგი გეოგრაფიული ლანდშაფტი, უგემრიელესი ღვინო, კულტურული ღირსშესანიშნაობები — ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რითაც შეიძლება ტურისტი დაინტერესო.*

— ეს საკითხი სახელმწიფოსთვის პრიორიტეტული უნდა გახდეს, უნდა შეიქმნას ღვინის ტურიზმის განვითარების სტრატეგიული გეგმა. მეღვინეობის რეგიონებში არ არსებობს ტურისტული ინფრასტრუქტურა. ეს არ ნიშნავს მხოლოდ სასტუმროების აშენებას. ტურისტმა გზის გაკვლევა დამოუკიდებლად უნდა შეძლოს. ყოველ კილომეტრში უნდა დაიდგას გეოგრაფიული და საგზაო ნიშნულები: ტურისტმა უნდა იცოდეს, რომელ რაიონში იმყოფება. დასახლებულ პუნქტებში უნდა გაიხსნას საინფორმაციო ტურისტული ცენტრები, სადაც ის მივა და ინფორმაციასა და რუკებს მიიღებს. გასახარია, რომ მიუხედავად უამრავი პრობლემისა, კახეთში პატარა ოჯახური სასტუმროების, კვების ობიექტებისა და ისეთი ღვინის ქარხნების რაოდენობაც იზრდება, რომლებიც ადგილზევე აშენებენ სასტუმროს ტურისტებისთვის, ქარხნებში სადეგუსტაციო დარბაზებს აწყობენ, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. სახელმწიფოც აქტიურად უნდა ჩაერთოს ამ პროცესში.

საქართველოს მეღვინეთა კავშირის თავმჯდომარის, ***ლევან კოპერიძის*** *განმარტებით, შეიძლება, სახელმწიფო თვითონ არ შეუდგეს ღვინის ტურიზმის განვითარებას, მაგრამ ამ პროცესს ხელი შეუწყოს საკანონმდებლო ბაზის, თავისუფალი კონკურენტული გარემოს შექმნით, საბაზრო ეკონომიკის პირობების განვითარებით.*

— ღვინის ტურიზმი საინტერესოა, მაგრამ ამ თემას არ განიხილავენ პროფესიონალურ დონეზე. ყველაზე მთავარი პრობლემა ეს არის, თორემ ღვინის ტურიზმის განვითარება რომ აუცილებელია, ეს ფაქტია და ყველამ კარგად იცის. ღვინის სამშობლოში უხერხულიც კი არის ამაზე ლაპარაკი. ხელისუფლებამ ღვინის ტურიზმის განვითარებაში არაპირდაპირი ინვესტიციები უნდა ჩადოს. მაგალითად, კახეთის რეგიონში უნდა გაუმჯობესდეს გზები, წყალმომარაგების სისტემა. დანარჩენს კი ბიზნესმენები თვითონ მიხედავენ. თუმცა, თუ მანამდე რუსეთის ბაზარი არ დავიბრუნეთ და ღვინის ბიზნესი დაკნინდა, ღვინის ტურიზმის თემაზე ლაპარაკს აზრი აღარ ექნება.

რუსეთში მეღვინეთა კავშირისა და ხელისუფლების წარმომადგენლების ვიზიტის დროს, რუსები ჩვენს პოზიტიურ განწყობილებაში დავარწმუნეთ და მივახვედრეთ, რომ თანახმანი ვართ დიალოგზე, მაგრამ საქართველოში დაბრუნების შემდეგ, ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენლის არაადეკვატურმა განცხადებებმა რუსები კიდევ უფრო გააცხარა და ჩვენი ძალისხმევაც წყალში ჩაიყარა. სახელმწიფო ან ვეღარ ხედავს რუსეთის ბაზრის დაბრუნების აუცილებლობას, ან კიდევ, ზოგიერთების არაპროფესიონალიზმის გამო, უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან ამ საკითხს. რატომღაც ყველა თანამდებობის პირსა და პოლიტიკოსს ჰგონია, იცის თუ არა რაიმე ღვინის საკითხზე, მაინც რაღაც უნდა თქვას. მართალია, აზრის გამოთქმას ვერავის დავუშლით, მაგრამ კეთილი ინებონ და შეიგნონ, რომ თავიანთი გამონათქვამებით შეიძლება, ხელი შეგვიშალონ. კარგ მთქმელს კარგი გამგონე სჭირდება, ამიტომ გვმართებს სიფრთხილე რუსებთან ურთიერთობისას, რომელთაც ჩვენი კარგად ნათქვამიც კი ავად ესმით. ამიტომ იქმნება საკოორდინაციო ჯგუფი, სადაც ხელისუფლების წარმომადგენლები კონსულტაციებს გაივლიან ღვინის პრობლემებზე. ამ ეტაპზე, მდგომარეობა გაცილებით გართულდა. ბელორუსიიდან ჩვენმა პარტნიორებმა შეშფოთებულებმა დაგვირეკეს და გვითხრეს — დიდი საშიშროება არსებობს იმისა, რომ აქაც აკრძალონ ქართული ღვინოო. რუსეთში დისტრიბუტორები ქართულ ღვინოს იმპორტიორებთან არ აბრუნებდნენ, საწყობებში ჰქონდათ და მდგომარეობის გამოსწორებას ელოდებოდნენ. უკვე მათაც დაგვირეკეს და გვითხრეს — პროდუქცია დაიბრუნეთო. ასე ვკარგავთ, არაკვალიფიციური განცხადებების გამო, მომხმარებლებს.

როდესაც ღვინის ტურიზმის განვითარებაზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ღვინის მთავარი მომხმარებელი რუსეთი იყო. საქართველოში უცხოელი უფრო ნაკლებად ჩამოდის, ვიდრე რუსი. უპირველესად, მათ აქვთ მოძალებული ქართული ღვინისა და საერთოდ, საქართველოს ნოსტალგია. სიამოვნებით ჩამოვიდოდნენ აქ. და მაინც, ვიმედოვნებთ, ყველაფერი გამოსწორდება. მეღვინეობის დარგის რეგულირების ბერკეტი სახელმწიფოს აქვს, ჩვენ მხოლოდ კავშირის შექმნა, შეკრება, აზრის გამოხატვა და რჩევის მიცემა შეგვიძლია. აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ უნდა იზრუნოს დარგის განვითარებაზე, ჩვენ კი მზად ვართ, დავეხმაროთ.

P. S. *როდესაც ნოდარ კაპანაძე შოტლანდიური ციხე-დარბაზის ამბებს ჰყვებოდა, რაჭა გამახსენდა: თუნდაც მხოლოდ ამ ერთ რეგიონში რამდენი რამ გვაქვს თავის მოსაწონებელი! მარტო ის რად ღირს, რომ პირველად, იქ დააყენეს ნახევრად ტკბილი ღვინო. კლიმატის გამო, იქ ყურძენი გვიან მწიფდება, ამიტომ მარცვალში დიდი ოდენობით შაქარი გროვდება. გლეხი ყურძენს რომ ჩაყრიდა ქვევრში, უკვე ზამთარი დგებოდა, შესაბამისად, დუღილიც შენელებულად მიმდინარეობდა. შაქარი ბოლომდე გადნობას ვერ ახერხებდა და ღვინო ბუნებრივად, ნახევრად ტკბილი გამოდიოდა. სხვათა შორის, რუსებმა ნახევრად ტკბილი ღვინოები პირველად, სწორედ საქართველოს წყალობით გაიცნეს. ყიფიანების ცნობილი ღვინო XX საუკუნის დასაწყისში, დიდი რაოდენობით გადიოდა რუსეთში. ამასთან, რაჭა ერთადერთი ადგილია, სადაც „ალექსანდროულის“, „ხვანჭკარის“ დასამზადებელი ნედლეულის განსაკუთრებული თვისებები სწორედ ადგილობრივი მიკროკლიმატის დამსახურებაა.* ■

მკურნალობა მპრანტიით!

თმის ცვენა, ქერტლი, ქავილი, გამონაყარი, სებორეა, თმის ბუდობრივი ცვენა (ამოდის თმა), სოკო, ფსორიაზი, ტილები, წილები ისპობა 10 წუთში. იაპონური აპარატით ვაკეთებ მასაჟს, სქოლიოზი, მარილები, ნაწოლები. *მჭედლიძე, ბეგაშვილი*

მის: ვაჟა-ფშაველას გამზ. 47, II სტომატოლოგ. პოლიკ. ოთ. 28 ☎ 39-39-51; 893-91-89-17; 35-32-62

მკურნალობამდე და შემდეგ

ლალი ფაცია

ჟურნალისტი – ქეთათო
რესპონდენტი – ნიკუშა შენგელაია

— ნიკუშა, როგორც რეჟისორს, ამჟამად თუ გაქვს საინტერესო გეგმები?

— გეგმები როგორ არა მაქვს, შენ ფული თქვი, თორემ...

— იქნებ გამანდო შენი გეგმები?

— ვფიქრობ, გადავიღო არაორდინარული დოკუმენტური სურათი, რომელიც წინასწარ დაწერილი სცენარის გარეშე შეიქმნება. მასში აისახება ჩვენი დრო, გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ, რა ღირებულებებია მასში დამკვიდრებული, რა გვქონდა ადრე და იქნება თუ არა რაიმე საერთოდ მომავალში — ამაში მატერიალურს არ ვგულისხმობ. მინდა ვაჩვენო — ამ გარემოში, რომელშიც ვართ, რა როლი აქვს პიროვნებას ანუ სად იწყება ის, იკარგება და მთავრდება...

— კარგი იქნება, თუ უფრო მკვეთრად დაიჭერ იმ მომენტს, საერთოდ, სად იწყება პიროვნება.

— ვეცდები. ვნახოთ, რა გამოვა. ასევე მაქვს კონკრეტული წინადადებები: ნორვეგიიდან და იტალიიდან. მათ სურვილი აქვთ, რომ ჩემი ნახატებით ჩავიდე იქ და გამოფენა მოვაწყო. ჯერჯერობით, ამისთვის ვერ მოვიცალე.

— როგორც ვიცი, „ერთი მსახიობის თეატრში“ სპექტაკლები გაქვს გაფორმებული. სურვილი არ გქონია, წარმოდგენაში მონაწილება მიგელო?

— მსახიობობისკენ ლტოლვა არა მაქვს.

— ნიკუშა, ზოგადად, რას იტყვი შენს თაობაზე?

— ჩემს თაობაზე?.. ჩემი თაობა, რომელიც ფაქტობრივად, გასული საუკუნის 60-იანელები არიან, ძალიან კარგი, სულიერი თაობაა. მას ნაკლებად ჰქონდა სოციალური და მატერიალური შიშები, რადგან სხვა მოთხოვნილებები ამოძრავებდა. მაგრამ როდესაც შემდგომი თაობა მოვიდა, ჩვენი თაობა, თავისი სულიერებით, თითქოს ჰაერში გამოეკიდა.

— შენი უფროსი შვილის თაობასა (რომელიც ეს-ესაა, თინეიჯერობიდან გამოვიდა) და შენს თაობას შორის საერთოდ არ არის მსგავსება?

— როგორ არ არის?! ამ თაობაშიც არიან სულიერებით გამორჩეული ახალგაზრდები, იგივე მოთხოვნილებები აქვთ, რაც ჩვენ გვქონდა, მაგრამ ადრე, ასეთები უფრო ბევრნი იყვნენ. ამასთან, ჩვენი თაობა უფრო წიგნიერიც იყო, რადგან მაშინ არ იყო ინტერნეტი, მზა, დამუშავებული ინფორმაცია. ამიტომ, დღეს მეჩვენება, რომ ტვინს ვარჯიში, ტრენაჟი მოაკლდა. თითქოს ამ თაობას სწავლისთვის დროც ნაკლები აქვს, ვიდრე ჩვენ გვქონდა. ამას ჩვენზე მეტ დროს უთმობდა წინა თაობა. როდესაც დავდივარ თავადაზნაურობის მუზეუმებში, გარდა წარსული დროის სურნელისა, იმ პერიოდის ცხოვრების რიტმსაც ვგრძნობ. აბსოლუტურად სხვა რიტმი იყო. ადამიანს დრო ჰქონდა, რომ დილას მოესმინა 10 სხვადასხვა ჩიტის გალობა, დამტკბარიყო ბუნების მშვენიერებით, წყლის ჩხრიალი მოესმინა და ამის შემდეგ ესაუზმა. ჩვენ როგორ ვცხოვრობთ? დილას, ვიღვიძებთ თუ არა, სასწრაფოდ ვსვამთ ყავას, ვრთავთ ტელევიზორს, რომ რაღაც იდიოტური ინფორმაცია მოვისმინოთ, შემდეგ გარეთ გავვარდეთ, რომ საარსებო მინიმუმი ვიშოვოთ...

— შენ ინფორმაცია ახსენე და მე სიტყვა მასმედიაზე მინდა ჩამოვაგდო. ტოქშოუ ზოგჯერ არაფრის მომტანია... ზოგადად, რა არ მოგწონს და რას შეცვლიდი ამ სფეროში?

— მასმედიას თავისი ფუნქცია აქვს. ის უნდა აეწყოს და იმუშაოს მასებზე. ის მაინცდამაინც არ არის გათვლილი საზოგადოების ინტელექტუალურ ნაწილზე, იმ ნაწილზე, რომელიც პროცენტულად, ყოველთვის 5-10%-ს შეადგენს. ჩემი აზრით, სიტყვა „რეიტინგი“ დამღუპველია კაცობრიობის ისტორიის განვითარებისთვის. ეს ის სიტყვაა, რომელიც მასობრივი კულტურის აღზევებას ემსახურება. ისტორიას არ ახსოვს, რომ უმრავლესობის მოწონებით, გადაწყვეტილებით რაიმე სასარგებლო განხორციელებულიყოს... ტელევიზიამ შეძლო ის, რომ თვითმყოფადობის ჩრდილში მოექცა. ყველა ქვეყანაში ერთნაირ ტოქშოუებს უყურებენ. ეს არის ტელეეკრანთან მიზიდვის მეთოდი, რითიც ფულს შოულობენ. ტოქშოუს კიდევ ერთი რამ აქვს: მასში მიწვეული ხელისუფლების წარმომადგენლები შეფარვით, მაგრამ მაინც ამჟღავნებენ საკუთარ პოზიციას. ადრე თუ გვიან, ჩემთვის ზოგადად, მასობრივი კულტურა დამთავრდება.

— რევოლუციისწინა პერიოდში უფრო იმედიანად იყავი, გეგონა, რომ ქვეყანა სხვაგვარად განვითარდებოდა. იმედები ხომ არ გაგიცრუვდა?

— ჩვენს ქვეყანას რთული ისტორია ჰქონდა. თავი არასდროს მომიტყუებია, რომ აქ ყველაფერი უცბად შეიცვლებოდა, მაგრამ მოლოდინი იმისა, რომ კანონზე დაყრდნობილი სამართლიანი მმართველობა იქნებოდა ნამდვილად მქონდა — ამაში რევოლუციის დღეებში დარწმუნებულიც კი ვიყავი. თუმცა მაინცდამაინც კარგად არ ვიცნობდი იმ პიროვნებებს, ვინც ხელსუფლებაში მოდიოდნენ, მაგრამ მაინც ვფიქრობდი, რომ ახალგაზრდები არიან და მიხვდებიან, არასწორი პოზიცია ყოველთვის კრახით რომ მთავრდება; მეგონა, ისინი სწორად მოიქცეოდნენ. მაგრამ ხელისუფლებში მათი მოსვლის შემდეგ დავინახე, რომ სამართლიანობის, კანონის მიმართ ორმაგი სტანდარტი აქვთ. ბევრი რამ დაირღვა, ისე არ მოხდა, ამიტომაც ვარ იმედგაცრუებული. რაღაც-რაღაცებში არაკომპეტენტურებიც არიან. ვგულისხმობ იმ ადამიანებს, ვინც დღეს საპასუხისმგებლო თანამდებობებზე არიან.

— შენ თუ გრძნობ პასუხისმგებლობას ხალხის წინაშე იმის გამო, რომ რევოლუციის დღეებში აქტიური იყავი. ფაქტობრივად, ამ პროცესებში მონაწილეობდი...

შეიძლება გაგიკვირდეთ — წყვილს, რომელსაც ამჯერად, რუბრიკაში „ჟურნალისტის როლში“ შეხვდებით, ერთმანეთთან რა საერთო შეიძლება ჰქონდეთო, ამიტომ თავიდანვე განვმარტავ: ნიკუშა შენგელაია აწ გარდაცვლილი ირაკლი ჩარკვიანის უახლოესი მეგობარი იყო. მათ ერთმანეთთან მრავალწლიანი ურთიერთობა ჰქონდათ. სწორედ ნიკუშაა ირაკლის ერთ-ერთი ცნობილი კლიპის — „მოდი აქ“ რეჟისორი. მეფის გარდაცვალებიდან ორმოცი უკვე კარგა ხანია, გავიდა. როგორ გრძნობს თავს მისი მეუღლე — ქეთათო, რას განიცდის ირაკლის დაკარგვის შემდეგ მისი მეგობარი — ნიკუშა შენგელაია, ვისში აგრძელებს ირაკლი სიცოცხლეს? ამ კითხვებზე პასუხს ამ ინტერვიუდან შეიტყობთ, რომელიც ერთმანეთს ქეთათომ და ნიკუშა შენგელაიამ ჩამოართვეს.

— ერთადერთი მოტივაცია, რის გამოც ვთანხმდები ხოლმე ტოქშოუებში მონაწილეობას, ის პასუხისმგებლობაა, რომელსაც ვგრძნობ იმისთვის, რასაც ვამბობდი. ამდენად, პასუხისმგებლობა მეც მიწევს. ახლა ჩემი ვალია, ვუთხრა სიმართლე ხალხსაც და ხელისუფლებასაც, თუ რას აკეთებენ. თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება, ბოლომდე მართალი არც ვიყო, მაგრამ პასუხისმგებლობის გრძნობა მალაპარაკებს. ეს ჩვენი შვილების ქვეყანაა, სხვაგვარად მოქცევის უფლება არა გვაქვს... მაგრამ ერთია — მთქმელი, მეორე — გამგონი. როცა გამგონი ყურს „ხუჭავს“, ვერაფერს გაიგებს.

— გგონია, რომ ყველანი ყურებს „ხუჭავენ“?

— რაც კაბინეტებში შევიდნენ, მას მერე „დახუჭეს“ ყურები. მაგრამ მგონი, ხვდებიან, რომ არ შეიძლება შეეწინააღმდეგო ხალხსა და საზოგადოებას, რომელსაც მართავ.

— შენი აზრით, კულტურულ სფეროში რა სიტუაციაა?

— მე და ირაკლის არაერთხელ გვისაუბრია ამ თემაზე და შენც შესწრებიხარ ამას. სამწუხაროდ, ის, რაც ქვეყანაში მოხდა, არ გადაიზარდა კულტურულ რევოლუციაში — იმაში, რაც შეიძლებოდა მომხდარიყო რევოლუციის შედეგად. რაც შეეხება გზების გაკეთებას — ეს ხელისუფლებამ ისედაც უნდა გააკეთოს, გასაკვირი რა არის. მთავარი რეფორმა კულტურულ სფეროში უნდა გაეტარებინათ. ამ მხრივ, ნაბიჯსაც არ დგამენ. ალბათ, ამის შინაგანი მოთხოვნილება არა აქვთ. არადა, ქვეყნის განვითარება არ შეიძლება დაიყოს სულიერ და მატერიალურ სფეროებად. ქვეყანა „ურაპატრიოტიზმით“ ვერ განვითარდება.

— ძნელია პირველობა...

— გეთანხმები. მით უმეტეს — საქართველოში.

— ხვალ რომ არჩევანის გაკეთება მოგიხდეს — რომელ ქვეყანაში წახვიდოდი, ბილეთს რა მიმართულებით შეიძენდი?

— მე უკვე „ნაყიდი მაქვს ბილეთი“ — ვერაზე, ფიქრის გორაზე... ისე, ჩემთვის მისაღები, ძველი, ელინური საბერძნეთია, ის კულტურულად ძალიან ახლობელია ჩემთვის. თუ სადმე დასასვენებლად წავიდოდი, უკაცრიელ კუნძულზე, თან ჩემებსაც წავიყვანდი; სადმე წყნარი ოკეანის არქიპელაგში ერთ თვეს დავრჩებოდი. მარტო ჩიტები და თევზები რომ იყვნენ, ისეთი ადგილი მინდა, იყოს... „შვიდვარსკვლავიან ტყეში“ მინდა წასვლა, სადაც ყველაფრის კეთება თვითონ მომიწევს...

— ეი. შენ ცხოვრობ „შვიდვარსკვლავიან ტყეში“, ფიქრის გორაზე, არა?

— ჩვენ ვართ ფიქრისგორელები...

ჟურნალისტი – ნიკუშა შენგელია
რესპონდენტი – ქეთათო

— ქეთათო, ვიცი, ძნელია შენთვის ირაკლის გარეშე ყოფნა, მაგრამ ცხოვრება გრძელდება. საინტერესოა, რაც გინდოდა, რა გეგმებიც გქონდა, გიჭირს დღეს განხორციელება?

— ირაკლისთან ცხოვრება ძნელი იყო, რაც მე გაცნობიერებული მქონდა. ის არ იყო უბრალოდ კაცი — ირაკლი ბევრად მეტი იყო ჩემთვის. მას თავს დავკანკალებდი და ვუფრთხილდებოდი, როგორც ბროლის სათამაშოს. სხვათა შორის, „ბროლის სათამაშო, ფრთხილად“ — მისი ერთ-ერთი ლექსის სახელწოდებაა. ბროლის სათამაშოს ფრთხილად უნდა მოეპყრო; რომ გაგივარდეს, პატარა ნაწილებად დაიმსხვრევა. ირაკლი ძალიან ძლიერი ადამიანი იყო. მას ფართო დიაპაზონი ჰქონდა. ვიმეორებ, რთული იყო მასთან ერთად ცხოვრება და ზუსტად ეს მომწონდა მასში. მუდმივად მქონდა ერთი შეგრძნება — შიში, არ დამეკარგა ირაკლი. ის ვიცოდი, რომ არასდროს მიღალატებდა. მე მხოლოდ მეშინოდა იმის, რაც მოხდა.

— და ეს შეგრძნება არ გტოვებდა, ხომ?

— ახლა ისე ვარ, რომ აღარაფრის მეშინია. ხშირად ვამბობ, რომ ცხოვრება ღვთაებრივია თავისი დარდით, ტკივილით, სიხარულით, ზოგჯერ, გაურკვეველი სიტუაციითაც. ყოველდღე რაღაც იცვლება, შენც იცვლები. ირაკლის ყოვლისშემძლე ენერგია ჰქონდა. ეს უფრო მეტად ვიგრძენი მისი დაკარგვის შემდეგ. საოცრად დიდი ენერგიის მოზღვავებას ვგრძნობ. ის ჩემშია, ამიტომაც არის ცხოვრება არანორმალურად მაგარი. ამას ირაკლის სიკვდილმა მიმახვედრა. სანამ ის ცოცხალი იყო, ვიცოდი, რომ სულიერად ყველაზე მდიდარი ვიყავი, შეიძლება — ამპარტავანიც, ვგრძნობდი, რომ სხვებზე კარგად ვიყავი. შეიძლება, ეს გარეგნულად არ მეტყობოდა.

— ქეთათო, მეჩვენება, რომ ირაკლიმ თავისი დიდი ნაწილი პატარა ნანაში დატოვა. ბავშვს რომ ვუყურებ, მის თვალებში, ღიმილში ირაკლის ვხედავ. შენ რას იტყვი?

— კი, გეთანხმები. გარემომ რაღაც არჩევანი გააკეთა, როცა ნანა მოავლინა ამქვეყნად. ირაკლი ბავშვის დაბადების შემდეგ, ძალიან შეიცვალა. თითქოს მის ირგვლივ ყველაფერი აჩქარდა, რაც მანამდე შეიძლება, უფრო გაწელილი ყოფილიყო. ნანაში მეც ვხედავ ირაკლის. მართლაც გადავიდა ბავშვში მისი ნაწილი. დიდი იმედით ვუყურებ ჩემს შვილს. იმასაც ვგრძნობ, რომ რაღაც განსხვავებულია და არა იმიტომ, რომ ჩემია.

— მგონი, ირაკლის მასთან, როგორც შვილიშვილთან, ისეთი დამოკიდებულება ჰქონდა.

— არანორმალურად უყვარდა ნანა. გაგიჟებული იყო. ახალგაზრდა მამებს ასეთი დამოკიდებულება შვილების მიმართ არა აქვთ ხოლმე...

— მაქსიმე, ირაკლის უფროსი შვილი რომ დაიბადა, ის მაშინ ახალგაზრდა იყო. ნანას დაბადებას სხვანაირად შეხვდა, თითქოს გრძნობდა, რომ მისი რაღაც ნაწილი ნანაში უნდა დარჩენილიყო.

— გეთანხმები.

— ირაკლის სიცოცხლეში, ის სითბო, ყურადღება ხალხისა და საზოგადოების მხრიდან არ უგრძნია, რაც მისი სიკვდილის შემდეგ გამოავლინა. რატომ?

— ადამიანები საერთოდ, ამპარტავნები არიან. რცხვენიათ, გაგრძნობინონ, რომ შენით აღფრთოვანებულები არიან. ყოველთვის ვიცოდი, რას გასცემდა ირაკლი და მას რა ეკუთვნოდა. რას აკლებდნენ და უმალავდნენ. მაგრამ ეს ყველაფერი მე არ მიკვირდა — არც მაშინ და არც ახლა. იმაშიც დარწმუნებული ვარ, რაც დრო გავა, ის ჩვენს საკეთილდღეოდ იმუშავებს და კიდევ და კიდევ გააცნობიერებენ, რა ფენომენთან გვქონდა საქმე.

— საერთოდ, პოეტი უსწრებს ხოლმე დროს...

— სხვათა შორის, ამაზე სიმღერა მაქვს დაწერილი: „შენ უსწრებ დროს/ გავიწყდება სახლი/ აძლევ სხვებს იმას/ რაც ადრეა მათთვის“. ირაკლისაც მოვასმენინე.

— ჩემთან სახლში დარჩა ირაკლის ხმა. ვინმე რომ მოდის, კარზე აკაკუნებს, ჩამესმის: მე ვარ, ბიჭო. სულ მეჩვენება, რომ ის არის. წარმომიდგენია, შენ როგორ იქნები. თქვენს სახლში თუა ისეთი ადგილი, სადაც ყველაზე მეტად შეიგრძნობ მას?

— ორმოცამდე, ვერ ვიჯერებდი, რომ აღარ იყო. მას ვხედავდი კიდეც, ვგრძნობდი. შემდეგ გამიჭირდა. სახლი, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ, იმდენად მისია, ისეა გაჟღენთილი მუსიკით, მისი ენერგიით... ვცდილობ, ჩემში არსებული მისეული მარცვლები გავაღვივო და უმისობა არ ვიგრძნო. ყველაფერს ისე ვაკეთებ, როგორც ის გააკეთებდა. ახლა ჩემს ალბომზეც ვმუშაობ, გამოვა ირაკლის ალბომი, სადაც სხვები იმღერებენ მის სიმღერებს, გადავიღებ კლიპს. ყველაფერი ისევე იქნება, როგორც უნდა ყოფილიყო. მუშაობაც დავიწყე.

— სად მუშაობ?

— რადიო „მწვანე ტალღაზე“ არტ-მენეჯერად. რადიოს მუსიკალურ სტილს, მთლიანად მუსიკალურ ნაწილს მე ვაკონტროლებ. ამის გარდა, მიმყავს გადაცემა, რომელიც მანამდე, ირაკლის მიჰყავდა — „მეფის შოუ“. სერიოზული სამსახურია. ბევრ დროსაც მოითხოვს, მაგრამ საერთოდ, მუსიკა ისე მიყვარს, რომ მასთან სიახლოვე ჩემთვის დიდი სიამოვნებაა.

— ქეთათო, მაქვს იდეა, რომელიც ირაკლისთან ერთად მინდოდა განმეხორციელებინა. ახლა მის გარეშე მომიწევს განხორციელება და მასვე მივუძღვნი. კლიპი მინდა გადავიღო. სიმღერიდან „მოდი აქ“ ფრაზებს იმღერებენ სხვები და ბოლოს, მას ნანა დაამთავრებს ფრაზით — „ნუ წახვალ იქ, მოდი აქ“... ამის შემდეგ, დიდი კონცერტის მოწყობა მინდა, მზრუნველობამოკლებული ბავშვებისთვის. მინდა, რომ შენ და ნანამ დახუროთ კონცერტი. ამ ყველაფერს თანხები, სპონსორი სჭირდება და ამაზე მოლაპარაკებები დაწყებულია.

— სხვათა შორის, სიკვდილის დღეს მეუბნებოდა — კლიპი გადავიღოთო, მთხოვდა ვიმღეროთო. უნდოდა, ბევრი რაღაც გაგვეკეთებინა ერთად... ■

„შვილი მოსაკლავად არ შნდა გამომეტანა...“

„მოვითხოვ, მამაჩემი ჯანონის მთელი სიმჯაცრით დაისაჯოს..."

გორის რაიონის ერთ-ერთ სოფელში მომხდარი საშინელი დანაშაულის საქმის განხილვა ბევრისთვის წარმოუდგენელი ფინალით დასრულდა. 53 წლის განსასჯელი, რომელიც სასამართლოს წინაშე საკუთარი შვილის განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით წარდგა, სხდომაზე დანაშაულის მოტივის შესახებ ალაპარაკდა. განსასჯელის ჩვენებამ ყველა გააოგნა. მან დეტალურად აღწერა როგორც შვილის, ასევე საკუთარი ცოლის მკვლელობის მცდელობის შემზარავი დეტალები (რეალურ გვარ-სახელებსა და საცხოვრებელ ადგილს, გარკვეული მიზეზების გამო არ ვასახელებთ)...

„ვცხოვრობ ამ სოფელში. იმ დღეს შინ ვიყავი, სახლიდან არ გავსულვარ. საოჯახო საქმეებით გახლდით დაკავებული, შეშას ვაპობდი. დაახლოებით საღამოს 10 საათი იქნებოდა, როცა ჩვენი მეზობელი — გოგი თვალიაშვილი მოვიდა ჩვენთან. სახე შეშლილი ჰქონდა და რაღაც აბნეულად ლაპარაკობდა. თავიდან ვერც გავიგე, რას ამბობდა. მეუბნებოდა, ტარომ მგონი, ზაზა მოკლა და ჩქარა, წამოდი, მიშველეო. ტარო გოგის ძმა იყო. მაშინვე მივატოვე ყველაფერი და სახლიდან გავვარდი. გოგი უკან მომდევდა. იქ რომ შევედი, შემზარავი სურათი დამხვდა. ზაზა საწოლზე უგონოდ, გულაღმა იწვა, თავ-პირი სულ გასისხლიანებული ჰქონდა და არ ინძრეოდა. ლოგინიც სულ სისხლით იყო მოსვრილი. იქვე იდგა ოჯახის ნათესავი, რუსი ქალბატონი, რომელსაც ხელში გასისხლიანებული ნაჯახი ეჭირა. გაფითრებული იყო და არაფერს ამბობდა. ზაზასთან ახლოს მივედი, შევამოწმე და ვიგრძენი, რომ ძალიან სუსტად, მაგრამ ჯერ კიდევ სუნთქავდა. მაშინვე ვიყვირე, ჩქარა, მანქანა იშოვეთ სადმე, ამის აქ გაჩერება არ შეიძლება, სასწრაფოდ საავადმყოფოში უნდა წავიყვანოთ-მეთქი. გოგი მანქანის საშოვნელად გავარდა...“ — წერს ჩვენებაში დაზარალებულის მეზობელი და მეგობარი **არჩილ ძოჩიაშვილი**.

რამდენიმე წუთში, დაჭრილი გორის რაიონის საავადმყოფოში მიიყვანეს. ექიმებმა დაზიანებები რომ ნახეს, ნათესავებს უთხრეს, რომ ჭრილობები სიცოცხლისთვის სახიფათო იყო და დაჭრილი დაუყოვნებლივ საოპერაციოში შეიყვანეს...

როგორც მოგვიანებით გაირკვა, 25 წლის ზაზა თვალიაშვილი იმ საღამოს შინ მარტო არ იმყოფებოდა. მასთან ერთად სახლში იყვნენ მისი ნათესავი — ოლია ბონდარევა, მცირეწლოვანი ძმისშვილი — 7 წლის პაატა და მამამისი — ტარიელ (მეტსახელად ტარო) თვალიაშვილი. მომხდარის შემდეგ ყველანი საავადმყოფოში წავიდნენ, არსად ჩანდა მხოლოდ დაჭრილის მამა. გაოგნებული ოლია ბონდარევა ჰყვებოდა, რომ დამნაშავე სწორედ ის იყო. მისი თქმით, მძინარე შვილს მან თავში ნაჯახი ჩაარტყა. გამოძიებამ მოწმის ეს სიტყვები დაადასტურა.

საქმის მასალების მიხედვით, ტარიელ თვალიაშვილმა დანაშაული წინასწარ დაგეგმა. შეშის საჭრელი ცული, რომელსაც წინადღეს კარგად გალესილი პირი და ერთი მეტრის სიგრძის ტარი ჰქონდა, მან მას შემდეგ აიღო, რაც მისი შვილი საძინებელში შევიდა. დასაძინებლად დაწვნენ ასევე მისი მცირეწლოვანი შვილიშვილი და სტუმარი ქალი. როცა დარწმუნდა, რომ ზაზას უკვე ეძინა, ნაჯახმომარჯვებული შევიდა საძინებელში და მძინარე შვილს თავზე დაადგა. აღსანიშნავია ის, რომ ზაზა და 7 წლის პაატა იმ საღამოს ერთ საწოლში დაწვნენ. ოთახში კი ძალიან ბნელოდა და ადამიანების გარჩევა თითქმის შეუძლებელი იყო. ამის მიუხედავად, ტარიელ თვალიაშვილმა საშინელ განზრახვაზე ხელი არ აიღო. შვილს მან ალესილი ნაჯახი ზედიზედ ორჯერ ჩაარტყა, მესამედაც აპირებდა ცულის მოქნევას, მაგრამ ხმაურზე ბედად, გაღვიძებულმა ოლიამ მას დროულად მიუსწრო და ხელში სწვდა...

გოგი თვალიაშვილის ჩვენებიდან:

„იმ დღეს მეგობარს ვაშლის ჩაწყობაში ვეხმარებოდი. სახლში დაახლოებით საღამოს 10 საათისთვის დავბრუნდი. მეუღლემ მითხრა, დღეს შენი ძმისშვილი — ზაზა ჩამოვიდა ვლადიკავკაზიდანო. ზაზა ვაჭრობდა, ვაშლი დაჰქონდა გასაყიდად ვლადიკავკაზში. ოჯახს დედასთან ერთად არჩენდა. როგორც შევიტყვე, დედასთან ერთად წასულა, მაგრამ ჩემი რძალი არ ჩამოჰყოლია, იქ დარჩენილა. ზაზას რამდენიმე ყუთი ჩემი ვაშლიც ჰქონდა წაღებული და საფასური უნდა ჩამოეტანა ჩემთვის. ამის გამო ძმის სახლში გადასვლა დავაპირე, მაგრამ მეუღლემ შემაჩერა, ტყუილად წახვალ, ზაზას ფული არ ჩამოუტანია, დედამისს აქვს და რომ ჩამოვა, ის ჩამოიტანსო. რამდენიმე ხანში დასაძინებლად დავწექით. მოულოდნელად კარზე ბრახუნი ატყდა. კარი რომ გავაღე, ოლია შემრჩა, ტიროდა და ხელში დიდი ნაჯახი ეჭირა, ძლივს მითხრა, ჩქარა, ზაზაა დაჭრილი, მიშველეო...“

ოლია ბონდარევა:

„მე ბესლანში ვცხოვრობ. ზაზა ჩემი მამიდაშვილი გახლავთ. იანვარში ის და დედამისი ჩვენთან ბესლანში სტუმრად ჩამოვიდნენ. ვაშლი ჰქონდათ გასაყიდად ჩამოტანილი. როცა ზაზამ ყველაფერი გაყიდა და საქართველოში დაბრუნება გადაწყვიტა, მე შევთავაზე, შენთან ერთად წამოვალ, ვაშლის იაფად ყიდვაში დამეხმარე-მეთქი. ისიც დამეთანხმა და ბესლანიდან ერთად წამოვედით მე, ზაზა და ზაზას პატარა ძმისშვილი. მამიდაჩემი ბესლანში დარჩა... სახლში რომ მივედით, არავინ დაგვხვდა. ზაზა მამასთან ერთად ცხოვრობდა, მაგრამ რატომღაც ის შინ არ დაგვხვდა. ვისადილეთ და ამის შემდეგ ზაზამ მეზობელთან წასვლა გადაწყვიტა, საქმე მაქვსო. მამამისი შინ მასზე ადრე მოვიდა. გაუკვირდა, რომ დაგვინახა. ჩემი ოჯახის წევრები მოიკითხა, ცოტა მესაუბრა, იკითხა — ჩემი მეუღლე სად არისო, ვუთხარი, ის ბესლანში დარჩა-მეთქი. ამაზე არაფერი უთქვამს. რამდენიმე წუთში ზაზაც მოვიდა. მამამისმა მაშინვე დაუწყო ჩხუბი, დედაშენი იქ რატომ დატოვე, რატომ არ ჩამოიყვანეო? ზაზას არაფერი უპასუხია. მხოლოდ ის უთხრა — თავი დამანებეო. ამის შემდეგ, მათ არაფერზე უსაუბრიათ. დაახლოებით 11 საათისთვის ზაზა დასაძინებლად დაწვა. მის გვერდით დაწვა პაატა, მეორე საწოლზე კი — მე. ტარო არ დაწოლილა. დაჯდა საწოლზე და თავის თავს რაღაცას ელაპარაკებოდა. რას ამბობდა, ვერ გავარკვიე. იმ ოთახში, სადაც ის იჯდა, ლამპა ენთო. ცოტა ხანში ზაზამ და პაატამ დაიძინეს. ალბათ 12 საათი სრულდებოდა, როცა სრულიად შემთხვევით გამეღვიძა. არ ვიცი, ვიგრძენი რამე თუ ხმაურმა გამაღვიძა. თვალი გავახილე თუ არა, ზაზასკენ გავიხედე და დავინახე, რომ ტარო მის საწოლთან იდგა, ხელში კი დიდი ნაჯახი ეკავა. ტარომ ხელი ასწია და ის იყო, დარტყმას უპირებდა ზაზას, რომ

საწოლიდან მომენტალურად წამოვხტი და ხელში ვწვდი, როგორღაც მოვახერხე და არ მივეცი მას დარტყმის საშუალება. ტარომ რომ დამინახა, ხელი გაუშვა ნაჯახს და სახლიდან გავიდა. ზაზა შევანჯღრიე და ვუთხარი — ჩქარა, ადექი, სასწრაფოდ წავიდეთ აქედან-მეთქი. ზაზამ ხმა არ გამცა. მის თავს რომ შევეხე, რაღაც სისველე ვიგრძენი. მეორე ოთახიდან ლამპა გამოვიტანე და ზაზას მივანათე. მაშინ დავინახე, რომ სულ სისხლიანი იყო. გრძნობა დაკარგული ჰქონდა, ზეწარი და ბალიშისპირი სულ სისხლით იყო მოსვრილი. პაატა გავაღვიძე და გავაფრთხილე — შენ აქ დარჩი, ზაზას გვერდიდან არ მოშორდე, მე ახლავე დავბრუნდები-მეთქი. ვიცოდი, სადაც ცხოვრობდა ზაზას ბიძა. პირველი, რაც გავიფიქრე, სწორედ მასთან გაქცევა და მისი დაძახება იყო. ვინმესთვის უნდა მეთქვა მომხდარის შესახებ და საშველად მეხმო ხალხისთვის. ბიძასთან რომ წავედი, ნაჯახიც თან წავიღე. შემეშინდა, ტარო არ დაბრუნდეს და ისევ არ ჩაარტყას-მეთქი. ბიძის სახლამდე მისული არც ვიყავი, როცა ქუჩაში ტარო შემხვდა. შევნიშნე თუ არა, სასწრაფოდ დავმალე ნაჯახი. შემეკითხა — სად მიდიხარო? არაფერი მიპასუხია. მისი საშინლად მეშინოდა. ადგილს მოვწყდი და რაც ძალი და ღონე მქონდა, გავიქეცი იქიდან. გოგის სახლამდე როგორც იქნა, მივაღწიე. მთელი ხმით ვყვიროდი მის სახელს და კარზე ვაბრახუნებდი. თითქმის ვღრიალებდი — ჩქარა, მიშველეთ-მეთქი. ვუთხარი — შენმა ძმამ ზაზას თავში ნაჯახი ჩაარტყა, აი, ეს ნაჯახი-მეთქი და სისხლიანი ცული გავუწოდე. ერთი წამითაც არ გაჩერებულა, მაშინვე ჩემთან ერთად წამოვიდა ზაზას სახლში. მერე მეზობლის დასაძახებლად გავარდა... ამის შემდეგ, ტარო არ მინახავს და სად იმყოფება ახლა, არც ეს ვიცი. მთვრალი იყო თუ არა, ვერ გეტყვით, მას ვერაფერი შევამჩნიე. ზაზა კი სრულიად ფხიზელი იყო. არც ის დამინახავს, ზუსტად როგორ, როდის და რამდენჯერ ჩაარტყა მან ზაზას თავში ნაჯახი. როცა თვალი გავახილე, მხოლოდ ის დავინახე, რომ კიდევ უპირებდა დარტყმას. ნაჯახი იმავე დღეს მივეცი პოლიციელს, რომელიც შემთხვევის ადგილზე იყო მოსული და შესაბამის ოქმს ადგენდა. რატომ უნდოდა ტაროს შვილის მოკვლა, არ ვიცი. მათ არ უჩხუბიათ, არც შელაპარაკებულან. კონფლიქტი არ ყოფილა, ტარომ მხოლოდ უსაყვედურა შვილს და ყველაფერი ამით ამოიწურა. რა ურთიერთობა ჰქონდა მამაშვილს ერთმანეთთან, არც ის ვიცი“.

ეს ჩვენება ოლია ბონდარევამ სამართალდამცველებს მომხდარი ფაქტიდან მეორე დღეს მისცა. რაიონულ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, ეჭვმიტანილზე კი ძებნა გამოცხადდა. გამოძიებამ დაჰკითხა ეჭვმიტანილის შვილიშვილიც. ბიძის მსგავსად, სიკვდილის საფრთხის წინაშე იმ საღამოს ისიც აღმოჩნდა და სიბნელეში ბაბუის მიერ მოქნეულ ნაჯახს სასწაულებრივად გადაურჩა.

არასრულწლოვანი მოწმის ჩვენებიდან:

„პაპაჩემი რომ მოვიდა, მთვრალი იყო. არაფერი მითხრა, არც მომეფერა. ოლიას ელაპარაკებოდა რუსულად. მე რუსული არ ვიცი კარგად და ვერ გავიგე, რაზე საუბრობდნენ. მალე ზაზაც მოვიდა. პაპაჩემმა ზაზას მაშინვე ჩხუბი და გინება დაუწყო. ზაზა არაფერს ეუბნებოდა, ის კი ჩხუბს მაინც განაგრძობდა. ამის შემდეგ, ზაზა და ოლია დასაძინებლად დაწვნენ. მაშინ პაპაჩემმა მე დამიწყო ჩხუბი, გაიხადე და დროზე დაწექიო. ეტყობოდა, რომ რაღაცაზე იყო გაბრაზებული და განერვიულებული. ხმა არ ამომიღია, ისე მივუწექი ბიძაჩემს. მე კედლის მხარეს დავწექი და დამეძინა. სანამ დავიძინებდი, პაპაჩემი ისევ ფეხზე იყო და იგინებოდა. ამბობდა — ამ ნაჯახს აქ რა უნდაო? ნაჯახი ოთახის კუთხეში იდო. აიღო და მარანში შესასვლელ კართან დადო. ამის შემდეგ მე დამეძინა... ოლიამ გამაღვიძა და მითხრა — ჩქარა, ადექი, ლამპა დამიჭირეო. მაშინ შევნიშნე, რომ ზაზას თავი სულ სისხლიანი ჰქონდა. არ ინძრეოდა. ოლიამ მასთან დამტოვა სახლში, თავად კი სადღაც გაიქცა. პაპაჩემი არსად ჩანდა, სახლში აღარ იყო. სად წავიდა, არ ვიცი. ისე, ის და ზაზა სულ ჩხუბობდნენ. ერთხელ, ჩხუბისას, პაპაჩემმა ზაზას ლოყაში შამფური გაუყარა...“

ახლობლებისა და ნათესავების ჩვენებების მიხედვით, ზაზა თვალიაშვილი შემთხვევის დღეს სრულიად ფხიზელი იყო. მათი თქმით, სასმელს ის საერთოდ არ სვამდა. მამა-შვილის ხშირი კონფლიქტი ტარიელ თვალიაშვილის ძმამ — გოგი თვალიაშვილმაც დაადასტურა, თუმცა აღნიშნა, რომ ჩხუბის მიზეზი მისთვის უცნობია. *„რძალს არ ველაპარაკებოდი და ამის გამო ძმის სახლში ხშირად არ დავდიოდი. ამიტომაც არ ვიცი, რაზე მოსდიოდათ ასე ხშირად ჩხუბი“*, — განუცხადა მან სამართალდამცველებს.

ექიმებმა დროული ჩარევის შედეგად, ზაზა თვალიაშვილს სიცოცხლე შეუნარჩუნეს. სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, დაზიანებები მას თავისა და მარცხენა მხრის არეში აღენიშნებოდა.

გამოძიებისთვის ჩვენების მიცემა დაზარალებულმა მხოლოდ თვე-ნახევრის შემდეგ შეძლო. გამომძიებელს უთხრა, რომ არ გაუგონია, როგორ დაადგა ნაჯახმომარჯვებული მამა თავზე. *„მახსოვს მხოლოდ საშინელი ტკივილი თავის არეში, რომელიც უეცრად ვიგრძენი. როგორც ჩანს, გონება მაშინვე დავკარგე, რადგან ამის შემდეგ არაფერი მახსოვს. გონს საავადმყოფოში მოვედი. ბიძაჩემი რომ სახლში არ ყოფილიყო და დროულად არ მივეყვანე საავადმყოფოში, ალბათ, მოვკვდებოდი... როგორც დაზარალებული, მოვითხოვ, მამაჩემი კანონის მთელი სიმკაცრით დაისაჯოს...“*

სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით (დამამძიმებელი გარემოებების გარეშე) აღძრეს. ეჭვმიტანილის ადგილსამყოფელი კი სამართალდამცველებმა თვეების მანძილზე ვერ დაადგინეს. მას ბრალი დაუსწრებლად წაუყენეს. გამოძიების მასალების მიხედვით, ტარიელ თვალიაშვილმა დანაშაული შურისძიების მოტივით ჩაიდინა. განგებ დაელოდა შვილის დაძინებას და განზრახვაც ამის შემდეგ მოიყვანა სისრულეში. შემდეგ კი, შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ის მეზობელ რაიონში მცხოვრენ ნათესავებთან იმალებოდა. სამართალდამცველებმა მას მომხდარი ფაქტიდან მხოლოდ ხუთი თვის შემდეგ მიაგნეს და დააკავეს. დაკავებულმა ჩადენილი დანაშაული აღიარა და გამოძიებას აღიარებითი ჩვენება მისცა. ჩვენებაში მან შვილის მკვლელობის მცდელობა დეტალებში აღწერა, თუმცა ჩადენილ დანაშაულზე მეტად, სამართალდამცველები, ნათესავები და მეზობლები ამჯერად ბრალდებულის მიერ დასახელებულმა მოტივმა უფრო გააოგნა. ბრალდებულის თქმით, მან შვილის მკვლელობა იმიტომ განიზრახა, რომ შემთხვევამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე, შემზარავი ფაქტის მოწმე გახდა. ტარიელ თვალიაშვილმა დაკითხვისას გამომძიებელს უთხრა, რომ თავის მეუღლეს და შვილს მან საძინებელში შეუსწრო მაშინ, როცა ერთმანეთთან სქესობრივ კავშირს ამყარებდნენ...

ბრალდებულის ჩვენებიდან:

„...ჩემი ოჯახით წლების მანძილზე, ამ სოფელში ვცხოვრობ. მე და ჩემს ცოლს თანაცხოვრების პერიოდში ორი შვილი შეგვეძინა. უფროსი — კახა თავის ცოლ-შვილთან ერთად თბილისში ცხოვრობს. ცოლი უმცროსმაც შეირთო, მაგრამ ორ წელიწადში ერთმანეთს გაშორდნენ. ზაზა ამის შემდეგ ჩვენთან ცხოვრობდა და ვაჭრობას მიჰყო ხელი. ერთმანეთთან ნორმალური ურთიერთობა გვქონდა. არ ვჩხუბობდით. ცოლთანაც კარგ დამოკიდებულებაში ვიყავი. ჩვენ შორის უთანხმოება მას შემდეგ გაჩნდა, რაც ღენამ (ჩემმა მეუღლემ) შინიდან გასვლას ძალიან მოუხშირა. ხშირად უმიზეზოდ გადიოდა სახლიდან, არაფერს მეუბნებოდა. როცა ახსნა-განმარტებას ვთხოვდი, მპასუხობდა, საქმეებზე დავდივარო. ამის

გამო ხშირად მოგვდიოდა უთანხმოება. ეჭვის საბაბი ნამდვილად არსებობდა და ეს გულს მიღრღნიდა... ერთ დღეს, ზაფხული იყო, როცა ნახირში წავედი, საქონლისთვის რომ დამეხედა. ჭალას რომ მივუახლოვდი, მოულოდნელად ლაპარაკი მომესმა. მეზობლის — ზურაბ შავიშვილის ხმა ვიცანი. იქითკენ წავედი, საიდანაც ხმა ისმოდა. ზურას მართლაც მოვკარი თვალი, დავინახე, რომ შარვალს იწევდა, იქვე კი ჩემი ცოლი იწვა... ადგილზე გავქვავდი, შემდეგ კი, არ ვიცი, როდის და როგორ, ზუსტად იმ ადგილზე აღმოვჩნდი, სადაც ჩემი ცოლი იწვა. ზურა გარბოდა, ჩემი ცოლი იქვე სასტიკად ვცემე. შემდეგ სახლში წავათრიე და დანით დავჭერი. ამის გამო გამასამართლეს და 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მომისაჯეს“.

საქმის მასალებში არსებობს ლენა ბონდარევა-თვალიაშვილის დაჭრის ფაქტის გამო აღძრული სისხლის სამართლის საქმეზე სასამართლო განაჩენი. განაჩენის მიხედვით, ფაქტი სხვაგვარად მოხდა. თვალიაშვილი მეზობელს მშენებლობაში ეხმარებოდა, სამუშაოს დამთავრების შემდეგ, იმავე ოჯახში ივახშმა, დალია ალკოჰოლური სასმელი და დაახლოებით საღამოს 10 საათისთვის, მთვრალი დაბრუნდა შინ. მეუღლემ მას ლოგინი გაუშალა. ამ დროს ქმარმა, ეჭვიანობის საფუძველზე, ჩხუბი დაუწყო. საწოლთან ახლოს დადებული თავისი შარვლის ჯიბიდან ამოიღო დასაკეცი დანა, გახსნა და მოკვლის მიზნით, სხეულში რამდენჯერმე ჩაარტყა ცოლს. ცოლი წინააღმდეგობას უწევდა, მის მოგერიებას ცდილობდა, მაგრამ ქმარმა მაინც მოახერხა მომარჯვებული დანის მისთვის მკერდის არეში ჩარტყმა. ცოლი გაიქცა, ეზოში გავარდა და ყვირილი დაიწყო, რათა მეზობლებს გაეგონათ და დახმარებოდნენ. ქმარი მას კვლავ წამოეწია, დანა მას ჯერ მუცლის არეში, შემდეგ დუნდულაში ჩაარტყა. მიღებული დაზიანებების გამო ქალი იქვე, ეზოში ჩაიკეცა და გონება დაკარგა. ქმარმა ჩათვალა, რომ განზრახვა სისრულეში მოიყვანა, დაჭრილი ცოლი იქვე მიატოვა, თავად კი მეზობელთან მივიდა და მას მომხდარის შესახებ უთხრა. დაჭრილ ლენა ბონდარევა-თვალიაშვილს საავადმყოფოში სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს და სიკვდილს გადაარჩინეს.

დაპატიმრებულმა ტარიელ თვალიაშვილმა ჩადენილ დანაშაულში თავი მხოლოდ ნაწილობრივ ცნო დამნაშავედ. ცოლისთვის დანის სამჯერ დარტყმის ფაქტი მან აღიარა, მაგრამ განაცხადა, რომ ცოლის მოკვლა არ სურდა და ყოველივე ძლიერი სულიერი აღელვების ნიადაგზე მოხდა.

ბრალდებულის ჩვენებიდან:

„საშინლად ვიყავი შეურაცხყოფილი და ყოველივე ამის ატანა და მოთმენა ჩემთვის წარმოუდგენელი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, როცა სასჯელი მოვიხადე და ციხიდან გავთავისუფლდი, გადავწყვიტე, ცოლისთვის ყველაფერი მეპატიებინა და ოჯახი კვლავ აღმედგინა. მინდოდა, ისევ ნორმალური ცხოვრება გაგვეგრძელებინა. მწარედ მოვტყუვდი, რადგან უარესი მდგომარეობა დამხვდა. ჩემი უმცროსი ვაჟისა და ჩემი ცოლის ინტიმურ ურთიერთობაზე ეჭვი ჯერ კიდევ მაშინ გამიჩნდა, როცა ციხიდან ახალგათავისუფლებული ვიყავი. ცოლი აშკარად შეცვლილი დამხვდა. სხვანაირად იქცეოდა, სხვანაირად მელაპარაკებოდა. შვილის მიმართაც სხვანაირი იყო. გულის სიღრმეში ვეჭვობდი, მაგრამ ამ საშინელი აზრის გამხელა ძალიან მაშინებდა. საკუთარ თავსაც არ ვუმხელდი. ერთ დღესაც ჩემი ეჭვები დადასტურდა. მათ ეგონათ, რომ მე საქონელს ვმწყემსავდი, მოულოდნელად შინ დავბრუნდი და ორივე, საძინებელში, ერთ საწოლში აღმოვაჩინე. მაშინ ორივეს მოკვლა მინდოდა, მაგრამ წინააღმდეგობა გამიწიეს. ზაზამ სასტიკად მცემა, შემდეგ დანა აიღო და მოკვლითაც დამემუქრა, მითხრა — ამის შესახებ თუ რამეს იტყვი, იცოდე, სიცოცხლეს გამოგასალმებო... ორ დღეში ორივენი ვლადიკავკაზში გაემგზავრნენ... იმ დღეს, ზაზას ჩამოსვლას არ ველოდებოდი. სახლში რომ მივედი, კარი გატეხილი დამხვდა. ბოქლომი ძირს ეგდო. გაუტეხიათ და ისე შესულან სახლში. ზაზა რომ დაბრუნდა და ვკითხე — დედაშენი სად არის-მეთქი? მიპასუხა — ლენა შენი ცოლი აღარ არის და არავინ გეკითხება, სად არისო... იმ ღამით მისი მოკვლა მართლაც გადავწყვიტე... ოთხჯერ თუ ხუთჯერ მოვუქნიე ნაჯახი. მხოლოდ ის მახსოვს, რომ დაიძახა — ვაიმე, დედაო... ამ საქციელს ვნანობ. შვილი მოსაკლავად მაინც არ უნდა გამემეტებინა. იმ დღეს ფხიზელი ვიყავი. არც ერთი ჭიქა ღვინო არ დამილევია...“

სასამართლო პროცესზე განსასჯელმა ეს ჩვენება კიდევ ერთხელ გაიმეორა. მის სიტყვებს სხდომაზე დიდი ხმაური მოჰყვა. პროტესტს გამოთქვამდა დაზარალებული; ნათესავები კი, დანაშაულის მოტივთან დაკავშირებით ვერაფერს ამბობდნენ. აღნიშნავდნენ მხოლოდ იმას, რომ ყოველივე ამის დაჯერება მათ ძალიან უჭირდათ. რაც შეეხება განსასჯელის მეუღლეს, ის სასამართლო პროცესს არ დასწრებია. გამოძიების პერიოდში სამართალდამცველებისთვის მიცემულ ჩვენებაში მან კატეგორიულად უარყო ქმრის ბრალდებები.

ლენა ბონდარევა-თვალიაშვილის ჩვენებიდან:

„დაქორწინებიდან 4-5 წლის მანძილზე ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა. მაგრამ შემდეგ ჩემმა მეუღლემ სმა დაიწყო. თითქმის ყოველდღე მთვრალი მოდიოდა შინ. საშინელი სიმთვრალე ჰქონდა, ჩხუბობდა და რაღაც სისულელეებში მდებდა ბრალს, ყოვლად უსაფუძვლოდ ეჭვიანობდა. ვფიქრობ, სიმთვრალის გამო ჰალუცინაციები დაეწყო. სწორედ ამის გამო დამწამა მეზობელ მამაკაცთან ინტიმური ურთიერთობა და ამის გამო სასიკვდილოდ გამიმეტა. იმედი მქონდა, რომ წლების შემდეგ მაინც მოეგებოდა გონს და ციხე დააფიქრებდა იმაზე, რაც ჩაიდინა. პირიქით მოხდა, უფრო საშინელი და აუტანელი დაბრუნდა იქიდან... როგორ შეიძლება, ნორმალურმა ადამიანმა საკუთარ ცოლ-შვილს ასეთი საზიზღრობა დასწამოს? მთელი ცხოვრება შრომაში გავატარე, რათა შვილებისთვის არაფერი დამეკლო, ის კი სიცოცხლეს გვიმწარებდა. ბოლოს, ისეთი რამ ჩაიდინა და დაგვაბრალა, რამაც მთელი ცხოვრება დაგვიმახინჯა მეც და ჩემს შვილსაც...“

სასამართლო სხდომაზე განსასჯელის ფსიქიკური მდგომარეობის გამოკვლევის საკითხი დადგა. ჩატარდა ფსიქიატრიულ-ფსიქოლოგიური ექსპერტიზა. ექსპერტებმა თვალიაშვილი შეურაცხადად გამოაცხადეს. სასამართლომ ექსპერტების დასკვნა გაითვალისწინა და განსასჯელს იძულებითი მკურნალობა შეუფარდა.

სასამართლო პროცესზე დამსწრე პირებს შორის იყვნენ ისეთებიც, რომელთაც განსასჯელის შეურაცხადობაში ეჭვი მაინც ეპარებოდათ. მათი თქმით, იმ პერიოდში, როცა მან დანაშაული ჩაიდინა, შეურაცხადის შთაბეჭდილებას არ ტოვებდა. სხვათა შორის, თვალიაშვილის შეურაცხადობის საკითხი არ დამდგარა მაშინ, როცა მას რამდენიმე წლით ადრე, საკუთარი ცოლის განზრახ მკვლელობისთვის ასამართლებდნენ. ეს საკითხი განხილვის საგანი არ გამხდარა არც წინა სასამართლოებზე.

აღსანიშნავია, რომ ტარიელ თვალიაშვილი ამ ფაქტამდე სამჯერ გახლდათ ნასამართლევი. პირველად ის ქურდობისთვის გაასამართლეს და ჩადენილი დანაშაულისთვის ერთი წლითა და ექვსი თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მეორედ, თვალიაშვილი ციხეში ძარცვის გამო აღმოჩნდა. ამჯერად ის 2 წლით თავისუფლების აღკვეთით დასაჯეს. მესამედ, საკუთარი ცოლის განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის 7 წელი მიუსაჯეს. როცა ის მეოთხედ წარდგა სასამართლოს წინაშე, სახელმწიფო ბრალმდებელმა, ისევე, როგორც განსასჯელის ადვოკატმა, თვალიაშვილის შეურაცხადობის შესახებ ექსპერტების დასკვნა გაიზიარა. დაზარალებულს, რომელიც საქმის გამოძიების პერიოდში მამის უმკაცრესად დასჯას მოითხოვდა, განჩინება არ გაუპროტესტებია.

■

სპეცოპერაცია მსხვერპლით დასრულდა

სამართალდამცველების თქმით, ლიკვიდირებული პირები ყაჩაღობას გეგმავდნენ. შს სამინისტროს ინფორმაციით, 2 მაისს, თბილისში, მარჯვენა სანაპიროზე, ჩოგბურთის კორტების მიმდებარე ტერიტორიაზე ჩატარებული სპეცოპერაცია, დედაქალაქში მოქმედი ყაჩაღური დაჯგუფების წევრების დასაკავებლად იყო დაგეგმილი. სპეცოპერაცია შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩააატარეს. სამართალდამცველების თქმით, აღნიშნული სპეცო-

პერაციის დროს ეჭვმიტანილებმა შენიშნეს, რომ მათ პოლიცია მისდევდა უკან და მისი მიმართულებით ცეცხლი გახსნეს. პოლიციამაც სროლით უპასუხა. ორმხრივი სროლის დროს ადგილზე ლიკვიდირებულნი იქნენ ზურაბ ვაზაგაშვილი და საშა ხუბულოვი. რაც შეეხება მესამე ეჭვმიტანილს — ბონდო ბუთურიძეს, ის დაიჭრა. ცეცხლნასროლი დაზიანება მიიღო კრიმინალური პოლიციის ერთ-ერთმა თანამშრომელმაც.

შს სამინისტროს ინფორმაციით, შემთხვევის ადგილიდან ამოღებულია „ჩეზეს“ სისტემის ერთი, „მაკაროვის“ სისტემის 2 და „ვალტერის“ სისტემის ერთი ცეცხლსასროლი იარაღი და მჭიდები. ასევე ამოიღეს სკოჩი, ნიღბები, რაციები და დასაძინებელი საინიექციო საშუალებები. სამართალდამცველების თქმით, ეჭვმიტანილები თბილისში მცხოვრებ ერთ-ერთ ოჯახზე აპირებდნენ ყაჩაღური თავდასხმის განხორციელებას. უსაფრთხოების მიზნით, არ სახელდება იმ ოჯახის წევრთა ვინაობა, ვისზეც თავდასხმა იყო დაგეგმილი. სამართალდამცველები იმასაც აღნიშნავენ, რომ ვაზაგაშვილი და ხუბულოვი კანონიერ ქურდებთან დაახლოებული პირები იყვნენ. მათივე ინფორმაციით, აღნიშნული ჯგუფის წევრების მიერ 30 აპრილს განხორციელდა ყაჩაღური თავდასხმა თბილისში, ყაზბეგის გამზირზე მდებარე ლომბარდზე. ■

თაღლითობა

მარნეულში მცხოვრები, 1964 წელს დაბადებული ილხამა მუსაევა დიდი თანხის გამოძალვის ბრალდებით დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით, მუსაევამ მარნეულის რაიონის სოფელ შულავერში მცხოვრებ, 1951 წელს დაბადებულ ზაქიდ მადათოვს 15 ათასი ლარი გამოსძალა. მუსაევას ბრალი თაღლითობის მუხლით წაუყენეს. ■

22 წლის შეიარაღებულმა ახალგაზრდამ თავი დაიჭრა

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა სპეცოპერაციის შედეგად, წარსულში ნასამართლევი, 1983 წელს დაბადებული მიხეილ ხაჩიძე დააკავეს. 30 აპრილს, დილის 11 საათზე ხაჩიძე თბილისში, კეკელიძის ქუჩაზე მდებარე ტოტალიზატორ „ვარაზში“ შეიჭრა, მძევლად აიყვანა ორი ადამიანი და 10 ათასი დოლარი მოითხოვა. სამართალდამცველების თქმით, მიხეილ ხაჩიძე შეიარაღებული იყო ცეცხლსასროლი იარაღით — „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტით და ხელყუმბარით. როგორც ამბობენ, ხაჩიძეს ორი პისტოლეტი ჰქონდა თან. სპეცოპერაციის მსვლელობისას, მასთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ სამართალდამცველები და მამამისი — როინ ხაჩიძე. ისინი მას იარაღის დაყრას, მძევლების გათავისუფლებასა და ჩაბარებას სთხოვდნენ. ხაჩიძე ამ მოთხოვნებს არ ითვალისწინებდა და თვითლიკვიდაციით იმუქრებოდა. ამ დროს მან „მაკაროვიდან“ გასროლის შედეგად, დაზიანება მიიყენა სხეულზე. როგორც ამბობენ, ჭრილობა მსუბუქი ხარისხის აღმოჩნდა. მიხეილ ხაჩიძე რესპუბლიკურ საავადმყოფოში მოათავსეს. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით, გამოძიებას თბილისის შს მთავარი სამმართველო აწარმოებს. ■

ლავასოღლი დაკავებულია

აჭარის შს მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა ქურდული სამყაროს წევრი, მეტსახელად ლავასოღლი დააკავეს. ის 1981 წელს დაბადებული მინდია გორგაძე გახლავთ. გორგაძეს ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის (კანონიერი ქურდობისთვის) წაუყენეს. ■

24 წლის ახალგაზრდა მკვლელობაშია ეჭვმიტანილი

განზრახ მკვლელობაში ეჭვმიტანილი, 24 წლის გურამ ონეზაშვილი პოლიციამ დააკავა. შს სამინისტროს ინფორმაციით, ონეზაშვილმა სანადირო თოფით მოკლა მამუკა მაღლაფერიძე. აღსანიშნავია, რომ მოკლულიც და ეჭვმიტანილიც კასპში ცხოვრობდნენ. სამართალდამცველების თქმით, მკვლელობა ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა. დანაშაულის იარაღი — თოფი ონეზაშვილზე ოფიციალურად გახლდათ გაფორმებული. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. ■

ბოროტმოქმედებმა საკრებულოს საწყობი გაქურდეს

სამი პირი — 1972 წელს დაბადებული ადალათ მამედოვი, 1983 წელს დაბადებული სარი აბდულაევი და 1945 წელს დაბადებული გახრამან მამედოვი ქურდობის ბრალდებით დააკავეს. სამივე მათგანი გარდაბნის რაიონის სოფელ ვახტანგისის მკვიდრია. სამართალდამცველების თქმით, მათ ვახტანგისის საკრებულოს საწყობი გაქურდეს და იქიდან 7 ტომარა ამონიუმის გვარჯილა მოიპარეს. მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება. ■

ეკომიგრანტები, მოტაცებული სახლ-კარი და ამბიციური მიზანი: ყველა ღვინის – საკუთარი სახლ-კარი!

ათასი ეკომიგრანტია, რადგან ამ ადამიანების ზუსტი აღრიცხვა და ერთიან საინფორმაციო ბაზაში თავმოყრა არ მომხდარა. თავად ეკომიგრანტის ცნებაც კი ცოტა სადავოა, რადგან ხშირია შემთხვევა, როდესაც ადამიანს რაიონში სახლ-კარი აქვს, ჩამოდის თბილისში და თავს ეკომიგრანტს უწოდებს. რაიონების გუბერნატორებს მიეცათ დავალება, რომ სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის აღწერა აწარმოონ და გადამოწმებული მონაცემები მოგვაწოდონ. ამ ეტაპზე, ჩვენთვის ცნობილია, რომ აჭარის მაღალ მთიანეთში შარშანდელი სტიქიით დაზარალებული 20-მდე ოჯახი სასწრაფოდ საჭიროებს გადმოსახლებას და პირველ რიგში, მათ დავეხმარებით. პარალელურად, მიმდინარეობს სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის აღრიცხვა საჩხერესა და ჭიათურაში. ჩვენი კომისია, სწავლობს მდგომარეობას ონში, ცაგერსა და იმერეთის იმ რაიონებში, სადაც წყალდიდობამ არაერთი სახლი დაანგრია. როგორც კი ამინდი მოგვცემს საშუალებას, ჩვენი სამუშაო ჯგუფი ვითარების შესასწავლად სვანეთში გაემგზავრება და იქ არსებულ ყველა პრობლემას ადგილზე გაეცნობა. მოგეხსენებათ, რომ შარშანდელი წყალდიდობისგან დაზარალებულ ყველა ოჯახს სახელმწიფოსგან 5 ათასი ლარის ოდენობის კომპენსაცია უნდა მიეღო. ეს პროცესი დაიწყო კიდეც, მაგრამ მოსახლეობისაგან უამრავი საჩივარი შემოვიდა, სადაც უკმაყოფილებას გამოხატავენ იმის გამო, რომ კომპენსაციების გაცემა უსამართლოდ ხდებოდა და სახელმწიფოსგან დახმარებას ისინი იღებდნენ, ვინც ამას რეალურად არ საჭიროებდა. სწორედ ამ მიზეზით, შევაჩერეთ კომპენსაციების გაცემის პროცესი მანამდე, სანამ შესაბამისი კომისია ზუსტ მონაცემებს არ მოგვაწვდის. ასე რომ, წინასწარ მონაცემებზე დაყრდნობით შემიძლია გითხრათ, რომ საქართველოში 10-15 ათასი ადამიანია, ვისაც სურვილი აქვს, რომ მაღალმთიანი რეგიონებიდან ბარში გადავიდეს საცხოვრებლად.

ემა ტუხიაშვილი

უკანასკნელ წლებში, მეწყერისა თუ წყალდიდობის სახით მოვლენილმა სტიქიამ საქართველოს მოსახლეობას მნიშვნელოვანი ზარალი მიაყენა. ამის გამო, ბევრი ოჯახი უსახლკაროდ დარჩა, ბევრიც მეწყერსაშიშ ზონაში დღემდე იმის შიშით ცხოვრობს — ვაითუ, ცოცხალი ვერ გადავურჩე გაზაფხულზე „შემოჩვეულ“ სტიქიასო. სამწუხაროდ, პრობლემის სიმწვავის მიუხედავად, ქვეყანაში სტიქიისგან მიყენებული ზარალის ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს. არაოფიციალური მონაცემებით, საქართველოში 50 ათასამდე ეკომიგრანტია, აქედან, დიდ ნაწილს, აჭარის მაღალმთიანი რეგიონების მოსახლეობა წარმოადგენს. როგორც ლტოლვილთა და განსახლების მინისტრმა გიორგი ხევიაშვილმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნა, სახელმწიფო ამ პრობლემის მოსაგვარებლად, აქტიურად მუშაობს და პირველ შედეგებს ერთ თვეში დავინახავთ.

— ჩემთვის გაუგებარია — რომელ მონაცემებზე დაყრდნობით აცხადებენ, რომ საქართველოში დაახლოებით 50

დღეისათვის ეკომიგრანტის სტატუსით წალკაში 1500 ადამიანია დასახლებული

— ბიუჯეტში ეკომიგრანტებისთვის რა თანხაა განსაზღვრული?

— ამ ეტაპზე, ეკომიგრანტების დასახმარებლად ბიუჯეტში 1.300.000 ლარია განსაზღვრული, ხოლო ამ თანხის ათვისებისთანავე, წლის ბოლომდე საშუალება გვექნება, დამატებით კიდევ 5-6 მილიონი დავხარჯოთ. ამის გარანტია თავად პრეზიდენტმა მოგვცა და დაგვავალა — ეკომიგრანტების დახმარების პროცესი, რაც შეიძლება სწრაფად წარიმართოს. ჩამოთვლილი თანხების გარდა, ქვემო ქართლის ადმინისტრაცია, იმ ტერიტორიაზე, სადაც ეკომიგრანტებისთვის საცხოვრებელი ადგილის შესყიდვას გადაწყვეტს, ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, დამატებით კიდევ 500 ათას ლარს მიიღებს.

— სად აპირებს სახელმწიფო ეკომიგრანტების ჩასახლებას?

— ყველგან, სადაც იაფად ვიშოვით საცხოვრებელს, მათ შორის: წალკაში, დმანისში, ქართლში და ა.შ. ჩვენთვის მთავარია, რომ მოცემულ თანხებში ჩავეტიოთ და ასევე მნიშვნელოვანია, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც ეკომიგრანტებს ჩავასახლებთ, მათი დასაქმების პირობები არსებობდეს — მაგალითად, მიწის ნაკვეთი და სხვა. ჩვენი მონაცემებით, დღეისათვის ეკომიგრანტის სტატუსით წალკაში 1500 ადამიანია დასახლებული, მაგრამ მათ შორის ისეთებიც არიან, ვისაც საცხოვრებელი ფართი უკანონოდ აქვს დაკავებული. ჩვენი სამინისტრო ამ მიმართულებითაც მუშაობს და ყველა მსგავსი უკანონობა დეტალურად იქნება შესწავლილი. პარალელურად, ამავე რაიონში ვაპირებთ 200 საცხოვრებელი სახლის შეძენას ეკომიგრანტებისთვის და დავეხმარებით იმ ადამიანებს, ვინც შარშანდელი სტიქიის შემდეგ, ხელისუფლებამ მართალია, ჩაასახლა წალკაში, მაგრამ სახლის საფასური მათთვის ჯერ

ახდენილი ოცნება

გადაბურჯგნეს ჩემი ანა ანუ პარაშუტი დაგჭირდებათ

ოცნება — სურვილების ახდენის ყველაზე ხელმისაწვდომი საშუალებაა. დახუჭავ თვალებს და რასაც გინდა, წარმოიდგენ. საკუთარი ოცნების „რეჟისორიც“ ხარ, „მთავარი გმირიც“ და „სცენარის ავტორიც“... ვერც ვერავინ შეგედავება და ვერც გისაყვედურებს... ყველაზე რთული კი, დამეთანხმებით, რომ მისი ხორცშესხმაა. თუ ჩვენს ოცნებებს თვალს გადავავლებთ, „არქივში“ ბევრ ისეთ აუხდენელ ოცნებას აღმოვაჩენთ, რომლის გახსენებაც ღიმილს მოგვგვრის, ზოგიერთი გაგვახალისებს, ზოგი — დაგვანაღვლიანებს, მაგრამ თუ ახდენილ ოცნებებს გადავხედავთ, შესაძლოა, გავბრაზდეთ, თვალზე ცრემლიც მოგვადგეს, ვინანოთ და როგორც ჩვენი პირველი მკითხველი ამბობს, შურისძიების წყურვილითაც ავივსოთ...

მარი ჯაფარიძე

ახალი ოცნება

„პატარა ბიჭი არ გეგონოთ, უკვე მოწიფული მამაკაცი ვარ. ამიტომ, ჩემს ბიოგრაფიაში უხვადაა როგორც ახდენილი, ისე — აუხდენელი ოცნებები. ახალგაზრდობაში ერთი ყველაზე სანუკვარი ოცნება მქონდა, რომელიც დიდი ძალისხმევის შედეგად ავიხდინე. დავიწყებ იმით, რომ 23 წლის ასაკში ერთი გოგონა შემიყვარდა. ის მაშინ 16 წლის იყო. ჯერ იმის გამო ვიტანჯებოდი, რომ პატარა იყო და ვერ ვუმხელდი ჩემს გრძნობებს. გამუდმებით ვოცნებობდი იმაზე, რომ როგორმე მისთვის ჩემი გულისხმა მიმეწვდინა. მთელი წელი დამჭირდა საიმისოდ, რომ ეს გამეკეთებინა. მერე, მის სიყვარულზე ვოცნებობდი... მის ერთ შემოხედვაზე, ღიმილზე. როგორც იქნა, ერთი წლის შემდეგ, იმასაც მივაღწიე, რომ სიყვარულში გამომიტყდა. ახალი ოცნება მეწვია... მის შეხებაზე და კოცნაზე ვოცნებობდი. ამ ოცნების ასახდენად შედარებით ნაკლები დრო დამჭირდა. შემდეგ უკვე მის ცოლად შერთვაზე ვოცნებობდი და ამასაც მივაღწიე. სულ, 3 წელი დამჭირდა, რომ მასთან დაკავშირებული ყველა ოცნება ამხდენოდა და ერთ ჭერქვეშ გვეცხოვრა. შემდეგ შვილზე ვოცნებობდი. პირველი, გოგონა შეგვეძინა... ბიჭზე ვოცნებობდი. 3 წლის შემდეგ, ეს ოცნებაც ამიხდა... ერთი სიტყვით, 30 წლამდე, ყველა ჩემი ოცნება ამ ქალს უკავშირდებოდა. გავიდა დრო, ბავშვები წამოიზარდნენ, მე ვმუშაობდი, ის კი შინ იჯდა და შვილებს უვლიდა. დიდი სიმდიდრის პატრონები არ ვიყავით, მაგრამ არც სიღარიბეს ვუჩიოდით. საშუალო შეძლების ოჯახი გვქონდა. ჩემი ცოლის დაქალი საბერძნეთში გაემგზავრა. მალე ჩემმა მეუღლემაც დაიწყო წუწუნი იმის გამო, რომ მასაც უნდოდა წასვლა. თავიდან უარზე ვიყავი, მერე დამითანხმა და უკვე 5 წელია, ჩემი ოცნების

ქალბატონი საზღვარგარეთ ცხოვრობს, საქართველოში კი, მხოლოდ ერთხელ იყო ჩამოსული. ამ რამდენიმე ხნის წინ, სრულიად შემთხვევით გავიგე, რომ თურმე იქ მდიდარი საყვარელი ჰყოლია. დავურეკე და ვკითხე. დამიდასტურა, ასეა... ლამის გავგიჟდი, ასეთ ქალზე ვოცნებობდი, ამდენი წლის განმავლობაში? ის ალბათ აქ საერთოდ აღარ ჩამოვა, რადგან ახლა ბავშვების წაყვანასაც აპირებს. უარი არ მითქვამს, რადგან შვილები დედასთან უნდა იყვნენ. მე კი მომიწევს ალბათ ახალ ქალზე ოცნება და იმ ოცნებისთვის ხორცშესხმა, თუმცა, როცა უკვე ახდენილ ოცნებებზე ვფიქრობ, შურისძიების წყურვილი მიპყრობს და მინდა, რომ მას რაღაცით ვავნო... მიხო".

როდესაც ბატონი მიხოს ამბავი წავიკითხე, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მისი ოჯახური იდილია სწორედ მას შემდეგ დასრულდა, რაც 30 წლის ასაკში საყვარელ ქალზე ოცნება შენწყვიტა... თუმცა, ეს ჩემი, სუბიექტური აზრია... ალბათ გაგიგონიათ გამოთქმა: ფეხი რომ დაგრჩეს გარეთ, იმასაც კი მოიპარავენო... აღარაფერს ვამბობთ უპატრონოდ მიტოვებულ ქმრებზე... უცხოეთში წასული ცოლების თემას შემდეგი რესპონდენტი განაგრძობს.

ასეც ხდება

„25 წლის ასაკში დავქორწინდი და ცოლად ჩემი ოცნების ქალი შევირთე. ვერ აღვწერ, რა ჯოჯოხეთი გავიარე საამისოდ, რადგან ის განათხოვარი გახლდათ და ჩემი ოჯახი ჩვენი შეუღლების სასტიკი წინააღმდეგი იყო. ჩემი მეუღლე პირველ ქმართან სულ 3 თვე ცხოვრობდა. მე ეს ვიცოდი, მაგრამ ყურადღება არ მიმიქცევია მისი წარსულისთვის და მიუხედავად ამისა, მაინც დავქორწინდით. ამის გამო მოვიმდურე მშობლები და ნათესავები, მაგრამ არაფერს შევუშინდი. 8 წლის განმავლობაში, ტკბილად და ბედნიერად ვიცხოვრეთ, ერთი შვილიც შეგვეძინა და თითქოს ყველაფერი კალაპოტში ჩადგა. ჩემს ცოლს ერთი ნაკლი ჰქონდა: სახლის დალაგება არ უყვარდა და არც ოჯახის საქმე ეხერხებოდა. ჰერანგი ან შარვალი რომ გაერეცხა, მთელი 2 კვირა ვეხვეწებოდი ხოლმე. არც კერძების მომზადება იცოდა... თავიდან ამას ყურადღებას არ ვაქცევდი, მერე და მერე კი, ეს კონფლიქტის მიზეზად იქცა. სულ ამის გამო ვჩხუბობდით, მაგრამ მის გამოსწორებას საშველი არ დაადგა. ოცნებობდი ისეთ ცოლზე, რომელიც კარგი დიასახლისი იქნებოდა. ერთხელ, საუბარი იმაზე წამოიწყო, რომ ამერიკაში უნდოდა წასვლა. მე შორს დავიჭირე, მაგრამ ხომ იცით, ქალმა თუ გაიწია, ცხრა უღელი ხარ-კამეჩი ვერ შეაჩერებსო... ვიფიქრე, ამერიკაში წასვლა იოლი არ არის, მაინც ვერ მოახერხებს და გული რატომ დავწყვიტო-მეთქი? ავდექი და დავთანხმდი... ჰოდა, წავიდა... ვფიქრობდი, აქ თავისი საკუთარი ოჯახისთვის ვერ მოუვლია და იქ რა უნდა გააკეთოს-მეთქი, მაგრამ ჩასვლიდან ერთ თვეში უკვე ფულის გამოგზავნა დაიწყო... მე მიჭირდა მარტოს ბავშვის აღზრდა, თან ვმუშაობდი კიდეც, ამიტომ, ცოლის რჩევით, სახლში დამხმარე და ბავშვის მომვლელი ავიყვანე. მშვენიერი, ახალგაზრდა გოგო იყო და სიმართლეს ვიტყვი, სწორედ მისი გარეგნობის გამო დავთანხმდი მის კანდიდატურას. რამდენიმე ხნის შემდეგ, არშიყობაც დავუწყე. თავიდან იუარა, მაგრამ მერე დავითანხმე და ახლა ვცხოვრობთ ტკბილად და ბედნიერად, ერთი ოჯახივით. ძლივს ამისრულდა ოცნება და მეექვსე სუფთა ტანისამოსი, დალაგებული სახლი, გემრიელი კერძები, სითბო და ალერსი, ყოველგვარი ჩხუბისა და ნერვიულობის გარეშე. ამ ოცნების ასრულებას ჩემს მეუღლეს ვუმადლი. ასეც ხდება!"



ახლა კი, ჯერ ანეკდოტი, აუხდენელ ოცნებაზე: ქართველი მამაკაცი დიდი ხნის უნახავ მეგობარს ეწვია, რომელიც ეზოიან სახლში ცხოვრობდა. ჭიშკარში შესული, აქეთ-იქით გაოცებული იყურებოდა და უზარმაზარ ეზოს ათვალიერებდა, რომელიც „ტენისის" კორტებად იყო ქცეული. ძმაკაცები ერთმანეთს გადაეხვივნენ, მოიკითხეს, სტუმარმა მდიდრულად მოწყობილ სახლს გადაავლო თვალი და მეგობარს ჰკითხა: — საიდან, ამდენი სიმდიდრე? — ჯინი მყავს და სურვილებს ის მისრულებსო... — აუჰ, რა მაგარია, მათხოვე შენი ჯინი, 1-2 სურვილი მეც მაქვს და იქნებ ამისრულოსო... ძმაკაცს უარს როგორ ეტყოდა? ათხოვა, მაგრამ გააფრთხილა: — ჯინი უკვე ბებერია და ყურთასმენა დაკლდა, თუ სურვილი ხმამაღლა არ უთხარი, ვერ გაიგებსო... წამოვიდა გახარებული სტუმარი, მივიდა შინ, ჩაიკეტა ოთახში და ჯინი გამოიძახა: — გისმენ, ჩემო ბატონოო — ამოძვრა ჯინი ბოთლიდან. — „ახლა მე ანჯელინა ჯოლი მინდა!" — თქვა ხმამაღლა სურვილი... — „ვერ გავიგე!" — „ჯოლი! ჯოლი!" — გაუმეორა ისევ. იქვე მშვენიერი, ლამაზთვალება ჯორი გაჩნდა. — გადაირია კაცი... — „ჯოლი! ჯოლი მინდა-მეთქი!" — ისევ ჯორი გაჩნდა... ჯინს რომ ვერაფერი შეასმინა, ადგა და უკანვე წაუყვანა პატრონს: — ეს ისეთი ყრუა, რომ ვერაფერი შევასმინე, ანჯელინა ჯოლი ვთხოვე და ჯორების არმია გააჩინაო... — ეჰ, — ამოიოხრა ჯინის პატრონმა: — მაგას ვნერვიულობ მეც, რომ ვერაფერი გავაგებინე, თორემ „ტენისი" რა ჩემი საქმეა, ამხელა კორტები რომ მაქვსო?

ასე, ჯინივით „ყრუ", „ბრმა" და თანაც „ძუნწია" იღბალი და ჩვენს ოცნებებს ხშირად სხვას უსრულებს ხოლმე...

სხვისი ოცნება

„გამარჯობა! მე მაია ვარ! „გზავნილებს" ყოველთვის ვკითხულობ, მაგრამ არასოდეს მომიწერია მესიჯი. ახლა კი გადავწყვიტე, რომ ჩემი ამბავი მოგიყვეთ. სტუდენტობის დროს ერთი ბიჭი შემიყვარდა, მაგრამ მიმაჩნდა, რომ ჩემზე გაცილებით უკეთესი იყო და გრძნობის გამხელას ვერ ვბედავდი. დღედაღამ მასზე ვოცნებობდი, ჩუმ-ჩუმად ვტიროდი კიდეც, მაგრამ ამას ყველაზე ახლო მეგობრებსაც კი ვერ ვუმხელდი. თუ სადმე ერთად მოვხვდებოდით, თავს ვარიდებდი და ისე ვიქცეოდი, რომ ვერაფერს მიმხვდარიყო. მასზე ოცნებაში წლები გავიდა. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ჩვენი გზები გაიყო, მაგრამ მის ნახვას ჩუმ-ჩუმად მაინც ვახერხებდი... დაახლოებით ერთი წლის შემდეგ კი ისეთი ამბავი გავიგე, რომ მეხივით დამეცა თავზე. თურმე დათოს ცოლად ქრისტინე მოუყვანია. ამას ვერასოდეს წარმოვიდგენდი... ქრისტინემ მეჯვარეობა მე მთხოვა, რაზეც, რა თქმა უნდა, უარი ვუთხარი. ქორწილში კი ვიყავი, მეგობრებთან ერთად. გავიდა წლები. მე და ქრისტინე ძველებურად ვმეგობრობდით. მათ ოჯახში ხშირად მიწევდა მისვლა, რასაც მტკივნეულად განვიცდიდი. ერთხელ, მოხდა ისე, რომ მე და დათო ერთი საათის განმავლობაში მის სახლში მარტონი ვიყავით. მაშინ მითხრა, რომ თურმე სტუდენტობისას ვუყვარდი და ჩემი საქციელის გამო ვერაფერს მეუბნებოდა. გულს შემომეყარა... რაღას ვიზამდი? ჩემი ოცნების მამაკაცი ასეთ სიტყვებს, მთელი 15 წლის დაგვიანებით მეუბნებოდა. ასე აუხდა ჩემი ოცნება ჩემს მეგობარს".

ყველა მესიჯი, რომელიც ამ კვირაში მივიღე, საპირისპირო სქესთან დაკავშირებით ახდენილ ოცნებებს უკავშირდება. ერთადერთი, განსხვავებული, შემდეგი რესპონდენტის ამბავი გახლავთ.

მეტიჩარა

„ისეთ ოჯახში გავიზარდე, სადაც მასწავლიდნენ, რომ ტყუილი, ღალატი, ბოროტება და გულგრილობა ცუდი საქციელია. ჩვენს ოჯახში ყოველთვის მამის სიტყვა იყო კანონი. დედაც და ჩვენც მხოლოდ მას ვემორჩილებოდით. ის კი ცუდი მამა და ქმარი

სულაც არ იყო. ძალზე ყურადღებიანი გახლდათ მის ოჯახში მცხოვრები 4 ქალის მიმართ (მე, დედა, ჩემი და და დედამისი). ამ 3 წლის წინ კი ოჯახში სიტუაცია დაიძაბა, დედა და მამა სულ კამათობდნენ. ასეთ დროს ჩვენ მათ ურთიერთობაში არ ვერეოდით, თუმცა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ გაგონილი ფრაზებით ვხვდებოდით, რომ მამას ვიღაც ქალი ჰყავდა და დედა ეჭვიანობდა. ამ დროს მე უკვე სტუდენტი ვიყავი და ყველაფერი მშვენივრად მესმოდა. ერთხელ კი მამის მანქანაში უცხო ქალი შევნიშნე და მივხვდი, რომ სწორედ ის იყო ჩვენი ოჯახური კონფლიქტის მიზეზი. როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, მის მიმართ სიმპათიით განვწყვე, რადგან უზომოდ ლამაზი ქალი იყო. ამის შესახებ, რა თქმა უნდა, დედისთვის არაფერი მითქვამს. მამა დავიმარტოხელე და ვუთხარი: მომეწონა ის ქალი-მეთქი. მისი გაოცებული სახე უნდა გენახათ. ამის შემდეგ მე და მამა მოკავშირეები გავხდით. ამაზე მხოლოდ იმიტომ წავედი, რომ დედა მეცოდებოდა და ვცდილობდი, მისი ეჭვი გამეფანტა. გავიდა ხანი. მამამ ოჯახზე სულ უფრო აიცრუა გული და საბოლოოდ, შინიდან წავიდა. ყველამ განვიცადეთ. მარტო მე ვიცოდი, სად ცხოვრობდა ის და სტუმრადაც მივდიოდი ხოლმე. „დედინაცვალი“ კარგად მექცეოდა. მე კი მის „დამუშავებას“ ვცდილობდი და ნელ-ნელა ოჯახურ ტრაგედიას ვაცნობიერებინებდი. ამას ვაკეთებდი ყოველგვარი ჩხუბის, აგრესიისა და აყალმაყალის გარეშე. საბოლოოდ, იმ ზომამდე მივიდა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მკითხა: — გამოსავალს რაში ხედავ? როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარებაო? ერთად მოვიფიქრეთ ასეთი გეგმა: მე მამას ვეტყოდი, რომ ჩემს დას საზღვარგარეთ უნდოდა წასვლა და ფულს გამოვართმევდი, საბუთებს კი „დედინაცვალი“ შეაგროვებდა და შესაბამისად, უცხოეთშიც ის გაემგზავრებოდა. ასეც მოვიქეცით, ელზა ისე გაიპარა გერმანიაში, რომ მამამ მხოლოდ მეორე დღეს გაიგო... ის 2 თვის განმავლობაში ისევ მარტო ცხოვრობდა, ხოლო შემდეგ ოჯახს დაუბრუნდა. ეს გახლავთ ჩემი ახდენილი ოცნება, თუმცა, ვინ იცის, იქნებ არასწორად მოვიქეცი, რადგან დედასა და მამას შორის ძველებური ურთიერთობა ვერ აღდგა. მაინც სულ დაძაბულობაა მათ შორის, მამას კი ვგრძნობ, როგორ ძლიერ ენატრება ის ქალი. იქნებ ხელი არ უნდა შემეშალა და არ უნდა ჩავრეულიყავი მათ საქმეში? ვინ იცის... ვინ იცის...“

„ის არის, ის!“

„ჩემი ოცნებები შორეულ წარსულს უკავშირდება, როცა ერთი გოგო ძალიან მიყვარდა. მაშინ ორივე 12 წლისანი ვიყავით და ამ ცხოვრების არაფერი გაგვეგებოდა. თუმცა, იმდენი კი ვიცოდით, რომ ქალსა და მამაკაცს შორის რაღაც ხდებოდა და ეს „რაღაც“ ძალზე სასიამოვნო და საინტერესო იყო. სად იყო მაშინ ამდენი პორნოგრაფია და ეროტიკა? ჩვენს მასწავლებლებს კოჭებამდე კაბები ეცვათ და ისიც ვერ წარმოგვედგინა, თუ ისინიც ჩვეულებრივი ადამიანებივით ჭამდნენ, იცინოდნენ და ტუალეტშიც კი დადიოდნენ. ამიტომ მე და ეველინა ვცდილობდით, ჩავწვდომოდით ქალისა და მამაკაცის ურთიერთობის საიდუმლოს და ხელსაყრელ დროს ერთმანეთის სხეულის აღნაგობასა თუ ტემპერამენტს ვარკვევდით. ერთმანეთს ვეფერებოდით ხოლმე, ვკოცნიდით და არ ვიცოდით, რა უნდა გაგვეკეთებინა კიდევ. ამას კი ხან ჩემს სახლში ვახერხებდით, ხან მის სახლში, როცა მარტონი ვრჩებოდით ხოლმე (ჩვენმა მშობლებმა იცოდნენ, რომ ვმეგობრობდით). ერთხელ, მის საძინებელში, საწოლზე ვიწექით და რაღაცას ვცოდვილობდით, დედამისი რომ წამოგვადგა თავზე. კივილით შეძრა იქაურობა და რა თქმა უნდა, კინწისკვრით გამომაგდო სახლიდან. მერე მამამისი და დედამისი ჩემს მშობლებთან მოვიდნენ, მერე მე მეკითხებოდნენ, რას ვაკეთებდით... მამამ ასეთი შეკითხვა დამისვა: — ბოლომდე მიგყავდა საქმეო? — ვერ მივხვდი, რას ნიშნავდა ეს, მაგრამ ქვეცნობიერად ვგრძნობდი, რომ ჩვენს ურთიერთობას რაღაც აკლდა... რა თქმა უნდა, ეველინა ჯერ ექიმს აჩვენეს, მერე სკოლიდან გადაიყვანეს და საცხოვრებელი ადგილიც შეიცვალეს. მას შემდეგ ეველინასთვის თვალიც არ მომიკრავს. სამაგიეროდ, გოგონებს სათოფეზეც აღარ ვეკარებოდი და პირველი „ნათლობა“ მხოლოდ 22 წლის ასაკში მივიღე. ამის შემდეგ კი უკვე აღარ გავჩერებულვარ... ახლა უკვე 37 წლის მამაკაცი ვარ. შარშან ზაფხულს ზღვაზე ვიყავი დასასვენებლად. იქ ერთი ქალი გავიცანი, რომელსაც ეველინა ერქვა და რა თქმა უნდა, მაშინვე ჩემი პირველი სიყვარული გამახსენდა. გვარი რომ ვკითხე, ლამის სიხარულისგან გადავირიე. ის იყო! ის! ვეცი და ჩავეხუტე. ის კი შეშინებული უკან გადახტა. ისევ ვებრდღვენი... ლამის სული ამოვხადე კოცნით. ძლივს დავწყნარდი და მასაც გავუმხილე ჩემი ვინაობა... ისე გაწითლდა, რომ სულ ჭარხალს დაემსგავსა. აღმოჩნდა, რომ არ გათხოვილიყო. უზომოდ გამიხარდა. 2 დღის შემდეგ ჯვარი იქვე „ვიფსკვენით“ და უკან ცოლ-ქმრად დავბრუნდით. მისმა მშობლებმა ჩემი ვინაობა რომ გაიგეს, დედას ცალკე ასულიერებდნენ, ხოლო მამას — აკავებდნენ, რომ არ მოვეკალი... მერე შევრიგდით. ახლა ამაზე მაგრად ხალისობენ ხოლმე, მე კი ვსაყვედურობ: — თუ მაინც ჩემი „წერა“ უნდა გამხდარიყო, ეს წლები რაღას დაგვაკარგვინეთ-მეთქი? აი, ეს არის ჩემი ახდენილი ოცნება...“

საოცნებო ბინა

„21 წელია, რაც დავქორწინდი. მას შემდეგ მე და ჩემი ცოლ-შვილი ნაქირავებ ბინაში ვცხოვრობთ. მანამდე სადაც ვიყავით, ის ბინა გაქურდეს და რაც გაგვაჩნდა, ყველაფერი წაიღეს. იქიდან გულგატეხილი და ცხოვრებაზე ხელჩაქნეული წამოვედით. პატარა ბინა, სადაც ჩემი ოჯახით გადმოვედი, ასაკოვან ქალბატონს ეკუთვნოდა. ის ავადმყოფობდა და ლოგინს იყო მიჯაჭვული. ქალბატონი მალე დაგვიმეგობრდა, ჩვენც ძალზე შევიყვარეთ სათნო ადამიანი. ერთ დღეს კი, გვითხრა: — მეცოდებით, ასეთი კარგი ხალხი ასე უბინაოდ რომ ხართ, შესაძლოა, მალე მოვკვდე, თქვენ კი უბინაოდ არ დაგტოვებთო... აგერ, უკვე 2 თვეა, რაც კეთილი ქალბატონი გარდაიცვალა. ჩვენ კი ოცნება აგვიხდა და ახლა სკუთარი ბინა გვაქვს...“

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

„ცხოვრებაში ერთი პატარა ნატვრაც ჯი არ ამხდენია“

„ახდენილი ოცნება? ალბათ, რა ბედნიერებაა, არა? ჩემი ოცნების ასრულების სურვილმა ათენში ჩამომიყვანა, მაგრამ ზოგჯერ მგონია, რომ ოცნებები არასოდეს სრულდება. თუ აგიხდება, ის ხომ ოცნება აღარაა? ის მუდამ ოცნებად უნდა დარჩეს, სულ რომ იოცნებო“.

„ჩემი ახდენილი ოცნება ჩემი შვილია. მართალია, მისი დაბადებისთვის დიდი ტკივილი და ბრძოლა გადავიტანე, მაგრამ ეს ყველაფერი ღირდა დედობისთვის. მარი, ეს დიდი სიყვარულის დიდი ამბავია და ოდესმე აუცილებლად მოგწერ. რა იქნება, რომ „გზავნილებს“ 20 გვერდი მაინც ეთმობოდეს?“

„მე და ვაჟა მაშინ 11 წლისები ვიყავით და სხვადასხვა სოფელში ვცხოვრობდით. მაშინ არც ერთს არ გვესმოდა, რა იყო სიყვარული. ცხოვრებამ ერთმანეთს დაგვაშორა და 33 წლის ასაკში, მეუღლეებს გაშორებულები ისევ შეგვყარა. 3 წელი უბედნიერესი ადამიანი ვიყავი. მერე რა, რომ ის ახლა ცოლს შეურიგდა? მერე რა, რომ ერთად აღარ ვართ? ჩემი ვაჟას გვერდით გატარებული 3 წელი მთელი ცხოვრების ტოლფასია. ოცნებას კი მხოლოდ ბედის რჩეულნი ისრულებენ“.

„ეეეჰ, ჩემი ოცნება ანასთან ერთად ცხოვრება იყო, მაგრამ ვინ დაგაცადა? გადაბურჯგნეს ჩემი ანა!“

„ოცნებები აუცილებლად აგიხდებათ, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ახალი წლის ღამეს ჩაიფიქრებთ. ჯერ კიდევ 2005 წელს, მწარედ და უიმედოდ ვიყავი შეყვარებული. თან ძალიან მაგარი ტიპი მიყვარდა. ყოველთვის ისეთი ბიჭები მომწონდა, რომელსაც გოგონები გასაქანს არ აძლევდნენ. სწორედ ასეთი იყო ჩემი რჩეულიც. ახალი წლის ღამეს ჩავიფიქრე, რომ ჩემი სიყვარული „ორმხრივი“ გამხდარიყო. 14 თებერვალს ამ ბიჭმა სიყვარული ამიხსნა. ახლა სულ კუდში დამდევს. არადა, მისი ყველა ყოფილი შეყვარებული ბევრად მჯობია. მას კი ჩემ გარდა აღარავინ უნდა. ამაზე ოცნებას სიზმარში თუ გავბედავდი. ახლა კი ყოველივე ეს ცხადზე ცხადია. მედუკა...“

„გეხმიანებით ლონდონიდან. მინდა, რომ ყველა ქალი ბედნიერი იყოს, მიუხედავად იმისა, რომ ქართველმა მამაკაცებმა არ იციან ქალის ფასი. პირადად მე, ეს ჯოჯოხეთი წარსულს ჩავაბარე. დღეს უზომოდ შეყვარებულ, ბრიტანელ მამაკაცთან ერთად ვცხოვრობ და ჩემი გადაწყვეტილების სისწორეში დღითი დღე ვრწმუნდები. მამაკაცებო, აჩუქეთ სითბო და სიყვარული მხოლოდ ერთ ქალს და ნუ გაანაწილებთ თქვენს სიყვარულს. მერწმუნეთ, თქვენი საქციელი თქვენ თვითონვე გასიამოვნებთ. დიდი მადლობა, სასიამოვნო რუბრიკისთვის. ხათუნა“.

„ლექსი ყველაზე უნაზესი, შენ უნდა გითხრა,/ ფიქრი, ყველაზე უწმინდესი, შენ უნდა განდო,/ შენზე ოცნებას მოვუნდები ყველაზე დიდხანს,/ და არასოდეს, არასოდეს დაგტოვებ მარტო... თორნიკე, მიყვარხარ უზომოდ. შენი პუპსიკუნა. მარი, თუ ამ მესიჯს დამიბეჭდავ, ეს იქნება ჩემი ახდენილი ოცნება“.

„საერთოდ, არ ვკითხულობ ჟურნალ-გაზეთებს. დღეს, შემთხვევით წავიკითხე „გზავნილები“. ძალიან გავერთე და მომეწონა. სახლში ყველა „გზას“ „დავერიე“ და ძველი მასალებიც წავიკითხე. გმადლობთ“.

„ჯერ ახდენილი ოცნება არ მაქვს. ვერ დავითრიე „ლოკომოტივის“ ფეხბურთელი, გიორგი კახელიშვილი, რომელიც უკვე ჩემს დაქალებსაც ესიზმრებათ“.

„ჩემი ოცნება ის იყო, რომ ძალიან მინდოდა, ერთი ადამიანის დედას მოვწონებოდი. მერე ისე მოხდა, რომ მე და ის ბიჭი ერთმანეთს დავშორდით. ახლა კი ისევ შევრიგდით და დედამისს ისე შევუყვარდი, რომ ჩვენს ერთად ყოფნაზე ოცნებობს. ასე ამიხდა ოცნება“.

„სწორედ ახლა გავიგე, რომ თურმე ჩემი ოცნება ახდა და საზღვარგარეთ წასვლაზე თანხმობა მივიღე. იქ კი მოუთმენლად მელიან მშობლები, ქმარი და ძმა. ხომ მაგარია? მიყვარხართ“.

„ეჰ, რომელ ახდენილ ოცნებაზე მელაპარაკებით? ცხოვრებაში ერთი პატარა ნატვრაც კი არ ამხდენია. არ მინდა, უბედობაზე ვიწუწუნო, რადგან ვიცი, არ შეიძლება, მაგრამ რა ვქნა, რომ არაფერში მიმართლებს? თუ წელს მისაღებ გამოცდებს წარმატებით ჩავაბარებ, თანაც ერთი ლამაზი ბიჭი თვალს გაახელს და დამინახავს, გეფიცებით, ჩემს უბედობაზე არასოდეს ვიწუწუნებ“.

„ოცნება იმისაა, რომ აუხდენელი უნდა დარჩეს. ახდენილი კი თავის შარმს კარგავს. ჩემი ოცნებაა, ბედნიერი ვიყო, ხოლო სურვილი — ვგავდე ბედნიერს. ნანკა“.

„მე ჯერ ბავშვი ვარ და შეიძლება „გზავნილები“ „საჩემო“ არ არის, მაგრამ მაინც გწერთ. დიდი ოცნებები ჯერ არ მაქვს, პატარა ოცნება კი ბევრი ამხდენია. სამომავლოდ მეც დიდ გეგმებს ვაწყობ და მარი, შესაძლოა, 6-7 წლის შემდეგ ერთ ცნობილ ადამიანთან გააკეთო ინტერვიუ, ჩემი სახით“.

„ჩემს სარკმელთან გაზაფხულის ღამე მოდგა,/ ჩემს საწოლთან გზაფხულის მთვარე ნათობს../ ჩემს სარკმელთან გაზაფხულის ქარი შფოთავს,/ მე კი ვზივარ ჩემს ოთახში, მარტოდმარტო... ჩემი ოცნებაა, რომ ერთ ხუთშაბათს მაინც ვნახო ჩემი მესიჯი „გზაში“. მარი, ამიხდინე ეს ოცნება, რა!“

„იცით, რა არის ჩემი ახდენილი ოცნება? საკუთარი მასწავლებელი რომ შევაბი და ცოლად გავყევი. თანაც, უმაგრესი აღმოჩნდა. დათო, მიყვარხარ! ეკა“.

„როგორც ყველა ადამიანს, მეც ბევრი ოცნება მაქვს, მაგრამ თუ რომელიმე ოცნება ამიხდა, ვგრძნობ, რომ აღარ მაინტერესებს და მიკვირს, ამაზე როგორ ვოცნებობდი-მეთქი? უკვე აღარ ვიცი, რაზე ვოცნებობ“.

მკითხველთა აფორიზმები

◆ ყველაზე იოლად ის ოცნება ახდება, რომლის რეალობაშიც ეჭვი არ გვეპარება.

◆ მომავალი იმისია, ვისაც საკუთარი ოცნების ახდენის სჯერა.

◆ ნათელ მომავალზე ოცნება ისეთივე სისულელეა, როგორიც — წარსულ შეცდომებზე სინანული.

◆ ჩვენ ვოცნებობთ ისეთ ქალებზე, რომლებზეც სხვები ოცნებასაც კი ვერ გაბედავენ.

◆ მამაკაცები მუდმივად ოცნებობენ უჩინმაჩინის ქუდზე, რომ შეუმჩნევლად შეძვრნენ: ახალგაზრდობაში — ქალების აბანოში, მოწიფულ ასაკში — ბანკში, ხოლო სიბერეში — სამოთხეში.

◆ ოცნების კოშკებს, როგორც წესი, ქვიშაში აგებენ.

◆ ცისფერი ოცნებები განსაკუთრებით მიმზიდველად ვარდისფერი სათვალიდან ჩანს.

◆ დონ-კიხოტების რიცხვი, ქარის წისქვილებზე ყოველთვის გაცილებით მეტია.

◆ თუ თქვენი ოცნება არ ახდა, ეი. ის ძალიან ჰგავდა სხვისას, რომელმაც მეტი მონდომებით იოცნება.

◆ თუ თქვენი ოცნების ქალი იპოვეთ, ეი. მისი ოცნება უკვე ახდა.

◆ თუ ოცნება აგიხდათ, ეს უკვე ოცნება აღარ არის. ეს გახლავთ საუკეთესოდ მოფიქრებული გეგმა.

◆ თუ ცისარტყელაზე ოცნებობ, მაშ, მზად უნდა იყო საიმისოდ, რომ წვიმაში დასველდე.

◆ თუ ოცნებები არ აგიხდა, „სეილი“ უნდა გამოაცხადო.

◆ კარგად რომ იოცნებო, გენიოსი უნდა იყო.

◆ ყველა მამაკაცი ოცნებობს ისეთ ქალზე, რომელიც ეყვარება, პატივს სცემს და... მოატყუებს.

◆ ყველა ოცნებობს, რომ გახდეს უკეთესი და არა — კარგი!

◆ ოცნება — სულის ფრთების სახელოსნოა.

◆ ოცნება ცარიელ ჭიქას ჰგავს, ნოსტალგია კი — დაცლილს!

◆ იდიოტის ოცნება: ლამაზი, მდიდარი ქალი, რომელსაც იდიოტი მოსწონს.

◆ მამაკაცის ოცნება: ქალისგან ისევ ნეკნი შექმნას.

◆ ვოცნებობთ ერთზე, ვიღებთ — მეორეს, ვადარებთ მესამეს, ალმოჩნდება, რომ მეოთხეს არაფრით ჰგავს, მეხუთეზე აღარაფერს ვამბობთ, თუმცა, რაღაცით მეექვსეს ვამსგავსებთ, ამ დროს კი მეშვიდეს გვერდით ვიმყოფებით.

◆ შეგიძლია მეოცნებე ადამიანს წაართვა ყველაფერი, გარდა „ხვალესი“.

◆ თუნდაც იმისთვის უნდა იოცნებოთ, რომ მიხვდეთ — ოცნებები არ ხდება.

◆ ოცნება, — მომავლის მოგონებაა.

◆ ოცნება — არაფერზე ფიქრის პოეტური საშუალებაა“.

◆ სუსტი ადამიანის ოცნება რეალობიდან გაქცევის საშუალება გახლავთ, ხოლო ძლიერი ადამიანის ოცნება — მომავლის ფორმირება.

◆ჩამოყალიბებული მამაკაცისა და ახალგაზრდა ყმაწვილის ოცნებები ერთნაირია. ოღონდ, პირველი რომ „წაიოცნებებს“, მეორე ფიქროს: საიდან მომდის ეს სულელური აზრები?

◆ ჯობს, ზოგიერთი ოცნება ისევ ოცნებად დარჩეს, რადგან ახდენის შემთხვევაში, ის მკაცრ სინამდვილედ იქცევა ხოლმე...

◆ არ არსებობს ისეთი „ბარაბნის“ ჯოხი, რომელიც დირიჟორის ჯოხად გადაქცევაზე არ „ოცნებობს“.

◆ ოცნებების დანგრევის შემთხვევაში, როდესაც მიწაზე დაშვებას დაიწყებთ, არ დაგავიწყდეთ პარაშუტის გახსნა!

ამჯერად „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ: ღვინო, დუდუკი, ქალები... ეს ალბათ უფრო „კაცური“ საუბრის თემაა, მაგრამ ვფიქრობ, ჩვენს მკითხველ მამაკაცებს ბევრი საინტერესო ამბის მოყოლა შეუძლიათ. თან მათ გულსაც მოვიგებთ, რადგან სულ მსაყვედურობენ, რომ ყურადღებას არ ვაქცევთ და ქალები ჩვენთვის „მიფერეკებით“... ძვირფასო მამაკაცებო, გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77)45.68.61. მოგვწერეთ თქვენი თავგადასავლები. ასევე ველი აფორიზმებს მოცემულ თემაზე... მე კი მომავალ ხუთშაბათამდე გემშვიდობებით.

■

საქართველოში საგასტროლოდ ჩამოსული, ლაშა ონიანის „მიმოდრამის თეატრს“ ევროპული პუბლიკა კარგად იცნობს. აი, საქართველოში კი, ის წარმოდგენებს მხოლოდ წელიწადში ერთხელ მართავს. როგორც ლაშა ამბობს, როდესაც „მიმოდრამის კომპანია“ შექმნა, მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდა — მსოფლიოსთვის ეჩვენებინა საკუთარი შემოქმედება...

პირველი აღიარება დასმა გერმანიაში მოიპოვა, შემდეგ ლაშას მეუღლეს, თინა ებიაშვილს მენეჯმენტის სადავეები მიანდვეს და გასტროლით ნახევარი მსოფლიო შემოიარეს. ონიანი-ებიაშვილის ტანდემმა ზაარბრიუკენში დაიდო ბინა. იქვე, როგორც ხუმრობენ, შექმნეს კომპანიის კიდევ ერთი „პროდუქცია“ — პატარა სვანი, ლუკას ონიანი...

„მიმოდრამის თეატრის“ ჰამლეტი, ჩინელების „ვახტანგური“, ხემბიონთა ლიგის ფინალი და მარიხუანის ფოთლებით მიღებული სიამოვნება

ემა ტუხიამვილი

ლაშა:

— შეიძლება ითქვას, სცენაზე არ დავბადებულვარ, მაგრამ იქ გავიზარდე: 5 წლის ვიყავი, როდესაც მშობლებმა ქართული ცეკვის სტუდიაში მიმიყვანეს და 14 წელი, ნაციონალური ცეკვებით ვიყავი გატაცებული. მიღებული მაქვს ამიერკავკასიის ფესტივალის ლაურეატის წოდება და ოქროს მედალი. 3 წლის განმავლობაში, ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ვსწავლობდი. ცეკვის გარდა, სპორტის სხვადასხვა სახეობასაც ვეუფლებოდი. სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩავირიცხე თეატრალურ ინსტიტუტში, კინოსა და დრამის ფაკულტეტზე, სადაც პანტომიმის სრული კურსი გავიარე. პირველსავე კურსზე სამუშაოდ მიმიწვიეს პანტომიმის თეატრში, სადაც 8 წელი გავატარე. შემოქმედებითი საქმიანობის პარალელურად, საბჭოთა ჯარშიც ვიმსახურე, სადაც — არც მეტი, არც ნაკლები, — სამხედრო აეროდრომზე ზედამხედველობა მევალებოდა. ეს იყო ერთ-ერთი მასშტაბური სამხედრო აეროდრომი მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით, სადაც ვორონეჟის სამხედრო სასწავლებლის სტუდენტები რეაქტიულ თვითმფრინავებზე სწავლებას გადიოდნენ... სამხედრო სამსახურის შემდეგ, თეატრალურ ინსტიტუტსა და პანტომიმის თეატრს დავუბრუნდი, მაგრამ იმის გამო, რომ ამ თეატრის მომავალი ჩემთვის ბუნდოვანი იყო, წამოვედი და „მიმოდრამის კომპანია“ ჩამოვაყალიბე.

— წარმატებისკენ მიმავალი გზა რთული იქნებოდა...

— 1989 წლიდან, ამ კომპანიის სამხატვრო ხელმძღვანელიც ვარ და თეატრალური დასის წევრიც. ძირითადი შემოქმედებითი ბირთვი 7 მსახიობისგან შედგება და ყველა მსახიობი — ქართველია, რასაც ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს. თაობათა ცვლაც „მიმოდრამის კომპანიაში“ ასე ხდება: ჩამოვდივარ თბილისში, ვატარებ კასტინგს და ახალგაზრდა, ნიჭიერ შემსრულებლებს ვარჩევ. ჩემი მსახიობები მრავალმხრივ განვითარებულები არიან. „მიმოდრამის თეატრის“ მსახიობი ისევე კარგად უნდა ფლობდეს საბალეტო ხელოვნებას, როგორც ნაციონალური ცეკვის პლასტიკას. არ არის გამორიცხული, რომ სცენაზე აკრობატული ტრიუკების შესრულებაც მოუხდეს, ამიტომ კარგია, თუ მსახიობს სპორტული მომზადების კურსიც აქვს გავლილი. დრამატურგიასა და სამსახიობო ხელოვნებას თავად ვასწავლი. გარდა ამისა, მუსიკალურ კოლაჟებსა და კლიპებს საკუთარი პროდუქციისთვის თავად ვქმნით. ჩვენი კომპანიის ოფისში, ზაარბრიუკენში ამისათვის ყველა საჭირო ტექნიკური მოწყობილობა გვაქვს: რამდენიმე ვიდეოკამერა, სამონტაჟო პულტი...

— როგორ გაჭერით პირველი სარკმელი საქართველოდან ევროპაში?

თინა ებიაშვილი:

— 1993 წელს, ჩვენი თეატრის გულშემატკივარმა, როლფ შენდინგმა თბილისში ჩამოგვიტანა კონტრაქტი, სადაც ეწერა, რომ „პეეოს“ წარმომადგენლობა გერმანიაში, საპრეზენტაციო ჩვენების მოსაწყობად გვიწვევდა. არავის შეექმნას იმის ილუზია, რომ „პეეო დოიჩლანდი“ იცნობდა „მიმოდრამის თეატრის“ ხელოვნებას — უბრალოდ, ისინი რისკზე წავიდნენ და შენდინგის სიტყვას ენდვნენ. ზაარბრიუკენში პირველივე გამოსვლა წარმატებული აღმოჩნდა. შედეგა რამდენიმე მნიშვნელოვანი კონტრაქტი და გასტროლები გაგრძელდა საფრანგეთში, სადაც პარიზის კინოს სახლში ვითამაშეთ „ჰამლეტი“. ამის შემდეგ, ვიმოგზაურეთ შვეიცარიაში, დანიაში და ა.შ. შემიძლია გითხრათ, რომ ესპანეთისა და პორტუგალიის გარდა, „მიმოდრამის კომპანიას“ მთელი ევროპა აქვს მოვლილი. რამდენიმე გასტროლი ლათინურ ამერიკაშიც გვქონდა.

— ლაშა, ფეხბურთის გულშემატკივარი სტადიონებზე, მნიშვნელოვანი თამაშების წინ დადგმული მასშტაბური შოუების ავტორად გიცნობთ...

— რამდენიმე წლის წინ, გერმანიაში „ჰამლეტის“ სახლში“ (ასეთი სახელწოდება აქვს ერთ-ერთ გერმანულ თეატრს) ვითამაშეთ „ჰამლეტი“. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ, ჩემთან მოვიდა მამაკაცი, რომელიც ევროპის უდიდესი დასასვენებელი პარკის მფლობელად გამეცნო და თანამშრომლობა შემომთავაზა. როგორც გაირკვა, ამ კაცს 180-კაციანი შოუდასი ჰყავდა და სურდა, რომ ამ დასისთვის მასშტაბური შოუ დამედგა. ამის შემდეგ, „ევროპა-პარკის“ მფლობელმა კიდევ ერთხელ დამირეკა და გერმანიისა და ჰოლანდიის საფეხბურთო ნაკრების შეხვედრისთვის სანახაობის დადგმა მთხოვა. მართლა შთამბეჭდავი შოუ გამოვიდა. მსახიობების ერთ ნაწილს, გერმანიის საფეხბურთო ნაკრების ფორმა ჩავაცვი, მეორეს კი —

ჰოლანდიის და ჩვენების დასასრულს, ისე ჩავახუტე ერთმანეთს, როგორც ჩვენში „ვახტანგურის“ დალევისას გვჩვევია. თამაში ისე დასრულდა, რომ გულშემატკივრებს ერთმანეთში შეხლა-შემოხლა არ მოსვლიათ, რაც დიდი იშვიათობაა ამ ორი გუნდის შეხვედრის დროს. მახსოვს, კომენტატორმა აღნიშნა: ეს სულ სანახაობის შემრიგებლური სულისკვეთების წყალობაა... ათამდე ასეთი შოუ მაქვს გაკეთებული, მაგრამ თბილისში ეს მას შემდეგ გახდა ცნობილი, რაც გელზენკირხენში ჩემპიონთა ლიგის ფინალური შეხვედრა გაიხსნა ჩემ მიერ დადგმული სანახაობით და სტადიონზე შემთხვევით, თბილისიდან ჩამოსულ დიმა ობოლაძეს შევხვდი. მოკლედ, ეს ამბავი საქართველოში დიმამ „გამიბაზრა“... 17 მაისს, ჩემპიონთა ლიგის მორიგი ფინალისთვის კიდევ ერთი შოუ მაქვს მოსაფიქრებელი, ამიტომ 11-ში საღამოს, უკვე მივფრინავ საქართველოდან.

— ცნობილ ფეხბურთელებთან ურთიერთობის საშუალება თუ მოგცემიათ?

— თამაშის დღეს, თითქმის შეუძლებელია, რომელიმე ცნობილ ფეხბურთელს ახლოს მიეკარო. ყოველ მათგანს მრავალრიცხოვარი დაცვა ჰყავს. მაგრამ მაშინ, როდესაც ჩემი შოუდასი მინდორზე რეპეტიციას გადის, ფეხბურთელები თამაშის წინ ხურდებიან. სწორედ ამ დროს მქონია შესაძლებლობა, გავსაუბრებოდი ზიდანს, ბალაკს, ოლივერ კანს. როგორც წესი, სპორტსმენებთან საუბრის თემა ყოველთვის სპორტია, მაგრამ თვითონ კმაყოფილებას გამოხატავენ ხოლმე შოუს გამო. თამაშის წინ, ასეთი სანახაობის მოწყობას თავისი დატვირთვა აქვს. შოუ

მაყურებელში ემოციებს აღძრავს და ფეხბურთელების გამოჩენას ისინი უკვე გაორმაგებული ყიჟინათი ხვდებიან... ფეხბურთის ვარსკვლავებთან ურთიერთობა სტადიონის მიღმაც მქონია. მაგალითად, საშობაო შეხვედრის რეჟისურა გავუკეთე მიუნხენის „ბავარიის“ საფეხბურთო გუნდს, სადაც მილანის ფეხბურთელები ჰყავდათ მიწვეული. შემიძლია გითხრათ, რომ ცნობილი ფეხბურთელები ცოტას ლაპარაკობენ და ალკოჰოლურ სასმელებს თითქმის არ სვამენ.

— ბევრს მოგზაურობთ სხვადასხვა ქვეყანაში. ალბათ ეგზოტიკური კერძები არაერთხელ გაგისინჯავთ, არა?

თინა:

— ორჯერ ვიყავით კოლუმბიაში და თეატრ „მეტროპოლიტანოში“ გავმართეთ წარმოდგენა. სპექტაკლის შემდეგ, მადლიერმა მაყურებლებმა უცნაური ფერის ნამცხვარი მოგვართვეს და დასძინეს: მსუბუქად დანაყრდით, ვიდრე წვეულებაზე მობრძანდებოდეთო. დასის წევრებმა და კომპანიის სხვა თანამშრომლებმა ნამცხვარი პირდაპირ საგრიმიოროში დავაგემოვნეთ და ცოტა ხანში მივხვდით, რომ მთლად კარგად ვერ ვგრძნობდით თავს... ბევრი რომ აღარ გავაგრძელო, კაიფში ვიყავით, ნამცხვარი კი, როგორც შემდეგ გაირკვა, მარიხუანის ფოთლებისგან იყო დამზადებული. ისე მოგვეწონა, რომ წვეულებაზე მისულმა, კოლუმბიელებს კიდევ ერთი ნამცხვარი შევუკვეთე: ხვალ ხილის ნამცხვარიც მომიტანეთ, ოღონდ, კრემი აუცილებლად მარიხუანის ფოთლების უნდა ჰქონდეს-მეთქი...

ლაშა:

— კოლუმბიელებს ძალიან უცნაური სამზარეულო აქვთ. ერთხელ, ღია ცის ქვეშ

მოწყობილ მუზეუმში დაგვპატიჟეს და უზარმაზარ ტროპიკულ ფოთლებში გახვეული კერძი შემოგვთავაზეს. რომ გავხსენით, იქიდან ისეთი ოხშივარი ამოვარდა, პირუტყვის ნეხვი ეგონებოდა კაცს. ვინ დააკარებდა პირს ამ საზიზღრობას?! კოლუმბიელებმა კი, წყრომით მოგვიგეს — ამას პიკნიკების დროს მივირთმევთო.

— საკმაოდ მრავალრიცხოვანი პუბლიკა გყავთ. ცნობილი ადამიანები თუ არიან მათ შორის?

— როდესაც მიუნხენში „დოიჩე თეატრში“ გავმართეთ წარმოდგენა, მაყურებლებს შორის, ბორის და ბარბარა ბეკერები იყვნენ. ჩვენი თეატრის რეპერტუარს კარგად იცნობს გერმანიის ყოფილი კანცლერი, გერჰარდ შრიოდერი. სპექტაკლებზე არაერთხელ გვინახავს: ჰელმუტ კოლი, ოსკარ ლაფონტენი და სხვა მრავალი გამოჩენილი ადამიანი.

თინა:

— სხვათა შორის, გერმანიის ახლანდელი კანცლერის, ანგელა მერკელის წინასაარჩევნო შოუ 2005 წლის აგვისტოში, ლაშამ დადგა. სპექტაკლებზე კი, ხშირად მინახავს გერმანიის პრემიერ-მინისტრი და სხვა მაღალჩინოსნები.

— ლებსაც ხშირად ხვდებით უცხოეთში, არა?

— ყოფილა შემთხვევა, როდესაც სპექტაკლის შემდეგ მოსულა ვიღაც უცხოელი, „დამტვრეული“ ქართულით სამი სიტყვა უთქვამს და უცნობებია, რომ წარჩინებული ქართული გვარის წარმომადგენელია. როგორც ხვდებით, ისინი ემიგრანტი ქართველების შთამომავლები არიან. ხოლო რაც შეეხება ახალჩასულ ქართველებს — ზაარბრიუკენში ჩვენი სახლის კარი ყველასთვის ღიაა...

ლაშა:

— არ დაიჯერებთ, მაგრამ ერთხელ კიოლნში სვანების შეკრებაზეც კი ვიყავი. დამირეკეს, დამპატიჟეს და მინიბუსით სვანები მთებში გავემგზავრეთ. უამრავი სანოვაგე წავიღეთ და ორი დღე ვქეიფობდით, თან, მხოლოდ სვანურად ვლაპარაკობდით.

— საქართველოში ცოტა ხნის წინ ჩამოხვედით და მალევე ბრუნდებით უკან. სამშობლოში ჩამოსვლის მიზანი ამჯერად, რა იყო?

— თბილისს წელინადში ორ-სამჯერ მაინც ვსტუმრობთ. ქართველ მაყურებელს ჩვენი თეატრის მთელი რეპერტუარი აქვს ნანახი და ყოველთვის ასე იქნება. ახლაც, 8 მაისს, ოპერისა და ბალეტის თეატრში ვითამაშებთ „ჰამლეტს“. შარშან კი, ქართულ პუბლიკას „კარმენი“ წარმოვუდგინეთ. 11 მაისს მივემგზავრებით საფრანგეთში, მაგრამ მანამდე მივიღებ მონაწილეობას შოუში, რომელიც ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში შედგება. სამომავლოდ, ბევრი ჩანაფიქრი მაქვს. მინდა დავდგა: „სამი მუშკეტერი“, სპექტაკლი სახელწოდებით „სამშობლო“ და „ქეთევან წამებული“. თბილისში ყოფნისას გავიცანი საინტერესო ადამიანი — ზურა ჩხაიძე. მასთან მომავალშიც ვაპირებ თანამშრომლობას და არ გამოვრიცხავ, რომ მალე თბილისშიც დავდგამ, მასშტაბურ შოუს, რომელიც შემდეგ, ევროპაში გაიყიდება...

■



ლაშა ონიანი

თინა ებიაშვილი

იმედები, ჩოქლეები ხელისუფლებაც ხალხს გაუჩნდა, კრიმინალებად ქცეული კოვპოები და ჩას ნიშნავს დემოკრატიის „სტეჩილური ნოჩები“

რა გზას ვადგავართ, საით მიდის ქვეყანა? — ეს კითხვები ხშირად ისმის სხვადასხვა დონის ტრიბუნიდან თუ ტელე და რადიოეთერში; ბუნებრივია, ხელისუფლების და ოპოზიციის მომხრეთა პასუხები ურთიერთსაწინააღმდეგოა. რომელ მხარესაა მეტი (დიახ, მეტი და არა — სრული) სიმართლე? ამას ალბათ, დრო გვიჩვენებს. საზოგადოების გამორჩეულ წარმომადგენელთა მიერ დღეს გამოთქმული შეხედულებების მართებულობასა და სიცოცხლისუნარიანობასაც ობიექტურად, გარკვეული ხნის შემდეგ შევაფასებთ...

დამოუკიდებელი საქართველოს ორი კანონიერად არჩეული პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას და მიხეილ სააკაშვილის მრჩევლის, პოლიტოლოგ გიორგი გაჩეჩილაძის მოსაზრებები ბევრისთვის მისაღები იქნება, ბევრისთვის — მიუღებელი. მაგრამ ვფიქრობთ, მთავარი ის გახლავთ, რომ დღევანდელობაზე საუბრისას, ვეცადოთ, ღრმად ჩავწვდეთ მიმდინარე პროცესებს და ხელისუფლებისა და ოპოზიციის პლუსებისა თუ მინუსების გარჩევისას, მხოლოდ პოლიტიკურ ძალებზე მსჯელობით კი არ შემოვიფარგლოთ, არამედ ქვეყნის საწუხარზე დავფიქრდეთ...

ირმა ხარშილაძე

— ორი წლის წინ რევოლუციის შედეგად მოსული ხელისუფლების ნაწილი დღეს ოპოზიციაში აღმოჩნდა. თქვენი აზრით, რამ გამოიწვია ერთი პოლიტიკური ძალის ორ ჯგუფად გაყოფა, ურთიერთგათიშვა?

— როდესაც თვალს ვავლებ ამ ორი წლის განმავლობაში, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის წარმოქმნილ კონფლიქტს, მაგონდება რამდენიმე დემარში. პირველი იყო შარშან, რუსთაველის პროსპექტზე გამართული საპროტესტო გამოსვლა, რომელიც უკავშირდებოდა გამომძალველობაში ბრალდებული მოჭიდავეების მხილების ფაქტს; მეორე — ე.წ „საკასო რევოლუციას“ და მესამე — ქურდების ბუნტს ციხეში. ეს მოვლენები თავისებური ტესტია, რომლის მეშვეობითაც, მოწმდება ოპოზიციის ინტელექტუალური დონე, ფასეულობათა სისტემა, კრიტერიუმები. ძალიან არ მსიამოვნებს ამის თქმა, მაგრამ სამივე შემთხვევა პატივს არ დებს ოპოზიციას, რადგან თითოეული, მისი სრული კომპრომეტაციით დაგვირგვინდა. მაგრამ უფრო საინტერესოა, აქედან გამომდინარე, მივიღოთ პასუხი გაცილებით სერიოზულ კითხვაზე: რით შეიძლება, ყველაფერი ეს დამთავრდეს? შემიძლია, პირდაპირ გიპასუხოთ: ეს შეიძლება დამთავრდეს მხოლოდ ერთი რამით — ოპოზიციის სრული თვითლიკვიდაციით...

— გამოდის, რომ თქვენი აზრით, ხელისუფლება ყოველთვის მართალია ოპოზიციის შეფასებისას?..

— იცით, რა?.. ოპოზიცია რომ სუსტია, ეს თვალნათლივ ჩანს თვით ოპოზიციის პოზიციაში: გაირკვა, რომ მას არანაირი პოზიცია არ გააჩნია. ქვეყანაში, რომელსაც ტერიტორიები აქვს დასაბრუნებელი და ფაქტობრივად, საომარ მდგომარეობაში იმყოფება, შენ მიისწრაფვი დესტაბილიზაციისკენ, იხმობ რევოლუციურ ლოზუნგებს, უბიძგებ საზოგადოებას ახალი სახელმწიფო გადატრიალებისკენ, — მაშ, როგორ მოიპოვებ საზოგადოების ნდობას, იმ გამოცდილების შემდეგ, რომელიც მან 1991-92 წლებში მიიღო, რუსეთის მიერ პროვოცირებული პუტჩის შედეგად, რასაც მოჰყვა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დაკარგვა, მილიონ-ნახევარი ადამიანის სამშობლოდან განდევნა, სახელმწიფოს სათავეში კრიმინალების მოსვლა, ეკონომიკური ნგრევა და ფაქტობრივად, ქვეყნის კოლაფსში ჩავარდნა?! მაშინ, როცა იდგმება პირველი ნაბიჯები სახელმწიფოებრივი სტრუქტურების შესაქმნელად, რეალურად იკვეთება ნატოში შესვლის პერსპექტივა, ევროსაბჭოში გაწევრების, რუსეთის სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანის რეალური შანსი, ხუთჯერ გაიზარდა ბიუჯეტი, რაც მეტ-ნაკლებად უკავშირდება კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას და მისი მასშტაბების შემცირებას, — ასეთ სიტუაციაში ოპოზიციის პოზიცია საზოგადოებისთვის გაუგებარი ხდება. ოპოზიციას და ხელისუფლებას აერთიანებს ნიადაგი ანუ ერთიანი სასიცოცხლო სივრცე — სამშობლო. სამშობლო და მისი კეთილდღეობა, მისი აწმყო და მომავალი არის ის ფუნდამენტი, რომელზეც დგას ოპოზიციაც და ხელისუფლებაც... გასათვალისწინებელია ერთი მთავარი მომენტი, ოპოზიცია — იქნება ეს, ქუჩის ოპოზიცია (პოლიტიკური ძალები, რომლებიც ვერ მოხვდნენ პარლამენტში და ბუნებრივია, თვითდამკვიდრებისთვის იბრძვიან), თუ ის, რომელიც მმართველ პარტიასთან ერთად მოვიდა ხელისუფლებაში და ახლა, ადვილად მოძებნა საერთო ენა ქუჩის ოპოზიციასთან, — და ხელისუფლება მოვლენებს სხვადასხვა კუთხიდან უყურებენ. ეს არის საგაზეთო სიტუაცია, რომელში გაურკვევლადაც ვერ ვუპასუხებთ დროის მიერ ჩვენ წინაშე დასმულ კითხვებს. მაკიაველიმ შენიშნა, რომ ადამიანები, რომლებიც ცხოვრებას აღიქვამენ არა ისეთს, როგორიც არის, არამედ ისეთს, როგორიც უნდათ, რომ იყოს, უმეტეს შემთხვევაში, იღუპებიან. ხელისუფლების უპირატესობა ის გახლავთ, რომ მოვლენებს, რეალობას აღიქვამს ისეთს, როგორიც არის და რამდენადაც შეუძლია, უმკლავდება კიდეც მას. რაც შეეხება ოპოზიციას — მისი ტრაგედია და უბედურება (ამდენად, ქართული საზოგადოების ტრაგედიაც) არის ის, რომ რეალობას აფასებს ისეთს, როგორიც უნდა, რომ იყოს. ეს უტოპიაა. არასდროს იარსებებს სახელმწიფო, სადაც არ იქნება ძალმომრეობა, კორუფცია, არასოდეს იარსებებს სახელმწიფოში ძალოვანი სტრუქტურები, სადაც ფრთიანი ანგელოზები იმუშავებენ და არასოდეს აშენდება დედამიწაზე სამოთხე და კომუნიზმი — აი, ის ფაქტორები, რომლებიც საშუალო დონის ინტელექტის მქონე ადამიანს უნდა ესმოდეს და გაირკვა, რომ არ ესმის ჩვენს ოპოზიციას.

— თქვენ ფიქრობთ, რომ ქართველი ოპოზიციის პროტესტში არაა გაზიარებული ხალხის — უბრალო ადამიანების პრობლემები, გულისწყრომა ან იქნებ, ამ ხალხს არა აქვს ხელისუფლების მიმართ გულისწყრომის მიზეზი?

— ხელისუფლების მიმართ გულისწყრომის მიზეზი გახლავთ ის, რომ ჩვენ წინაშე დგას რაღაც იდეალი, რომელსაც პირობითად, „მოლოდინის ჰორიზონტი“ შეიძლება ვუწოდოთ. რეალობა კი ისაა, რომ ძალზე ხშირად, მოლოდინის იმედი ცრუვდება. გარკვეულ საკითხებში ხელისუფლებამ იმედი გაუცრუა საზოგადოებას, რომელიც ქვეყნის სათავეში ამ პოლიტიკური ძალის მოსვლისკენ ისწრაფოდა. ეს არის მედალი, რომელსაც აქვს ორი მხარე: რა შეეძლო ხელისუფლებას, რომ გაეკეთებინა და არ გააკეთა და გააკეთა თუ არა, რაც შეეძლო? საკითხის ამგვარად დასმის შემთხვევაში, დავინახავთ, რომ ხელისუფლებამ გააკეთა მაქსიმუმი, რაც შეეძლო: ხელისუფლება, თავისი რეიტინგის დაკარგვის საფასურად, დიდ რისკზე წავიდა, როდესაც საზოგადოების კრიზისიდან გამოყვანის მიზნით, რადიკალური რეფორმები წამოიწყო. რეფორმები ყოველთვის იწვევს ძველის მსხვრევას, ძველის მსხვრევას კი — ტკივილი, ტრავმები მოსდევს. ამან, გარკვეული აზრით, გამოიწვია ხელისუფლების აქციების გაუფასურება, რეიტინგის დაცემა, მაგრამ ეს მეტყველებს ხელისუფლების უპირატესობაზე, მის უნარზე, გადადგას რადიკალური ნაბიჯები უფრო დიდი მიზნების მისაღწევად, უფრო მაღალი ფასეულობების დასამკვიდრებლად, ვიდრე ამწუთიერი, „დღევანდელი კვერცხის“ ფილოსოფიის მომხრეებს წარმოუდგენიათ. ოპოზიციის ერთადერთი ნაკლი ისაა, რომ არ ესმის, რა არის სახელმწიფო. სახელმწიფო არის საზოგადოებრივი პროექტი, ეროვნული თანხმობის პროექტი, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ისეთ პროგრამები, რომელთა განხორციელება არ შეუძლია ცალკეულ ინდივიდს, მისი განმახორციელებელი უნდა იყოს მხოლოდ სახელმწიფო. განა თვითმიზანია, გზების გაყვანა? ამას აქვს კონკრეტული პრაქტიკული, პრაგმატული დანიშნულება: უმუშევართა დასაქმება და მეორე, ყველაზე მნიშვნელოვანი, საქართველოში ინფრასტრუქტურის შექმნა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, ეკონომიკის ფეხზე დასაყენებლად. ასეთი ნაბიჯის გადადგმა მიუთითებს იმაზე, რომ ხელისუფლებას ესმის, რა დროს, რა უნდა გააკეთოს. რა თქმა უნდა, მის მიერ გადადგმული ნაბიჯები, როგორც ასეთ დროს, ყოველთვის ხდება, ხშირად — ნაჩქარევი, ხშირად — მოუმზადებელია. ავიღოთ თუნდაც, სალარო-აპარატების შემოღება: ხელისუფლებამ ხელიდან გაუშვა შანსი, რომ წინასწარ მოემზადებინა საზოგადოება ამ პროგრამის განსახორციელებლად და ისე დაიწყო ამის გაკეთება, რომ ამას გაუგებრობა და პროტესტი მოჰყვა. ხელისუფლების შეცდომა იყო, მაგალითად, გარე ვაჭრობის აკრძალვაც. არავინ დაობს იმაზე, რომ ქუჩებში ანტისანიტარია არ უნდა იყოს, რომ ქუჩები არ უნდა იყოს ჩაბნელებული, შენობები — ცემენტისფერი და ქალაქში სიცოცხლე უნდა ფეთქავდეს...

— არც ხალხი უნდა იყოს მშიერი...

— ...და არც ხალხი უნდა იყოს მშიერი!.. ამაზე არავინ დაობს. მაგრამ სადავო არის ის, რომ ჯერ უნდა გამოყო ბაზარში ადგილები ქუჩის მოვაჭრეებისთვის და მერე ჩაატარო რეფორმა და არა — პირიქით. მაგრამ ასეთი შეცდომები მთავრობას უფრო გამოუცდელობის გამო მოსდის. ეს ხომ არ არის მიზანდასახული ბოროტება?! უბრალოდ, ხშირად, თავს იჩენს ზედმეტი ენთუზიაზმი, სიკეთის გაკეთების სურვილი, რომელიც არ არის გამაგრებული ამ სიკეთის გაკეთების ტექნოლოგიის ცოდნით. ამიტომ, ეს არის ისეთი ნაკლი, რომელიც ოპოზიციას აძლევდა შესანიშნავ შანსს, ყოფილიყო კონსტრუქციული და არა — დესტრუქციული და წყნარად ერჩია ხელისუფლებისთვის — ჯერ ბაზარში მოუძებნე ამ ადამიანებს ადგილი, დაასაქმე ისინი და მერე ჩაატარე რეფორმაო, — და არ აეტეხა სკანდალი. ეს არ არის ისეთი პრობლემა, რომელიც შეიძლება იქცეს რევოლუციის, სახელმწიფო გადატრიალების, ხელისუფლების შეცვლის საფუძვლად.

— დიდი მღელვარება მოჰყვა ახალგაზრდა კაცის — სანდრო გირგვლიანის მკვლელობას. საზოგადოებას ბევრი კითხვა გაუჩნდა და ხელისუფლებისაგან ამომწურავი პასუხი ვერ მიიღო. პროტესტს ოპოზიციაც შეუერთდა...

— აი, ესაა საქმე: ოპოზიციამ ეს თავის სასარგებლოდ გამოიყენა. ჩემი აზრით, ეს მკვლელობა არის ტესტი, რომლითაც მოწმდება, ერთი მხრივ, ქართული სახელმწიფოებრიობის ავ-კარგი, ინტელექტუალური „ავლადიდება“, მეორე მხრივ — ოპოზიციისა და მთელი საზოგადოების ინტელექტუალური „ავლადიდება“. მინდა გითხრათ, რომ აქ ჩანს ოპოზიციის გარკვეული დაუდევრობა, დილეტანტიზმი, სახელმწიფოებრიობაზე წარმოდგენის არქონა. როგორ გგონიათ — შეიძლება, სადმე არსებობდეს ძალოვანი სტრუქტურა, სადაც (წეღანაც ვთქვი) ფრთიანი ანგელოზები მუშაობენ და ყველაფერი კანონიერების ფარგლებში ხდება, არა აქვს ადგილი ანგარებას, ძალმომრეობას?.. ამას ვერც ერთ სახელმწიფოში ვერ ვნახავთ. არც საქართველოა გამონაკლისი. შსს-ში აღმოჩნდა ოთხი ნაძირალა თანამშრომელი, რომელმაც ჩაიდინა საშინელი დანაშაული და ოთხივე, სახელმწიფომ დააპატიმრა, ოღონდ — ეს არ არის საკმარისი...

— იმიტომ, რომ თავად დაზარალებული მხარე ამტკიცებს — მკვლელი მარტო ეს ოთხი კი არა, უფრო მეტიაო...

— ეს არის უმარტივესი, უპრიმიტიულესი პიარი, რომელიც გარკვეულმა ძალებმა ააგორეს იმის დასამტკიცებლად, რომ ხელისუფლება არის ქმედუუნარო, არაადეკვატური. იცით, ეს საქმე ვინ გამოიძია?.. პრეზიდენტმა. პრეზიდენტი დაინტერესდა ამ ამბით, დაიბარა სანდრო გირგვლიანის გადარჩენილი მეგობარი და დეტალურად გამოჰკითხა, თუ რა მოხდა იმ ღამეს. ის კაციც მოუყვა ყველაფერს და დაუსახელა ყველა, ვინც მონაწილეობდა მკვლელობაში.

— კი, მაგრამ გამოძიება ხომ პრეზიდენტის კომპეტენცია არ არის...

— აქ რაზეა ლაპარაკი, იცით?.. რაკი ამ ამბავს ასეთი საზოგადოებრივი რეზონანსი მოჰყვა, ამასთან, პრეზიდენტი განათლებით იურისტია, მან საკუთარ თავს მისცა უფლება, ჩარეულიყო საქმეში, რაში ჩარევის უფლებაც საერთოდ, არა აქვს. პრეზიდენტმა აიძულა შესაბამისი სამსახური, კანონიერების ფარგლებში გამოეძია და დაესაჯა დამნაშავეები, რაც გაკეთდა კიდეც. საზოგადოება მაინც უკმაყოფილოა...

— მავანს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნება, თითქოს თქვენი აზრით, ქვეყანაში ყველაფერი იმდენად კარგად მიდის, რომ ხელისუფლების მიმართ გამოთქმული ნებისმიერი საყვედური არათუ უმართებულო, არამედ ქვეყნისთვის საზიანოც კია. ხომ ფაქტია, რომ საკმაოდ სუსტი ეკონომიკა გვაქვს და მას დიდ დარტყმას აყენებს მეზობელი რუსეთის, როგორც ქართული პროდუქციის გასაღების ბაზრის დაკარგვა?!

— ერთი გენიალური ქართული ანდაზა არსებობს: „ზოგი ჭირი მარგებელია“. რაც რუსეთმა ჩაიდინა, ეს უნდა გვენატრა კიდეც, იმიტომ, რომ ქართული ეკონომიკა ისეა მიბმული რუსეთზე, სხვა შემთხვევაში, არ დაჩქარდებოდა მასთან პოლიტიკური და ეკონომიკური დისტანცირების პროცესი ისე ფორსირებულად, როგორც ეს რუსეთის ამგვარი პოზიციის გამო მოხდა. ამიტომ, რაც ჩაიდინა რუსეთმა, რა თქმა უნდა, ეს არის დარტყმა ქართული ეკონომიკისთვის, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს არის სტიმული, გამოწვევა, რომლის საპასუხოდაც, საქართველო უფრო დიდ ბაზარზე, უფრო ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გავა. საქართველო ღვინის სამშობლოა, ქართველებს მსოფლიოში უნიკალური ღვინო გვაქვს და ეს ღვინო ტრიუმფით დაბრუნდება რუსულ ბაზარზე. აქ არის ერთი საინტერესო მომენტი: დარწმუნებული ვარ — როდესაც რუსეთის ექსპერტი აცხადებს, რომ ქართულ ღვინოში არის პესტიციდები და ის უხარისხოა, — ეს ნათქვამი 70-80%-ით სიმართლეს შეესაბამება. და ის, რომ არ უნდა გაიტანო ექსპორტზე უხარისხო, ფალსიფიცირებული ღვინო, — ეს სიმართლე შენთვის სტიმულად იქცევა... ხელისუფლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ აღნიშნული ემბარგოს გამოცხადებამდე, მას უკვე დაწყებული ჰქონდა ღვინის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ დიდი კამპანია და უახლოეს მომავალში, ყოველ შემთხვევაში — გაისად, საქართველოს ექნება უნიკალური, უმაღლესი ხარისხის ღვინო, რომელიც დაიკავებს შესაფერის ადგილს მსოფლიო ბაზარზე. ამ საკითხთან დაკავშირებით ხელისუფლების მიმართ პრეტენზიების გამოთქმა უსაფუძვლო იქნებოდა. რა თქმა უნდა, გარკვეული აზრით, შეიძლება, მან დააგვიანა, მაგრამ 2 წლის არის და შარშან რომ დაიწყო ბრძოლა, რატომ არ უნდა დაუფასო?!

— გეთანხმებით. ვთქვათ, ეს არ არის გადაუჭრელი პრობლემა. მა-

გრამ რა ეშველება ამდენ გაჭირვებულ, უმუშევარ, მშიერ ადამიანს?

— აი, ეს არის ყველაზე სერიოზული პრობლემა, რომლის წინაშეც დგას ხელისუფლება. ეს პრობლემა გავლენას ახდენს ყველაფერზე — შეიარაღებულ ძალებზე, ქვეყნის უსაფრთხოებაზე, მორალურ კლიმატზე... რა არის ამის მიზეზი? ამის მიზეზი ძალზე მარტივია. ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება დაამხო ოთხმა სოციალურმა ფენამ, ეს იყო: კომპარტიული ნომენკლატურა, მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ნაწილი, კრიმინალური სამყარო და ქართველი ოლიგარქები. აი, ამ ოთხმა სოციალურმა ფენამ მიიღო რუსეთისგან დაფინანსება — 65 მილიონი რუბლი და ამ თანხად გაყიდა საქართველო, დაამხო დამოუკიდებლობის გამომცხადებელი ხელისუფლება და პრეზიდენტი, რასაც შედეგად მოჰყვა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში ყველასათვის ცნობილი მოვლენები, ქვეყნის ძარცვა და ხელისუფლებაში კრიმინალების მოსვლა... დღევანდელმა ხელისუფლებამ დაიწყო ფიქრი საქართველოს თავს დამტყდარი უბედურებების მიზეზებზე, რათა ეს აღარ განმეორებულიყო და გაირკვა: საკუთარი ერის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობდა ეს ოთხი სოციალური ფენა. მითხარით, დღეს საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ რომელი სოციალური ფენები იბრძვიან გააფთრებით, ვინ უპირისპირდება რეფორმებს, ვინ არის წინააღმდეგი განათლების რეფორმის, ვინ ლაპარაკობს, რომ მეცნიერება იდევნება, რომ ქვეყანა დაიქცა, გაუბედურდა?.. გიპასუხებთ: ისტორია მეორდება... ახლა გავიხსენოთ: სახელმწიფო არის ძალის განსახიერება, ეს არის ლეგიტიმური ძალა, რომლის გამოყენების უფლებას, რაკი შენ აგირჩია, შენვე გაძლევს ხალხი, შენ დაგეკისრა ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემების გადაწყვეტის საქმე. რა გააკეთა საქართველოს პრეზიდენტმა?.. დაიბარა ე.წ. საქართველოს ოლიგარქები და უთხრა: თქვენ გაქვთ უკანონოდ შეძენილი ქონება, გაძარცული გყავთ საკუთარი ხალხი; გიცხადებთ ამნისტიას, არ გდებთ ბრალს ჩადენილ დანაშაულში, მაგრამ კეთილი ინებეთ, მუთაქებში რომ ჩაგიტენიათ, ის ფული გამოიტანეთ და გახსენით საწარმოები, დაასაქმეთ ხალხი, გადაიხადეთ გადასახადი, რომელსაც კანონიერად უნდა უხდიდეს მეწარმე სახელმწიფოს და სახელმწიფოს თქვენდამი პრეტენზიები არ ექნებაო. რით უპასუხეს ქართველმა ოლიგარქებმა?.. ერთი ახალი საწარმოც კი არ გაუხსნიათ!.. ხელისუფლება იძულებული გახდა, სანამ ამ პრობლემას სხვა გზით მოაგვარებდა, დაეწყო უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად ზრუნვა. დაიწყო გზების გაყვანა, ქართული ტურიზმის განსავითარებლად ინფრასტრუქტურის შექმნა და, რაც მთავარია, ენერგეტიკის განვითარების მიზნით, დაიგეგმა 30-ზე მეტი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა საქართველოში. მეტი რა გააკეთოს ამ ხელისუფლებამ?!. ჩვენ ვკითხულობთ — სახელმწიფო რატომ არ მოქმედებს სტერილური დემოკრატიის მეთოდებით, რატომ არ შევიდნენ ციხეში სამართალდამცავები თეთრი ხელთათმანებით, რატომ მოხდა, რომ ერთ შემთხვევაში, რეზინის ტყვიები გაისროლეს, მეორეში — ნამდვილი ტყვიები, რასაც მსხვერპლი მოჰყვა? რა ქნას ახლა სამართალდამცავმა? თეთრი ხელთათმანებით შევიდეს იქ, სადაც ტყვიას ესვრიან? ორი თანამშრომელი დაიჭრა — რით უპასუხოს ამან?.. მედალს ორი მხარე აქვს — მაშ, რატომ ვუყურებთ მარტო ერთი კუთხიდან?!. მიმაჩნია, რომ ყველაფერი ვითარდება იმ გზით, როგორც ეს საქართველოს სჭირდება და ეს ხდება არა იმიტომ, რომ საქართველოს ასე უნდა, არამედ — ლოგიკის ძალით, გლობალურ პოლიტიკურ ძალთა გადანაწილების ძალით, სადაც საქართველო, მისი გეოპოლიტიკური მდებარეობისა და კულტურის წყალობით, იმკვიდრებს მისთვის კუთვნილ ადგილს მსოფლიო ოჯახში. ამას ვერაფერი შეცვლის. ეს არის პროცესი. რაკი პროცესია, სანამ დასრულდება, რუსეთი ყოველთვის ეცდება, საქართველოში გამოიწვიოს დესტაბილიზაცია. საქართველოშიც ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, რომლებიც სხვათა სამსახურში ყოფნის გამო, რაღაც ვალდებულების გამო ან საკუთარი ერის წინააღმდეგ ადრე ჩადენილი დანაშაულის გამო, იძულებულნი არიან, იყვნენ მძევალნი და თავიანთი ადამიანური პრობლემები, ცოდვები ქვეყნის პრობლემად აქციონ. იმ ადამიანებმა თავის დროზე, არსებულ გამოწვევაზე გასცეს გარკვეული პასუხი, რომელიც აღმოჩნდა არაადეკვატური. ახლა რა ქნას ხალხმა და ამ ქვეყანამ — გადაჰყვნენ ამ ადამიანების არაადეკვატურ პასუხს და ამაზე აგონ პასუხი? ჩვენ ვაგოთ პასუხი?.. თუ იცით, რატომ არ შეიძლება, ოლიგარქი მართავდეს სახელმწიფოს?.. ძალიან მარტივი მიზეზის გამო: ოლიგარქია ნიშნავს უმცირესობის ბატონობას უმრავლესობაზე, მაგრამ ამ შემთხვევაში, ვგულისხმობთ ეკონომიკური, ფინანსური უმცირესობის ბატონობას უმრავლესობაზე. პირველად ეს პლატონმა გამოთქვა თავის ნაშრომში — „სახელმწიფო“. ის ამბობს, რომ ოლიგარქია აწესებს ქონებრივ ზღვარს და ამ ქონებრივი ზღვრის მიღმა ვინც რჩება, ის არის დევნილი. ოლიგარქი ორიენტირებულია ფულზე; ოქროსა და ფულზე ორიენტირებული ადამიანი (ფულს და ოქროს ეროვნება არ გააჩნია) კი, არის ზესახელმწიფოებრივ, ზეეროვნულ ფასეულობებზე ორიენტირებული სუბიექტი. იცით, მაგალითად, ამერიკაში 30-იანი წლების კრიზისის დროს, რომელიც რუზველტმა დაძლია, ვინ გაუწია ყველაზე დიდი წინააღმდეგობა რუზველტს? — ოლიგარქებმა. „როკფელერები“, „ფორდები“ — სწორედ ისინი აღმოჩნდნენ ამერიკის დეპრესიაში ჩამგდები პოლიტიკური ძალა. რა მოხდა ამერიკაში მაშინ? — მოსავალი არ იყო და ფერმერებმა ვერ გადაიხადეს გადასახადი. მთავრობამ რეკომენდაცია მისცა ოლიგარქებს, დაეფინანსებინათ ფერმერები. ოლიგარქებმა კი ფერმერებს გაუფორმეს დრაკონული ხელშეკრულება: დაუწესეს ვადები და იმ ვადებში ვალის დაუფარაობის შემთხვევაში, მათ ხელში გადავიდოდა ფერმერების ქონება — სახლ-კარი და მიწა-წყალი. ფერმერებმა ვალი ვერ გაისტუმრეს და ოლიგარქებმა მათ სახლ-კარი აუჭედეს. დაიწყო ეკონომიკური დეპრესია. დაიძრნენ სოფლებიდან კოვბოები, ფერმერები და იქცნენ კრიმინალებად. ფაქტობრივად, განადგურდა მთელი სოციალური ფენა. დღეს კი, ამერიკაში მოსახლეობის 3%-ს შეადგენენ ფერმერები, რომლებიც არჩენენ არა მხოლოდ ამერიკას, არამედ ნახევარ მსოფლიოს და თუ ჰყავს ამერიკას ეს სოციალური ფენა, ეს პრეზიდენტ რუზველტის დამსახურებაა. მან — სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანმა — დაინახა, რომ ეს ოლიგარქები, რომლებმაც იურიდიული ხელშეკრულების საფუძველზე, სავსებით კანონიერად მიითვისეს ფერმერების ქონება, არ მოხნავდნენ მიწას, არ მოიყვანდნენ მოსავალს, ქვეყანას უარესი დეპრესია დაემართებოდა, — და დიდი რისკის ფასად, ვეტო დაადო დამტკიცებულ ბიუჯეტს, 2 მილიარდი დოლარი (დაახლოებით, დღევანდელი 20 მლრდ) გამოყო და სახელმწიფოს გაასტუმრებინა ფერმერების ვალი... უახლესი ისტორიიდან ერთ მაგალითსაც მოვიყვან. როდესაც ნიუ-იორკის მერად ოლიგარქი აირჩიეს, სკანდალი ატყდა. აი, ოპოზიცია გვიკიჟინებს — ქალაქის მერი პირდაპირი არჩევნების გზით უნდა ავირჩიოთო. როგორ შეიძლება ამის გაკეთება?! ისეთ სიტუაციაში, როდესაც საომარ მდგომარეობაში იმყოფები, როდესაც ნახევარი საქართველო თბილისშია თავმოყრილი და თბილისის მერობიდან პრეზიდენტობამდე — ერთი ნაბიჯია, ოლიგარქს ჩავაბაროთ თბილისის მერობა?! რომ მოვაწყოთ პირდაპირი არჩევნები, ოლიგარქი გამოიტანს 50-60 მილიონს და მოქრთამავს მთელ ხალხს. მერე, იმ ოლიგარქს აქვს ქართული სახელმწიფოებრიობის, საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცების პროგრამა? იმ პოზიციას დაიკავებს, რომელზეც ქართველი ხალხი ოცნებობდა, „რასაც დღედაღამ ნატრულობს ჩუმისა ნატვრით ქართველი“?.. რა თქმა უნდა, დემოკრატია მოითხოვს თავისუფალ არჩევნებს, მაგრამ დემოკრატია გპასუხობს კითხვებზე: როგორ დაიბრუნო საქართველოს ტერიტორიები? როგორ შეხვიდე ნატოში? ან სადმე არსებობს სტერილური დემოკრატია? აი, აქ არსებობს ერთი ფუნდამენტური ცნება, რომელსაც არავინ უწევს ანგარიშს: ეს არის მიზანშეწონილობის მომენტი. ჩერჩილი გენიალურად განსაზღვრავს დემოკრატიას: მე კარგად ვიცი, რა ნაგავიც არის დემოკრატია, მაგრამ უკეთესი სისტემა კაცობრიობას დღემდე არ მოუგონიაო. ასე რომ, დემოკრატიის „სტერილური ნორმების“ მიხედვით ხელისუფლების კრიტიკა, ხელისუფლების, რომელიც დგას ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და მსოფლიო ოჯახში საქართველოს ღირსეული ადგილის დამკვიდრების პრობლემის გადაწყვეტის წინაშე, მიზანშეწონილობას მოკლებული მგონია.

■

ფოტოოსტატის ალბომიდან



კინორეჟისორ ზაზა ბუაძის ფილმს – „ოცდახუთსა დეკემბერსა“ – არ ეწერა დასრულება. მასზე მუშაობა საქართველოსთვის ერთ-ერთ უმძიმეს – 1992 წელს მიმდინარეობდა. მსახიობ რამაზ ჩხიკვაძეს მოძრავი ფრთები შეუქმნა გოგი ჩხეიძემ. მან თავის დროზე, ააფრინა ქოლგა და პეპელა, ამავე სახელწოდების ცნობილ მოკლემეტრაჟიან ფილმებში.

იური მეხითოლი

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიზა დვალის უბის წიგნაკიდან:

1. პინა — სასწორის თეფშია.
2. „წრბოლი“ და „ლორწო“ სინონიმებია.
3. წრუტო — არყის სასმელი პატარა ჭიქაა.
4. ვისიმე მეფობის ხანას, ზეობას ეძახიან.
5. ალასკის დროშა 13 წლის ბიჭმა შექმნა.

6. ლოკოკინას დაახლოებით 25 ათასი კბილი აქვს.
7. „მარიხი“ — პლანეტა მარსის ქართული სახელწოდებაა.
8. სირაქლემის კვერცხის მოხარშვას 4 საათი სჭირდება.
9. 672 — ანტარქტიდის საერთაშორისო სატელეფონო კოდია.
10. მონაკოს ნაციონალური ორკესტრი მის არმიაზე უფრო დიდია.
11. „კრუტი პედალი, პაკა ნე დალი!“ — რჩევას იძლევიან რუსები.
12. ზღვის ან მდინარის მიუდგომელ, კლდოვან ნაპირს კბოდეს ეძახიან.
13. ჯემალ ბაღაშვილი ახალგაზრდობაში, საკმაოდ კარგი მოკრივე იყო.
14. ესკიმოსურ ენაში ოცზე მეტი თოვლის აღმნიშვნელი სიტყვა არსებობს.
15. ინგლისის ბიბლიოთეკებში ყველაზე ხშირად, გინესის რეკორდების წიგნს იპარავენ.
16. იმ ადამიანებიდან, რომლებიც ოჯახის შექმნის მიზნით, გაზეთში განცხადებას აქვეყნებენ, 35% უკვე შეუღლებულია.
17. კაპიტანი კუკი პირველი ადამიანი იყო, ვინც დედამიწის ხუთივე კონტინენტზე დადგა ფეხი. იგი მხოლოდ ანტარქტიდაში არ იყო ნამყოფი.
18. II მსოფლიო ომის დროს ამერიკელთა ტყვეობაში ჩავარდნილი იაპონელები გამოგონილ სახელსა და გვარს ასახელებდნენ, რათა საკუთარი ოჯახის ღირსება არ შეელახათ.
19. ინდიანის შტატის უნივერსიტეტის მთავარი ბიბლიოთეკის შენობა ყოველწლიურად 1 დუიმით ჯდება მიწის სიღრმეში, რადგან მშენებლებმა არ გაითვალისწინეს იმ წიგნების წონა, რომლებიც შენობაში უნდა მოთავსებულიყო.
20. დეცემბრის წესით დასჯა რომაულ არმიაში ლაჩრობის აღსაკვეთად იყო შემოღებული. ამ დროს, სიკვდილით ისჯებოდა ყოველი მეათე ჯარისკაცი — მას ცემით კლავდა ცხრა დანარჩენი. სპარტაკთან დამარცხების შემდეგ, რომაელი მხედართმთავრის, კრასუსის ბრძანებით, მისი არმიის 4 ათასი ჯარის-

თემურ წიკლაური წინასააღდგომოდ, ათენსა და სალონიკში გახლდათ წასული კონცერტის ჩასატარებლად და კიდევ — საუკუნეების წინ მოტაცებული მედეას საძებნელად... როგორც საუბრისას აღნიშნა, თურმე, ეს წელი მომღერლისთვის განსაკუთრებულად წარმატებულია. ცოტა ხნის წინ, ამერიკაშიც ყოფილა და დიდი ხნის ოცნება — იქაც გაუღერებულიყო „ფიროსმანის“ არია — აუსრულებია. ბატონი თემური სულ 80-მდე ქვეყანაშია ნამყოფი. მისი საუბრიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ სხვა საქართველო არსად არ არის...

„ყველას ჰგონია, რომ სხვისი ცოლი უკეთესია...“

ანუ თემურ წიკლაურის მოგზაურობა მსოფლიოს გარშემო

ნინო ჯავახიშვილი

— ძაღლის წელიწადში ვარ დაბადებული და როგორც ჩანს, ეს წელი ჩემთვის ამიტომაც ძალიან წარმატებული აღმოჩნდა. ორი თვის წინ, „ივერიელები“ — ბუთხუზ ბასილაია, ნუგზარ კვაშალი, ვახტანგ ტატიშვილი, მანანა თოდაძე და მე — ორი კვირით ამერიკაში გახლდით ჩასული. ნიუიორკში და ფილადელფიაში 4 კონცერტი გვქონდა. გახარებული ვიყავი, რომ „ფიროსმანის“ არიამ, ბოლოს და ბოლოს, ამერიკაშიც გაიჟღერა. ჩვენი მსმენელი იქაური ქართველობა იყო. ზოგიერთები ტყუილად ტრაბახობენ — ჩვენი სიმღერებით ამერიკელები გადავრიეთო. არ დაიჯეროთ! აქედან ჩასული, კვლავ საკუთარ ხალხს ემსახურები. მათი რაოდენობა კი, საუბედუროდ, ყოველდღიურად იზრდება.

— ჩვენი თანამემამულეები ალბათ, განსაკუთრებულად გამოხატავდნენ ემოციებს, არა?

— უჰ, ემოცია რომელია, ბღაოდნენ... კონცერტი რომ დაიწყო, ტიროდნენ, დამთავრდა და უფრო მეტად ატირდნენ. ჩვენი ერი ხომ დაავადებულია იმ ავადმყოფობით, რომელსაც ნოსტალგია ჰქვია.

— რაც შეეხება საბერძნეთში წინასააღდგომო გასტროლს?

— ათენისა და სალონიკის ქართულმა დიასპორამ მთხოვა, ჩავსულიყავი იქ და კონცერტები ჩამეტარებინა. რადგან ბევრი დრო არ მქონდა, მხოლოდ ერთ კონცერტზე შევთანხმდით. თანაც, გადავწყვიტე, რომ ცოლი, შვილი და შვილიშვილიც თან წამეყვანა. იქაურები კი დავამშვიდე — არ გეგონოთ, ესენი ტყუილად მომყავს, ცოლიც მღერის და შვილიც-მეთქი. თავის დროზე, „არგონავტები“ როცა დავდგით, აიეტის როლი მე ვითამაშე. საკონსულოში მკითხეს — რატომ მიდიხარო? ასე და ასეა საქმე-მეთქი. — ვუპასუხე. რაღაც საბუთი მაკლდა, მაგრამ პატივი დამდეს — არაფერია, ამის გამო პრობლემებს არ შეგიქმნითო. მე ვუთხარი — ადრე აიეტი მაქვს ნათამაშები: ჩამოვიდა ეს თქვენი იაზონი, წაიყვანა ჩემი ქალი — მედეა, ახლა ამბის გასაგებად მივდივარ, რა ხდება, სად დაიკარგნენ, დეპეშა მაინც გამოეგზავნათ-მეთქი. ჩემს სიტყვებზე ბევრი იცინეს.

— მერე, როგორ მოიქეცით? იპოვეთ მედეა?

— როგორ ვერ ვიპოვე, მთელი საბერძნეთი მისი ნაშიერებით არ არის სავსე? სალონიკში 3-საათიანი კონცერტი გვქონდა, 5-6 საათი კი, იქაურ ქართველებთან სურათებს ვიღებდით. იმდენად დიდი სითბო და სიყვარული ვიგრძენი მათგან, რომ გულში ნათელი ჩამეღვარა.

ძეთი წიკლაური:

— საბერძნეთს უძველესი ისტორია აქვს და თითქოს მქონდა იმის მოლოდინი, რომ აქილევსს, ჰერაკლეს ან ოლიმპზე ზევსს დავინახავდი. ოლიმპ-

ის მთა კი ვნახე, მაგრამ ზევსი — ვერა და ამის გამო, ცოტა არ იყოს, გულდაწყვეტილიც კი დავრჩი *(იცინის)*... საბერძნეთი რატომღაც საქართველოს მივამსგავსე, ათენის სიდიდემ კი „დამშოკა“ — უზარმაზარი ქალაქია. იქიდან ძალიან გულდაწყვეტილი და დაფიქრებული წამოვედი. საქართველოს ძვირი ერთ კაცსაც კი არ დასცდენია. იცით, როგორ ოცნებობენ დაბრუნებაზე? ზოგი 1-2 წლით იყო წასული და 8-10 წელია, ისევ იქ არიან და შრომობენ. ჩემი მეგობრის დედაც 4 წელია, საბერძნეთში ცხოვრობს და მუშაობს, ასე ინახავს თავის ოჯახს. სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, რა დღეში ჩავარდა ქალი, როცა ჩვენ დაგვინახა... როგორც მამამ გითხრათ, ამჯერად მხოლოდ ერთი კონცერტი გვქონდა — გვინდოდა, აღდგომისთვის საქართველოში ვყოფილიყავით. დეკემბრისთვისაც მიგვიწვიეს, 6 კონცერტი უნდა ჩავატაროთ. ვნახოთ, რა იქნება.

ათენის სიდიდემ კი „დამშოკა“ — უზარმაზარი ქალაქია. იქიდან ძალიან გულდაწყვეტილი და დაფიქრებული წამოვედი

— ბატონო თემურ, ვიცი, ბევრ ქვეყანაში ხართ ნამყოფი. ყველაზე მეტად რომელი დაგამახსოვრდათ?

— უჰ, ერთი პერიოდი ვითვლიდი, მერე უკვე სათვალავი ამერია: აღბათ, 80-მდე ქვეყანაში ვყოფილვარ. ინდოეთში არ ვარ ნამყოფი და ძალიან მაინტერესებს. მინდა, საფუძვლიანად ჩავიხედო ამ ქვეყნის წარსულში, შევიტყო იმ ხალხის ტრადიციებისა და რიტუალების შესახებ. ჩვევად მაქვს, რომ ვიდრე ამა თუ იმ ქვეყანაში გავემგზავრები, წავიკითხო ლიტერატურა და გავეცნო მის ისტორიას, გეოგრაფიას. ასე უფრო საინტერესო ხდება იქ ყოფნა. დღემდე კარგად მახსოვს ეგვიპტური შთაბეჭდილებები. 1972 წელი იდგა: ისრაელსა და ეგვიპტეს შორის დაძაბული ურთიერთობა იყო, თუმცა არეულობის მიუხედავად,

თავის დროზე „არგონავტები“ როცა დავდგით, აიეტის როლი მე ვითამაშე

გვთხოვეს და ერთი თვის მაგივრად, სამი თვე დაგვტოვეს. ვერტმფრენით მოგვატარეს მთელი ქვეყანა — ძველი ქალაქი, მკვდარი ქალაქი, აკლდამები. ერთხელ, პირამიდაში შევძვერი (იყო ერთი ხვრელი, რომლითაც შუაში მოხვედრა და ენერგიის მიღება შეგეძლო). თურმე დიდხანს მეძებდნენ, მე კი უკან ძლივს გამოვაღწიე. ეგვიპტის გარდა, ჩემზე უზარმაზარი შთაბეჭდილება მოახდინა პერუმ — 4600 მეტრის სიმაღლეზე მდებარე უძველესმა დედაქალაქმა, კიდევ — საბერძნეთმა და ასევე — საქართველომ! იცით, რატომ? საქართველო თითქმის ფეხით მაქვს შემოვლილი და წელიწადის ყველა დროს ულამაზესია. აბა, ნახეთ თუშეთი შემოდგომით, კავკასიონი — ზამთარში, კახეთი, რაჭა, აჭარა, აფხაზეთი — გაზაფხულზე... ამაზე ლამაზ ქვეყანას სად ნახავთ?! საქართველოდან კი, სამოგზაურო ოდ სხვაგან გარბიან. ასეა, ყველას ჰგონია, რომ სხვისი ცოლი უკეთესია. რაც ცხვირწინ გვაქვს, იმას ვერ ვამჩნევთ...

— სხვა ერებზე რას იტყვით? თუ მიგიმსგავსებიათ ვინმე ქართველებისთვის?

— ქართველები განსაკუთრებულები ვართ — ჩვენი ტრადიციებიდან, ხასიათიდან, გენეტიკიდან გამომდინარე, განუმეორებლები ვართ — ღვინის კულტურის, ადგილმდებარეობის და თუნდაც, სვეტიცხოვლის გამო. და რაც მეტი მიეცემა ერს, მით მეტი მოეთხოვება. საქართველო ბაბილონივითაა — ხალხი ერთ ენაზე ვერ ლაპარაკობს. აი, როდესაც ყველა ერთ ენაზე ილაპარაკებს, ივერიაც მაშინ გაბრწყინდება!

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალის „უბის წიგნაკიდან:“

კაცი ამ წესით გამოასალმეს სიცოცხლეს.

21. „ტოლკო რუსსკი ჩელოვეკ მოჟეტ ვსიუ ნოჩ სპივაიტ ვოდკოი ინასტრანნავა გოსტია, ტვერდიტ ემუ, შტო მი სტრანა იდიოტოვ, ა პოდ უტრო დატ ემუ ვ მორდუ, კოგდა ონ ნაკანეც საგლასიტსა“, — მხრეს იჩეჩს მიხაილ ზადორნოვი.

22. კანადის ქალაქ ლიონენბურგში 1923 წელი იაფფასიანი საქონლის ხორცის წლად იყო გამოცხადებული. საქმე ის გახლავთ, რომ ამ წელს, კანადაში სატრანსპორტო მოძრაობა გზის მარჯვენა მხარეს გადავიდა. ლიონენბურგის მოსახლენი, რომელთა უმრავლესობა ფორნებით გადაადგილდებოდა, იძულებული გახდა, დაეკლა სამარხილე საქონელი, რადგან ვერ შეძლო გზის მარცხენა მხარეს სიარულისგან მათი გადაჩვევა. შესაბამისად გაიაფდა საქონლის ხორცი.

23. ერთ-ერთი მატჩის დაწყებამდე მიცემულ ინტერვიუში, როდესაც ბრაზილიისა და საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდები ხვდებოდნენ ერთმანეთს, პელემ განაცხადა: „თამაში ნამდვილად საინტერესო გამოვა. საბჭოთა ნაკრები იმდენ გოლს გაიტანს, რამდენსაც შეძლებს, ბრაზილიის ნაკრები კი — იმდენს, რამდენსაც მოისურვებს“. P.S. ეს შეხვედრა ბრაზილიელებმა ანგარიშით 3:0 მოიგეს. აქედან ორი გოლის ავტორი ზემოთ ხსენებული ინტერვიუერი გახლდათ.

24. — ჩემს ცოლს უნივერსიტეტში სწავლა უნდა და იქნებ, მიიღოთ, — სთხოვა ერთხელ ლავრენტი ბერიამ ივანე ჯავახიშვილს. — კი, ბატონო, მობრძანდეს, ჩვენთან აბიტურიენტებს უგამოცდოდ იღებენ, — უპასუხა უნივერსიტეტის რექტორმა. — სკოლის ატესტატი არა აქვს. — უხერხულად შეიშმუშნა ლავრენტი პავლეს ძე. — უატესტატოდ ვერ მივიღებ! — თავი გააქნია ჯავახიშვილმა. — ბრძანება რომ იყოს? — ტონი შეცვალა ბერიამ. — უკაცრავად, მაგრამ უნივერსიტეტში ბრძანებებს მე ვიძლევი! — მოკლედ მოუჭრა ივანე ჯავახიშვილმა.

25. აფხაზებმა ახლახან, მულტიპლიკაციური ფილმი „შრეკი“ მშობლიურ ენაზე გაახმოვანეს. P.S. რაღად უნდათ დიმიტრი გულიას მიერ აფხაზურად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“?..

„ყველა თინეიჯერი როკერია. ამ ასაკში, ბავშვებს თავში რაღაც უქრით, მაგრამ მე, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ თინეიჯერი ვარ, მგონია, ამ ასაკისთვის შესაფერისი საქციელი არ მაქვს“ — გვითხრა მომღერალმა ნინი შერმადინმა, რომელიც ე.წ. „შკოლნიცა“ და სანიმუშო მოსწავლე იყო. როდესაც მას უსვამენ კითხვას — როგორ და სად ერთობა? — უხერხულ მდგომარეობაში ვარდება, სირცხვილის გრძნობა ეუფლება, რადგან ამ კითხვაზე პასუხი, ფაქტობრივად, არა აქვს. ის ერთობა მაშინ, როცა მუშაობს, როცა „პაეზდკებში“ მიმავალი, თვითმფრინავით ან მატარებლით მგზავრობს, ხოლო ქართულ „ტუსოვკებზე“, დედასთან ან ძმასთან ერთად „იჩითება“ ხოლმე, რადგან საღამოს 9 საათის შემდეგ, მარტოს არსად უშვებენ.

„ქალს, ეიფელ ფეხზე კაცის ჭარელის ტოტი როე ეოხეედროდა, ეგრეეე დაფეხმიედეგოდა“

რა განსხვავებაა დღევანდელ და ყოფილ თინეიჯერებს შორის?

ლიკა ქაჯაია

— მე ახლაც თინეიჯერი ვარ. ამ ასაკში, ბავშვებს თავში უქრით, მათ ბევრი არაადეკვატური საქციელი ახასიათებთ, დაუფიქრებლად მოქმედებენ.

— რასთან ასოცირდება შენთვის სიტყვა თინეიჯერი?

— ბავშვობასთან, როკთან, საზღვარგარეთის ქვეყნებთან — რუსეთთან, ამერიკასთან და ა.შ. თინეიჯერები 20 წლამდე ასაკის მოზარდები არიან, რომელთაც თვითდამკვიდრების სურვილი აქვთ და ცდილობენ, სხვებისგან განსხვავებულები იყვნენ — ჩაცმულობით, ყურზე, ცხვირზე ბევრი ნახვრეტით, „ტატუიროვკებით“... ეს არის ქარაფშუტობის ასაკი, რომელიც დროთა განმავლობაში გადის.

— რითი ცდილობ, სხვებისგან განსხვავებული იყო?

— მე ერთი ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, უბრალოდ, მოხდა ისე, რომ პოპულარული, გამოკვეთილი სახე გავხდი, რომელიც მღერის, თორემ სხვებისგან არაფრით გამოვირჩევი.

— თინეიჯერობის ასაკში პოპულარული რომ გახდი, ამან შენს ხასიათში რაიმე ხომ არ შეცვალა?

— ალბათ, ხასიათის შეცვლა ადამიანის ბუნებაა, მაგრამ პოპულარობას არ შევუცვლივარ — მე დღესაც ის ვარ, ვინც წარმატებამდე ვიყავი.

— ყურზე ან ცხვირზე ბევრი ნახვრეტის, ან სვირინგის გაკეთება არ გიცდია? თუ ამის უფლებას მშობლები არ გაძლევენ?

— ასეთი რაღაცების გაკეთება, თავში აზრადაც არ მომსვლია, შესაბამისად, არ ვიცი, ასე რომ მევლო, რა რეაქცია ექნებოდათ ჩემს მშობლებს.

— ნინი, როგორი მოსწავლე იყავი?

— ფრიადოსანი. ჩემნაირებს „შკოლნიცებს“ ეძახდნენ.

— ყველა საგანს ერთნაირად სწავლობდი?

— არა, ერთადერთი, რასაც ვერ ვიგებდი, ქიმია იყო. მასწავლებელი ძალ-ღონეს არ იშურებდა იმისთვის, რომ მისი საგანი მესწავლა, გამეგო, მაგრამ...

— ვინმეს ფანი თუ ხარ?

— არასდროს არავის ფანი არ ვყოფილვარ, მაგრამ ძალიან მიყვარს მაიკლ ჯექსონი და უიტნი ჰიუსტონი.

— ოთახში მათი პლაკატები გაკრული გაქვს?

— ამ მომღერლების დისკები მაქვს და მათ ძალიან ხშირად კომპიუტერში ვუყურებ და ვუსმენ, მაგრამ მათი პლაკატი არასდროს გამიკრავს. სასწაულია, არა? რეალურად თინეიჯერი ვარ, მაგრამ თითქოს არც ვარ. არ მახასიათებს ისეთი საქციელი, როგორიც ამ ასაკში უნდა მქონდეს. ალბათ, ამ ყველაფერზე იმანაც იმოქმედა, რომ გიმნაზიაში ვსწავლობდი, სადაც მოსწავლეებს ფორმა ეცვათ, მკაცრი დისციპლინა იყო გამეფებული — სულ რაღაც უნდა მესწავლა, კარგი გოგო ვყოფილიყავი. ამ დისციპლინას, სწავლას, მკაცრ პირობებს რომ შეეჩვევი, მერე აღარ გაქვს იმის სურვილი, რომ უცნაურად გამოიყურებოდე. თბილისში ბევრი ისეთი სკოლაა, მაგალითად, 53-ე საშუალო სკოლა, სადაც მოსწავლეები ნამდვილი თინეიჯერებივით გამოიყურებიან, ძალიან მაგარი ბავშვები არიან, მაგრამ მე რატომღაც მათნაირი არ ვარ. ყოველთვის მხიარული ვიყავი, გარკვეულწილად, ახლაც ბავშვური ვარ, მაგრამ...

— ნინი, სად და როგორ ერთობი ხოლმე?

— ამ კითხვას რომ მისვამენ, მრცხვენია, რადგან ამ დროს, მხოლოდ „პაეზდკები“, თვითმფრინავი და მატარებელი მახსენდება. ეს იმიტომ ხდება, რომ საკმაოდ დატვირთული სამუშაო გრაფიკი მაქვს — დავდივარ მასწავლებელთან, სიმღერაზე, მაქვს რეპეტიციები ორკესტრთან, მერე მივდივარ რეჟისორთან, სტუდიაში, რადგან ალბომზე ვმუშაობ. ყოველდღე ამ გეგმით ვმოქმედებ. აქედან გამომდინარე, ვერთობი იქ, სადაც ვმუშაობ. ჩემი საქმე რომ არ მომწონდეს და არ მსიამოვნებდეს, თავი მექნებოდა მოსაკლავი. ვიღლები იმ საქმით, რომელიც მიყვარს და ეს სასიამოვნო დაღლაა. ვფიქრობ, რომ დასაკარგი დრო არ მაქვს, ბუნებით შრომისმოყვარე ვარ. მგონია, რომ როცა ყველაფერს ვისწავლი, როცა ყველაფერი ისე იქნება, როგორც მე მინდა, მერე გართობისთვისაც დიდი დრო მექნება, მაგრამ მართალია ისიც, რომ ბავშვობის ასაკს უკან ვერასდროს დაიბრუნებ და ეს წლები, შესაბამისად უნდა გამოიყენო. ზოგჯერ გული კი მწყდება, რომ ისე ვერ ვერთობი, როგორც ჩემი მეგობრები.

— რას გულისხმობ?

— ვერ ვსეირნობ საღამოობით, ვერ დავდივარ ღამის კლუბებში.

— როცა დაქალები ერთად იკრიბებით, რაზე ჭორაობთ?

— ეს ჩემთვის რომ დავიტოვო, არ შეიძლება?

— როგორ არ შეიძლება, მაგრამ ჯობია თუ მაინც გაგვანდობ. ხელოვნებაზე საუბრობთ?

— იმდენ რაღაცაზე ვლაპარაკობთ, რომ არ ვიცი, რა გითხრა. თან, ეს არ მგონია, ვინმესთვის საინტერესო იყოს... ალბათ უფრო პირად ურთიერთობებზე, ერთმანეთის ამბებზე ვლაპარაკობთ.

— ნინი, ჩაცმულობის სტილით თუ ცდილობ, ვინმეს მიჰბაძო?

— არავის. უკვე გითხარი, რომ უიტნი მომწონს, მაგრამ... იცი, ვის ვბაძავ? — ნინი შერმადინს. ვთვლი, რომ ამ საკითხში არავის არ უნდა მიჰბაძო, უნდა ჩაიცვა ის, რაც გიხდება.

— და რა გიხდება?

— კლასიკური სტილის ტანსაცმელიც მიხდება და სპორტულიც, მაგრამ უფრო ხშირად, სპორტულ ფორმაში ვარ.

— როგორი ბიჭები მოგწონს?

— განათლებული და შავგვრემანი.

— შეყვარებული არ გყავს?

— პატარ-პატარა გატაცებები მქონია, ვიღაცები მომწონდა, მაგრამ ვერც ერთ მათგანს შეყვარებულს ვერ ვუწოდებ.

— როგორ ფიქრობ — რითი განსხვავდებიან ერთმანეთისგან ძველი თაობის თინეიჯერები და დღევანდელი მოზარდები?

— რომ არ ვიცი, ძველი თაობის თინეიჯერები როგორები იყვნენ?

საუბარში ნინის მეგობარი გოგონა ჩაერთო:

— ქალს ფეხი არ უნდა გამოსჩენოდა, თორემ შიშველ ფეხზე კაცის შარვლის ტოტი რომ მოხვედროდა, ეგრევე დაფეხმძიმდებოდა *(იცინის).*

ნინი:

— მართლა? აუ, მაშინ, როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდებიან. უკვე XX საუკუნეა, იცვლება გემოვნება, ადამიანები უფრო თავისუფლები ხდებიან. თუმცა, ეს ყველაფერი საზღვარგარეთ ურფო იგრძნობა. ერთხელ მიუნხენში, ლუდის ბარში ვიყავით, სადაც ჩვენთან ერთად, ერთ-ერთი ცნობილი გერმანელი მსახიობი რიგითი მოქალაქეების გარემოცვაში იმყოფებოდა. ეს მსახიობი ყოველგვარი დაცვის გარეშე იყო, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ჭამდა და სვამდა. მასთან არავინ მისულა, ზედმეტად არავის შეუწუხებია. აქ რომ დაგინახავენ, რაღაც რეპლიკებს გესვრიან. განა მარტო ეს განსხვავებაა ჩვენსა და უცხოელებს შორის: გარდა იმისა, რომ ჩვენზე გაცილებით უკომპლექსოები არიან, რატომღაც სახე ყველას ულიმის, ყველა კარგ ხასიათზეა. აქ კი, ქუჩაში დათრგუნვილი, სერიოზული სახეებით დადიან. ალბათ, ეს ყველაფერი ცხოვრების პირობებიდან გამომდინარეობს — იქ ქვეყანა თითქოს საათივით აწყობილია, ჩვენთან კი... ჩემი დიდი ხნის ოცნებაა, რომ საქართველოშიც უფრო ბევრი თბილი გამოხედვა, გაღიმებული სახეები ვნახო. იმედი მაქვს, რომ ეს ოცნება მალე ამიხდება.

— შენი თაყვანისმცემლები ძალიან გაწუხებენ, არასასურველ რეპლიკებს ხშირად გესვრიან?

— არავინ მაწუხებს. პირიქით, როცა მირეკავენ ან უბრალოდ ქუჩაში მხვდებიან, თბილად მესაუბრებიან. თან, ჩემზე კი არ მითქვამს — მაწუხებენ-მეთქი. მოქალაქეები ცნობილ ადამიანებს ე.წ ვარსკვლავებს აწუხებენ.

ვარსკვლავი ვარ-მეთქი, ვერ ვიტყვი მანამ, სანამ ჩემი სახელობის ვარსკვლავს არ გახსნიან

— მაგრამ შენც ხომ პოპულარული ადამიანი ხარ?

— ნინი შერმადინს მხოლოდ საქართველოში იცნობენ და არც ისეთი პოპულარული ვარ, რომ ვინმეს ჩემი შეწუხება მოუნდეს. თან, ვარსკვლავი ვარ-მეთქი, ვერ ვიტყვი მანამ, სანამ ჩემი სახელობის ვარსკვლავს არ გახსნიან *(იღიმება).*

— ეს თავმდაბლობაა თუ...

— არა, არა, უბრალოდ, იმას ვამბობ, რასაც ვფიქრობ.

— რისი კომპლექსი გაქვს?

— ალბათ, სიმსუქნის. ამიტომ მთელი ცხოვრება დიეტაზე ვარ, ყოველთვის თავს რაღაცით ვიზღუდავ, ვერასდროს ვჭამ იმას, რაც მინდა.

— რა გინდა?

— ყველაზე ძალიან ტკბილეული — შოკოლადი და ნამცხვარი მიყვარს, მაგრამ...

— ნამცხვრის ცხობა თუ გეხერხება?

— ნამცხვრის ცხობა არა, მაგრამ ხილის სალათს და რაღაც სხვა სასუსნავებს ვამზადებ ხოლმე.

— დაბოლოს, რას ურჩევდი თინეიჯერებს?

— ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ მიზანს მიაღწიონ. მაქსიმალურად გაერთონ, ოღონდ ისე, რომ ცუდი ზეგავლენის ქვეშ არ მოექცნენ.

P.S. *ძვირფასო თინეიჯერო! თუ შენ წაიკითხე ინტერვიუ, რომელშიც ნინი თავის თინეიჯერულ ამბებს იხსენებს და ჩვენთან ურთიერთობის სურვილი გაგიჩნდა, შეგიძლია დაგვიმეგობრდე და ინტერვიუს გამოეხმაურო. საინტერესოა, რა განსხვავებას ან მსგავსებას ხედავ მაშინდელ და ახლანდელ თინეიჯერებს შორის? რა პრობლემები აქვს დღევანდელ ახალგაზრდობას? იყოფიან თუ არა თინეიჯერები რაღაც ჯგუფებად და ა.შ. შენ შეგიძლია მოგვწერო — ვის ნახვას ისურვებდი მომავალ ხუთშაბათს და რატომ? რა კითხვას დაუსვამდი შენს რჩეულს. ან სულაც, თუ გინდა შენი გულისტკივილი გაგვიზიარო და რჩევები ცნობილი ადამიანებისგან მიიღო, მაშინ დაგვიმესიჯე ნომერზე: 899 17-35-27.*

შეხმაურება

ეკა, *17 წლის:*

„ლექსო, ძალიან მიყვარხარ და გაფასებ, მაგარი ადამიანი ხარ. ყოველთვის, როცა ცუდად ვარ, შენ გისმენ ხოლმე და ვმშვიდდები. ასე მგონია, რომ მე მელაპარაკები. მეც თინეიჯერი ვარ, მაგრამ დღევანდელ თინეიჯერებში ბევრი რამ არ მომწონს, მაინტერესებს — შენ რა არ მოგწონს ჩემი ასაკის ახალგაზრდებში? შენს აზრს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს“.

ლექს-სენი:

— დიდი მადლობა დაფასებისთვის. თინეიჯერებში ვაფასებ ზრდილობას, წესიერებას, ინტელექტს. მომწონს საქმიანობაში მათ მიერ გამოვლენილი ახლებური ხედვა, მაგრამ ზოგიერთი თინეიჯერი ძალიან უზრდელი და გაუნათლებელია. სწორედ ასეთი ადამიანები მაღიზიანებს.

მეგი, *18 წლის:*

„მე ერთ-ერთი მთიანი რეგიონიდან გაწუხებთ. ლექსოს, როგორც პიროვნებას, ძალიან ვაფასებ და მისი რამდენიმე სიმღერაც მომწონს. მეგობრები ხშირად მეუბნებიან, რომ მე მისი პირველი ფანი ვარ, რადგან, როცა მისი არსებობაც კი არავინ იცოდა, ლექსოს სიმღერებს რადიოთი ვისმენდი და ვამბობდი: ნიჭიერი რეპერია-მეთქი. მაინტერესებს, რას ფიქრობს ის ისეთ ხალხზე, ვინც ეუბნება, რომ მასზე გიჟდება? ნუთუ, შესაძლებელია, ადამიანს არ იცნობდე და გიყვარდეს?

ლექს-სენი:

— რა თქმა უნდა, შესაძლებელია. არც მე ვიცნობ 2PAC-ს, სნუპ-დოგს, „50 ცენტს“, მაგრამ ეს რეპერები ძალიან მომწონს და მიყვარს. ასეთ რაღაცებს რომ მეუბნებიან, დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ თქვენ წინაშე და ყველანაირად ვეცდები თქვენი იმედების გამართლებას.

თუში, *16 წლის:*

„მე თუში ვარ, ქვემო ალვანიდან. თუშუს ლექს-სენი ძალიან გვიყვარს. ის, 29 აპრილს ჩვენთან უნდა ჩამოსულიყო, მთელი თუშეთი ელოდა, მაგრამ არ ჩამოვიდა. მაინტერესებს — რატომ? ან თუ ჩამოვა ოდესმე და — როდის?“

ლექს-სენი:

— ძალიან მიყვარს მთიანი მხარე, იქაურებს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ თუშეთში არავის მივუწვევივარ. ეს ინფორმაცია ეტყობა, ჭორის დონეზე გავრცელდა. თუ ვინმე დამპატიჟებს თქვენთან, აუცილებლად ჩამოვალ.

ლიზი, *15 წლის:*

„ლექსო, მიყვარხარ. გაგხვევ ნაბადში და მთაში წაგიყვან... ოდესმე უეჭველად გაგიცნობ. შენ მისაბაძი ადამიანი ხარ. დიდი ხანია, რეპს ვუსმენ. ეს ზანგების სიმღერაა, თუმცა გარეპვა შენც კარგად გამოგდის. მალე მეც ჩავწერ ალბომს... ზოგი დედა თავის შვილს რეპს არ ასმენინებს, დედაჩემი კი, თვითონ ყიდულობს შენს ალბომებს და მჩუქნის ხოლმე“.



თინეიჯერებში ვაფასებ ზრდილობას, წესიერებას, ინტელექტს

ლექს-სენი:

— ძალიან კარგი დედა გყოლია. მოვი-

კითხავ და ვეტყვი, რომ კარგი გემოვნება აქვს. რაც შეეხება იმას, რომ ჩემი ნაბადში გახვევა და მთაში წაყვანა გადაწყვიტე, პრობლემა არ არის, თან კარგია, ნაბადს რომ მომახურავ — არ შემცივდება.

დათო ბერიძე, *23 წლის:*

„მინდა, ლექსო ქავთარაძე დიდი სიყვარულით მოვიკითხო და ვუთხრა, რომ ის ქართული ჰიპ-ჰოპის მეფეა და მეგობრული რჩევა ვთხოვო: ლექსო, მეც ვწერ რეპ-კომპოზიციებს, შესაბამისად — ტექსტებსაც. თუმცა, მათი პუბლიკაში გატანა დღემდე ვერ მოვახერხე. ჩემი სიმღერები რამდენიმე რადიოში მივიტანე, მაგრამ მათ დატრიალებაზე უარი მხოლოდ იმის გამო მითხრეს, რომ რეპია. კლიპის გადაღებას კი, ვერ ვახერხებ (ფინანსების არქონის გამო)... შენი რჩევა ჩემთვის დიდი სტიმულისა და შემართების მომცემი იქნება. გთხოვ მირჩიო — როგორი უნდა იყოს ჩემი პირველი ნაბიჯი?“

ლექს-სენი:

— უპირველეს ყოვლისა, მინდა გითხრა, რომ რადიოში მიტანილ შენს სიმღერებს მხოლოდ იმის გამო არ „დაბლოკავდნენ“, რომ რეპია. აბა, რატომ ტრიალებს თუნდაც, ჩემი სიმღერები? ალბათ, მუსიკის ხარისხი დაიწუნეს, რაც მის შინაარსში, თემატურ ღირებულებაში გამოიხატება. მჯერა, რომ ბევრი შრომის შედეგად, რაღაცას მიაღწევ. არც ჩემთვის უჩუქებიათ პოპულარობა — ჩემი მიღწევები, დიდი ენერგიის ხარჯვის შედეგია. შენთვის ყველაზე მთავარია — შრომა, შრომა და შრომა.

სალომე, *18 წლის:*

„მინდა აღვნიშნო, რომ ლექსოს ნამოღვაწარი დღეისთვის, უფრო დახვწილია, ვიდრე ის 2 წლის წინ იყო და ეს ძალიან მახარებს, რადგან მისი სიმღერების აქტიური მსმენელი ვარ (თუმცა, ფანობას ვერ დავიბრალებ). მინდა, უფრო დიდი წარმატებები ვუსურვო და ვთხოვო, რომ სხვა ენებზეც გარეპოს; მას ეს მოუხდება. ლექსუს, გაიხარე, მაგარი, კარგი ტიპი ხარ. დაბოლოს, მინდა გკითხო — როგორი გოგოები მოგწონთ ბიჭებს და საერთოდ, როდის გასცემს ბიჭი თავის თავს — ანუ, როცა ის შეყვარებულია, მასში რა ცვლილებები შეინიშნება?“

ლექს-სენი:

— იმაში გეთანხმები, რომ დღეს უფრო წარმატებული ვარ, ვიდრე 2 წლის წინ ვიყავი, მომავალში კი, უფრო სერიოზული ალბომების გამოშვებას ვაპირებ, რადგან ვფიქრობ, რომ ყველაფერი დროის შესაბამისად უნდა დაიხვეწოს... რაც შეეხება შენს კითხვას — როგორი გოგოები მოსწონთ ბიჭებს? ყველას სახელით ვერ ვილაპარაკებ, მაგრამ მე კარგი გარეგნობის (არა აქვს მნიშვნელობა, ქერა იქნება თუ შავგვრემანი), განათლებული და ისეთი გოგოები მომწონს, რომლებსაც ჩემი შემოქმედების დაფასება შეუძლიათ. როცა ბიჭი შეყვარებულია, ის დროთა განმავლობაში, გრძნობებს ვერ იოკებს და თავსაც ზედმეტი ყურადღებითა და სითბოთი გასცემს.

გურამი, *14 წლის:*

„ლექსო, ძალიან მიყვარხარ. შენსავით მეც „50 ცენტის“, სნუპ დოგისა და ემინემის ფანი ვარ. ვწერ ლექსებს და ვრეპავ. მინდა გავიგო — სად ცხოვრობ?

ლექს-სენი:

— ვცხოვრობ თბილისში, მაგრამ მისამართს ვერ დაგიკონკრეტებ.

ანკა, *16 წლის:*

„გემუდარებით, ეს მესიჯი დამიბეჭდეთ!.. ვერც კი წარმოიდგენთ, როგორ გამახარეთ ამ ინტერვიუთი. ლექსუს, ძალიან მიყვარხარ. თურმე, კარატისტიც ყოფილხარ, რამაც ძალიან გამახარა, რადგან მეც კარატეზე დავდივარ. ვიცი, რომ ქართულ შოუბიზნესში შენი ბევრს შურს, განსაკუთრებით — რეპერებს და იცი, რატომ? იმიტომ, რომ ისინი შენამდე ვერასდროს მოვლენ და კიდევ იმიტომ, რომ სულით ხარ რეპერი, ზოგიერთებივით „მომეს“ არ ბღავი. დაბოლოს, მინდა გკითხო — როგორია ბიჭის თვალში კარატისტი გოგო? ხომ არ ფიქრობ, რომ ეს გოგოს საქმე არ არის?.. ჯიგარი ხარ, მასე გააგრძელე და ქართველი თინეიჯერები შენით ყოველთვის ვიამაყებთ. შენ არ გაჩერდები, ლექსუს!“

ლექს-სენი:

— დიდი მადლობა ჩემი დაფასებისთვის. რაც შეეხება კარატეს, სულაც არ ვფიქრობ, რომ ის გოგოს საქმე არ არის. ადამიანს რაც გინდა, ის უნდა ისწავლო და აკეთო. მეც მყავდა თანაგუნდელი კარატისტი გოგოები, რომლებთანაც მართალია, არ ვსპარინგობდი — რამე არ ვატკინო-მეთქი, — მაგრამ მათ ძალიან ვაფასებდი. სხვების ჭორაობას ნუ აჰყვები, გააკეთე ის, რაც გინდა.

თეო, *16 წლის:*

„პრივეტ“! ძალიან, ძალიან მიყვარს ლექსო. მაინტერესებს — როდის მოვისმენთ მისი და ჩემი ბიძაშვილის, ალექსის დუეტს. გთხოვთ, გამომიქვეყნოთ“.

ლექს-სენი:

— ალექსი? ვინ ალექსი? ჩემო კარგო, მგონი, რაღაც გეშლება.

ნია, *18 წლის:*

„ლექსო, ძალიან მიყვარხარ, ასევე მიყვარს შენი შემოქმედება. ძალიან მინდა შენი გაცნობა და მქონდეს თუ არა ამის იმედი? გთხოვ, დამიკავშირდე და გპირდები, რომ თავს არ მოგაბეზრებ“.

ლექს-სენი:

— იმედი გქონდეს, რომ სადმე აუცილებლად შევხვდებით. ჩვენი ურთიერთობა კი, შესაძლებელია საიტის მეშვეობით: მე ყველა იმ ჩემს გულშემატკივარს ვეკონტაქტები, ვინც ჩემს მეილბოქსზე შემოდის.

უცნობი, *18 წლის:*

„ლექსოს ჰკითხეთ — ასპინძის სოფელ იდუმალაში ვინ ჰყავს და ვისთან ჩადის ხოლმე? მას ხშირად ვხვდები, ვიცი, რომ კარგი ადამიანია და კიდევ — როგორც გავიგე, თავისზე დიდი ასაკის ქალები მოსწონს. ეს ჭორია და მათთან მხოლოდ მეგობრობა აკავშირებს თუ ყველაფერი სიმართლეს შეესაბამება?“

ლექს-სენი:

— იდუმალა ჩემი სოფელია, იქ ნათესავები (ბებია, მამიდები, ბიძაშვილები და ა.შ.) მყავს. რა, ჩემზე დიდი ასაკის მქონე მეგობრები არ შეიძლება რომ მყავდეს?..

თავზე ხელალებული, *17 წლის:*

„გამარჯობა, ლექსო. მაინტერესებს, ქალთან პირველად ყოფნის დროს, რაიმე კომპლექსი გქონდა თუ არა?.. ძალიან გთხოვთ, დამიბეჭდეთ“.

ლექს-სენი:

— რა კომპლექსი უნდა მქონოდა? პირიქით, გიჟივით მივვარდი მას და ვისიამოვნე *(იცინის).* პასუხმა დაგაკმაყოფილა?

მარი, *17 წლის:*

„ლექსო, ძალიან მიყვარხარ და მინდა, რჩევა გთხოვო: რამდენიმე ბიჭს ერთდროულად ვუყვარვარ, მე კი არჩევანს ვერ ვაკეთებ, თითოეულში სხვადასხვა რაღაც მომწონს, თან არ მინდა, რომელიმეს გული ვატკინო. რა ვქნა?“

ლექს-სენი:

— რა მაგარია, არა? ჩემო კარგო, ამ შემთხვევაში, ვერაფერს გირჩევ, გარდა იმისა, რომ რომელიღაც უნდა აირჩიო, მაგრამ თუ არც ერთის დაკარგვა არ გინდა, ყველასთან იურთიერთე და ბოლოს, ვისკენაც გაგიწევს გული, იმასთან დარჩი.

გიო, *15 წლის:*

„ლექსო, მაგარი კაცი ხარ. მაინტერესებს — როგორ მიაღწიე ამდენს? მეც მინდა გავრეპო, ეს ჩემი ოცნებაა და იმედია, ამიხდება. იქნებ ოდესმე, მეც შენსავით პოპულარული გავხდე. შენ ყოველთვის რაღაც სიბრძნეს ამბობ, მინდა მოგბაძო. შენი რჩევა ან დახმარება მჭირდება იმისთვის, რომ რამეს მივაღწიო“.

ლექს-სენი:

— უკვე ვთქვი და ისევ გავიმეორებ — ყველაფერს დიდი შრომის შედეგად მივაღწიე. შენც თავდაუზოგავად უნდა იშრომო, თუ გინდა, რამე გამოგივიდეს და კიდევ, ძალიან უნდა გიყვარდეს შენი საქმე, ეს ყოველთვის დაგეხმარება.

თაზო, *16 წლის:*

„ძალიან მომწონს თქვენი რუბრიკა. სიამოვნებით წავიკითხავდი დათო ხუჯაძის თინეიჯერულ ამბებს, იმიტომ, რომ... თუმცა, ამას რა მნიშვნელობა აქვს, რადგან ვიცი, რომ დათოს „გზის“ ფურცლებზე ვერასდროს ვნახავ“ *(რატომ — გაუგებარია... იხ. ჩვენი ჟურნალის ამ ნომერში. — რედ.).*

ირინოლა, *18 წლის:*

„მე თინეიჯერი ვარ. ძალიან ბევრს ვსწავლობ, რადგან მინდა, ერთიანი ეროვნული გამოცდები წარმატებით ჩავაბარო. ჩემი აზრით, თინეიჯერების პრობლემა — უსწავლელობაა“.

ირაკლი, *17 წლის:*

„გამარჯობა. ძველი თაობის თინეიჯერებისგან განსხვავებით, ახლანდელები თითქოს, უფრო დაბოღმილები, შარიანები ვართ. თავის მოწონების მიზნით, შეიძლება, ბევრი სისულელე ჩავიდინოთ. გარკვეულ ჯგუფებად ვიყოფით — უბნების, სტილის და ქუჩური გაგების მიხედვით... შემდეგ ხუთშაბათს, აუცილებლად ვინმე რეპერი გაუშვი“.

ნია ბერია, *14 წლის:*

„ახლანდელ და ძველ თინეიჯერებს შორის, იმ განსხვავებას ვხედავ, რომ ჩვენ უფრო „საკაიფოები“ ვართ, ვიდრე ისინი იყვნენ. მათ თინეიჯერებსაც კი ვერ ვუწოდებ“.

ხატია, ღ., *14 წლის:*

„ადრინდელ და ახლანდელ თინეიჯერებს შორის განსხვავება ძალიან დიდია, აზროვნებაც სხვანაირია და ჩაცმის სტილიც. საერთოდაც, ერთმანეთისგან რადიკალურად განვსხვავდებით. ჩვენი პრობლემა — აღვირახსნილობა და თავშეუკავებლობაა. მეც თინეიჯერი ვარ, მაგრამ არასდროს მოვიქცევი ისე, როგორც ჩვენი თანაკლასელები იქცევიან“. ■

მომღერალი ეკა კვალიაშვილი 25 წელია, რაც ქართულ სცენაზე დგას. ახლა, მის ცხოვრებაში ის პერიოდია, როცა ფიქრობს, რომ შეიძლება, სხვა ქვეყნის სცენაზეც მოსინჯოს საკუთარი ძალები, რადგან ჩვენთან კონცერტები უკვე დიდი ხანია, აღარ იმართება. ის ამჟამად, ძირითადად კლუბებში მღერის, მეგობრებთან ერთად, ხან ფინანსური დაინტერესების გამო, ხან უბრალოდ, გართობის მიზნით. ამბობს, რომ იმ მომღერლებს, ვისაც რაიმე კერძო ბიზნესი არა აქვთ, ცხოვრება ძალიან გაუჭირდათ. ეკას ჰყავს 13 წლის შვილი ნუკი, რომელიც კარგად მღერის, ხატავს, ძერწავს და ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის დიზაინსაც ქმნის. მომღერალი პირად ცხოვრებაზე კატეგორიულად არ ლაპარაკობს და არც არაფერს ამბობს წინასწარ, შორეული გეგმების შესახებ.

„რა ვქნა, თუ ვინმეს რიგში არ ვარ?!“

ეკა კვალიაშვილი

ჰიტივულიდან გამოძახებას ელოდება

ნათია თენიეშვილი

— ამჟამად, 5 ჩემს სიმღერაზე ვმუშაობ. ჩემმა ხმის რეჟისორმა სტუდია შეიცვალა, სხვა სტუდიაში გადავიდა და ამის გამო, იძულებითი შესვენება გამომივიდა.

— სიმღერები, რომლებზეც ახლა მუშაობთ, რაიმეთი განსხვავებულია თუ ისინი იმავე სტილს განეკუთვნება, რომელსაც ტრადიციულად მისდევთ?

— სულ ერთსა და იმავე სტილში არ ვმღერი. არ მიყვარს მხოლოდ ერთ ჟანრში მუშაობა. მაქვს იმის საშუალება, რომ სხვადასხვა ჟანრში ვიმღერო, რაც ჩემთვის უფრო საინტერესოა. ახალ სიმღერებში არის როგორც ტრადიციული, ასევე განსხვავებული მანერის სიმღერებიც.

— რომელიმე ახალ ნამუშევარზე კლიპის გადაღებას თუ აპირებთ?

— კლიპს იმ შემთხვევაში გადავიღებ, თუ ამის ფინანსური შესაძლებლობა გაჩნდება. სააღდგომოდ გამზადებული მქონდა ანსამბლ „ალილოსთან“ ერთად ჩაწერილი უფლის სადიდებელი, ჩემი სიმღერა — „მწყემსო კეთილო“, მაგრამ კლიპის გადაღებისთვის დრო აღარ დამრჩა და ამის გამო, გული ძალიან დამწყდა.

— აღნიშნავთ, რომ სულ მუშაობთ, თუმცა შორიდან ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს შემოქმედებითი პაუზა გაქვთ. რატომ არ ჩანხართ?

— ვინ ჩანს? არაფერი აღარ ხდება. ამ სფეროს ძალიან ზედაპირულად უყურებენ. საქართველოში ყველა მღერის, მაგრამ ყველას არ უნდა ჰქონდეს სცენაზე დადგომის უფლება და ისინი არც უნდა ფინანსდებოდნენ. მაგრამ არის რამდენიმე, თითზე ჩამოსათვლელი მუსიკოსი, ვისთანაც შეიძლება სერიოზული მუშაობა.

სულ ერთსა
და იმავე
სტილში
არ ვმღერი

— იმის გამო, რომ ჩვენთან არც კონცერტები ტარდება და არც საღამოები, მომღერლები შემოსავლის გარეშე არიან დარჩენილები?

— ჩვენს ქვეყანაში სიმღერით თავის რჩენა შეუძლებელია. თუ უცხოეთში წახვედი, იქ უკვე შეიძლება, შენი ნამღერით მოპოვებული შემოსავლით ცხოვრება. ჩვენთან კონცერტის მოწყობას იმხელა თანხა სჭირდება... თან მოგებაც არ გრჩება.

— რამდენიმე წლის წინ, თქვენ, სპორტის სასახლეში, მასშტაბური პროექტი — „გამარჯვების დღე“ წარმოადგინეთ. ჰქონდა ამ პროექტს მისი შესაბამისი აღიარება და რეზონანსი?

— აღიარება ჰქონდა, მაგრამ ეს პროექტი საგასტროლოდ იყო გათვლილი. მის განსახორციელებლად იმხელა თანხა დაიხარჯა, რომ გამორიცხული იყო თბილისში იმ თანხის ამოღება. ეს შოუ რუსეთის სხვადასხვა ქალაქში უნდა ჩატარებულიყო, რაც ძალიან დიდ შემოსავალს მოიტანდა. თუმცა, ვინც ამ პროექტს ორგანიზებას უწევდა, მან რატომღაც შეაჩერა ეს ყველაფერი და დღემდე ვერ ვხვდები, რატომ.

— ბევრი ქართველი, თითქმის ყველა თაობის მომღერალი რუსეთში წავიდა და იქ მოღვაწეობს. თქვენ არ გიფიქრიათ, რომ წასულიყავით?

— მიფიქრია და ახლაც ვფიქრობ, ოღონდ — არა მაინცდამაინც რუსეთში. სადაც კარგად ვიქნები, იქ წავალ. თუმცა, ეს საკმაოდ რთულია. ერთი მითხარით, ქართველი მომღერლებიდან, ქეთა თოფურიას გარდა, რუსეთში ვინ დაიმკვიდრა ადგილი? ნანისა და ბუბას არ ვგულისხმობ, საბჭოთა კავშირის პერიოდიდან ისინი რუსებისთვის საყვარლები და მისაღები არიან. ქეთაც მოხვდა ისეთ ანსამბლში, რომელიც უკვე პოპულარული იყო, ის თავისი ნიჭითა და გარეგნობით კარგად მოერგო ამ ჯგუფს და გახდა კიდეც პოპულარული. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ქეთას ვუსურვო დიდი წარმატება. ის ჩემს ხელშია გაზრდილი და ძალიან მახარებს მისი წინსვლა.

— საქართველოში, ბოლო პერიოდში იმართება სამთავრობო კონცერტები, სადაც ორგანიზატორები მომღერლების გარკვეულ ჯგუფს იწვევენ. როგორც ჩანს, თქვენ რჩეულთა შორის არ ხართ, რადგან არც ერთ ასეთ კონცერტზე არ გამოჩენილხართ. არ

გწყდებათ გული?

— რა ვქნა, თუ ვინმეს რჩეული არ ვარ, ვერავის დავაძალებ, გინდა თუ არა, შენი რჩეული უნდა ვიყო-მეთქი. ორგანიზატორებიც სულ ერთი და იგივე ადამიანები არიან, რომელთა გემოვნებაში რომ „ჩავჯდე“ და მათ მიმიწვიონ, არც მინდა. საქართველოში ამ ეტაპზე რამის გაკეთებას აღარ ვფიქრობ, იმიტომ, რომ აზრი აღარ აქვს. გავაკეთებ სხვაგან და იქიდან ჩამოსული, ჩემს მსმენელს უფრო მაღალი ხარისხის პროდუქციას შევთავაზებ, რადგან მეტი შესაძლებლობა მექნება.

— სად იქნება ეს „სხვაგან“?

— დაახლოებით ვიცი, ოღონდ წინასწარ არასდროს არაფერს ვამბობ. როცა წავალ, მაშინ ვიტყვი.

არასდროს ვიტყუები. საერთოდ, ტყუილს ვერ ვიტან

— გავრცელდა ინფორმაცია, რომ ჰოლივუდში ფილმს იღებდნენ, სადაც თქვენ ერთ-ერთი როლი უნდა გეთამაშათ. ეს პროექტი გადაიდო?

— არც შეჩერებულა და არც გადადებულა. ყველაფერს თავისი დრო აქვს. ახლა მიმდინარეობს მოსამზადებელი პერიოდი. მუშაობენ იმ მსახიობებთან, რომლებიც მთავარ როლებს შეასრულებენ. ჯერ არ ეჩქარებათ არც ჩემი სიმღერები და არც ის ეპიზოდური როლი, რომელიც მე უნდა ვითამაშო. როცა საჭირო ვიქნები, მაშინ გამომიძახებენ და წავალ. რადგან ეს ამბავი დროში გაიწელა, ერთ-ერთმა ჟურნალისტმა დაწერა — ეკა კვალიაშვილი იტყუებაო. მე არასდროს ვიტყუები. საერთოდ, ტყუილს ვერ ვიტან. ფილმის პროდიუსერთან მაქვს ხშირი მიწერ-მოწერა და ყველაფრის საქმის კურსში ვარ. ჩემი საქმე და ჩემი სამუშაო მაქვს. არავის ცხოვრებაში არ ვყოფ ცხვირს და არავის ვეხები. თვითონაც თავს თუ დამანებებენ, ძალიან კარგს იზამენ. ■

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკისა და დრამის თეატრის ახალგაზრდა მსახიობს ცისია მეტრეველს, მიუხედავად იმისა, რომ თეატრში საკმაოდ ბევრი როლი აქვს შესრულებული, საზოგადოების უმეტესი ნაწილი ტელესერიალიდან — „წვრილვარსკვლავთა ღამე“ იცნობს (მან იქ ლალიკოს როლი ითამაშა). „იმისთვის, რომ პოპულარული გახდე, სულაც არ არის საჭირო ინტიმური სცენების თამაში“ — გვითხრა ცისიამ, რომელიც ფიქრობს, რომ ასეთ სცენებში მონაწილეობის მიღება, ქართული მენტალიტეტისთვის მიუღებელია.

როგორ იპოვეს საერთო ენა მსახიობმა და უშიშროების სამინისტროს თანამშრომელმა?

ინტიმური სცენები, ქართული მენტალიტეტი და დემოკრატიულ საწყისებზე ჩამოყალიბებული ჰუმანური ურთიერთობა

ეკა მინდაძე

— 15 წელი ანსამბლ „მხედრულში“ ვცეკვავდი. გარდა ამისა, მუსიკალურ სასწავლებელში და ელდინო საღარაძის პოეზიის თეატრში დავდიოდი. ერთხელ, თოჯინების თეატრში მოწყობილ საღამოზე, ჩემი საკუთარი ლექსიც კი წავიკითხე. მიუხედავად ამისა, მაინც ჟურნალისტობა მქონდა გადაწყვეტილი.

— რატომ აირჩიე მსახიობობა, ცეკვას რატომ არ გაჰყევი ბოლომდე?

— მიუხედავად იმისა, რომ 15 წელი ვცეკვავდი, არასოდეს მქონია სურვილი, ამ კუთხით გამეგრძელებინა ჩემი კარიერა. ყოველთვის მინდოდა ჟურნალისტობა და ამისთვის სერიოზულად ვემზადებოდი კიდეც, მაგრამ ბოლო მომენტში, მსახიობობა ავირჩიე. კარგად მახსოვს, მე-10 კლასში ვიყავი, როცა კონკურსი — „ვეძებთ ტალანტებს“ გამოცხადდა. მამიდაჩემმა მაშინვე მოჰკიდა ხელი ჩემს ნახატებს, ლექსებს და კონკურსზე წამიყვანა. ჟიურის ერთ-ერთი წევრი, ბატონი ოთარ კობერიძე იყო. როცა მან მომისმინა, მითხრა: მე შენ როლი უნდა მოგცეო. იმ დროს, ბატონი ოთარი იღებდა ფილმს — „შვიდი ქართველი“. მან იმ დღესვე გამომატანა ფილმის სცენარი და გამაფრთხილა — წაიკითხე, შენ ამ ფილმში ერთ-ერთი მთავარი როლი უნდა შეასრულოო. სამწუხაროდ, ვიდრე ფილმის გადაღებას დავიწყებდით, ისე აირია ყველაფერი, რომ გადაღებისთვის აღარავის ეცალა (იმ დროს, საქართველოში სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა). მართალია, ამ ფილმში გადაღება ვერ მოვასწარი, მაგრამ იმ წუთიდან, როცა ბატონმა ოთარმა ფილმში გადაღება შემომთავაზა, მსახიობობაზე დავფიქრდი.

— ხშირად მშობლები ეწინააღმდეგებიან შვილებს მსახიობის პროფესიის არჩევისას. შენს შემთხვევაშიც ასე იყო?

— პირიქით, მშვენივრად, ალბათ იმიტომ, რომ ჩემი ოჯახის წევრებიც ხელოვნებას ემსახურებოდნენ. ბაბუაჩემი იოსებ ცათიაშვილი, სანდრო კავსაძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის წამყვანი მოცეკვავე იყო. მან შექმნა ცეკვა „ქისტური“, რომელიც ჯანო ბაგრატიონმა დახვეწა და „ალვანური“ უწოდა. დედა მხატვარია. ამიტომ, მათთვის უცხო არ იყო ჩემი არჩევანი,

მშობლები რომ არა, ჩემს საქმეს ვერ გავაკეთებდი. შემიძლია ვთქვა, რომ ორივე ბიჭი მათი გაზრდილია (შვილებთან — თორნიკესა და ცოგნესთან ერთად)

რომელიც მათ ერთხელ შევაპარე: საბუთებს ჯერ თეატრალურ ინსტიტუტში შევიტან, თუ გამოცდები ჩავაბარე, ხომ კარგი, თუ არა და გამოვიტან საბუთებს და უნივერსიტეტში შევიტან-მეთქი, რადგან თეატრალურ უნივერსიტეტში გამოცდები ადრე იწყებოდა. ღვთის მადლით, იმავე წელს ჩავირიცხე. გამიმართლა იმაში, რომ მოვხვდი დათო კობახიძის ჯგუფში. ჩემთან სწავლობდნენ: მარიანა ნინიაშვილი, გიო მიქელაძე (პირველ ქართულ

ჩემი დებიუტი ინსტიტუტში სადიპლომო სპექტაკლში — „ჩარლის დეიდა“ შედგა

ტელესერიალში — „სახლი ძველ უბანში“ ის გოგოლა კალანდაძესთან ერთად მთავარ როლს ასრულებდა), ზაზა იაქაშვილი, გიორგი მთავრიშვილი, ნინო ლეჟავა, ნინო ლოლაშვილი (ჟანრი ლოლაშვილის ქალიშვილი) და სხვები.

— შენი დებიუტი თეატრში როდის და რა სპექტაკლში შედგა?

— ჩემი დებიუტი ინსტიტუტში სადიპლომო სპექტაკლში — „ჩარლის დეიდა“ შედგა, რომელიც დათო კობახიძემ დადგა. ამ სპექტაკლზე უამრავი ხალხი მოდიოდა.

— ვინ არის შენი საყვარელი მსახიობი?

— ბედნიერი ერი ვართ, რომ ამდენი ბუმბერაზი მსახიობი გვყავდა. მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ახალგაზრდებიდან ნატო მურვანიძე მომწონს, რუსი მსახიობებიდან: ოლეგ მენშიკოვი, ჩულპან ხამატოვა, ოლგა დროზდოვა, პევცოვი, მაშკოვი და ბეზრუკოვი. რაც შეეხება უცხოელ მსახიობებს, ძალიან მომწონს მელ გიბსონი, კევინ კოსტნერი, სოფი მარსო, ბრედ პიტი და რობერტ დე ნირო.

— სცენაზე გასვლის წინ, რაიმე ჩვევა თუ გაქვს?

— კი. სცენაზე გასვლის წინ, გავდივარ ჩემთვის ცალკე და ლოცვას — „მამაო ჩვენოს“ წარმოვთქვამ; შემდეგ, ყოველთვის ვვარჯიშობ მეტყველებაში და ვიმეორებ: ტკიპ, ტკიპ, ტკიპ, ტკეპ, ტკეპ, ტკეპ, ტკაპ, ტკაპ, ტკაპ.

— ვინ არის შენთვის სასურველი სასცენო პარტნიორი?

— ალეკო ბეგალიშვილი ყოველთვის არაჩვეულებრივი პარტნიორია. მან მშვენივრად ითამაშა მამის როლი ალბერ კამიუს ნაწარმოების მიხედვით დადგმულ სპექტაკლში — „ქალაქი ალყაში“. ამავე წარმოდგენაში, მშვენიერ პარტნიორობას მიწევდა როლანდ ოქროპირიძეც.

— შენი აზრით, მსახიობმა ინტიმური სცენების გამო, უარი უნდა თქვას კინოში გადაღებაზე?

— იმისთვის, რომ გახდე პოპულარული, სულაც არ არის საჭირო ინტიმური სცენების თამაში! ამ ნათქვამის შემდგომ, შეიძლება, ვინმე შემომედავოს — XX საუკუნეა და რა მოხდაო? — მაგრამ დრო რა შუაშია?! ნუ დაგვავიწყდება, რომ საქართველოში ვცხოვრობთ და ქართველები ვართ. ისე, ჩემი ოცნებაა — კინოში გადაღება. სიამოვნებით ვითამაშებდი უცხოურ, თუნდაც, რუსულ კინოსერიალებში.

— ამბობენ, მსახიობი ორმაგი ცხოვრებით ცხოვრობსო, მართალია?

— ჩემი აზრით, თითოეული ადამიანი მეტ-ნაკლებად რაღაც ნიღაბს ატარებს. ეს ჩვეულებრივი რამ არის, ყველასთან და ყველგან ბუნებრივი ვერ იქნები.

— ვინ არის შენი შემოქმედების პირველი შემფასებელი?

— მეგობრები, მეუღლე და დედა.

— ალბათ, ბევრი კურიოზიც გადაგხდენია თავს. რამეს ხომ არ გაიხსენებდი?

— კურიოზი არ არის, 5 თვის ორსული, სპექტაკლში — „ჩარლის დეიდა“ „კანკანს“ რომ ვცეკვავდი?! კარგად მახსოვს, ცეკვის დროს, ერთ მხარეს მარიანა ნინიაშვილი მედგა, მეორე მხარეს — გიორგი მიქელაძე და ჩემს გამხნევებას ცდილობდნენ. გიო კულისებში ასე მემასსრებოდა: ნუ გეშინია, თუ რამე დაგემართა, მე აქ ვარ, ბოლოს და ბოლოს, ჩემი მეორე პროფესია ხომ ექიმობაა (ის მართლაც პარალელურად სამედიცინოზე სწავლობდა). ამას წინათ, მაგალითად, სპექტაკლში — „ქალაქი ალყაში“ კინაღამ სცენის მეორე სართულიდან გადმოვვარდი, მაგრამ ღვთის მადლით, თავი შევიკავე და გადავრჩი. ახლა ამის გახსენებაც კი მზარავს.

— მუსიკალური დრამის თეატრში როგორ მოხვდი?

— ამ თეატრში გიგა ლორთქიფანიძის წყალობით მოვხვდი. მან მარჯანიშვილის თეატრში განახლებულ სპექტაკლში „ჩარლის დეიდა“ რომ მნახა, შემდეგ აქ წამომიყვანა (იმ პერიოდში აქ მუშაობდა). მეც, რა თქმა უნდა, დიდი სიამოვნებით დავთანხმდი ამ დიდი რეჟისორის შემოთავაზებას.

— ალბათ საოცნებო როლიც გექნება...

— ადრე ძალიან მინდოდა, მედეა მეთამაშა. დღეს კი, რასაც შემომთავაზებენ, ყველა როლის სათამაშოდ მზად ვარ.

— ამჟამად, რას საქმიანობ?

— ამჟამად, ვმუშაობ რუსულ პიესაზე „მაკულატურა ანუ დღეს ორშაბათია“, რომელსაც დათო დოიაშვილი დგამს. საკმაოდ განსხვავებულ როლს შევასრულებ — თინეიჯერ გოგონას განვასახიერებ.

— მიუხედავად იმისა, რომ მეუღლე და შენ, განსხვავებული პროფესიის ადამიანები ხართ, ის არ ეჭვიანობს შენზე?

— არანაირად. მიუხედავად იმისა, რომ სრულიად განსხვავებული პროფესიის ადამიანები ვართ, ბონდოს ჩემში ეჭვი არასოდეს შეჰპარვია, ალბათ იმიტომ, რომ ამის საფუძველს არ ვაძლევ. უფრო მეტიც, ის ყველანაირად ცდილობს, საყვარელი საქმის კეთებაში ხელი შემიწყოს.

— ვინ გეხმარება ორი ბიჭის აღზრდაში?

— მშობლები რომ არა, ჩემს საქმეს ვერ გავაკეთებდი. შემიძლია ვთქვა, რომ ორივე ბიჭი მათი გაზრდილია.

— მოდი, ისიც გვითხარი, სად გაიცანი მომავალი მეუღლე?

— საერთო მეგობრის დაბადების დღეზე. იმ დღის შემდეგ, კარგა ხანს აღარ გვინახავს ერთმანეთი. სამი თვისთავზე, მან დამირეკა და მთხოვა, შევხვედროდი — დავთანხმდი. მახსოვს, ჩემს მეგობართან, ის კი — თავის მეგობართან ერთად მოვიდა. იმ შეხვედრიდან 2 კვირაში გადავწყვიტეთ დაქორწინება. მართალია, მე უკვე მსახიობი გახლდით, ის კი — უშიშროების სამინისტროს მომავალი თანამშრომელი, მაგრამ მაინც გამოვნახეთ საერთო ენა. ახლა, ოჯახში „ჰუმანური ურთიერთობა გვაქვს ჩამოყალიბებული დემოკრატიულ საწყისებზე“ *(იცინის).* ■



მიუხედავად იმისა, რომ სრულიად განსხვავებული პროფესიის ადამიანები ვართ, ბონდოს ჩემში ეჭვი არასოდეს შეჰპარვია

ჟურნალის საჯარჯიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. ჟიგა, რილი, ჰორნპაიპი, სეტდანსი — რისი ჩამონათვალია?
2. რამდენი ოპერა აქვს დაწერილი იოჰან სებასტიან ბახს?
3. დაასახელეთ ცნობილი ქართველი მოჭადრაკე, რომელმაც ერთხელ, შეცდომით, მეტოქის ჭადრაკის ფიგურით საკუთარი ფიგურა აიყვანა.
4. რა არის კლეპსიდრა?
5. რა აქვთ საერთო ჰომეროსს, ჯონ მილტონსა და ლუი ბრაილს?
6. რომელი ფირმის მოტორით იყო აღჭურვილი ფაშისტური გამანადგურებელი „მესერშმიტი“?
7. სკოლაში ბავშვები ამას 6 წლის ასაკში სწავლობენ. დღევანდელ მსოფლიოში დაახლოებით ერთი მილიარდი ადამიანია ამის უცოდინარი.
8. რა თანხა უჯდებოდა საბჭოთა კავშირს ავღანეთთან ომის თითოეული დღე?
9. რა აქვთ საერთო მუსლიმანთა წინასწარმეტყველ მუჰამედსა და იულიუს კეისარს?
10. კვირკველია ამ ქართველი პოეტის ნამდვილი გვარია.
11. რომელმა ქართველმა მაღალჩინოსანმა დაამკვიდრა რუსეთთან მიმართებაში გამონათქვამი „სუროგატული ევროპა“?
12. რა ჰქვია ცხვრის საკრეჭ მაკრატელს?
13. რა ეწოდება მანძილს ცერის ბოლო სახსრიდან ფრჩხილის წვერამდე?
14. რა მდინარე ჩამოედინება მეხიკოში?
15. რომელ ბილიკზე ასპარეზობს ცურვაში შეჯიბრების დროს ფავორიტი?
16. რა სტატუსი ჰქონდათ მეფის რუსეთში ადამიანებს, რომელთაც წვერ-ულვაშს სახის ცალ მხარეზე ჰპარსავდნენ?
17. რა ერქვა ინგლისელ მეკობრეთა დროშას?
18. დაასახელეთ ტრადიციული მთავარი პრიზი ქართულ ჭიდაობაში.
19. მისი ნამდვილი სახელი და გვარია — ნგუენ ტატ თანი.
20. ამ ღვთისმსახურს ლოცვის დროს, ყურებში თითები აქვს დაცობილი.
21. „ონ პერვი ფუტბოლნი დისიდენტ“, — ვის შესახებ ამბობდა ამას ცნობილი რუსი ჟურნალისტი და ფოტოხელოვანი იური როსტი?

ანეკდოტები

* * *

ქმარი:
— შენ არასდროს ყოფილხარ ჩემი ერთგული!...
ცოლი:
— ცდები, ძალიან ხშირად!..

* * *

80 წლის კაცი ექიმთან მიდის:
— ექიმო, სექსუალური აქტის დროს, მეხუთე ჯერზე რაღაც ტკაცუნის ხმები მესმის.
— ეგ აპლოდისმენტებია, ბაბუაჩემო, აპლოდისმენტები.

* * *

წარწერა კედელზე:
„ონანიზმი ხელს უშლის სიმაღლეში ზრდას“.
გვერდით ორი მეტრის სიმაღლეზე წერია:
„ტყუილია!“

კახეთში ყურმოკრული ფრაზა:
— მე კი ვიცი, რითი გამოვკვებო ამდენი დამშეული ხალხი, მაგრამ შაჭამენ, რო?..

* * *

ორი მეგობარი შეხვდა ერთმანეთს. ერთ-ერთი — მუსიკოსია. მეორე აღფრთოვანებით ეუბნება:
— ამას წინათ, შენი ალბომი შევიძინე და ძალიან მომეწონა!
— აა, ეს შენ იყიდე?!.

* * *

ჭიჭიკია ღამის ოთხი საათისთვის მთვრალი ბრუნდება სახლში ბიჭიკიასთან ერთად. ცოლი დოინჯშემოყრილი დგას:
— რას ჰგავხარ, შე უბედურო! იცი მაინც, რა დროა ახლა? მორჩა, შენ უნდა დაისაჯო!... ორი თვე სექსის გარეშე!.. შენც ბიჭიკია!...

* * *

— ბიჭო, რა მიჭყლეტილი ცხვირი გაქვს, მოკრივე ხარ?
— არა, ქალების აბანოში ფანჯრებს ვწმენდ.

* * *

ოსს ავტოინსპექტორი აჩერებს:
— მანქანას ნომრები რატომ არ უკეთია?

— ზეპირად ვიცი, სენი წილიმე!..

* * *

როგორ ეჩვევა ზოგიერთი მავნე ჩვევას:
ერთხელ ექიმმა უოტსონმა გადაწყვიტა, გადაეჩვია შერლოკ ჰოლმსი ჩიბუხის მოწევისთვის: აიღო მისი ჩიბუხი და უკანალში ერთხელ შეიყო.
როდესაც ჰოლმსი სახლში დაბრუნდა, ჩვეულებრივზე დიდი სიამოვნებით გააბოლა.
მეორე დღეს ექიმმა უოტსონმა ჩიბუხი ორჯერ შეიყო უკანალში. როდესაც ჰოლმსი სახლში დაბრუნდა, კვლავ დიდი სიამოვნებით გააბოლა ჩიბუხი.
გადიოდა დრო. შერლოკ ჰოლმსი დიდი სიამოვნებით აგრძელებდა ჩიბუხის მოწევას, ხოლო ექიმი უოტსონი უკვე ვეღარ ძლებდა ჩიბუხის გარეშე.

* * *

საღამოს ოსი ყანიდან ბრუნდება დაღლილი. შეხვდება კახელი.
— მოდი, ვიშა�.
— არა, სენი წილიმე, ძალიან დაღლილი ვარ და სახლში მეჩქარება.

— მოდი-მეთქი, თორემ, დედას გიტირებ, — ატერორებს კახელი.

ოსს სხვა გზა არ ჰქონდა და დათანხმდა.

კახელმა დაიწყო:

— ავხტი-დავხტი, აგე იმ გორაზე შავხტი, იქიდან აგე იმ გორაზე გადავხტი, მერე აი, იმ მუხაზე გადავხტი და იქიდან პირდაპირ დედაშენს დავახტი.

— მე, კიდენა, სენი წილიმე, ავხტი-დავხტი და პირდაპირ დედაშენს დავახტი!... ხომ გითხარი, ძალიან დაღლილი ვარ-მეთქი.

* * *

ფერმერმა სმიტმა ქალაქელი ქალი მოიყვანა ცოლად. ქორწილის შემდეგ, ცოლი შინ მიჰყავს. გზაში ცხენმა წაიფორხილა.

— ეს ერთი! — ჩაილაპარაკა თავისთვის სმიტმა.

ცხენმა მეორედ წაიფორხილა.

— ეს ორი!

ცხენმა მესამედაც წაიფორხილა.

— ეს უკვე სამი! — თქვა სმიტმა, ცხენიდან ჩამოხტა და საბრალო ცხოველს ტყვია დაახალა.

— რატომ მოკალი, შე უღმერთო?! — გადაირია ცოლი.

— ეს ერთი! — ჩაილაპარაკა თავისთვის სმიტმა.

* * *

ორი ამერიკელი ტურისტი კოსტა-რიკაში იმყოფება. ერთი ეუბნება მეორეს:

— იცი, აქაურები ხელთათმანებს როგორ აკეთებენ? კაუჩუკის ხის წვენში ისველებენ ხელებს, მერე იშრობენ, წვენი შრება და ხელთათმანებიც მზადაა.

— ვაა, მაგარია! ნეტა, პრეზერვატივებს როგორღა აკეთებენ?!

* * *

ჭიჭიკია ბარში ძაღლთან ერთად შევიდა და იქ მსხდომთ მიმართა:

— ვისაც უნდა, 100 დოლარზე დავენაძლევები, რომ ახლა ჩემი ძაღლი ადამიანივით დაილაპარაკებს.

დანაძლევდნენ. ძაღლმა ხმა არ ამოიღო. ჭიჭიკიამ 100 დოლარი წაიგო და ბარიდან დაღონებული გამოდის.

— შე დეგენერატო, შენი გულისთვის ამდენი ფული წავაგე, ხმა რატომ არ ამოიღე?!

— ეე, შტერო, — პასუხობს ძაღლი, — შენ წარმოიდგინე, ხვალ რამდენ ფულს მოვიგებთ!

* * *

„ნოვი რუსკი“ „მერსედეს 600-ით“ დაქრის ქუჩებში, შუქნიშნებს ყურადღებას არ აქცევს. უკან კი სახანძრო და „სასწრაფო“ დახმარების მანქანები მისდევენ. პიკეტზე „მერსედესს“ ავტოინსპექცია აჩერებს. „ნოვი რუსკი“ მანქანიდან გადმოდის და ამბობს:

— ჰო, ვიცი, ვიცი! ახლა დამიწყებთ — „აპტეჩკა“ არა გაქვს, „აგნეტუშიტელი“ არა გაქვს. აბა, თქვენი აზრით, ამ მანქანებს რისთვის ვუხდი ფულს, უკან რომ დამყვებიან?!

* * *

მიხო ექიმთან მივიდა.

— ექიმო, შენი ჭირიმე, მითხარი, რა მჭირს, ოღონდ, ლათინურად კი არა, სუფთა ქართულით.

ექიმმა კარგად გასინჯა და ეუბნება:

— სუფთა ქართულით, თქვენ გჭირთ უსაქმურობა და თანაც, პირწავარდნილი ლოთი ხართ.

— აგაშენა ღმერთმა! აი, ეგ ყველაფერი ბიულეტენში ლათინურად ჩაწერე!

ჯრნალის სპეციალური

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ეს ინგლისური ხალხური ცეკვების ჩამონათვალია.
2. არც ერთი.
3. ზურაბ აზმაიფარაშვილი.
4. წყლის საათი.
5. სამივენი უსინათლონი იყვნენ.
6. „მესერშმიტებისთვის“ ძრავებს BMW ამზადებდა.
7. წერა-კითხვა.
8. ათი მილიონი მანეთი.
9. ორივე, ეპილეფსიით იყო დაავადებული.
10. ტერენტი გრანელი.
11. გელა ჩარკვიანმა.
12. დუქარდი.
13. გოჯი.
14. მეხიკოში არანაირი მდინარე არ ჩამოედინება. სასმელ წყალს მიწისქვეშიდან ქაჩავენ, რის გამოც, ქალაქს „დაჯდომის“ საშიშროება ემუქრება.
15. ცურვაში შეჯიბრის დროს, ფავორიტი ყოველთვის მეოთხე ბილიკზე ასპარეზობს.
16. ისინი კატორღელები იყვნენ.
17. „მხიარული როჯერი“.
18. ბატკანი.
19. ხო ში მინი.
20. მოლა.
21. დავით ყიფიანის შესახებ.

ჩვენი ფოტო ალბომიდან

რუბრიკა მოამზადა თემურ ივანიძემ

ბოლინიეგა

შიო გვეტაძე

ქუთაისის სამართალდამცველები — პოლკოვნიკი ბალანჩივაძე, პროკურორი ხომერიკი, გამომძიებელი მინდელი და თბილისიდან ჩამოსული პოდპოლკოვნიკი ძიძიგური — ქალაქში აღმოჩენილი ბანდის დასაჭერად, გეგმავენ ოპერაციას, რომელიც ერთდროულად ორ ადგილას — ქუთაისში, ექთან ნატალია დევიძის ბინაში და წყალტუბოს სასტუმროში უნდა განხორციელდეს. მთავარი სამიზნე — ბანდის მეთაური, გამოცდილი და ამავე დროს, ქართველი სამართალდამცველებისთვის უცნობი კრიმინალი, მეტსახელად ჭაღარაა. ერთ-ერთი ბოროტმოქმედის — ვინმე მათე ჩარგიევის (რომელიც რუსეთიდან ჩამოსული ქალის, ბასკაკოვას საქმროდ ასაღებს თავს) შესაპყრობად, მას რესტორანში პროვოკაციას მოუწყობენ და მოწმის სტატუსით დაკითხვის საბაბით, მილიციის სამმართველოში წაიყვანენ. ამავე დროს, ქუთაისში მყოფი ბანდის წევრები მედგარ წინააღმდეგობას გაუწევენ ოპერატიულ ჯგუფს და მის ერთ-ერთ წევრს მძიმედ დაჭრიან.

ბანდის ერთ-ერთი თანამზრახველის, ხოტოველის გასატეხად, გამომძიებელი მაგნიტურ ფირზე გაკეთებულ ჩანაწერს მოიშველიებს...

(დასაწყისი იხ. „გზა“ №8-17)

ხოტოველი გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს გამომძიებლის მოქმედებას და ვერაფრით გაეგო, რაში უნდა ემხილა და გაებათილებინა მისი ჩვენება ამ პატარა ყუთს.

მინდელი კვლავ თავის სავარძელში ჩაჯდა, პაპიროსს მოუკიდა და ყუთის შიგნით პატარა კლავიშს დააჭირა თითი. კაბინეტში გამეფებული სიჩუმე დისკოს ბრუნვის შიშინმა დაარღვია.

მინდელი დაკვირვებით მისჩერებოდა ხოტოველს, რომელსაც ჯერ ვერაფერი გაეგო და ხან გამომძიებელს შეხედავდა, ხან — ბასკაკოვას, ხოლო იქიდან ყუთზე გადაჰქონდა მზერა.

ბასკაკოვაც ვერაფერს მიმხვდარიყო, რადგან მინდელს უკანასკნელი ფრაზები აღარ უთარგმნია და ცნობისმოყვარეობით მისჩერებოდა ძლივსგასაგონად მოშრიალე პორტატულ მაგნიტოფონს. უეცრად, ეს პატარა ყუთი „გაცოცხლდა“ და ხოტოველისა და ბასკაკოვას ხმებით „ალაპარაკდა“... „ალაპარაკდა“ და ხოტოველიც ააყვირა:

— ტყუილიააააა! მოწყობილიააა! თქვენ მომიწყვეთ, მილიციამ მომიწყოოო! — აღრიალდა ის და ფეხზე წამოვარდა.

— წყნარად! — შეუტია მინდელმა. შემდეგ, მაგნიტოფონი გამორთო და გაცეცხლებული ხოტოველი კვლავ სკამზე დასვა.

— იცანით თქვენი ხმა? — მიუბრუნდა გამომძიებელი ბასკაკოვას.

— დიახ, — მიუგო გაკვირვებულმა ქალმა, — ოღონდ, არ მესმის, ვინ ან როდის ჩაწერა ჩვენი საუბარი?

— ეს საინტერესო არ არის. ადასტურებთ დიალოგის სინამდვილეს?

— სავსებით. სწორედ ეგ საუბარი გვქონდა მე და ამ მოქალაქეს შეხვედრისას.

— ახლაც უარყოფთ, ხოტოველო? — ჩაერია აქამდე ჩუმად მყოფი პოლკოვნიკი.

— ტყუილია, მოწყობილია! მე მაგას ბეჭედი მივყიდე!.. — აყვირდა ხოტოველი.

— კარგი, დღეისათვის კმარა! — წარმოთქვა გამომძიებელმა. — გაიყვანეთ! — უბრძანა შემოსულ სერჟანტს.

ხოტოველი წელმოწყვეტილივით წამოდგა და ფეხათრევით გაჰყვა სერჟანტს.

— თქვენ კი, მოქალაქე ბასკაკოვა, — მიუბრუნდა გამომძიებელი ქალს, — ჯერ კიდევ საჭირო ხართ. გთხოვთ, ჩვენი ნებართვის გარეშე წყალტუბოდან არ წახვიდეთ. ახლა კი, თავისუფალი ბრძანდებით.

— შეიძლება, შეგეკითხოთ? — ბასკაკოვა სავარძლიდან წამოდგა.

— შეიძლება.

— რა ბრალდებით დააკავეთ ჩარგიევი?

— მე უფლება არა მაქვს, ასეთ კითხვაზე გიპასუხოთ.

— კი, მაგრამ ის ჩემი საქმროა და მინდა ვიცოდე, რისთვის დააკავეთ უდანაშაულო ადამიანი! — მტკიცედ მოითხოვა ქალმა.

მინდელმა პოლკოვნიკს გადახედა.

— დიდი ხანია, ჩარგიევს იცნობთ? — დაინტერესდა პოლკოვნიკი.

— დიახ, წელიწადზე მეტია.

— კარგი. ამ შემთხვევაში, როგორც გამონაკლისი, გეტყვით, რაშიც ედება ბრალი თქვენს საქმროს, მაგრამ — არა აქ. ხვალ, 10 საათზე, ჩემთან მობრძანდით. მე მილიციის სამმართველოს უფროსი ვარ.

— უსათუოდ მოვალ. ნახვამდის!

— ხედავთ, სადამდე მიდის ზოგიერთების ჯიუტობა! — თქვა გულმოსულმა ბალანჩივაძემ, როგორც კი ბასკაკოვამ კარი გაიხურა.

— ვხედავ, — წყნარად გაეცინა მინდელს. — არიან ასეთი ტიპები — რა მტკიცებაც არ უნდა წაუყენო, მხოლოდ „არას“ გაიძახიან... თუმცა, ხოტოველის საქმე მაინც სულ სხვაა და მის „არას“ ჯერ კიდევ აქვს საფუძველი.

— ამით რისი თქმა გსურთ?

— აი, რისი: მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული, რომ ხოტოველმა ჩარგიევს, ტყეშელიაძის ბინიდან წაღებული ოქროს ნივთებისა და 3%-იანი ობლიგაციების ნაწილი ჩაუტანა, დანარჩენი თანხა ან ადრე გადასცა, ან — შემდეგ უნდა მიეცა. ჩარგიევისთვის გადასაცემად მილებული ფულის ნამდვილი დანიშნულება ბასკაკოვამ არ იცის — ეს ნომერში ფარულად ჩადგმულ მაგნიტოფონზე ჩაწერილმა დიალოგმაც დაადასტურა. მაშასადამე, ხოტოველს არ ემუქრება საფრთხე, რომ ამ ფაქტს ბასკაკოვას დაკითხვით დავუმტკიცებთ. ხოლო რაც შეეხება ჩარგიევს — ხოტოველი აბსოლუტურად დარწმუნებულია, რომ იგი არაფერს იტყვის. ჩხრეკამაც არაფერი მოგვცა. დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ: ხოტოველმა მოასწრო, საიმედო ადგილზე დაემალა ნაძარცვი ნივთები. ამიტომაც ჯიუტობს. მართლაც — ჯერჯერობით, შეკრებილი მასალებით, ბრალს ხომ ვერ დავდებთ — ტყეშელიაძის ბინის გაძარცვაში მონაწილეობდიო?!.

დუმილი ჩამოვარდა. პოლკოვნიკმა რამდენჯერმე დინჯი ნაბიჯით გაიარ-გამოიარა ოთახში.

— როგორ ფიქრობ, ლევან, ხომ არ ჯობდა, პირველად კიტოვანი დაგვეკითხა?

— არა, დავით ილიჩ, მე იმედი მქონდა, რომ ხოტოველი გატყდებოდა და იმის შიშით, რომ მისთვის ძარცვა არ დაებრალებინათ, სიამოვნებით აღიარებდა იმას, რაც ჩაიდინა და რასაც ბოლოს და ბოლოს, ჩვენ პროცესუალურადაც დავუმტკიცებთ, ხოლო კიტოვანი და მისი ამხანაგები სულ სხვა ბოროტმოქმედები არიან, მათ ასე იოლად ვერ გამოტეხ.

— ჩარგიევი?

— ო, ჩარგიევი კიდევ, სულ სხვაა. მან ალბათ, დაკავებისთანავე მოამზადა ისეთი ვერსია, რომელშიც ნამდვილი ფაქტები ჩაურთო და სარწმუნოს დაამსგავსა. აი, ნახავთ, თუ პირველი დაკითხვისთანავე არ დაადასტუროს, ხოტოველის მიერ წყალტუბოში ფულის ჩატანა.

— რატომ ხართ ასე დარწმუნებული? — გაეღიმა ბალანჩივაძეს.

— აი, რატომ: მე თქვენ წუხელვე გითხ-

არით, როგორ გავშიფრე მისი პიროვნება და თუ არ ვცდები — მე კი დარწმუნებული ვარ, არ ვცდები, — ჩარგიევი ძველი, გამოცდილი რეციდივისტია, არც განათლება აკლია და რაც მთავარია, ბასკაკოვა საქმის კურსში არა ჰყავს შეყვანილი. ქუთაისში გადმოყვანის შემდეგ, ის უკვე მიხვდა, რომ რესტორანში მომხდარი სკანდალი განგებ, მილიციაში მის მოსაყვანად იქნა მოწყობილი. დარწმუნებულია — ჩვენ რაღაც კვალს მივაგენით, ბასკაკოვა კი, ხოტოველისაგან ფულის მიღებას არ დაფარავს, ჩარგიევს ამის შესახებ არ გაუფრთხილებია, მაშასადამე, ეს ფაქტი მან უნდა დაადასტუროს, სხვა გზა არა აქვს.

— სავსებით ლოგიკურია, — დაეთანხმა ბალანჩივაძე, შემდეგ, ცოტა ხნით იყუჩა და ღიმილით დაუმატა: — ოპერატიულმა ჯგუფმა თავისი საქმე შეასრულა, დანარჩენი, ასე ვთქვათ, წმინდა გამოძიების საქმეა. მე სავსებით ვენდობი შენს ინტუიციას და მწამს, ამ საქმეშიც არ მიმტყუნებს იგი.

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, დავით ილიჩ, ყველაფერი რიგზე იქნება.

— გინდა რამეში დახმარება?

— გმადლობთ. კრიმინალისტური და გრაფიკული ექსპერტიზის დასკვნები ზეგ ხელთ მექნება. ვფიქრობ, კიტოვანის ჩემოდანში აღმოჩენილი, ქალის ხელთათმანებისა და ტყეშელიაძის ბინაში ფანჯრის ლურსმანზე ნაპოვნი ძაფის იდენტურობა სავსებით დადასტურდება.

— ფულზე გაკეთებული წარწერა?

— ჯერ ვერ გეტყვით, მაგრამ მე მგონია, ესეც კიტოვანის ნაწერია. რაც შეეხება სისხლს — ეჭვს არ იწვევს, იგი დაჭრილ ბანდიტს, ივანისელს ეკუთვნის, ამაზეც ექსპერტიზა გვეტყვის გადამწყვეტ სიტყვას.

— კეთილი, როდის აპირებთ ბანდიტებთან გადამწყვეტ შებრძოლებას?

— როდესაც ექსპერტების დასკვნები ხელთ მექნება. მანამდე, მათ ვინაობას დავადგენთ. სერგო უკვე გაფრინდა თბილისში, შეპყრობილთა თითების ანაბეჭდებით. დღესვე შეადარებს დაქტილობარათებს და ღამის მატარებლით ქუთაისში წამოვა. ეს საკითხები სრულებით არ მაწუხებს, მე სულ სხვა რამეზე ვფიქრობ.

— სახელდობრ?

— ჩარგიევი... თუ სერგომ მისი ვინაობის დადგენა თითის ანაბეჭდებით ვერ შეძლო, საქმე გართულდება. ის ისეთივე ჩარგიევია, როგორიც მე — ჩინეთის იმპერატორი.

— ისევ გჯერათ, რომ მან ქართული ენა იცის?

— მჯერა, დავით ილიჩ, მტკიცედ მჯერა. მაგრამ ეს ხომ საკმარისი არ არის მისი ვინაობის დასადგენად! ხოლო დევიძე ან ჩვენი ბუზღუნა დასტაქარი მას ვერ ამოიცნობენ — ამაში ეჭვიც არ მეპარება. ბანდიტებიც არ გასცემენ. აი, რატომ ვფიქრობ, მისი ვინაობის დადგენა ბევრ დროს წაგვართმევს.

— პროკურორმა რა თქვა?

— მხოლოდ დროებით დაკავებაზე დამთანხმდა.

— დეტალურად გააცანით თქვენი მოსაზრებანი ჩარგიევზე?

— დიახ, მაგრამ დაპატიმრების სანქციაზე ცივი უარი მითხრა: მხოლოდ მოსაზრებებით ადამიანს ვერ დავაპატიმრებთო. რას იზამ, მის ადგილზე მეც ასე მოვიქცეოდი. ჩარგიევი, სამართლის პროცესუალური ნორმების თვალსაზრისით, ჯერჯერობით, ბროლივით სუფთა, უდანაშაულოა.

— მართალი ხარ, მოქალაქის უსაფუძვლოდ დაპატიმრება — დანაშაულია.

— ჰოდა, სწორედ ამიტომ, ვიდრე დროებით დაკავებას მაინც შევათანხმებდი, ხარაბაძე არ მომშორდა.



ბალანჩივაძემ ჩამქრალი პაპიროსი საფერფლეზე დადო.

— ბასკაკოვაზე რას ფიქრობთ? — შეცვალა საუბრის თემა ბალანჩივაძემ.

— მე მგონი, ბასკაკოვამ არ იცის, ვინ არის ჩარგიევი. იგი ღრმადაა დარწმუნებული მის პატიოსნებაში და სერიოზულად წუხს საქმროს დაპატიმრების გამო, ეჭვი არ ეპარება, რომ რაღაც გაუგებრობა მოხდა. ძალზე გაუკვირდა თურმე, როდესაც დღეს, სისხამ დილით განყოფილებაში მისულმა, ჩარგიევის ქუთაისში წაყვანის ამბავი გაიგო და უყოყმანოდ გამოსწია ჩვენკენ. სხვათა შორის, მჯერა მისი გულწრფელობის, ხოლო ხოტოველისა და მისმა მაგნიტოფონზე ჩაწერილმა საუბარმა კიდევ ერთხელ დამარწმუნა იმაში, რომ ბასკაკოვამ ბანდის საქმიანობის შესახებ არაფერი იცის.

— მეც ასე ვფიქრობ. თუმცა, საბოლოო დასკვნების გამოტანა ჯერჯერობით, ნაადრევია. ვნახოთ, რას დაადგენს გამოძიება. მით უმეტეს, თუ თქვენი ვერსია დადასტურდა... ტაშკენტში შიფროგრამა გაიგზავნა?

— დიახ, წუხელვე გავგზავნეთ. ალბათ ორ დღეში, პასუხსაც მივიღებთ.

კარი გაიღო.

— შეიძლება? — ჰკითხა მელოტმა მაიორმა.

— შემოდით! — ნება დართო ბალანჩივაძემ. — ახალი არის რაიმე?

— დიახ, ამხანაგო პოლკოვნიკო: კოლონიიდან პასუხი მოვიდა.

ბალანჩივაძემ სათვალე მოირგო, გერბიან ქაღალდს გადაავლო თვალი.

— ამ ცნობას უკვე აღარ აქვს პრაქტიკული მნიშვნელობა, — ჩაილაპარაკა მან შემდეგ, კალამი აიღო, ფურცელზე რეზოლუცია წაწერა და მინდელს გადასცა.

— დაურთეთ საქმეს. გვატყობინებენ, რომ ნატალია დევიძის მეუღლე, პატიმარი გიორგაძე ადგილზე იმყოფება და სასჯელს იხდის.

მინდელმა შუბლი მოისრისა, ჩაფიქრდა.

მაიორმა წყნარად გაიხურა კარი.

— რამ ჩაგაფიქრა, ლევან! — დაარღვია დუმილი პოლკოვნიკმა.

— ვფიქრობ, საიდან უნდა ჩაეგდო ხელში გიორგაძის წერილი კიტოვანს? ის ხომ დევიძესთან ქმრის წერილით მივიდა.

— ეგ მართლაც, საინტერესოა. უნდა ვიფიქროთ, რომ კიტოვანი, გიორგაძესთან ერთად იხდიდა სასჯელს და წერილი გათავისუფლებისას წამოიღო.

— ასეთია ჩემი სავარაუდო ვერსიაც, მაგრამ...

— მაგრამ — რა?

— ვნახოთ. შეიძლება, სხვა რამეც გამოირკვეს. ჯერ კი, მხოლოდ ის არის ნათელი, რომ კიტოვანის მიერ ჩამოტანილი წერილი ნამდვილად გიორგაძის ხელით არის დაწერილი. აი, თქვენ თვითონ შეადარეთ, — მინდელმა საქაღალდე გახსნა და წერილების მთელი დასტა

ამოიღო.

— ესეც კიტოვანის ჩამოტანილი წერილია, — დაუმატა მან და სამკუთხედად დაკეცილი ბარათი, სხვა წერილებთან ერთად, პოლკოვნიკს გადასცა.

— მათი იდენტურობა ეჭვს არ იწვევს, — განაგრძო მინდელმა, ვიდრე პოლკოვნიკი წერილებს ადარებდა, — მაგრამ არის ერთი დეტალი, რომელიც საეჭვოს ხდის, კოლონიიდან წერილის წამოღების ვერსიას.

პოლკოვნიკმა თავი ასწია.

— თარიღი?

— დიახ, თარიღი. ყველა წერილი დათარიღებულია, გარდა უკანასკნელისა.

— რა დასკვნა გააკეთე ამ ფაქტიდან?

— წერილის დაწერის თარიღი შემთხვევით არ გამორჩენია: აქ თხუთმეტამდე ბარათია და ყველა დათარიღებულია, მაშასადამე, ავტორმა ეს შეგნებულად გააკეთა. შემდეგ... უკანასკნელი ბარათი ფოსტით არ არის გამოგზავნილი. შეიძლება ვცდები, მაგრამ ჩემი აზრით, დიდი ხნით ადრე დაიწერა. გიორგაძემ და წერილის წამომღებმა არ იცოდნენ, როდის მიიღებდა მას ადრესატი, ამიტომ, შეგნებულად არ დაათარიღეს იგი.

— შეიძლება, — დაეთანხმა ბალანჩივაძე. — ყოველ შემთხვევაში, კიტოვანმა, ასე თუ ისე, უნდა ახსნას, ვისგან და როდის წამოიღო ეს ბარათი. სხვა გზა არა აქვს.

მინდელი დუმდა.

საათმა ორჯერ ჩამოჰკრა. ბალანჩივაძე წამოდგა.

— მე წავედი, ლევან. ბიუროზე მაგვიანდება. 6 საათისთვის გავთავისუფლდები. თუ ძალიან არ დაიღლები, დამელოდე.

ბალანჩივაძემ პალტო ჩაიცვა და სწრაფად გავიდა.

მარტო დარჩენილმა მინდელმა საქაღალდე გახსნა და შეგროვილ მასალებში ჩაიძირა.

ოპერატიულმა ჯგუფმა ჩინებულად დასძლია მის წინაშე მდგარი ამოცანა და ბოლომდე მიიყვანა დაწყებული ოპერაცია, მაგრამ მინდელისათვის ახლა იწყებოდა მთავარი. ოპერმუშაკების მთელი ნამოღვაწარი ახლა, მას უნდა დაემთავრებინა, ეს კი არცთუ ისე იოლი იყო, როგორც ერთი შეხედვით ჩანდა.

დიდხანს მუშაობდა გამომძიებელი, რამდენიმე ფურცელი შეავსო შენიშვნებით, კვლავ და კვლავ გადაიკითხა ჩიკვაიძის, ლეჟავას, გრძელიძის, დევიძის, ბასკაკოვასა და სხვათა ჩვენებები, ზოგიერთი ადგილი წითელი ფანქრით მოინიშნა და როდესაც მუშაობა დაამთავრა, ოთხის ნახევარი შესრულდა.

მინდელმა საქაღალდე დაკეცა, სერჟანტი იხმო.

— ამოიყვანეთ ჩარგიევი! — უბრძანა მოკლედ.

რამდენიმე წუთის შემდეგ, კაბინეტის კარი გაიღო და სერჟანტმა დაკავებული შემოიყვანა.

ჩარგიევი კართან შეჩერდა, მშვიდად შეათვალიერა სავარძელში მჯდომი გამომძიებელი.

— ახლოს მოდით! — უთხრა მინდელმა.

ჩარგიევმა ნელა მოაბრუნა თავი, შემდეგ რამდენიმე ნაბიჯი წადგა და მაგიდასთან გაჩერდა.

— დაჯექით! — ქაღალდებიდან თავაუღებლად უთხრა ლევანმა.

პატიმარი უხმოდ ჩამოჯდა, ხელები მუხლებზე დაიწყო და პირქუშად მიაჩერდა თავდახრილ გამომძიებელს.

სამარისებური სიჩუმე იდგა.

უეცრად, მინდელმა ქაღალდების ფურცვლა შეწყვიტა და ჯიქურ შეხედა პატიმარს. ჩარგიევმა ცივი, მშვიდი მზერა შეაგება.

— თქვენი გვარი?

— ჩარგიევი მათე ალექსის ძე.

— როდის დაგაკავეს?

— წუხელ, ღამის დაახლოებით 11 საათზე.

— თქვენი საქმის გამოძიება მე მაქვს დავალებული.

— ჩემი საქმის გამოძიება? რა საქმის?

— ეს მგონი, თქვენთვის უკვე ცნობილია.

— პირიქით, მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ვიღაც ხულიგანმა შეურაცხყოფა მოგვაყენა, კანონიერების დამცველებმა კი მე დამაკავეს.

— მაშ, თქვენ დაზარალებული ხართ?

— ცხადია, მაშ ვინ უნდა ვიყო?

— კეთილი, არ გეკამათებით, მაგრამ რამდენიმე კითხვა მაქვს.

— ბრძანეთ!

— როდის და სად გაიცანით მოქალაქე ხოტოველი?

— ამას რა კავშირი აქვს ჩემს შეურაცხყოფასთან?

— მიპასუხეთ!

— ნება თქვენია. დაახლოებით 5 დღის წინ, წყალტუბოში.

— რა პირობებში?

— არავითარი განსაკუთრებული პირობები არ ყოფილა. სრულიად შემთხვევით გავიცანი.

— მაინც?

— მე სამკურნალოდ ვარ ჩამოსული. ფული შემომაკლდა, მინდოდა, ზოგი რამ გამეყიდა და რაკი სურვილი გამოთქვა, მას მივყიდე.

— რა მიჰყიდეთ?

— 2 კოსტიუმი და ერთიც — პალტო. 5.000 მანეთი მომცა.

— როდის მოგცათ ფული?

— ფული გუშინ საღამოს ჩამომიტანა.

— თქვენ მოგიტანათ?

— არა, ტატიანა ბასკაკოვას.

— ვინ არის ბასკაკოვა?

— ჩემი დანიშნული.

— დიდი ხანია, იცნობთ?

— საკვირველი კითხვაა: რა თქმა უნდა, დიდი ხანია, ერთი წელიწადია.

— სად გაიცანით?

— ქალაქ ტაშკენტში.

— კეთილი. მაგრამ ბასკაკოვას რატომ მიუტანა ფული ხოტოველმა და არა თქვენ?

— მე თბილისში ვაპირებდი წასვლას და ბასკაკოვას ვთხოვე, შეენახა, ხოტოველიც გავაცანი.

— იცოდით, რომ გუშინ საღამოს უნდა მოეტანა ფული ხოტოველს?

— დიახ, ვიცოდი.

— მაშ, რატომ თვითონვე არ შეხვდით?

— ამას ჩემთვის არ ჰქონდა მნიშვნელობა.

— კეთილი, მაგრამ უცნობ კაცს როგორ ენდეთ?

— გარანტია მქონდა: ვიცოდი, სად მუშაობდა ხოტოველი.

— და თქვენ ეს საკმარისად ჩათვალეთ?..

ჩარგიევი გაბრაზდა.

— თქვენ რა, იმიტომ დამაკავეთ, რომ მე ფულის დაკარგვის საშიშროება მელოდა? — გამოცრა კბილებში.

— ცხადია, არა.

— მაშინ მითხარით, რა გინდათ და გაათავეთ.

— კეთილი. რამდენად მიჰყიდე ხოტოველს ნაქურდალი ოქროს ნივთები და 3%-იანი ობლიგაციები?

განრისხებული ჩარგიევი ფეხზე წამოიჭრა.

— თქვენ... თქვენ ვის უბედავთ ამგვარ შეურაცხყოფას?! იცით თუ არა, რომ მე თქვენ ამისთვის პასუხს გაგებინებთ! — შეჰყვირა მან.

— წყნარად, ჩარგიევ, ისტერიკები საჭირო არ არის, ამით არაფერი შეიცვლება, — დინჯად შენიშნა მინდელმა.

— თქვენ პასუხს აგებთ შეურაცხყოფისათვის!

— დაჯექით, ზედმეტ უფლებას ნუ აძლევთ თქვენს თავს.

ჩარგიევი დაჯდა, შემდეგ, ჯიბიდან პაპიროსი ამოიღო, მოუკიდა და ზედიზედ რამდენჯერმე მოქაჩა.

— ჩარგიევ, — დაიწყო მინდელმა ცოტა ხნის შემდეგ. — თქვენთვის ნათელი უნდა იყოს, რომ ხულიგნისაგან შეურაცხყოფილ ადამიანს ჩვენში არ იჭერენ. რაკი აქ მოხვდით, დღეს თუ ხვალ იძულებული გახდებით, ყველაფერი აღიაროთ კიდეც.

— შეურაცხმყავით და ახლა, მემუქრებით კიდეც?

— არ გემუქრებით, გაფრთხილებთ მხოლოდ, რომ საქმე გახსნილია და თქვენი თანამონაწილენიც საიმედოდ არიან ჩაკეტილი.

— ვინ თანამონაწილენი, რას ამბობთ?!

— დანაშაულის მონაწილენი.

— გიმეორებთ — შეურაცხყოფას თავი დაანებეთ, მე არავითარი დანაშაული არ ჩამიდენია.

— კეთილი, მაშინ, თქვენს თანამზრახველებს შეგახვედრებთ.

— თუნდაც ახლავე, ამ წუთში! ვერ წარმომიდგენია, ვინ უნდა დამიპირისპიროთ, უდანაშაულო, პატიოსან ადამიანს.

— აჩქარება საჭირო არ არის, ყველაფერი თავის დროზე იქნება.

— მე ლოდინი არ შემიძლია. ლამისაა გავგიჟდე!.. თქვენ ალბათ არ იცით, რა არის უდანაშაულო კაცის პატიმრობა.

ჩარგიევმა საჩვენებელი თითი პირში ჩაიდო და ბრაზიანად მოიკვნიტა ფრჩხილი.

— რატომ იკვნეტთ ფრჩხილებს? თქვენი პროფესიის კაცს დამახასიათებელი განმასხვავებელი ნიშნები არ უნდა ჰქონდეს, საშიშია... — დაცინვით შენიშნა გამომძიებელმა.

— თქვენ ჩემს ფრჩხილებთან არაფერი გესაქმებათ.

— პირიქით, ძალზე გვაინტერესებს. დაკვნეტილი ფრჩხილები, თქვენდა საუბედუროდ, ჭაღარა წვერი და ჩაბალახი როდია, რომ თქვენი სურვილით, ხან გაიკეთოთ და ხან — მოიშოროთ...

— რის წვერი, რა ჩაბალახი?! — განცვიფრდა ჩარგიევი.

— კმარა, მათე, — დინჯად თქვა მინდელმა, — თქვენი მასკარადი დამთავრდა. თუ გნებავთ, მე თვითონ გიამბობთ თქვენი დანაშაულის შესახებ — ახლა ეს, გამოძიების მსვლელობას ვერაფერს ავნებს.

— საინტერესოა, — მწარე ღიმილით შენიშნა ჩარგიევმა, — მიამბეთ!

— ახლავე. თქვენმა ბანდამ, რომელიც ამ ცოტა ხნის წინ ეწვია ქუთაისს, 12 იანვარს გაძარცვა ტყეშელიაძის ბინა და მოკლა ტყეშელიაძე, რომელმაც თავის მხრივ, მოასწრო ივანისელის — თქვენი საუკეთესო მეგობრის — საკმაოდ სახიფათოდ დაჭრა. დაჭრილი, დევიძის სახლში დამალეთ. შემდეგ, თქვენ და კიტოვანმა ქირურგი გრძელიძე მოიტაცეთ, აიძულეთ, ბინაზე გაეკეთებინა ოპერაცია და მეორე დღეს, ღამის 12 საათამდე ოთახში გყავდათ დამწყვდეული. ივანისელს ბევრი სისხლი ჰქონდა დაკარგული. თქვენ თქვენი სისხლი მიეცით. ორი დღის შემდეგ, ჩიკვაიძე მოკალით, რადგან გაცემის შეგეშინდათ. ნაქურდალი ნივთები და 3%-იანი ობლიგაციები ხოტოველს მიჰყიდეთ, რომელმაც ფულის ნაწილი გუშინ ჩამოგიტანათ და ბასკაკოვას დაუტოვა, თქვენ კი, კონსპირაციის მიზნით, არ გამოჩნდით. ბასკაკოვას რესტორანში შეხვდით, ჭაღარა წვერის, გრიმისა და ჩაბალახის გარეშე. რა უყავით წვერი?

ჩარგიევს გაქვავებულ სახეზე არც ერთი ნაკვთი, არც ერთი კუნთი არ გასტოკებია, ყურადღებით უსმენდა მინდელს და განუწყვეტლივ აბოლებდა.

— რას იტყვით? — დაარღვია დუმილი მინდელმა.

— მშვენიერი ზღაპარია. მარტომ შეთხზეთ?

— ასეთ ზღაპრებს მწარე ბოლო მოსდევს, ჩარგიევ.

— მეც ასე ვფიქრობ. მაგრამ თუ ზღაპარზე ყველაფერი ითქვა, გთხოვთ, საქმეს დავუბრუნდეთ და მიიღოთ ზომები ჩემს გასათავისუფლებლად. გარწმუნებთ, დიდი ხანია, გამოვედი იმ ასაკიდან, როცა ზღაპრები აინტერესებთ.

— იმ ასაკიდან კი გამოხვედით, მაგრამ თქვენი ქცევა ამჟამად, მართლაც ბავშვურია. ნუთუ ფიქრობთ, რომ უტყუარი სამხილების გარეშე დაგაპატიმრებდით?!

— მაშ, დაპატიმრებული ვარ?

— ცხადია!

— მე პროტესტს ვაცხადებ ასეთი ძალადობის წინააღმდეგ!

— ეგ თქვენი უფლებაა, თუმცა, ვერაფერს შეცვლის.

— არ ხუმრობთ?

— დაკითხვის წარმოებისას, არასოდეს ვხუმრობ, — მშვიდად მიუგო მინდელმა.

— თქვენ პასუხს აგებთ ძალადობისათვის, იცოდეთ, პასუხს აგებთ! — შეჰყვირა ჩარგიევმა.



— ყვირილს თავი დაანებეთ, ბოროტმოქმედთა მუქარის ჩვენ არ გვეშინია.

ჩარგიევი სიბრაზისგან აცახცახდა, საკმაოდ სანდომიანი სახე ერთბაშად მოექცა, თვალები სისხლით აევსო, სიძულვილით შეხედა გამომძიებელს.

— ბოლოს და ბოლოს, რა გინდათ ჩემგან? — ძლივს ამოიხრიალა მან.

— მინდა შეიგნოთ, რომ გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებით და დანაშაული აღიაროთ.

— რამდენჯერ უნდა გითხრათ — მე არავითარი დანაშაული არ ჩამიდენია! ველარ გაგაგებინეთ?

— მაშ, ხოტოველს ტანსაცმელი მიჰყიდეთ, არა?

— დიახ, ტანსაცმელი.

— საოცარია!

— რა არის საოცარი? — გაუკვირდა ჩარგიევს.

— ის, რომ ხოტოველი კატეგორიულად უარყოფს ამ ფაქტს.

— შეუძლებელია! — აღმოხდა ჩარგიევს.

მინდელმა ზარის ღილაკს დააჭირა თითი.

— შემოიყვანეთ ხოტოველი!

ჩარგიევი სკამზე შესწორდა, მოუთმენლად მიაჩერდა კარს.

ხოტოველი ათრევით, მძიმე ნაბიჯებით შემოვიდა და ქურდულად გახედა ჩარგიევს, რომელიც სიმშვიდის შენარჩუნებას ცდილობდა, მერე ცალი გვერდით ჩამოჯდა გამომძიებლის მიერ მითითებულ სკამზე.

— ხოტოველო, გაიმეორეთ, რა გინდოდათ წყალტუბოში! — მტკიცე ხმით მოსთხოვა მინდელმა.

— აკი გითხარით, უფროსო! — დაიკნავლა ბეჭდების უიღბლო გამყიდველმა.

— გაიმეორეთ-მეთქი! — ხმას აუწია მინდელმა.

— ბეჭედი მივყიდე ტანია ბასკავოვას — ყელშიც გასჩხერია ის ბეჭედი! — ბრაზიანად შესძახა ხოტოველმა.

— იცნობთ თქვენ პირდაპირ მჯდომ მოქალაქეს?

ხოტოველმა დაფეთებული მზერა მშვიდად მჯდომ ჩარგიევს მიაპყრო.

— პირველად ვხედავ.

— არ ცდებით? — კვლავ შეეკითხა გამომძიებელი.

— რანაირად უნდა ვცდებოდე, როცა არსად მინახავს?!.

— კეთილი, მაგრამ იქნებ, რაიმე მიჰყიდეთ და აღარ გახსოვთ?.. აბა, კარგად დაფიქრდით.

— არა-მეთქი! რა დაკვირვება მინდა? პირველად ვხედავ!

— მაშ, იქნებ, მისგან იყიდეთ რამე?

— არა, უფროსო, არ ვიცნობ, გვარიც კი არ ვიცი მისი, — უპასუხა ხოტოველმა დაბეჯითებით.

— კეთილი.

მინდელმა სიტყვასიტყვით უთარგმნა ხოტოველის ჩვენება ჩარგიევს.

— ეს სუბიექტი ტყუის, აშკარად ტყუის! — იყვირა ჩარგიევმა, შემდეგ მოკუნტულ ხოტოველს მიუბრუნდა: — წყეულო ვაჭრუკანავ! რატომ მალავ? განა, ორი კოსტიუმი და ერთი პალტო არ მოგყიდე 5.000 მანეთად?! — შეუტია თვალების ბრიალით.

— მართალია, უფროსო, მომყიდა, 5.000 მანეთად მომყიდა, — დაადასტურა ხოტოველმა.

— მითარგმნეთ! — ისევ იყვირა ჩარგიევმა.

მინდელმა უთარგმნა.

— ოქმი, ახლავე ოქმით გააფორმეთ! — მტკიცედ მოითხოვა ჩარგიევმა.

რამდენიმე წუთის შემდეგ, თარჯიმნის

თანდასწრებით, დაპირისპირების ოქმი შედგა.

ხოტოველმა თავიდან ბოლომდე უარყო აქამდე მიცემული ჩვენებები და დაადასტურა, რომ ჩარგიევისგან 5.000 მანეთად 2 კოსტიუმი და ერთი პალტო იყიდა და შენაძენი, 3 დღის შემდეგ, 1.000 მანეთის მოგებით გაყიდა.

მინდელს ხოტოველის მოქმედება არ გაჰკვირვებია — ის ელოდა კიდეც ამას. ხოტოველი საკანში გაისტუმრა და ჩარგიევის დაკითხვა განაგრძო.

ჩარგიევმა კვლავ კატეგორიულად უარყო ბრალდება, გაკვირვება გამოთქვა ვიღაც კიტოვანის, ივანისელის, ბალავაძის ცნობაზე და გადაჭრით მოსთხოვა გამომძიებელს, დაუყოვნებლივ გაეთავისუფლებინა პატიმრობიდან.

— წინააღმდეგ შემთხვევაში, ხვალიდან შიმშილობას ვაცხადებ! — განაცხადა მან.

უკვე დაღამებული იყო, როდესაც გამომძიებელმა დაკითხვა დაამთავრა და პატიმარი საკანში გაისტუმრა.

მინდელმა საქმე ცეცხლგამძლე ყუთში ჩაკეტა და დაღლილი ნაბიჯებით, ჩაფიქრებული გავიდა კაბინეტიდან.

დაფიქრების საბაბი კი, საკმაოზე მეტი ჰქონდა: პირველი იერიში უშედეგოდ დამთავრდა, გამომძიებელსა და ბოროტმოქმედთა შორის ბრძოლა მხოლოდ იწყებოდა.

ბანდიტების დაკავებიდან 6 დღე-ღამე გავიდა, მაგრამ ჩარგიევის საქმემ იოტისოდენადაც ვერ წაიწია წინ. მინდელის ვარაუდი გამართლდა — გრძელიძემ და დევიძემ ჩარგიევის პიროვნება ვერ ამოიცნეს, მტკიცედ განაცხადეს — არსად გვინახავს, პირველად ვხედავთო. გრძელიძემ გაკვირვებაც კი გამოთქვა: სად ეს ახალგაზრდა და სად ჩემი გამტაცებელი ჭაღარაო?!.

ჩარგიევმა, რომელმაც თარჯიმნის საშუალებით მოისმინა მოწმეთა ჩვენებები, კატეგორიულად მოითხოვა დაპირისპირების ოქმით გაფორმება და პატიმრობიდან მისი დაუყოვნებლივ გათავისუფლება.

— მე თქვენ გიჩვენებთ, როგორ უნდა უმწიკვლო ადამიანის ლაფში ამოსვრა! — დაემუქრა მინდელს.

გამომძიებელი არ შედავებია, მაგრამ გათავისუფლებაზე ჯერჯერობით, უარი უთხრა.

ჩარგიევი აღშფოთდა, დიდხანს ედავა გამომძიებელს და სასწრაფოდ მოითხოვა პროკურორი.

ხომერიკმა ინახულა პატიმარი, ყურადღებით მოისმინა საჩივარი გამომძიებლის მოქმედების გამო, შეჰპირდა, საქმის პირადად შემოწმებას და ორ დღეში გადაწყვეტილების მიღებას. ჩარგიევი ისევ აღშფოთდა, სასტიკი პროტესტი განაცხადა ადამიანის ბედისადმი ასეთი, ჩინოვნიკური დამოკიდებულების გამო და კვლავ გაიმეორა თავისი მოთხოვნა.

— მე უდანაშაულო ვარ. ან ბრალდება წამომიყენეთ, ან დაუყოვნებლივ გამათავისუფლეთ! რას მიქვია, კიდევ ორი დღე! განა, ის არა კმარა, რომ უდანაშაულო ადამიანი 6 დღე და ღამე საკანში ვარ გამოწყვდეული?! — იფეთქა და ახლა, ხომერიკს დაემუქრა ზემდგომი ინსტანციებით...

მორიგი დაკითხვისას, მინდელმა თავისებურ ექსპერიმენტს მიმართა: კაბინეტში შირმა დადგა, ხოლო შირმის იქით, ჯერ გრძელიძე, შემდეგ — დევიძე დასვა და ჩარგიევის ხმა მოასმენინა. გრძელიძე შეყოყმანდა, ხმა თითქოს ეცნო, მაგრამ გადაჭრით ვერაფერი თქვა. დევიძე კი, არც დაფიქრებულა — მტკიცედ უარყო ხმების მსგავსება. ამგვარად, გამომძიებელი იძულებული გახდა, ჩარგიევის მხილების სხვა გზა ეძებნა.

ბანდიტების შეპყრობიდან სამი დღის შემდეგ, ძიძიგურმა იოლად დაადგინა ბალავაძის, კიტოვანისა და ივანისელის ვინაობა.

როგორც მოსალოდნელი იყო, დევიძის ბინაში შეპყრობილი ბოროტმოქმედნი, არაერთხელ ნასამართლევი ქურდ-რეციდივისტები აღმოჩნდნენ და სისხლის სამართლის დამნაშავეთა შორის, დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობდნენ. მილიციის სამმართველოსაც სამივე, განსაკუთრებულ აღრიცხვაზე ჰყავდა აყვანილი.

ძიგიგურმა გაარკვია, რომ ივანისელი, წინათ ჩადენილი დიდი ქურდობის გამო, უკვე ოთხი წელი იძებნებოდა, ხოლო კიტოვანი და ბალავაძე ერთი წლის წინ გაქცეულიყვნენ საპატიმროდან, სადაც ისინი 15 წლით ჩასვათ შეიარაღებული ძარცვისათვის.

მხოლოდ ჩარგიევზე არ იყო არანაირი ინფორმაცია. ტაშკენტიდან გამოგზავნილი ცნობით, ქალაქის მილიციის სამართველო ადასტურებდა ჩარგიევის ანკეტურ მონაცემებს, იტყობინებოდა, რომ ის ორი წლის წინ ჩასულიყო ტანკენტში, დღემდე, მსუბუქი ტაქსების №2 პარკში მორიგ დისპეტჩერად მუშაობდა და რაიმე საეჭვო საქმიანობაშიც არ იყო შემჩნეული.

ასე რომ, ყველა მასალა, რომელიც გამოძიებამ ჯერჯერობით შეკრიბა, მხოლოდ ჩარგიევის სასარგებლოდ მეტყველებდა.

მინდელმა მოწყენილმა გადავლო თვალი ჩარგიევის მონაცემთა ფურცელს. Сведений нет — იუწყებოდა რესპუბლიკური სამმართველო.

— Сведений нет — ხმამაღლა გაიმეორა ლევანმა. მერე სეიფის კარი გამოაღო, მუყაოს ყდაში ჩასმული, ჯერ აუკინძავი, საკმაოდ სქელტანიანი საქმე ამოიღო და არაერთხელ წაკითხული მასალების ხელახლა კითხვას შეუდგა.

...ბასკაკოვა არ უარყოფდა ჩარგიევთან ინტიმური ურთიერთობის ფაქტს და ამბობდა, რომ ქორწინების ოფიციალური გაფორმება ზაფხულისთვის ჰქონდათ გადაწყვეტილი. წყალტუბოში იანვრის პირველ რიცხვებში ჩამოვიდა, ჩარგიევი რამდენიმე დღით ადრე ჩამოსულა ტაშკენტიდან თბილისში და საცოლეს წყალტუბოში დახვედრია. ერთ სასტუმროში ცხოვრობდნენ, ოღონდ — სხვადასხვა ნომერში. თითქმის ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს, ერთად სადილობდნენ, უფრო ხშირად — ვახშმობდნენ, ოღონდ ეს იყო — ბასკაკოვას ვერ გაეხსენებინა, იყო თუ არა მასთან მათე 12 იანვარს, ტყეშელიაძის მკვლელობის ღამეს.

თვით ჩარგიევი კატეგორიულად ირწმუნებოდა, რომ 12 იანვარს, ისევე, როგორც სხვა დღეებში, სასტუმროში იმყოფებოდა და წყალტუბოდან არსად წასულა. მისი ალიბის გაბათილება შეუძლებელი აღმოჩნდა.

რესტორნის ოფიციანტმა, რომელიც ჩარგიევის მოთხოვნით დაჰკითხეს, გადაჭრით უჩვენა — ჩარგიევი და ბასკაკოვა ყოველ საღამოს, ერთად ვახშმობდნენ და 12 იანვარსაც, მათ მე ვემსახურებოდიო.

დევიძის ბინაზე შეპყრობილი ბანდიტები კატეგორიულად უარყოფდნენ ჩარგიევსა და ბასკაკოვასთან ნაცნობობის ფაქტს. ბასკაკოვაც, რომლის ჩვენება გამომძიებელს საეჭვოდ არ მიაჩნდა, უარყოფითად პასუხობდა ამ კითხვას, ხოლო ხოტოველმა არათუ ბანდიტებთან, არამედ დევიძესთან ნაცნობობაც უარყო და თქვა: მაღაზიაში დღეში 100 მოქალაქე მაინც შემოდის, შეიძლება, დევიძეც იყო ჩემთან, მაგრამ არავითარი ლაპარაკი არ გვქონიაო.

გამომძიებელმა დააპირისპირა დევიძე და გამყიდველი ქალი, რომელმაც დევიძეც იცნო და მისი ნათქვამიც დაადასტურა, მაგრამ ხოტოველი გაჯიუტდა და „არას“ გარდა, ყველა სხვა სიტყვა „დაივიწყა“.

მინდელი დარწმუნდა, რომ დევიძის ბინაში შეპყრობილი ბანდიტები და ბასკაკოვა ერთმანეთს არ იცნობდნენ. ამავე დროს, ეჭვს არ იწვევდა ისიც, რომ ხოტოველი კიტოვანმა გაგზავნა ტატიანა ბასკაკოვასთან, კალიგრაფიული ექსპერტიზის დასკვნაც ამაზე მიუთითებდა. ძნელი მისახვედრი როდი იყო, თუ ვინ მისცა ბასკაკოვას მისამართი კიტოვანს, მაგრამ კიტოვანი კატეგორიულად უარყოფდა ჩარგიევთან ნაცნობობას.

ბანდიტებისთვის ჩამორთმეული 4 რევოლვერიდან, საქართველოში მხოლოდ ერთი აღმოჩნდა რეგისტრირებული. დაუდგენელი იყო, თუ ვის ეკუთვნოდა დანარჩენი სამი და როგორ ჩაიგდეს ხელში ბოროტმოქმედებმა. თვით ფაქტი 4 რევოლვერისა და საბრძოლო ვაზნების ასეთი ოდენობით აღმოჩენისა, აშკარად მიუთითებდა იმაზე, რომ გამოძიებას საქმე ჰქონდა არა შემთხვევით შეპყრობილ ბოროტმოქმედებთან, არამედ ორგანიზებულ ბანდასთან, რომელსაც საკმაოდ მტკიცე ხელი მართავდა.

მინდელის ღრმა რწმენით, ეს ხელი ჩარგიევს ეკუთვნოდა და თუმცა შეკრებილი მასალები მის სასარგებლოდ ლაპარაკობდა, გამომძიებელი იმედს არ კარგავდა, რომ შესაძლებელი იყო საქმის სრულყოფილად გახსნა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეკა ლაცაბიძე მარტოხელა დედაა და საკუთარი 2 შვილის გარდა, კიდევ 3 უნარშეზღუდულ ბავშვს ზრდის. ერთოთახიან ბინაში ექვსნი ცხოვრობენ. სიძნელეების მიუხედავად, ეკა ბედს არ უჩივის და ბავშვებს სითბოსა და სიყვარულს არ აკლებს. როდესაც ამის შესახებ შევიტყვე, ბუნებრივია დავინტერესდი, თუ ვინ იყო ეს ქალბატონი, როგორ გახდა მრავალშვილიანი დედა და ვინ ეხმარება მათ მოვლა-პატრონობაში.

მარტოხელა დედა – ორი შვილისა და სამი შვილოზილის პატრონი

ნინო ჯავახიშვილი

ეკა ლაცაბიძე შვილობილთან და მეგობართან ერთად

— წარმოშობით გორიდან ვარ. 20 წლის ვიყავი, როდესაც გავთხოვდი. ყბაზე ჯირკვალი გამომივიდა და მშობლებმა ოპერაციის გასაკეთებლად, თბილისში ჩამომიყვანეს. სწორედ მაშინ, საავადმყოფოში გავიცანი ჩემი მომავალი მეუღლე. ის დედ-მამასთან, ძმებთან და დასთან ერთად, ლოტკინზე კერძო სახლში ცხოვრობდა. თავდაპირველად, ყველაფერი კარგად იყო. თბილი და ტკბილი ურთიერთობა გვქონდა, მაგრამ ოჯახი რამდენიმე წლის შემდეგ, მაინც დაგვენგრა. 26 წლისას, უკვე ორივე გოგონა მყავდა, როცა ჩემმა ქმარმა საყვარელი გაიჩინა და მასთან შვილიც შეეძინა. ამის გამო ხშირად მქონდა კონფლიქტი არა მხოლოდ მეუღლესთან, არამედ მისი ოჯახის წევრებთანაც. რამდენჯერმე მითხრა — ბავშვს მოვიყვან და შენ გაზარდეო. ერთხელ, ცოტა ხნით მართლაც, მოიყვანა სახლში. ამაზეც დავთანხმდი, რადგან ოჯახის შენარჩუნება მინდოდა. გულუბრყვილო ვიყავი და მჯეროდა, რომ ყველაფერი სასიკეთოდ შეიცვლებოდა. მაგრამ ბოლოს, იძულებული გავხდი, ოჯახიდან შვილებიანად წამოვსულიყავი და ბინა დამექირავებინა. უფროსი გოგონა — ამალია, მაშინ 5 წლის იყო, უმცროსი, იზაბელა — 2 წლის. წელიწად-ნახევარი, მიწურში ვცხოვრობდით, გაუსაძლის პირობებში, 20 ლარს ვიხდიდი. რას აღარ ვაკეთებდი, შვილები რომ გამომეკვება! დამხმარე არავინ მყავდა. მერე, ახლობელს ფული სესხად გამოვართვი და პატარა ჯიხური ჩავდგი სახლთან ახლოს. ვვაჭრობდი და შვილებს ამით ვარჩენდი. ახალგაზრდა ქალი ვიყავი და ბუნებრივია, ძალიან განვიცადე ქმრის ღალატი, მასთან განშორება, მაგრამ დარდს გულში ვიკლავდი, არავის არაფერს ვაგრძნობინებდი. ნერვიულობამ და სტრესმა ალბათ, თავისი ქნა და მოულოდნელად, ძალიან ცუდად გავხდი. მიკროინფარქტი გადავიტანე. 4 დღე, უპატრონოდ, მცირეწლოვანი ბავშვების ამარა ვიყავი დარჩენილი. მერე მუცლის არეში საშინელი ტკივილები დამეწყო, ლაპარაკიც კი აღარ შემეძლო, საჭმელსაც ვერ ვჭამდი. ბავშვებმა ერთ ჩემს ახლობელ გოგოს შეატყობინეს, ცუდად რომ ვიყავი და დახმარება სთხოვეს. სახლის პატრონმაც გაიგო ჩემი ავადმყოფობის ამბავი. „სასწრაფო“ გამოიძახეს. ექიმებმა თქვეს — აუცილებლად საავადმყოფოში უნდა გადავიყვანოთო. საავადმყოფოში დამაწვინეს, ჩემს ბიძაშვილსა და დეიდაჩემს კი უთხრეს, რომ ვერ გადავრჩებოდი. მუცლის არეში ფარული სისხლდენა მქონდა, მაგრამ მიკროინფარქტის გამო, ოპერაციის გაკეთებას ვერ ბედავდნენ. ჩემიანებმა სახლში წამომიყვანეს, მაგრამ მეორე დღეს, უფრო ცუდად გავხდი. სწორედ მაშინ გავიცანი კამელიელები, ვინც სიკვდილს გადამარჩინა.

— უფრო კონკრეტულად გვითხარი, ვინ არიან კამელიელები და რაში დაგეხმარნენ ისინი?

— კამელიო — კათოლიკეთა წმინდანია. „კაცთა მაცხოვართა პოლიკლინიკის“ დაარსებას (რომელიც სწორედ ამ წმინდანის სახელობისაა) ჯერ კიდევ რომის პაპის საქართველოში სტუმრობის დროს ჩაეყარა საფუძველი. ამ პოლიკლინიკაში არიან მონაზვნები, იტალიელები, ამილონელები, რომლებიც დადიან გაჭირვებულ ოჯახებში მათთან, ვინც ინვალიდები, ლოგინად ჩავარდნილები არიან და ცდილობენ, მათ დახმარების ხელი გაუწოდონ. ჩემს მეზობლებად ერთი ავადმყოფი ბიჭი ცხოვრობდა. მასთან ხშირად მიდიოდა ერთი მონაზონი — და კორიდა. როდესაც მეზობლებისგან ჩემი ავადმყოფობის ამბავი შეუტყვია, როგორც ღვთისნიერ ადამიანს შეეფერება, ისე მოიქცა: იმ დღესვე მომინახულა და პოლიკლინიკაში წამიყვანა. გასინჯვის შემდეგ ექიმმა თქვა, რომ გადაუდებელი ოპერაცია მჭირდებოდა. ეს ყველაფერი ბუნდოვნად მახსოვს. ჩემი სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა. პოლიკლინიკის გამგე „სასწრაფოს“ თან გამოჰყვა და კვლავ მერვე საავადმყოფოში მიმიყვანეს. ექიმები ოპერაციის გაკეთებაზე ისევ უარს აცხადებდნენ. არ ვიცი, როგორ დაარწმუნეს ისინი, რომ ყველაფერი კარგად დამთავრდებოდა. როგორც შემდეგ მითხრეს, სჯეროდათ, რომ აუცილებლად გადავრჩებოდი... ოპერაციამ მართლაც, ძალიან კარგად ჩაიარა. ამის შემდეგ სასწაულების ვირწმუნე და გადავწყვიტე, ის მეკეთებინა, რაც უფალს სურდა. ჩემი გადარჩენა მხოლოდ ექიმების წყალობით კი არ მოხდა — ღვთის ნება იყო. მთავარია, არა ის, თუ ვინ ხარ, არამედ — რას აკეთებ ღმერთის წინაშე...

ეკას შვილები – ამალია (მარცხნივ) და იზაბელა (მარჯვნივ) დედის მეგობართან ერთად

— ინვალიდ ბავშვებსაც ამიტომ უვლი? როგორ მიიღე გადაწყვეტილება, რომ სხვისი შვილები შეგეფარებინა?

— ასეთი კითხვა ბევრს გაუჩნდა — შენს შვილებს ვერ არჩენ და ამდენ ბავშვს როგორ მოუვლიო?.. როდესაც სიკეთის ქმნა გსურს, ყველაფერი შესაძლებელია — ასეთია ჩემი პასუხი. ოპერაციის შემდეგ, და კორიდა ხშირად გვაკითხავდა და სურსათი მოჰქონდა ჩვენთვის. კამელიელებს ყოველ ზაფხულს, ინვალიდი ბავშვები დასასვენებლად მიჰყავთ ბაზალეთის ტბაზე. მეც შემომთავაზეს — შენი შვილებიც წამოიყვანე, შენც ჰაერს გამოიცვლი და უფრო გამოკეთდები, თანაც საჭმლის გაკეთებაშიც შემოგვეშველებიო. იქ გავიცანი პადრე პავლე, რომელმაც ჩემი დახმარების სურვილი გამოთქვა. გაიგეს, რომ ბინა არ მქონდა. რამდენიმე ხანში, და კორიდა სამშობლოში გაემგზავრა ოჯახის მოსანახულებლად. მგზავრობისას გაუცნია ერთი ხნიერი ქალბატონი, რომელსაც გამოუთქვამს სურვილი, რომ გაჭირვებულ ოჯახს დახმარებოდა. და კორიდას ჩემ შესახებ უამბნია. ის ქალბატონი საქართველოში ჩამოვიდა და გაგვიცნო. 2003 წელს კი, 3.000 დოლარი გამომიგზავნა ბინის შესაძენად. ალბათ, ესეც ღვთის ნება იყო, რომ ჩემს ოცნებას — შვილებს საკუთარი ჭერი ჰქონოდა — ფრთები შეესხა. სწორედ იმ

ცანგო ჟოლტალმან ანუ

ძე რომ გვიჟა ვიყო...

მანანა ჭირაქაძე

პერიოდში ვიშვილე 3 ბავშვი — ცისმარი, რაფიკა და გიორგი. 5 წლის რაფიკა და 3 წლის გიორგი მაზმიშვილები ასპინძის რაიონიდან, სოფელ ხიზაბაურადან არიან. მათი მშობლები დაბადებიდან ინვალიდები, გონებრივად ჩამორჩენილები არიან, სულ 5 შვილი ჰყავთ, მეექვსე გარდაეცვალათ... პადრე პავლე იქ წირვის ჩასატარებლად რომ ჩადიოდა, მაშინ უნახავს რაფიკა — ფეხშიშველი, მოუვლელი... ცალი თვალი დაზიანებული ჰქონდა და უკვე სითხე სდიოდა. პადრე პავლეს ბავშვი ძალიან შესცოდებია და უთხოვია მშობლებისთვის — იქნებ, როგორმე თბილისში ჩამოიყვანოთ, რომ ექიმს გავასინჯოთო. ექიმთან გაყოლა კი მე მთხოვა. უარს როგორ ვეტყოდი?! ოპერაცია რესპუბლიკურ საავადმყოფოში გაუკეთდა. ექიმებმა თავიდანვე გაგვაფრთხილეს — ვეცდებით, თვალი შევუნარჩუნოთ, მაგრამ მხედველობას ვერ დავუბრუნებთო... რაფიკას თბილისში ნათლია ჰყავს. დეიდა საშას თვითონაც ინვალიდი შვილი ჰყავს და რადგან მისი მოვლა გაუჭირდა, შევთავაზე — ექიმთან შეხვევაზე მაინც მე დამყავს, სანამ ნაოპერაციები მოურჩება, წავიყვან და ჩემთან მეყოლება-მეთქი. ამასობაში, გიორგის (მაშინ, თვეების იყო) ნაწლავური ინფექცია დაემართა, სიცხისგან კრუნჩხვებში ვარდებოდა. ბავშვი რამდენჯერმე ჩამოიყვანეს თბილისში, მაგრამ მდგომარეობა არ გაუუმჯობესდა. და კორიდას ვთხოვე — ბავშვი ძალიან მოუვლელია, როგორც ჩანს, დედამისს მისი მიხედვის შესაძლებლობა არა აქვს, იყოს ჩემთან, ერთი წლის მაინც გახდეს, მოძლიერდეს და მერე წაიყვანონ-მეთქი. გიორგის დედა როგორღაც დავარწმუნე, რომ ჯობდა, ბავშვი ჩემთან ყოფილიყო. ამასობაში, თითქმის მესამე წელი გავიდა... გიორგი გონებრივად ნელა ვითარდება, მხოლოდ ახლა სწავლობს სიტყვებს...

— ცისმარი როგორღა მოხვდა შენთან?

— ცისმარი, როგორც ხედავ, ლოგინად არის ჩავარდნილი, პარალიზებულია. საკუთარი ხელით საჭმელსაც კი ვერ ჭამს, ლაპარაკიც უჭირს. მამა გარდაცვლილი ჰყავს, დედა საფრანგეთში გათხოვდა და რამდენიმე წელი, მას ბიცოლა ზრდიდა. ერთხელაც, იმ ქალმა, და კორიდას სთხოვა — ჯანმრთელობასთან დაკავშირებით პრობლემები შემექმნა, ოპერაციის გასაკეთებლად, რუსეთში მივემგზავრები და ცისმარი რამდენიმე თვით შეიფარეთო. წავიდა და მას შემდეგ, აღარც გამოჩენილა. აბა, ბავშვს ქუჩაში ხომ არ დავტოვებდით? წამოვიყვანე სახლში და ახლა ყველანი ერთად ვცხოვრობთ. ჩემი გოგოები ბავშვების მოვლაში მეხმარებიან, პროდუქტით და ტანსაცმლით კი — კამელიელები. მიხარია, რომ ადამიანებს ოდნავ მაინც ვუმსუბუქებ ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებას. შეიძლება, არც დამიჯეროთ, მაგრამ ამ ბავშვებს ჩემი შვილებისგან არ ვასხვავებ, ყველა მიყვარს. ჩემი სურვილია, რაც შეიძლება მეტი სიკეთე ვაკეთო, რათა როცა მოვკვდები, ბევრ ადამიანს დასწყდეს გული. მინდა ჩემი საქციელით სიკეთისა და ჰუმანურობის მაგალითი მივცე მომავალ თაობას... ■

ის არც პირველია, არც მეორე, არც მესამე, ის — მეოთხეა.

პირველი სამი — ანუ საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო — მას არწმუნებენ, რომ ისიც ხელისუფალია და თანაც — თავისუფალი.

მეოთხეს ეჭვები აწუხებს, ცდილობს, გააანალიზოს სიტუაცია... და ბოლოს, მაინც იჯერებს: სასიამოვნოა, როდესაც ხელისუფლება ხარ, თუნდაც — მეოთხე.

მეოთხე... მეოთხე კი არა — მეოთხე ხელისუფლება(!) იწყებს ბრძოლას, ლაპარაკს, წერას.

ამ დროს, წინა სამი მას აჩერებს და მოითხოვს კონკრეტული შეკვეთების შესრულებას. მეოთხე გაკვირვებულია, მას ხომ წინა სამი არწმუნებდა, რომ ისიც ხელისუფალია და თანაც — თავისუფალი. მეოთხე ცდილობს, აუხსნას მათ, რომ მართალია, მისი პროფესიაც უძველესია, მაგრამ მათ ის პირველ უძველეს პროფესიაში ეშლებათ...

წინა სამი მეგობრულად უტყაპუნებს ბეჭებზე ხელს, უფრო კი ცდილობს უჩქმიტოს „საჩქმეტ ადგილებზე“ და „მეგობრულად“, „მამაშვილურად“ უხსნის, რომ მათ უკეთ იციან, რომელი უძველესი პროფესიაა ახლა საჭირო...

მეოთხე აქეთ-იქით იყურება და ხედავს, რომ მის გარშემო ბევრია იმ — პირველი უძველესი პროფესიის ადამიანი: ისინი მეგობრულად უღიმიან და ხალისიანად ეგებებიან: „გამარჯობა, „კოლეგავ!“

მეოთხე შეცბუნებულია, ეცინება, ცოტაც — ეტირება. რა ქნას, ხალხო, უბედურმა მეოთხემ, როდესაც წინა სამს სერიოზულად უჭირს?!

სანამ პასუხზე ფიქრობთ, ერთ გამოცანას შემოგთავაზებთ:

ცირკთან დგას — გაჩერებაზე — კახპა არ არის!.. ვინ არის, გამოიცანით?.. ვერა?..

ვდგავართ ცირკთან, გაჩერებაზე მე და ისინი და ველოდებით...

გამოგიტყდებით, ეს მე ვარ — თქვენი მონა-მორჩილი, პროფესიით ჟურნალისტი, ყოველი სამუშაო დღის ბოლოს, ე.ი. საკმაოდ „საეჭვო“ დროს — ცირკის წინ გაჩერებაზე „დარჭობილი“, რადგან სწორედ იქ ჩერდება ჩემთვის საჭირო სამარშრუტო ტაქსი; მხოლოდ მას შეუძლია, მიმიყვანოს 50 თეთრად ზედ ჩემი სახლის სადარბაზოსთან.

...ჰოდა, ვდგავარ ცირკთან, აქეთ-იქით კი — მეორე... უკაცრავად — პირველი უძველესი პროფესიის წარმომადგენლები მიდგანან. აი, იმ უძველესი პროფესიის, ზოგიერთები მათ საქმიანობას ჟურნალისტების მოღვაწეობასთან რომ აიგივებენ თუ, პირიქით — ჟურნალისტების მოღვაწეობას მათ საქმიანობასთან... ეს — ზოგიერთები, თორემ, სრული კატეგორიულობით ვაცხადებ: მე ამ საკითხზე სხვა აზრის ვარ!..

მოკლედ, ვდგავართ ცირკთან, გაჩერებაზე მე და ისინი და ველოდებით... მე — სამარშრუტო ტაქსის, ისინი — კლიენტებს. ჰარმონიული თანაცხოვრება-თანაარსებობაც ამას ჰქვია. მე ჩემსას ვფიქრობ, ისინი — თავისას... უეცრად, ერთ-ერთმა მათგანმა ცოტა არ იყოს, აგრესიულად გადმომხედა და...

რატომღაც იაპონელი გეიშები გამახსენდა... მათი ნაზი აგრესია... საერთოდ, გეიშების საქვეყნოდ ცნობილი ინსტიტუტი. ის აუცილებელი გამოცდები და საგნები, ურომლისოდაც მოსწავლე ვერ დაიმსახურებს გეიშის საპატიო წოდებას:

უპირველესად — ჩაის სმის ცერემონია,

იკებანა,

საუბრის გაძღოლის ხელოვნება,

მაკიაჟისა და ვარცხნილობის ოსტატურად შესრულება,

ხშირად ხდებოდა — გეიშები ისეთ წარმაგებებს აღწევდნენ საშემსრულებლო ხელოვნებაში, რომ თავისუფლად შეეძლოთ პროფესიონალ მსახიობებს გასჯიბრებოდნენ

იაპონური პოეზიისა და ლიტერატურის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა,

კალიგრაფია (ჩვენებურად — სუფთა წერა)...

თითოეული მოსწავლე გოგონა, ვიდრე ნამდვილი გეიშა გახდებოდა, ვალდებული იყო, ან იაპონურ ხალხურ საკრავზე — სიამისენაზე დაკვრის ვირტუოზულ ტექნიკას დაუფლებოდა, ან სიმღერა შეესწავლა საფუძვლიანად, კიომოტოს ჟანრში, ან ცეკვაში დახელოვნებულიყო. ხშირად ხდებოდა — გეიშები ისეთ წარმატებებს აღწევდნენ საშემსრულებლო ხელოვნებაში, რომ თავისუფლად შეეძლოთ პროფესიონალ მსახიობებს გასჯიბრებოდნენ. ზოგჯერ გეიშები პროფესიასაც კი იცვლიდნენ და მსახიობები ხდებოდნენ...

ეს მე ვარ, თქვენი მონა-მორჩილი, მეოთხე ხელისუფლება...

გვაწყენდა ახლა ჩვენ, ერთი-ორი კარგი გეიშა?! პოლიტიკაში, ეკონომიკაში, ხელოვნებაში და საერთოდ, ყველგან...

ჰო, ბიჭო, რა ამბებს დავატრიალებდით! მაშინ ხომ ჩვენს მტრებს, ჩვენზე მოქირქილეებს სულ კუდით ქვას ვასროლინებდით... ისე, კაცმა რომ თქვას, არ არის გამორიცხული — როდესაც კვლავ განახლდება სერიოზული სჯა-ბაასი პროსტიტუციის ლეგალიზაციის შესახებ, საპარლამენტო, სატელევიზიო თუ საგაზეთო, — ვინმეს მოუვიდეს აზრად და მინდა გითხრათ, არცთუ უსაფუძვლოდ (რა მოხდა მერე, თუ სხვა საკითხების განხილვისას ხან ამერიკელ, ხანაც ევროპულ მოდელს მოიშველიებენ ხოლმე), — გეიშების ინსტიტუტის შემოღება და ვფიქრობ საკმაოდ გონივრულიც იქნება. რატომ?.. ახლავე მოგახსენებთ.

პირველი — უფრო მჭიდრო კავშირებს დავამყარებთ ამომავალი მზის ქვეყანასთან, მხედველობაში მაქვს ურთიერთობის ყველა სფერო — პოლიტიკური, ეკონომიკური (ახალი ბაზარი ჩვენი პროდუქციისათვის — ღვინის, მინერალური წყლის, თხილის გასატანად...), კულტურული. ვსინჯოთ — ჩვენი მზე ახლა, იაპონიიდან ამოვიდეს. ასეთი ექსპერიმენტები ხომ ჩვენთვის უცხო არ არის და საკმაო გამოცდილებაც დაგვიგროვდა: ხომ გახსოვთ — ერთ დროს ჩვენი მზე აღმოსავლეთიდან ამოდიოდა, მერე — დასავლეთიდან, მერე — ნავთქურიდან. იყო პერიოდი, საერთოდ, უმზეოდ და უშუქოდ დავრჩით?.. ვსინჯოთ, ბატონო, იქნებ, იაპონიიდან ამოსულმა მზემ... უკაცრავად — გეიშამ — გვიშველოს რამე, დაგვეხმაროს ჩვენი პრობლემების მოგვარებაში!..

დახუჭეთ თვალები და წარმოიდგინეთ: შემოვა და შემოვა კრედიტები იაპონიიდან. მოიგებს განათლების სფეროც, რომელსაც ახლა საოცრად უჭირს, კრედიტების ლომის წილი ხომ ამ სფეროს მოხმარდება; გაიხსნება უამრავი, თანამედროვე გეიშების უმაღლესი თუ საშუალო სასწავლებელი, დასაქმდება უამრავი უმუშევარი პედაგოგი, რომელსაც კვალიფიკაციის ამაღლების მიზნითა და იაპონელების დაფინანსებით, რა თქმა უნდა, იაპონიაში მივავლენთ.

მათ კი, ვინც წარმატებულად დაამთავრებს ჩვენს ქართულ — „საგეიშო“ უმაღლეს სასწავლებელს და მიიღებს გეიშის საპატიო წოდებას, დავასაქმებთ იმ სფეროში, სადაც გაგვიჭირდება და დაგვჭირდება მათი მაღალი პროფესიონალიზმი. პარალელურად კი, ჩემო ბატონო, ნურც თავიანთ უმთავრეს პროფესიას დაივიწყებენ და თუ სურვილიც ექნებათ, რასაკვირველია, „იგეიშონ“, რამდენიც უნდათ.

...ცირკთან დგას — კახპა არ არის!

გამოიცანით?!

ეს მე ვარ, თქვენი მონა-მორჩილი, მეოთხე ხელისუფლება... აქეთ-იქით პირველი უძველესი პროფესიის წარმომადგენლები მიდგანან. აი, იმ უძველესი პროფესიისა, რომელსაც ზოგიერთები ჟურნალისტის საქმიანობას ადარებენ, თუ პირიქით — ჟურნალისტის მოღვაწეობას, მათ საქმიანობას...

ეს — ზოგიერთები, თორემ (სრული კატეგორიულობით ვაცხადებ!) მე ამ საკითხზე სხვა აზრის ვარ...

■

ურყევად დამყარებული საკმევლის კვამლის ადგილზე აგებული ტაძარი,

უფლის ანგელოზის კვერთხით აღმოცენებული წყარო და შვილიერების მაღლის მომნიჭებელი წ მინდა მამის სასწაულები

შიომღვიმის მონასტერი დაარსებულია VI საუკუნის მეორე ნახევარში, ერთ-ერთი ასურელი მამის, წმინდა შიოს მიერ. საქართველოში იოანე ზედაზნელის წინამძღოლობით ჩამოსულმა ასურელმა მამებმა პირველად მოილოცეს მცხეთა და უფლის კვართი, შემდეგ კი თავიანთ სულიერ მოძღვართან — იოანესთან ერთად ზედაზნის მთაზე დამკვიდრდნენ. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ასურელი მამები ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში გავიდნენ სამოღვაწეოდ. მამა შიომ მცხეთის მახლობლად მდებარე კლდოვან, მიუვალ და უწყლო ადგილას, კლდეთა შორის, ბუნებრივი მღვიმე იპოვა და იქ დაემკვიდრა. მოგვიანებით, იმ ადგილას მონასტერი დააარსა...

შორენა მერკვილაძე

მარინა ხოსიტაშვილი, *საპატრიარქოს რელიგიური ტურიზმის დეპარტამენტის წარმომადგენელი:*

— შიომღვიმის მონასტერი 3 ეკლესიას — იოანე ნათლისმცემლის, ღვთისმშობლის მიძინების და ჯვართამაღლების ტაძრებს აერთიანებს. ამჟამად, მხოლოდ ღვთისმშობლის მიძინების ტაძარია მოქმედი. მონასტრის უძველესი ნაგებობაა იოანე ნათლისმცემლის ეკლესია, რომელიც ჯერ კიდევ მამა შიოს მოღვაწეობის პერიოდში, 560-70 წლებშია აგებული. სარკინეთის მთებზე ნადირობისას, სადაც წმინდა შიო მკვიდრობდა, ფარსმან მეფის სპასპეტმა — ციხედიდის მთავარმა, ევაგრემ ერთი და იმავე მიმართულებით მოძრავი მტრედი შენიშნა, რომელსაც ნისკარტით უცხო საკვები მიჰქონდა გამოქვაბულში. ადგილზე მისულმა ევაგრემ მლოცველი ბერი იხილა. მისი სახიდან მომდინარე ნათელმა სხივმა და ცხოვრების წესმა იმდენად მოხიბლა ევაგრე, რომ მასთან მოღვაწეობის სურვილი გაუჩნდა და მალე ბერადაც შედგა. როგორც აღვნიშნეთ, ევაგრე წარჩინებული და საკმაოდ შეძლებული ადამიანი იყო, მოულოდნელად კი, ყველაფერი მიატოვა და უკაცრიელ ადგილს მიაშურა სამოღვაწეოდ. ბუნებრივია, ამის შესახებ ხალხში სწრაფად გავრცელდა ხმა, ამიტომ სარკინეთის მთას მრავალმა ადამიანმა მიაშურა. ბევრი მათგანი იმდენად მოხიბლა განმარტოებით მოღვაწე ბერების ცხოვრების წესმა, რომ მათთან დაემკვიდრა სამოღვაწეოდ. მოღვაწეთა რიცხვი 2 ათასამდე გაიზარდა, ამიტომ მონასტრის დაარსება გახდა საჭირო. იმავე პერიოდში, მათი მოღვაწეობის ადგილზე ფარსმან მეფეც ავიდა, რომელმაც გვიან შეიტყო ევაგრეს ბერად შედგომის შესახებ და გადაწყვიტა, კვლავ სამეფო კარზე დაებრუნებინა იგი. მაგრამ როდესაც მამა შიოს საკვირველი მადლით მოსილი სახე იხილა, სამეფო გვირგვინი მოიხსნა და მის წინ დაიჩოქა. მეფემ უამრავი განძეულობა გადასცა წმინდა მამას, სავანის დასაარსებლად. ბერებმა ეკლესიის ასაშენებელი ადგილის შერჩევა მამა შიოს სთხოვეს. წმინდა მამა მაღალ მთაზე ავიდა (სადაც ამჟამად ჯვართამაღლების ტაძარი დგას) და ლოცვა აღავლინა. შემდეგ, შიშველ ხელისგულზე გახურებული ნახშირი დაიდო, საკმეველი დააყარა, ჯვარი გადასახა და კმევა დაიწყო. საკმევლის კვამლი ზეცისკენ აღიმართა, შემდეგ ქვემოთ დაეშვა და ხევში დადგა. ადგილზე მისულმა ბერებმა სვეტად მდგარი კვამლი იხილეს, რომელიც 3 დღე-ღამის მანძილზე უძრავად იდგა და საოცარ სურნელებას აფრქვევდა. მესამე დღეს, კვამლი ზეცისკენ ამაღლდა. წმინდა შიომ ეს უფლის მინიშნებად მიიჩნია და კვერთხით ეკლესიის ასაშენებელი ადგილი მონიშნა. ტაძარი იოანე ნათლისმცემლის სახელზე აიგო. ნათლისმცემლის ეკლესიას მომდევნო საუკუნეებში მიაშენეს სამრეკლო, ეკვდრები და სამლოცველოები.

შიომღვიმის მონასტრის მეორე — ღვთისმშობლის მიძინების ეკლესია აგებულია 1103-1123 წლებში, მეფე დავით აღმაშენებლის თაოსნობით, რომელსაც ეკლესიის აშენება არსენ ბერისთვის დაუვალებია. ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი დამპყრობლებმა რამდენჯერმე დაანგრიეს, ამიტომ პირვანდელი სახით ჩვენამდე არ მოუღწევია. ტაძრის აღდგენა-განახლებაზე ძირითადად, ზედგინიძე-ამილახვართა საგვარეულო ზრუნავდა, რომელსაც XV საუკუნეში, მეფისადმი თავდადებისთვის შიომღვიმის მონასტერი გადაეცა. იქვე იყო მათი საგვარეულო საძვალეც, რაც უდიდეს პატივად მიიჩნეოდა და ამავე დროს, უდიდეს მოვალეობას — მონასტერზე ზრუნვას აკისრებდა, რომელსაც ამილახვართა საგვარეულო ღირსეულად აღასრულებდა.

ჯვართამაღლების ტაძარი, შიომღვიმის მონასტრიდან ერთი კილომეტრის დაშორებით, მაღალი მთის წვერზე, X საუკუნეშია აგებული.

მონასტრის დაარსების შემდეგ, წმინდა შიომ მასთან მოღვაწე ბერებს წინამძღვრად ევაგრე დაუდგინა, თვითონ კი, კათოლიკოსის ლოცვა-კურთხევით, საკუთარი ხელით გამოჭრილ, 12 მეტრის სიღრმეზე მდებარე მღვიმეში ჩავიდა, სადაც სიცოცხლის ბოლომდე განმარტოებით მოღვაწეობდა. მასთან ჩასვლის უფლება მხოლოდ ევაგრეს ჰქონდა, რომელიც მღვიმეში მოღვაწე ბერს პურსა და წყალს აწვდიდა და დროდადრო, რჩევისთვის მიმართავდა. სწორედ მღვიმეში მოღვაწეობის გამო ეწოდა მამა შიოს — მღვიმელი, მის მიერ დაარსებულ მონასტერს კი — შიომღვიმე.

გარდაცვალების შემდეგ, შიო მღვიმელის წმინდა სხეული ამავე მღვიმეში დაკრძალეს. წმინდა შიო მღვიმელის საფლავი, მონასტრის უმთავრეს სიწმინდეს წარმოადგენს. მნიშვნელოვანი სიწმინდეებია აგრეთვე, წმინდა ევაგრეს და წმინდა ალექსანდრე ოქროპირის საფლავები.

— ცნობილია, რომ სწორედ შიომღვიმის მონასტრის სახელთანაა დაკავშირებული წმინდა ეპისკოპოს ნიტიფორე ურბნელის ქრისტიანულ სჯულზე მოქცევა...

— ეს V საუკუნეში, სარკინოზთა შემოსევის დროს მოხდა. მათ შიომღვიმის მონასტრის დარბევა სურდათ, მაგრამ რაღაც უხილავმა ძალამ შეაჩერა და ვერ მოახერხეს. სარკინოზთა მხედართმთავარი — ომარი მიხვდა, რომ ეს სულიერი ძალა იყო და ძღვენით მივიდა შიომღვიმის მონასტერში. მონასტრის მონახულებისას, ომარმა ქრისტიანული სჯულის შესახებ შეიტყო. მოიხიბლა იქ მოღვაწე ბერების ცხოვრების წესით და მალე, ქრისტიანული წესით მოინათლა. მოგვიანებით, იგი

ბერად შედგა და ურბნისის ეპისკოპოსიც გახდა. მას ნიტიფორე უწოდეს. ნიტიფორე ურბნელმა სიცოცხლე ქრისტიანულ სჯულს შესწირა — იგი ცეცხლთაყვანისმცემლებმა ქვებით ჩაქოლეს.

— როგორ აღმოცენდა შიომღვიმის ტერიტორიაზე — „ბერის ცრემლებად“ ცნობილი მაკურნებელი წყარო?

— როგორც ვიცით, ის ადგილი, სადაც შიო მღვიმელი დაემკვიდრა, კლდოვანი და უწყლო იყო, ამიტომ მონასტერში მოღვაწე ბერებს წყლის მოტანა საკმაოდ შორი მანძილიდან უხდებოდათ, რაც მძიმე შრომას მოითხოვდა. ერთხელ, ერთ-ერთ ბერს მონასტერში მოტანილი ჭურჭელი გაუტყდა და წყალი დაეღვარა. წმინდა შიომ იხილა, რომ ბერს ფეხი ეშმაკმა წამოსდო და ამის გამო წაიქცა, მაგრამ ამავე დროს, წმინდა მამამ კლდის ძირას იხილა უფლის ანგელოზი, რომელიც კვერთხით იღებდა მიწას. ნეტარმა შიომ ბერი დაამშვიდა — შენი ცრემლების სანაცვლოდ, უფალმა ანგელოზი მოავლინა, რომელიც წყაროს აღმოაცენებსო. მალე მონასტერთან მართლაც, აღმოცენდა წყარო, რომელსაც „ბერის ცრემლები“ უწოდეს.

შიომღვიმის მონასტერი

— შემორჩენილია თუ არა შიომღვიმის მონასტრის ტერიტორიაზე კლდეებში ბუნებრივად გამოღებული მღვიმე, სადაც თავდაპირველად დაემკვიდრა შიო მღვიმელი?

— ამჟამად მღვიმის თავზე, სადაც წმინდანი თავდაპირველად მოღვაწეობდა, პატარა სამლოცველოა აგებული. ამ მღვიმეში მამა შიომ მრავალი განსაცდელი გადაიტანა. სწორედ იქ გამოეცხადნენ მას ღვთისმშობელი და იოანე ნათლისმცემელი. ხილვისას, ღვთისმშობელმა ღირს მამას თოვლივით თეთრი და უსპეტაკესი ზეციური საზრდო გადასცა, გაამხნევა და აუწყა, რომ ამიერიდან, საზრდო ზეციდან მიეცემოდა. მართლაც, ამის შემდეგ, განმარტოებით მოღვაწე ბერებთან საკვები მტრედს მიჰქონდა.

შიომღვიმის მონასტერთან მდებარე სარკინეთის მთაში ასზე მეტი მღვიმეა გამოკვეთილი, რომლებსაც მონასტერში მოღვაწე ბერები საცხოვრებლად იყენებდნენ. იქ მოღვაწე ბერებს საკვებს თოკებით აწვდიდნენ, რადგან ძნელად მისასვლელ მღვიმეებთან ხშირად მიმოსვლა დიდ სირთულეს წარმოადგენდა.

— ამბობენ, შიომღვიმის მონასტერს განსაკუთრებით შვილიერების მადლი შესწევსო...

— წმინდა შიო მღვიმელი მართლაც, განსაკუთრებულად უშვილო წყვილებს უწევს შემწეობას. მონასტერში სპეციალური პარაკლისებიც კი აღევლინება, რომლის დროსაც, წმინდანს შვილიერების მადლის მინიჭებას შესთხოვენ. შიომღვიმის მონასტრის მოღოცვისა და პარაკლისებზე დასწრების შემდეგ, ბევრ უშვილო წყვილს შეეძინა შვილი. ერთ-ერთი ბავშვი, რომელსაც თავადაც ვიცნობ, ზუსტად შიო მღვიმელის ხსენების დღეს დაიბადა.

წმინდანის შემწეობითა და მადლით მოევლინა ქვეყანას X საუკუნეში მოღვაწე იოანე ოქროპირი — კათოლიკოსიც. მას ძალზე შეძლებული მშობლები ჰყავდა, მაგრამ მრავალი წლის მანძილზე არ უჩნდებოდათ შვილი, რასაც ძალზე განიცდიდნენ. ამაღლების დღესასწაულზე, გიორგი (იოანეს მამა) შიომღვიმის მონასტერში ავიდა, რამდენიმე დღით იქვე დარჩა და გულმხურვალედ შესთხოვდა წმინდა შიო მღვიმელს, მიენიჭებინა მისთვის შვილიერების სიხარული. 9 თვის თავზე, მართლაც შეეძინათ ვაჟი, რომელიც მშობლებმა 10 წლის ასაკში შიომღვიმის მონასტერში აიყვანეს და იქ მოღვაწე ბერებს ჩააბარეს აღსაზრდელად. შემდგომში, იგი ბერად აღიკვეცა და კათოლიკოსი გახდა.

— წმინდა შიო მღვიმელის სახელს სხვა მრავალი სასწაულიც უკავშირდება...

— XV საუკუნეში წმინდა მამის მიერ აღსრულებული სასწაულები შეკრიბა და ჩაიწერა ბასილი-კათოლიკოსმა. მათგან მხოლოდ ექვსმა მოაღწია ჩვენამდე. ერთ-ერთი სასწაული, რომელიც შიო მღვიმელის სიცოცხლეში მოხდა, მისი კვერთხის შეხებით დაბრმავებული ავაზაკის განკურნება გახლდათ: შიო მღვიმელმა განკურნა ერთ-ერთი კაცის ვაჟი; მამას, მონასტერში სამადლობელი ძღვენი მიჰქონდა ხოლმე; ერთხელ, გზად ავაზაკები დაესხნენ თავს და გაძარცვეს. დამწუხრებული კაცი ხელცარიელი წავიდა ტაძრისკენ. როდესაც შიომღვიმის მონასტერს მიუახლოვდა, დაინახა, რომ მისი შესაწირი მონასტრის შესასვლელთან იდო, იქვე იდგა დაბრმავებული ავაზაკიც. ავაზაკმა უთხრა, რომ მისი გაძარცვის შემდეგ, მოხუცი მონაზონი იხილა, რომელმაც თვალებში შეჰბერა და თვალისჩინი დააკარგვინა. მონასტერთან კი, ავაზაკი სინანულის განცდას მიეყვანა: ის ევაგრეს სთხოვდა დახმარებას. ევაგრე მართლაც, ჩავიდა მღვიმეში, წმინდა შიოსთან, რომელსაც წინასწარ განეჭვრიტა ავაზაკის ქმედება და უკვე უწყოდა მისი ჩასვლის მიზეზი. მან ევაგრეს თავისი კვერთხი გადასცა, რომელიც მღვიმიდან ამოსულმა ბერმა ავაზაკს თვალებზე შეეახო და აუხილა. XV საუკუნეში მოხდა ასეთი შემთხვევაც: ირანის შაჰმა შიომღვიმის მონასტერი დაარბია, საიდანაც შიო მღვიმელის წმინდა ნაწილებიც წაიღო. იმ წელიწადს, ირანში უცნობი დაავადებები გავრცელდა და მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. ამ მძიმე განსაცდელის ჟამს, ერთ-ერთ სპარსს წმინდა შიო გამოეცხადა და აუწყა, რომ ვიდრე მის წმინდა ნაწილებს საქართველოში არ დააბრუნებდნენ, ირანი განსაცდელისგან არ გათავისუფლდებოდა. შაჰ-აბასმა წმინდა ნაწილები ოქროს ლუსკუმაში ჩააბრძანა, ძვირფასეულობაც შესწირა და უკანვე დააბრუნა. ამის შემდეგ, ირანში ადამიანთა მასობრივი დასნეულება შეწყდა.

— გასულ საუკუნეებში, ყოველწლიურად ყველიერის ხუთშაბათს შიო მღვიმელის წმინდა ნაწილები საფლავიდან ამოდიოდა. რას გვეტყვით ამ სასწაულის შესახებ?

— ყველიერის ხუთშაბათს საფლავიდან წმინდა მამის ერთი რომელიმე ნაწილი ამოდიოდა. კათოლიკოს-პატრიარქის ქადაგებას მოვიშველიებ და ვიტყვი, რომ შიომღვიმეში მოღვაწე ბერები დიდი ყურადღებით ელოდნენ წმინდა ნაწილის გამოჩენას. მრავალწლიანი გამოცდილების შედეგად, მათ უკვე იცოდნენ, თუ რომელ ნაწილს რა სიმბოლური დატვირთვა ჰქონდა და რას მოასწავებდა მისი გამოჩენა. 1917 წელს, საფლავიდან უჩვეულო კაკუნი მოისმა და გამოჩნდა წმინდა შიოს თავის ქალა. ასეთი შემთხვევა არავის ახსოვდა და ვერავინ ახსნა ეს სასწაული. მალე რუსეთში რევოლუცია მოხდა, რომელმაც ჩვენი ქვეყანაც მოიცვა...

შიო მღვიმელის წმინდა ნაწილები ამჟამად, შიომღვიმის მონასტერშია დაცული და მორწმუნეებს მასთან მიახლების საშუალება აქვთ.

■

როცა ირგვლივ ყველაფერი ყვავის

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

სილამაზის ერთ-ერთ სალონში ასეთი შემთხვევა მოხდა: მრავალწლიანი გამოცდილების მქონე პარიკმახერმა კლიენტს თმა მოხდენილად შესჭრა, ლამაზად დაუვარცხნა, მაგრამ როგორც კი, თმის ფიქსატორი შეასხურა, ქალს კანი წითელი ლაქებით დაეფარა და გული წაუვიდა...

ექიმ-ალერგოლოგთა პრაქტიკაში მრავალი მსგავსი მაგალითია აღწერილი. შოკოლადის ნატეხი, ერთი ყლუპი შამპანური, სუნამოს წვეთი და ყვავილების თაიგული არაერთხელ გამხდარა აცრემლების, კანის ქავილის, სპაზმური ხველის და ცხვირში საშინელი ღიტინის შეგრძნების მიზეზი. თუ ადრე ალერგიული ადამიანები თითზე ჩამოსათვლელნი იყვნენ, ახლა ამ სენით ქალაქში ყოველი მეოთხე ადამიანია დაავადებული.

ალერგენის გამოვლენა თვალით პრაქტიკულად შეუძლებელია, — მედიკოსებისთვის 20 ათასზე მეტი სახის ალერგიაა ცნობილი! აყვავებული ხეები და ბალახები, ოთახისა და წიგნის მტვერი, ცხოველთა ბეწვი, ბოსტნეული, სანელებლები... სია გამუდმებით იზრდება.

დაავადება ხშირად, ბანალური სურდოთი, გაცივებით, რესპირატორული დაავადებით, ბრონქიტით ინიღბება. ადამიანი სვამს წამლებს და არც კი ეჭვობს, რომ მისი პრობლემების ნამდვილი მიზეზი — სულ სხვაა.

მეტი შევიტყოთ მის შესახებ

არსებობს რამდენიმე მცდარი მოსაზრება ალერგიის შესახებ:

შეცდომა 1.

ალერგია მწვავდება გაზაფხულზე, როცა ირგვლივ ყველაფერი ყვავის.

თუ ლაპარაკია პოლინოზზე (ალერგია მცენარის მტვერზე), ამ პათოლოგიის მქონე ადამიანებს ცემინება და ხველა შეიძლება დაეწყოთ გაზაფხულზეც, როცა ხეები ყვავის და ზაფხულშიც, როცა სხვადასხვა ბალახი ხარობს. ივნის-ივლისში მათ რიგს ემატება: ქერი, შვრია, ჭვავი, ხორბალი. ზოგიერთი ბალახი მთელი ზაფხულის განმავლობაში ყვავის.

ალერგია მტვერზე, მთელი წლის განმავლობაში მიმდინარე მოვლენაა, რომელიც ამინდზე არ არის დამოკიდებული. ძირითადი ალერგენი მტვრის ტკიპის ფეკალიებით გადაიცემა. ერთი ტკიპა დღეში 15-მდე „მომშხამავ“ ბურთულას გამოყოფს.

შეცდომა 2.

მცენარეებიდან განსაკუთრებით ცრემლმდენია ღია ფერისა და ძლიერი სუნის მქონე ყვავილები.

სინამდვილეში, მცენარის ალერგიულ თვისებებს განსაზღვრავს არა სუნი, არამედ მტვერი. ამ თვალსაზრისით, ყველაზე მავნეა: თხილნარი, არყის ხე, ალვის ხე, მურყანი, წაბლი, მუხა, ცაცხვი, ტირიფი, ხოლო ნაძვის, სოჭის, კედრის შედარებით მსხვილი მტვერი რეაქციას იშვიათად იწვევს.

შეცდომა 3.

თუ ბავშვობაში ალერგია არ გქონდათ, შემდგომში, ის აღარ განვითარდება.

ეს სიმართლე არ გახლავთ. პოლინოზით დაავადებულთა შორის, ბევრია ისეთი, ვინც ბავშვობაში უპრობლემოდ დარბოდა აყვავებულ მინდორში და ერთობოდა აყვავებული ბაბუაწვერებით. ალერგიულთა რიგების შევსების შანსი ნებისმიერ ასაკში არსებობს.

ასაკის მატებასთან ერთად, ალერგია მტვერზე შეიძლება, თანდათანობით შემცირდეს. რთული სეზონისათვის კი, ალერგიული ადამიანი სათანადოდ უნდა მოემზადოს. ერთ-ერთი ეფექტური მეთოდია, სპეციფიკური ჰიპოსენსიბილიზაცია — დაავადების ჩაწყნარების პერიოდში, ალერგენის მცირე დოზების შეყვანა კანქვეშ ან ენის ქვეშ. ასეთი აცრის შედეგად, 10-დან 8 შემთხვევაში, ფორმირდება მდგრადობა გამღიზიანებლის მიმართ.

ალერგიულთა სამახსოვრო

● იმ მცენარეთა ყვავილობის დროს, რომლებზეც ალერგია გაქვთ, ეცადეთ, გაემგზავროთ ისეთ კლიმატურ ზონაში, სადაც ისინი ჯერ არ ყვავის ან უკვე იყვავილა.

● ქუჩაში გამოსვლისას, სახეზე სათვალე მოირგეთ, შინ დაბრუნებისას კი, აუცილებლად მიიღეთ შხაპი.

● ფანჯრებზე დაკიდეთ ტკიპების საწინააღმდეგო ბადეები ან უბრალოდ, სველი ქსოვილი, რომელზეც მტვერი დაილექება.

■

სიბნელის შიში

ბავშვებში ხშირია სიბნელის შიში. რა დგას ამის მიღმა და როგორ დავეხმაროთ პატარას შიშის დაძლევაში?

ფსიქოლოგები მიიჩნევენ, რომ სიბნელის შიში ბუნებრივი მოვლენაა 3-5 წლის ასაკში. ამ დროისათვის, ბავშვს უკვე დაგროვილი აქვს ცოდნის გარკვეული მარაგი, მოსმენილი აქვს ზღაპრები, ნანახი აქვს ფილმები, იწყებს ფანტაზიორობას, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ არჩევს, სად მთავრდება რეალური სამყარო და სად იწყება წარმოსახვითი. არ შეუძლია საშიში მოვლენის მიღმა ახსნადი, რეალური საგნის დანახვა — არ ჰყოფნის ლოგიკა.

შიში ბუნებრივია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ უყურადღებოდ უნდა დავტოვოთ ეს პრობლემა, დავცინოთ პატარებს ან მივიჩნიოთ, რომ ბავშვი გაიზრდება და შიშიც გაქრება. სიბნელის შიშმა ბევრი უსიამოვნო განცდა შეიძლება მოუტანოს პატარას, ცუდად იმოქმედოს ძილსა და საერთო თვითშეგრძნებაზე. ამიტომ მშობლები უნდა დაეხმარონ მას.

შიში უნდა დაკონკრეტდეს და გამოაშკარავდეს. ბავშვს თვით სიბნელის კი არ ეშინია, არამედ რაღაცის, რაც სიბნელეში იმალება. რისი? სწორედ ეს უნდა გავარკვიოთ. ფრთხილად გამოჰკითხეთ, სთხოვეთ, დახატოს ეს „ურჩხული“ (დიდი ძაღლი, მგელი თუ მოჩვენება), გამოძერწოს პლასტილინისაგან. როცა გამოსახულება მატერიალ-

იზდება, მისი შეცვლა ადვილად შეიძლება: დაუმატეთ „ურჩხულს“ სასაცილო, აბსურდული ან მიმზიდველი დეტალები. ეს ძაღლი ხომ ისეთი საშიში აღარ იქნება, თუ ერთ ყურს მაღლა ავუწევთ, მეორეს — გადავუკეცავთ, დახვეულ ბალანს მივუხატავთ, კუდს კი — „აუვუპრეხთ!..

შევაშინოთ მონსტრი. რაც შეიძლება მრისხანედ, ხმამაღლა დავიყვიროთ: აი, დედიკოს როგორ შეეშინდა — ურჩხულსაც შეეშინდება... ფსიქოლოგებმა ამ მეთოდს „აგრესორთან საკუთარი თავის იდენტიფიცირება“ უწოდეს. ეს დამცავი მექანიზმი პირველად, ზიგმუნდ ფროიდის შვილმა, ანა ფროიდმა აღწერა. განა ვინმესი შეგეშინდება, თუ თავად ასეთი საშიში ხარ?!

მატერიალიზებული შიშის განადგურება ადვილია. დავხიოთ მონსტრის ნახატი, დავჭყლიტოთ პლასტილინისგან გამოძერწილი მისი ფიგურა. ამ დროს, პატარა წარმოთქვამს: „წადი აქედან, მე შენი აღარ მეშინია!“ მაგრამ ურჩხულთან ბრძოლას ძილის წინ ნუ გამართავთ, უმჯობესია, ეს დღისით გააკეთოთ. სამაგიეროდ, საღამოს, დაძინებისას შეგიძლიათ, ეს ეპიზოდი შეახსენოთ: „ურჩხული აღარ მოვა — ჩვენ ხომ ის დავამარცხეთ!..“

მშიშარას, გულადის როლი დაიცავს. ეს როლი პატარას სხვადასხვა თამაშის დროს უნდა მიანიჭოთ — იგი პატარა ბავშვების, ფისოების, სათამაშო ცხოველების დამცველია, რომელთაც დაძინების ეშინიათ და საღამოს, მათ გვერდით ნებივრობა და მათ საწოლში ძილი უყვართ. თქვენს ნაცნობებთან და ნათესავებთან კი, ბავშვის თანდასწრებით ხშირად აღნიშნეთ, თუ როგორი გულადი შვილი გყავთ, როგორ გამოგიტანათ მან ბნელი ოთახიდან თქვენთვის საჭირო ნივთი, როგორ უშიშრად ჩაუარა ეზოში ბომბორა ძაღლს.

დანიშნეთ პატარა, სინათლის მბრძანებლად. ნუ აიძულებთ ბავშვს, სიბნელეში დაიძინოს. 3-4 წლის პატარას უკვე დამოუკიდებლად შეუძლია ლამპის გამორთვა. დაე, თავად ჩააქროს, თუ მოუნდება, ანდა დატოვოს ჩართული. ნება მიეცით ბავშვს, თავად მართოს სიტუაცია.

დაიცავით დაძინების რიტუალი. ყოველ საღამოს, ერთსა და იმავე დროს, ერთნაირი თანამიმდევრობით შეასრულეთ ჩვეული მოქმედებები: ერთად დაალაგეთ სათამაშოები, აბანავეთ ბავშვი, ჩააწვინეთ საწოლში, უამბეთ ზღაპარი... რაც უფრო მყარია რიტუალი, მით უფრო მშვიდად და თავდაჯერებულად გრძნობს პატარა თავს.

იცხოვრეთ მხიარულად. კარგი განწყობილება ნებისმიერი შიშის საწინააღმდეგო, საუკეთესო პროფილაქტიკაა. რაოდენ სერიოზული პრობლემებიც არ უნდა გაწუხებდეთ, ეცადეთ, ხშირად გაიცინოთ, იხუმროთ, ბავშვთან მეტი დრო გაატაროთ. პატარას ჰაერივით სჭირდება გართობა, მხიარულება, თამაში.

■

„მინუსი“ ხელს არ შეგვიშლის

უარყოფითი რეზუსის მქონე ქალებს ხშირად აშინებენ მოსალოდნელი აბორტებითა და მშობიარობის გართულებებით. რამდენად დიდია აღნიშნული რისკი?

უარყოფითი რეზუსის შესახებ უამრავი ჭორი არსებობს. სინამდვილეში, საკმარისია, იცოდეთ საკუთარი რეზუს-ფაქტორი და დაიცვათ „რეზუსის უსაფრთხოების“ წესები, რომ მშობიარობათა რაოდენობის მიუხედავად, რეზუს-კონფლიქტის საშიშროება გამოირიცხება.

რეზუს-ფაქტორი სისხლის უჯრედების — ერითროციტების ზედაპირზე მდებარე ცილაა. იგი ქალების 85%-ს აქვს, ისინი დადებითრეზუსიანები არიან, დანარჩენი 15% კი — უარყოფითრეზუსიანია. თუ მათ სისხლში მოხვდება დადებითრეზუსიანი სისხლი (მაგალითად, დონორის სისხლის გადასხმისას ან დადებითრეზუსიანი ნაყოფისაგან — ორსულობის დროს), ორგანიზმი იწყებს თავდაცვას — გამოიმუშავებს ანტისხეულებს, რომლებიც ცდილობს, დაშალოს „უცხო სისხლის“ უჯრედები. ვითარდება რეზუს-კონფლიქტი, რომელიც საშიშია ქალისთვისაც და ნაყოფისთვისაც.

ერთხელ წარმოქმნილი ანტისხეულები არსად ქრება და აგრძელებს თავის დამღუპველ მოქმედებას მომდევნო ორსულობის დროსაც. ამიტომ მთავარია, საერთოდ არ დავუშვათ ანტისხეულების წარმოქმნა. ადრე ექიმები იმით შემოიფარგლებოდნენ, რომ რეზუსუარყოფითიან ქალებს აძლევდნენ რეკომენდაციას, არ გაეკეთებინათ აბორტები, ხოლო ორსულობის დროს, სისტემატურად ჩაებარებინათ სისხლის ანალიზები (რათა დროულად შეემჩნიათ რეზუს-კონფლიქტის დასაწყისი და აღეკვეთათ მათი შედეგები). ეს რეკომენდაციები დღესაც აქტუალურია. მაგრამ დღეს ამ პრობლემის დასაძლევად, უფრო მეტი შესაძლებლობაც არსებობს. შექმნილია პრეპარატი, რომლის ინიექცია თავიდან აგვაცილებს რეზუს-კონფლიქტის განვითარებას. ეს ანტირეზუსული იმუნოგლობულინია. იგი შეჰყავთ ქალის ორგანიზმში ორსულობის 28-ე კვირას (ანტისხეულების არარსებობის პირობებში), იმის მიუხედავად, თუ როგორია ნაყოფის რეზუსი.

პრეპარატის შეყვანა ხდება აგრეთვე, 72 საათის განმავლობაში შემდეგ შემთხვევებში:

- მშობიარობისას, რომლის დროსაც, დადებითი რეზუსის მქონე ბავშვი დაიბადა;
- ორსულობის შეწყვეტისას ან აბორტის საშიშროების დროს;
- საშვილოსნოს გარე ორსულობის გამო ჩატარებული ოპერაციის შემთხვევაში;
- ზოგიერთი საშვილოსნოს შიდაგამოკვლევის (ბიოფსიის, ამნიოცენტეზის) დროს;
- მუცლის ღრუს ტრავმისას.

■

სოხუმელი დიზაინერი, ვრცელი მოდა და „ვერსაჩეს“ ინტერიერი

რამდენიმე დღის წინ, თბილისის ერთ-ერთი სავაჭრო ცენტრის ფოიეში ახალგაზრდა დიზაინერის, ნინო ქირიას საგაზაფხულო-საზაფხულო კოლექციის ჩვენება გაიმართა. ნინო წარმოშობით სოხუმიდან არის და გასაგები მიზეზების გამო, ის ახლა თბილისში საქმიანობს.

ნათია ქივიძე

— სოხუმში დავიბადე და გავიზარდე. ბავშვობიდანვე მიყვარდა ჭრა-კერვა. სკოლის დამთავრების შემდეგ, ლვოვის სახვითი ხელოვნების ინსტიტუტში ჩავაბარე. სოხუმის მოდების სახლში ვმუშაობდი. ახალი დაბრუნებული ვიყავი, როცა აფხაზეთში ახალგაზრდა დიზაინერთა კონკურსი გაიმართა. რა თქმა უნდა, ამ კონკურსში მონაწილეობა მეც მივიღე, მაგრამ წარმატებას ნამდვილად არ ველოდი. ძალიან გამიკვირდა, როცა გამარჯვებულად გამომაცხადეს. იქ საკმაოდ ბევრი ჩვენება მქონდა, თუმცა მაშინ სახელწოდება „დიზაინერი“ არ არსებობდა, „მოდელიერებს“ გვეძახდნენ. აფხაზეთის ომის დროს, რა თქმა უნდა, სხვებთან ერთად, მეც თბილისში წამოვედი და მას შემდეგ საკმაოდ ხანგრძლივი პაუზა მქონდა, რადგან მაშინ ამგვარი საქმიანობისთვის არავის ეცალა. მხოლოდ კერძო შეკვეთებზე ვმუშაობდი, თუმცა ხელსაწყოები არ მქონდა. ჩემმა მამიდაშვილმა საკერავი მანქანა მათხოვა, ზოგი ახლობელი რას მაწვდიდა, ზოგი — რას, ჩემი პროფესია რომ არ დამევიწყებინა. 2004 წელს ჩემმა ნათესავმა მითხრა, რომ დიზაინერთა კონკურსი იყო გამოცხადებული, იმ დროს „მის საქართველოს“ ირჩევდნენ და დიზაინერთა კონკურსში ვინც გაიმარჯვებდა, მის შეკერილ სამოსს კონკურსანტ გოგონებს ჩააცმევდნენ. მაშინ ეს კონკურსი ბათუმში ტარდებოდა. მონაწილეობა მივიღე და „ყველაზე ელეგანტური“ კაბის ნომინაციაში გავიმარჯვე. ჩემი კაბები სამ მოდელს ჩააცვეს, თუმცა რატომღაც არა ის კაბა, რომლითაც ამ ფესტივალზე გავიმარჯვე. ამის შემდეგ აქტიურად შევუდექი ჩემს საქმიანობას. „შერატონ მეტეხ პალასში“ ასევე დიზაინერთა კონკურსი ჩატარდა, სადაც პირველი ადგილი დავიკავე. ამას მოჰყვა სხვადასხვა ჩვენება. თუმცა საკუთარი სალონი არც ახლა მაქვს, მთელ კოლექციას სახლში ვკერავ, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ხშირად ვაწყობ ჩვენებას. ცოტა ხნის წინ, ორი დიდი ჩვენება მოვაწყვე, რომლებიც ნახევრად საქველმოქმედო იყო. წყნეთის ბავშვთა სახლიდან ჩამოვიყვანეთ ბავშვები, ხოლო

მეორე ჩვენებიდან, რომელიც კლუბ „ბერიკონში“ გაიმართა, გარკვეული თანხა ამავე სახლს გადავეცით.

— როგორი სტილის ტანსაცმელს ანიჭებ უპირატესობას? ძირითადად, რა სტილის სამოსს კერავ?

— ყველაზე მეტად მიყვარს ქუჩის მოდა, ყოველდღიური სამოსი. ავანგარდული ჩემგან ძალიან შორს არის. ამ სტილის ტანსაცმელი არც არასოდეს შემიკერავს და ვერც შევკერავ, რადგან ჩემს ხასიათში არ ზის. უპირატესობას უფრო დახვეწილ, კლასიკურ სტილს ვანიჭებ. ძალიან მალე საკუთარი სალონის გახსნას ვაპირებ. ამას აქამდეც განვახორციელებდი, მაგრამ ხელი სალარო-აპარატების შემოსვლამ შემიშალა.

— ნინო, წლევანდელი გაზაფხული-ზაფხულის მოდის შესახებ რას გვეტყვი?

— ამ სეზონზე მოდის მიმდევრებმა რაც შეიძლება ბრჭყვიალა და ჭრელი ფერის სამოსი უნდა შეიძინონ. ასევე, მოდაშია მაქმანებითა და ხავერდით გაწყობილი ტანსაცმელი. სამხედრო სტილიც საკმაოდ აქტუალურია, ხაკისფერი სამოსიც. ძალიან დიდი კონტრასტია, სხვადასხვა სტილი ერთმანეთშია არეული. ამ ყველაფრის შეკერვა ადვილია, მაგრამ არა მგონია, მთლად გემოვნებიანი იყოს.

— ეთანხმები იმ აზრს, რომ ადამიანს რაც უხდება, მოდაშიც ის არის?

— ნაწილობრივ ვეთანხმები. რაც გიხდება, ის ალბათ კარგია, მაგრამ რაც მოდაშია, იმას უკვე სხვანაირად აღიქვამ და მოგწონს კიდეც შენს ტანზე. შესაძლოა, ხუთი წლის წინ რომ ტანსაცმელი გვეცვა, იმას შევხედოთ და გაგვცინოს, ამას როგორ ვიცვამდიო?! მაგრამ მაშინ მოდაში ის იყო.

— იქნებ, უფრო დაწვრილებით გვესაუბრა ამ სეზონის მოდის შესახებ?

— რა თქმა უნდა. უფრო მინიქვედაბოლოებია მოდაში, მიდიც აქტუალურია, მაგრამ რატომღაც ამ სტილის ქვედაბოლომ საქართველოში ფეხი ვერ მოიკიდა. ძირითადად, ან ძალზე გრძელი აცვიათ, ან — ძალზე მოკლე. უფრო ხშირად კი, ქართველი ქალები შარვალს ანიჭებენ უპირატესობას, ალბათ უფრო მოხერხებული არის და იმიტომ. რაც შეეხება მაისურებს, აქამდე, წელში გამოყვანილები იყო მოდაში, მაგრამ ახლა უფრო ფართო შემოვიდა, ე.წ. „იაპოშკები“. ტანსაცმელი ძირითადად შიფონისგან არის შეკერილი. ცალ მხარზე გადაგდებული მაისური ხომ ამ სეზონზე ყველაზე მოდურია. სახელოები კი აუცილებლად ფართო უნდა იყოს, მანჟეტებით. რაც შეეხება აქსესუარებს, მძივები ძალზე მოდურია, ტანსაცმელსაც კი აფორმებენ ბისერებით, ეს უფრო აზიური სტილია. შესაბამისად, აქტუალურია დიდი, ბალთიანი ქამრები.

— რამდენად ხელმისაწვდომია თქვენთან ტანსაცმლის შეკერვა?

— აბსოლუტურად ნორმალური ფასები აქვს ჩემს შეკერილ სამოსს. ეს ფუფუნების საგანი ნამდვილად არ არის.

— როდესაც შენთან მოდის კლიენტი, მის აზრს ითვალისწინებ თუ საკუთარი გემოვნებით ქმნი ტანსაცმელს?

— ჯერ მის აზრს მოვისმენ და მერე რჩევას ვაძლევ. ძალზე ხშირად შემხვედრიან ისეთებიც, რომლებსაც ჩემი აზრი არც აინტერესებთ, მომცემენ შეკვეთას, ასეთი შემიკერეო და მორჩა, სხვა არაფრის გაგონებაც აღარ უნდათ. მეც იძულებული ვარ, მათი მოთხოვნები დავაკმაყოფილო, რადგან ყველას სხვადასხვანაირი გემოვნება აქვს და ვცდილობ, მათ გავუგო, თუმცა კარგი იქნება, თუ ჩემი კლიენტები დამიჯერებენ და ჩემს რჩევებს გაითვალისწინებენ. მესმის, რომ ყველას ერთნაირი გემოვნება არა აქვს და ჩემს აზრს თავზე ვერავის მოვახვევ. რაც მე მომწონს, მათ შესაძლოა, არც უხდებოდეთ და არც მოსწონდეთ, მაგრამ მე ამ პროფესიის ადამიანი ვარ და სხვაზე უკეთესად ვიცი, ვის რა მოუხდება.

— რომელიმე ცნობილი ადამიანისთვის თუ შეგიკერავს სამოსი?

— რა თქმა უნდა. ბევრი მოსულა ჩემთან, მაგრამ მათ ვინაობას ვერ გავამჟღავნებ, რადგან არა მგონია, მათ ეს უნდოდეთ. ამის დასადასტურებლად კი ერთ მაგალითს გავიხსენებ: საკმაოდ ცნობილი ქალბატონი მოვიდა ჩემთან და კაბის შეკერვა მთხოვა, რალაც საქმეზე საზღვარგარეთ მიემგზავრებოდა და სასწრაფოდ სჭირდებოდა ახალი საღამოს კაბა. რა თქმა უნდა, მისი სურვილი დავაკმაყოფილე, მაგრამ როცა მუშაობა დავამთავრე, „ვერსაჩეს“ იარლიყი მომიტანა და მთხოვა, იმ კაბაზე მიმეკერებინა. ეს სურვილიც შევასრულე, თან გავიცინე და ვუთხარი — მიხარია, ჩემს შეკერილ ტანსაცმელს „ვერსაჩეს“ თუ ადარებთ-მეთქი.

■

ჭარბწონიანი ქალბატონები, ვარჯიში და სხეულის ვამკვრივება

ქართველი ქალბატონების უმრავლესობა ცდილობს, რომ ყოველთვის ფორმაში იყოს და ლამაზად გამოიყურებოდეს. ამისთვის ისინი ათასგვარ ხერხს მიმართავენ — დადიან სილამაზის ცენტრებში და თავს იწესრიგებენ, რასაც საკმაოდ დიდი თანხა სჭირდება, ამიტომ ვისაც ამის შესაძლებლობა არ გააჩნია, მხოლოდ ბუნებრივი სილამაზით უნდა დაკმაყოფილდეს, თუმცა ბუნება ყველას როდი აჯილდოებს, ზოგს, ზედმეტი წონის პრობლემა აქვს, რის გამოც, სატრენაჟორო დარბაზს, ე.წ. ფიტნეს-კლუბს სტუმრობს. თუ რა სარგებლობა მოაქვს ვარჯიშს, ამის გასარკვევად ერთ-ერთ ასეთ კლუბს ვესტუმრეთ და მის ხელმძღვანელს, რომელიც პედაგოგის ფუნქციებსაც ითავსებს, ტატა ვაჩნაძეს ვესაუბრეთ.

ნათია ქივიძე

— ტატა, თქვენთან ალბათ უფრო ხშირად ჭარბწონიანი ქალბატონები სტუმრობენ...

— ასე სულაც არ არის. რა თქმა უნდა, გახდომის მსურველებიც დადიან ჩვენთან, მაგრამ ფიტნეს-კლუბები მხოლოდ მათთვის არ არსებობს, ვინაიდან ვარჯიში ჯანმრთელობისთვის ძალიან კარგია, ადამიანს ენერგიას მატებს, ხალისს უღვივებს და მთელი დღის განმავლობაში როგორი ფიზიკური დატვირთვაც არ უნდა მიიღოს, მაინც ნაკლებად იღლება. შესაბამისად, ჩვენთან საკმაოდ გამხდარი გოგონებიც ხშირად დადიან.

— და მაინც, ჯერ გახდომის მსურველებზე ვისაუბროთ. რამდენად შედეგიანია ჭარბწონიანებისთვის ვარჯიში?

— გასახდომად აქ ძირითადად ისეთი ქალბატონები დადიან, რომლებსაც დიეტის დასაცავად ნებისყოფა არ ჰყოფნით. რა თქმა უნდა, ძალზე კარგი იქნება, თუ ვარჯიშის პარალელურად ეს ქალბატონები დიეტასაც დაიცავენ, მაგრამ არ გამოსდით. შესაბამისად, ისეთ მაღალხარისხოვან შედეგსაც ვერ აღწევენ, როგორსაც დიეტის დაცვის შემთხვევაში მიაღწევდნენ, თუმცა ერთთვიანი ვარჯიშის შემდეგ, მათი სხეული ადრინდელისგან, რა თქმა უნდა, განსხვავდება. ჩვენთან პროგრამით გათვალისწინებული ვარჯიში კვირაში სამჯერ ტარდება, თუმცა არიან ქალბატონები, რომლებიც მეტს იხდიან და აქ ყოველდღიურად დადიან. ჭარბწონიანები შიშველ სხეულზე ცელოფანის პარკებს იფენენ, ზემოდან ძალიან თბილ, შალის ტანსაცმელს იცვამენ და მერე დიდი მონდომებით ვარჯიშობენ. ვარჯიშის ორი ეტაპი გვაქვს. პირველი ერთი საათი აერობიკას ეთმობა, რომლის პედაგოგიც სხვებთან ერთად, მეც გახლავართ. აერობიკის დროს სხეულის ყველა ნაწილს ცალკე ვავარჯიშებთ, მეორე საათი კი, ტრენაჟორებისთვისაა განკუთვნილი. თბილად ჩაცმული ქალბატონები ორი საათის განმავლობაში შეუსვენებლად ვარჯიშობენ. ეს იმისთვის არის საჭირო, რომ ორგანიზმიდან რაც შეიძლება მეტი ოფლი გამოვიდეს, რადგან, მოგეხსენებათ, ოფლის გამოდენის დროს, სხეულიდან მაქსიმალურად მეტი ცხიმი გამოდის, ეს კი საგრძნობლად მოქმედებს წონის დაკლებაზე. ვარჯიშის დასრულების შემდეგ, საშხაპეში შედიან და შხაპს ივლებენ, რომ სასწრაფოდ ჩამოირეცხონ ცხიმები, ვიდრე ტანზე შეაშრებათ და ისევ უკან შებრუნდება... ზოგიერთი მათგანი ცელოფანის შიგნიდან, შიშველ სხეულზე თაფლს ისვამს და მერე იფენს ცელოფანს. ამბობენ, თაფლი სხეულიდან ცხიმების გამოყოფას უფრო მეტად უწყობს ხელსო.

— ვარჯიშისთვის რაიმე აუცილებელი პირობა თუ არსებობს?

— რა თქმა უნდა. ვარჯიშის დაწყებამდე ერთი საათით ადრე და ვარჯიშის დასრულების შემდეგ ერთი საათის მანძილზე, ქალმა არაფერი არ უნდა მირთვას, წყალიც კი. კარგი იქნება, თუ საღამოს 6 საათის შემდეგაც არაფერს შეჭამს. ეს მხოლოდ ჭარბწონიანებისთვის კი არა, გამხდარი ქალებისთვისაც ძალიან კარგია. ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ვარჯიში ხელს უწყობს სხეულის გაკაჟებას და ქალის სხეულს ასაკის მატების დროსაც უნარჩუნებს სიმკვრივეს. კიდევ იმას დავამატებ, რომ ჩვენთან სავარჯიშოდ ორსული ქალებიც დადიან. რა თქმა უნდა, მათთვის სპეციალური ვარჯიშები არსებობს, რომ ნაყოფი აბსოლუტურად ჯანმრთელი იყოს და მშობიარობის შემდეგ, ქალის სხეულმა ფორმა აღიდგინოს. ვარჯიშის გარდა ადამიანის ორგანიზმისთვის ცურვაც ძალზე სასარგებლოა. ახლა საცურაო აუზის გაკეთებასაც ვაპირებთ. მერე ჩვენთან მოსული ქალბატონები გაცილებით ჯანმრთელები და ლამაზები იქნებიან.

— თქვენ ეს ყველაფერი რომ იცით, ალბათ ამიტომ გამოიყურებით ასე კარგად...

— დიდი მადლობა. ბავშვობიდან ვვარჯიშობ. აერობიკაზე დავდიოდი, მერე ფიზკულტურის ინსტიტუტში ამავე განხრით ჩავბარე. მე რომ კარგად არ გამოვიყურებოდე, სიცხვილიც იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ უკვე ორი შვილის დედა ვარ, წონის პრობლემა არასოდეს მქონია. ■

როგორ ვიკვებოთ, როცა სახეზე ფერიმჭამელები გვიჩნდება?..

რა უნდა ვიცოდეთ სახეზე გაჩენილი ფერიმჭამელების შესახებ: ის 2 სახისაა: შავი, წინწკლების მაგვარი (რომლებიც უმეტეს შემთხვევაში, ცხვირის ქვედა ნაწილში ჩნდება) და ჩირქოვანი ფერიმჭამელები, მათ რუხი, ზოგჯერ მოწითალო ფერი აქვთ. ფერიმჭამელები უმეტესად, ახალგაზრდებს (სქესობრივი მომწიფების წინა პერიოდში) უჩნდებათ. ისინი შუბლზე, ნიკაპსა და ზოგჯერ, მთელ სახეზე ეფინებათ. ასეთი სახე, დილა-საღამოს საპნით უნდა დაიბანოთ. საპნის ქაფი, 1-2 წუთი უნდა გაიჩეროთ სახეზე, შემდეგ კი, უნდა ჩამოიბანოთ ჯერ ცხელი, შემდეგ — ცივი წყლით. აგრეთვე, რეკომენდებულია სახეზე ორთქლის აბაზანების გაკეთება და მერე ფერიმჭამელების გამორწყვა.

ადგილობრივი მკურნალობის გარდა, საჭიროა ყურადღება მიაქციოთ, კუჭ-ნაწლავის ნორმალური მოქმედების რეგულირებას. საჭმელად რეკომენდებულია მჭლე ხორცი, რძის ნაწარმიდან — მაწონი, A და B ვიტამინით მდიდარი ბოსტნეული, ლუდის საფუარი, შავი პური. კანის მოვლის გარდა, აუცილებელია ჰიგიენური ღონისძიებების დაცვა: ფიზკულტურული ვარჯიში, ჰაერის, მზის და წყლის აბაზანები, დღეში ოთხჯერ საჭმლის მიღება. დაიმახსოვრეთ — ღამით, დაძინების წინ, მსუყე ვახშამი მავნებელია. ■

როგორ შევინახოთ ყავა?

ნედლი ყავის მარცვალი, დაახლოებით 2000 ნივთიერებას — ცხიმებს, ცილებს, წყალს, მინერალურ მარილებს, შეიცავს. მოხალვის შემდეგ, მარცვალი წყლის დიდ ნაწილს (11 პროცენტიდან — 3 პროცენტამდე) კარგავს, ხოლო მისი შემადგენლობა, მოხალვის ხარისხისა და ხანგრძლივობის მიხედვით იცვლება. სასმელს არომატს ეთეროვანი ზეთი აძლევს, უფრო ზუსტად, მასში შემავალი ტერპენები (მათ ანტისეპტიკური და ანტიმიკრობული მოქმედება აქვთ). ქლოროგენის მჟავა ყავას მწკლარტეს ხდის, თუმცა, მოხალვის შემდეგ, მჟავას 60 პროცენტი იკარგება. გარდა ამისა, მჟავა აზოტის ცვლას ასტიმულირებს და ხელს უწყობს ცილის მოლეკულის წარმოქმნას. რაც შეეხება ყავის მწარე გემოს, ეს დაკავშირებულია არა კოფეინთან (როგორც ამბობენ), არამედ ე.წ. ტანინებთან. ამ რთული ორგანული ნივთიერებების გასანეიტრალებლად ყავაში რძეს ან ნაღებს ამატებენ.

- ყავის მარცვლები კარგად თავდახურულ მინის ჭურჭელში შეინახეთ. უცხო სუნს არ აიღებს.
- კოფეინის ფხვნილი ძალიან სწრაფად იღებს სინოტივეს, ყავის ტენიანობა კი, მის ხარისხს მნიშვნელოვნად აქვეითებს. ამიტომ, წინასწარ და ნუ მოიმარაგებთ დაფქულ ყავას.
- ყავადანი ყოველთვის სუფთად რომ გქონდეთ, მასში ლიმონის ნაჭერი ჩააგდეთ, წყალი ჩაასხით და წამოადუღეთ. შემდეგ კი, თბილი წყალი გამოავლეთ.
- არ მოადუღოთ ყავა გადადუღებული წყლით — ის არომატს დაკარგავს.
- სანამ ყავას ფინჯანში ჩაასხამდეთ, ამ უკანასკნელს ცხელი წყალი გამოავლეთ.
- თუ ყავა გადმოგივიდათ, ყავადანი ცეცხლიდან გადმოდგით და შიგ რამდენიმე წვეთი ცივი წყალი ჩააწვეთეთ. ამ ხერხის დახმარებით, ნალექი ყავადანის ფსკერზე დაილექება და არომატის ნარჩენებს სწრაფად „დაიჭერს“.
- ყავა მეორედ არ წამოადუღოთ, გემოს დაკარგავს.
- ყავაში ჩაუმატეთ ცოტაოდენი კაკაოს ფხვნილი. ის სასმლის გემოსა და არომატს აუმჯობესებს.
- არასდროს შეურიოთ ძველი და ახალმოდუღებული ყავა ერთმანეთში. ძველი ყავის სიმწარე, თუნდაც ის 5 წუთის წინ იყოს მოდუღებული, ახალს გემოს გაუფუჭებს. ■

მარგალიტივით თეთრი კბილები

ნატურალური მაგრალიტის ფერი, ოდნავ მოყვითალოა. ასევეა ჯანსაღი კბილები — კალციუმით მდიდარი მინანქარი, თოვლივით თეთრი კი არ არის, არამედ მოყვითალო ფერი გადაჰკრავს. ამიტომ, ნუ შეეცდებით ნებისმიერ ფასად კბილების გათეთრებას. ძლიერი ქიმიური მათეთრებელი, კბილის ემალზე ცუდად მოქმედებს. დიდია ღრძილების დამწვრობის ან ანთების რისკიც. კბილები ჩვეულებრივზე მეტად რომ არ გაყვითლდეს, ეცადეთ, მაგარი ყავა და ჩაი იშვიათად დალიოთ, არ მოსწიოთ სიგარეტი. პროფილაქტიკის მიზნით, შეგიძლიათ დროდადრო მათეთრებელი პასტა გამოიყენოთ და დასახმარებლად სტომატოლოგს მიმართოთ. კბილის პასტის შეძენისას, ყურადღებით გაეცანით მის შემადგენლობას. თუ კოლოფზე მითითებულია, რომ ის ტრიკლოზანს, მცენარეულ კომპონენტებს (პიტნა, კუნელი და ა.შ.) შეიცავს, მაშინ თქვენ ღირსეულ ეგზემპლარს ყიდულობთ. თუ კბილის გახეხვის შემდეგ, სისუფთავისა და სიგრილის შეგრძნება დიდხანს გაგყვებათ, პასტა სწორად შეგირჩევიათ. კბილის ჯაგრისის შეძენისას კი, უპირატესობა მიანიჭეთ ისეთს, რომლის თავი ტართან მტკიცედაა შეერთებული. ასეთი ჯაგრისები, საჭირო დაწოლას უზრუნველყოფს და კბილებს გულდასმით წმენდს. ამიტომ შერჩევისას ყურადღებით დაათვალიერეთ.

ჯაგრისი — კარგია, თუ მის ბეწვებს სხვადასხვა მიმართულება ექნებათ. გარდა ამისა, ბეწვის ერთი ნაწილი ხასხასა ფერად უნდა იყოს შეღებილი. ეს ინდიკატორის როლს შეასრულებს და მიგვითითებს — როდის უნდა გამოვცვალოთ ჯაგრისი. როცა ბეწვის ერთი მესამედი ან ნახევარი, შეფერილობას შეიცვლის, ის მაშინვე გადააგდეთ. არასდროს შეიძინოთ ბუნებრივი ჯაგრისისგან დამზადებული ჯაგრისი, რადგან ხელოვნურისგან განსხვავებით, მათ ბეწვებში არის ღრუ მილი, სადაც ავადმყოფობის წარმომქმნელი მიკრობები იყრის თავს. მწეველებმა მაგარი ჯაგრისი უნდა იხმარონ, ხოლო სუსტი, მგრძნობიარე მინანქრის და დაავადებული ღრძილების მქონეებმა — რბილი. სტომატოლოგები გვირჩევენ, რომ უმჯობესია გვქონდეს 2 ჯაგრისი: ერთი დილით გაწმენდისათვის და მეორე საღამოს. ■

რაფაელ ჩიმიშკიანი – რეკორდების მჭედელი «პატარა სასწაული»

როგორ დააჯილდოვა თბილისელი ძალოსანი შაჰმა აპლოდისმენტებით



გასული საუკუნის 90-იან წლებამდე, ვიდრე არენაზე კახი კახიაშვილი გამოჩნდებოდა, რაფაელ ჩიმიშკიანი ერთადერთი ჩვენი თანამემამულე გახლდათ, რომელსაც სპორტის ამ სახეობაში ოლიმპიურ თამაშებსა და მსოფლიო პირველობაზე ოქროს მედალი ჰქონდა მოგებული. გარდა ამისა, მან ექვსჯერ გაიმარჯვა ევროპის, ხოლო ათჯერ — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში. კარიერის განმავლობაში, ჩიმიშკიანმა 14 მსოფლიო და 13 საკავშირო რეკორდი დაამყარა. მან მსოფლიო ჩემპიონატზე ორჯერ „ვერცხლი“ დაისაკუთრა, ხოლო ერთხელ, იგივე შედეგი ევროპის უძლიერეს ათლეტთა დაპირისპირებისას უჩვენა. საკავშირო მასშტაბით, ბატონი რაფოს ყულაბაში 5 ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალია. ჩიმიშკიანი თბილისის საპატიო მოქალაქე გახლავთ და მას, „ღირსების ორდენთან“ ერთად, „ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენი“ აქვს მიღებული. მიუხედავად ჩამოთვლილი ტიტულებისა, XX საუკუნის საქართველოს საუკეთესო ძალოსანი 16 წლამდე, სულ არ ფიქრობდა, რომ შტანგა მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდებოდა და თბილისის ავტოსკოლის მოსწავლე ფიცარნაგზე სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა.

ლაშა თაბაგარი

ჯანმრთელობის ცნობა და „ავტორიტეტთა რისხვა“

— ბავშვობაში, სხვების მსგავსად, ფეხბურთით ვიყავი გატაცებული და ბორის პაიჭაძის ტალანტს დიდ პატივს ვცემდი. შტანგით კი ჩემი მეზობლის — მსახიობ ვანო ტურაშვილის შემხედვარე დავინტერესდი, რომელიც ყოველ დილას აივანზე ვარჯიშობდა. თუმცა, სპორტის ამ სახეობაში ვარჯიში რომ დავიწყე, ეს ერთმა გარემოებამ განაპირობა: დღევანდელი „ლაგუნა-ვერეს“ კომპლექსის მოპირდაპირე მხარეს, მტკვრის სანაპიროზე, საბანაო გვქონდა მოწყობილი, სადაც თანატოლები ხშირად დავდიოდით. ერთხელ, მეგობრები ვერთობოდით და ერთმანეთის წყალში ჩაგდებას ვცდილობდით. მიუხედავად იმისა, რომ მაღალი არ ვიყავი, მეტოქეებს საკმაოდ იოლად ვწევდი ჰაერში და მტკვარში ვისროდი. ამას ჩვენი უფროსი მეგობარი, ვალენტინ იანკოვიჩი ადევნებდა თვალყურს, რომელიც იმ პერიოდში, ძალოსნობაში ვარჯიშობდა. მან შემომთავაზა, რომ გვეჭიდავა. ეს ორთაბრძოლა მე მოვიგე. ამის შემდეგ, იანკოვიჩმა ბესიკის ქუჩაზე მდებარე ძალოსნობის კლუბში მიმიყვანა, რომელშიც ისეთი ცნობილი ათლეტები გადიოდნენ წვრთნას, როგორებიც იყვნენ: საბჭოთა კავშირის ჩემპიონები, სპორტის დამსახურებული ოსტატები — კასიანიკი, ვლადიმერ სვეტილკო და მამია ჟღენტი. სვეტილკოს იმ პერიოდში, მსოფლიო ჩემპიონატზე მეორე ადგილი ჰქონდა მოპოვებული. ჩემი პირველი მწვრთნელი, პავლე გუმაშიანი გახლდათ, რომელმაც თავიდან, განცვიფრებულმა შემომხედა, რადგან ვერ დაიჯერა, რომ 17 წლის ვიყავი და ჯანმრთელობის ცნობა მომთხოვა. იგი პირველ რიგში, ჩემმა სიმაღლემ გააკვირვა. თუმცა, მის წინაშე 40-კილოგრამიანი შტანგა რამდენჯერმე რომ ავწიე, მწვრთნელმა სხვა თვალით დამიწყო ყურება, მაგრამ ცნობის მიტანა მაინც დამჭირდა. წარმატებას საკმაოდ სწრაფად მივაღწიე და უკვე 1946 წლის დეკემბერში, საქართველოს ნაკრებში მოვხვდი. იმავე წელს, ქალაქ გორკიში საბჭოთა კავშირის გუნდური პირველობა გაიმართა, რომელშიც მეც ვმონაწილეობდი. მაშინ გამოცდილი სპორტსმენების წინააღმდეგ მომიხდა ასპარეზობა და მე-9 ადგილი დავიკავე. როდესაც ჩემ მიერ ნაჩვენებ შედეგებს აცხადებდა, დიქტორმა, რომელიც საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი გახლდათ, ყველას გასაგონად ასეთი ფრაზა წარმოთქვა: მსუბუქ და ქვემსუბუქ წონაში ჩიმიშკიანის სახით, „ავტორიტეტთა რისხვა“ გამოჩნდაო. ეს სიტყვები სამუდამოდ დამამახსოვრდა. გორკიშივე ფრიად საინტერესო ამბავი გადამხდა თავს, რომელსაც ყოველთვის ვიხსენებ. შეჯიბრების დაწყებამდე, ქართულ დელეგაციას გვერდით ერთ-ერთმა სპორტსმენმა გაგვიარა, რომელიც ტანდაბალი იყო, მაგრამ საკმაოდ მხარბეჭიანი და როგორც იტყვიან, „შკაფს“ ჰგავდა. შევიტყვე, რომ ეს ცნო-

მზია ჯუღელი, რაფაელ ჩიმიშკიანი, რობერგ შავლაყაძე

ბილი ძალოსანი, გრიგორი ნოვაკი გახლდათ, რომელმაც საბჭოთა სპორსტმენებიდან მსოფლიო ჩემპიონობა პირველმა მოიპოვა. მის დანახვაზე, თავი ვეღარ შევიკავე და რუსულად ვთქვი — „ვახ, რა პატარაა!“ არადა, თავად ნოვაკს სიმაღლით ჩამოვრჩებოდი. მან ჩემი ნათქვამი რომ გაიგონა, მომიბრუნდა და მითხრა — შენ რა, ძალიან მაღალი ხარო?.. სხვათა შორის, 6 წლის შემდეგ, ჰელსინკის ოლიმპიადაზე სასტუმროში სწორედ ნოვაკთან ერთად ვცხოვრობდი. ძალოსანთა საკავშირო ნაკრებში ყველაზე მეტად მასთან ვმეგობრობდი და ის ყოველთვის მარიგებდა, საზღვარგარეთ როგორ უნდა



1949 წლის აპრილში, მსუბუქ წონაში ჩემი პირველი მსოფლიო რეკორდი დავამყარე, როდესაც 92,5 კილოგრამი ავწიე

მოვქცეულიყავი. კერძოდ, მაფრთხილებდა, რომ ქვეყნის ფარგლებს გარეთ გასაყიდად არაფერი წამეღო, რადგან შეიძლებოდა, ამის გამო სათანადო ორგანოს მუშაკებს დავეპატიმრებინე. სხვათა შორის, ნოვაკი თბილისში ჩემთან ხშირად სტუმრობდა და ქეიფის დროს მისი შემხედვარე ხალხი გიუდებოდა — ჩაის ჭიქით არაყს როგორ სვამსო?!

პირველი მსოფლიო რეკორდი

— 1947 წელს ბრმა ნაწლავის ოპერაცია გავიკეთე, მაგრამ ქირურგის მიერ დაშვებული შეცდომის გამო, საკმაოდ ბევრი დრო გამიცდა. ვარჯიში უფრო მონდომებულმა განვაახლე და 1948 წელს, კიევში სპორტის ოსტატის ნორმატივი შევასრულე, როდესაც საბჭოთა კავშირის პირად პირველობაში მსუბუქ წონაში მე-6 ადგილი დავიკავე. იმავე წლის აგვისტოში სპორტსაზოგადოება „დინამოს“ 25 წლისთავთან დაკავშირებით ჩატარებულ ტურნირზე გამოვედი და მე-2 ადგილი დავიკავე. მაშინ პირველად შევეცადე, სარეკორდო წონა დამეძლია, მაგრამ აკვრისას 118-კილოგრამიანი შტანგა საჭირო დროის მანძილზე ვერ დავაფიქსირე. თბილისში დაბრუნებულმა, წვრთნა გაორმაგებული ენერგიით გავაგრძელე და 1948 წლის დეკემბერში, 19 წლის ასაკში, ლენინგრადში საბჭოთა კავშირის გუნდურ ჩემპიონატში საკუთარ წონაში ოქროს მედალი მოვიგე. ერთი წლის შემდეგ, ქვეყნის ნაკრებში შემიყვანეს, ხოლო 1949 წელს, ვორონეჟში საბჭოთა კავშირის პირველობაზე უკვე პირად ჩათვლაში გავიმარჯვე. მიუხედავად ამისა, ბუდაპეშტში მსოფლიოს ახალგაზრდობის ფესტივალზე არ წამიყვანეს. ამის მიზეზი, სამედიცინო კომისიის დასკვნა გახლდათ, რომელთაც, მედიკოსთა ენით რომ ვთქვათ, ჩემ მიერ გადატანილი ბრმა ნაწლავის ოპერაციის არეალში ინფილტრატი აღმოაჩინეს. მიუხედავად ამისა, 1949 წლის აპრილში, მსუბუქ წონაში ჩემი პირველი მსოფლიო რეკორდი დავამყარე, როდესაც 92,5 კილოგრამი ავწიე. 1949-ში, საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გუნდურ პირველობაში მეორედ გავხდი და ასევე სპორტსაზოგადოება „დინამოს“ საკავშირო ტურნირი კიდევ ერთხელ მოვიგე.

ექიმთა დაუდევრობა და დაუოკებელი წყურვილი

— ოპერაციის შემდეგ, 3 წლის განმავლობაში, პერიოდულად ცუდად ვხდებოდი და ნაჭრილობევიდან ჩირქი მდიოდა. როდესაც ბოლოს და ბოლოს, ექიმთან მივედი, აღმოჩნდა, რომ პირველი ოპერაციის დროს, ქირურგს ჭრილობაში ტაპმონი ჩაუტოვებია. საოპერაციო მაგიდაზე მეორედ დაწოლამ მომიწია და რეაბილიტაციისთვის 24 დღე დამჭირდა. ამ ხნის განმავლობაში, წონაში მოვიმატე და ვარჯიში რომ განვაახლე, ასპარეზობა უკვე 60 კილოგრამის წონით კატეგორიაში გადავწყვიტე. 1950 წელს, ხარკოვში საბჭოთა კავშირის პირველობაზე ქვემსუბუქ წონაში მეორე ადგილი დავიკავე — ევგენი ლოპატინ-უფროსთან წავაგე. ამიტომ პარიზში, სადაც როგორც ევროპის, ასევე მსოფლიო ჩემპიონატი იმართებოდა, სათადარიგო ათლეტად წამიყვანეს. საფრანგეთის დედაქალაქში მეორე ნომრად ქვემსუბუქ წონაში ვიყავი განწესებული, მაგრამ ისე მოხდა, რომ მსუბუქ წონაში მოასპარეზე უდოდოვს საზღვარგარეთის პასპორტი არ მისცეს. ეს როსტოველი სპორტსმენი ბავშვობაში, გერმანელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრობდა და ამ მიზეზით, მას საბჭოთა კავშირის დატოვების უფლება არ მისცეს. ძალოსანთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, ბუხაროვმა გადაწყვიტა, რომ მის მაგივრად, მე უნდა მეასპარეზა. ამისთვის საჭირო იყო, 60-დან 56 კილოგრამამდე დამეკლო წონა. ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი დღით ადრე, ორთქლის აბანოში შევედი, სადაც რამდენიმე საათი გავატარე, მაგრამ სათანადო წონამდე ვერ ჩამოვედი. სასტუმროს ოთახში დაბრუნებული, დასაძინებლად დავწექი. შუაღამისას, უეცრად წამოვდექი, მაგიდაზე მდგარი გრაფინი მოვიყუდე და წყლის სმა დავიწყე. ამ დროს, თანაგუნდელმა კუცენკომ, რომელთანაც ერთ ნომერში ვცხოვრობდი, მითხრა — რას შვრები? შენ ხომ რამდენიმე საათში უნდა აიწონო!.. ამან გამომაფხიზლა და ხელი უცებ გავუშვი გრაფინს, რომელიც დაიმსხვრა. კუცენკოს კი ვუთხარი, რომ მთელი ღამე ყურში წყლის ჩუხჩუხის ხმა ჩამესმოდა და ვერ დავიძინე, ხოლო როდესაც ძლივს ჩავთვლიმე, ცივი წყარო დამესიზმრა-მეთქი... ვისაც წონა დაუკლია, მან კარგად იცის, თუ აბანოდან გამოსულ ადამიანს წყალი როგორ სწყურია. გამომდინარე იქიდან, რომ ზედმეტი კილოგრამები უნდა მომეშორებინა, სითხის მიღება მეკრძალებოდა და წარმოიდგინეთ, რა დღეში ვიქნებოდი!.. კუცენკოს რომ არ შეეჩერებინე, იმ გრაფინს ბოლომდე გამოვცლიდი. სასურველ წონამდე ნახევარი კილოგრამი მაკლდა და მეორე დილას, კვლავ ორქლის აბანოში შევედი. ბოლოს და ბოლოს, 56 კილოგრამამდე, როგორც იქნა, ჩამოვედი, მაგრამ ძალა ფაქტობრივად, აღარ მქონდა. მიუხედავად ამისა, მსოფლიო პირველობაზე მეორე ადგილი დავიკავე, თან, ატაცში ახალი რეკორდი დავამყარე — 97,5 კილოგრამი. პარიზში პარალელურად, ევროპის ჩემპიონატი მიმდინარეობდა და ოქროს მედალი მოვიგე. საქართველოში რომ დავბრუნდით, თბილისში საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ჩატარდა, რომელშიც ქვემსუბუქ წონაში ლოპატოვს ვძლიე. გასათვალისწინებელია, რომ მეტოქეზე 2 კილოგრამით მსუბუქი ვიყავი, რაც ძალოსნობაში ცოტა როდია. 1951 წელს, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი ჯერ კუნასში მოვიგე, ხოლო შემდეგ — ბაქოში და ასევე პირველი ადგილი დავიკავე ბერლინში გამართულ სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალზე, სადაც თამაშების 3 რეკორდული შედეგი ვაჩვენე.

ბოლო ვაგონში ჩაფიქრებული ოლიმპიური ოქრო

— ნებისმიერი სპორტსმენისთვის ოლიმპიური თამაშები, სხვა შეჯიბრებებთან შედარებით, გამორჩეული ასპარეზობაა. იმისათვის, რომ თბილისელი სპორტსმენი, თან წარმოშობით სომეხი, საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში აეყვანათ, იგი სხვებზე ერთი თავით მაღლა უნდა მდგარიყო. მე საკმაოდ გამაწვალეს ათასგვარი გამოსაცდელი შეჯიბრებით და ბოლოს და ბოლოს, ოლიმპიადაზე

ფილტვების ანთებით წავედი. ფინეთში მატარებლით გავემგზავრეთ და რამდენიმე, შეუძლოდ მყოფ სპორტსმენთან ერთად, ბოლო ვაგონში მომათავსეს. ჩემთან კუპეში არსენ მეკოკიშვილი იყო, რომელმაც მითხრა — არა უშავს, ოლიმპიადაზე გავიმარჯვებთ და უკანა გზაზე პირველ ვაგონში ჩაგვსვამენო. ტურნირზე ძირითად კონკურენტებად, სვერდლოვსკელი საქსონოვი და ტრინიდადელი უილკინსი მყავდნენ. მახსოვს, აჭიმვაში უილკინსთან 5 კილოგრამს რომ ვაგებდი, გივი კარტოზიამ თავისი მარჯვენა იდაყვი ჩემს იდაყვს დაადო და მითხრა — ჩემი ძალა შენ, რაფოჯან; აუცილებლად უნდა მოიგოო. საბოლოოდ, ტრინიდადელი ატაცსა და აკვრაში დავამარცხე, საქსონოვსაც ვაჯობე და ჩემპიონის ტიტული მოვიპოვე. სხვათა შორის, ამ ოლიმპიადაზე გუნდის ხელმძღვანელობის მიერ ჩემ მიმართ გულგრილმა დამოკიდებულებამ გული საკმაოდ გამიტეხა. საქმე ისაა, რომ მწვრთნელებმა, ექიმებმა, მასაჟისტებმა მიმატოვეს და ყველა, ყურადღებას ნიკოლაი საქსონოვს აქცევდა, რათა იგი ჩემპიონი გამხდარიყო. მათ ამისთვის ყველაფერი გააკეთეს და რამდენჯერმე ჩემთვის წონაც კი არასწორად შეუკვეთეს. ამან კინაღამ ხელი შემიშალა, რომ აკვრაში მსოფლიო რეკორდი დამემყარებინა. ძალიან ვინერვიულე და პირველსავე ცდაზე 135 კილოგრამი ვერ ავწიე. მეორე ცდის წინ, რომელიც გადამწყვეტი გახლდათ, თავი მოვთოკე, ხმამაღლა შევიგინე და წონაც დავძლიე. საერთო ჯამში, 337,5 კილოგრამი დამიგროვდა და 5 კილოგრამით გავუმჯობესე ეგვიპტელი ფაიადის როგორც ოლიმპიური, აგრეთვე მსოფლიო რეკორდი, რომელიც მან 4 წლით ადრე, ლონდონში დაამყარა. დარბაზიდან ოლიმპიურ სოფელში რომ ვბრუნდებოდით, დილის 5 საათი იყო და დანიშნულების ადგილს როდესაც მივუახლოვდით, გივი კარტოზია შევნიშნე, რომელიც მოუთმენლად გველოდა. როცა მან გაიგო, ჩემპიონი გავხდი, ზურგზე შემისვა და სასტუმროში ისე შემიყვანა. კარტოზიამ მთელი საბჭოთა გუნდი გააღვიძა, რადგან ხმამაღლა გაიძახოდა — რაფომ მოიგოო!.. დილას, საბჭოთა კავშირის სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ, ნიკოლაი რომანოვმა სპორტსმენები ჩაამწკრივა და ჩემთვის სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდების მონიჭების თაობაზე ბრძანება წაიკითხა. ამასთანავე, ქვეყნის დამსახურებული მწვრთნელი გახდა პავლე გუმაშიანი, როგორც ოლიმპიური ჩემპიონის აღმზრდელი. 1956 წლის მელბურნის ოლიმპიადისთვის ტაშკენტში ვემზადებოდით და ავსტრალიაში გამგზავრებამდე ორიოდე დღით ადრე მითხრეს, რომ ჩემ მაგივრად, ტურნირზე სხვა — რუსი სპორტსმენი უნდა წაეყვანათ. ამ შემთხვევაში, რუსულმა შოვინიზმმა იჩინა თავი, არადა, მე კარგ სპორტულ ფორმაში ვიმყოფებოდი და „ოქროსაც“ აუცილებლად მოვიგებდი. საბოლოოდ, ავსტრალიაში ჩემს წონაში საბჭოთა სპორტსმენები



დღეგამოშვებით, ვარჯიშზე საერთო ჯამში, თითქმის 20 ტონას ვეწეოდი

ამერიკელმა ბერგერმა დაამარცხა. 1960 წლის ოლიმპიადის წინაც, იგივე გამეორდა და მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გავხდი, რომში მაინც არ გამიშვეს.

„პატარა სასწაული“ ვენაში

— პირველად მსოფლიო ჩემპიონატზე 1953 წელს, სტოკჰოლმში გამოვედი და ჩემი უშუალო კონკურენტი კვლავ საქსონოვი გახლდათ. მაშინ ფიცარნაგზე რუსი მსაჯი იდგა, რომელიც სპორტსაზოგადოება ცე-ეს-კას წარმოადგენდა. საქსონოვიც ასევე არმიელი გახლდათ და ამიტომ, არბიტრმა ყველაფერი გააკეთა, რომ იგი ჩემპიონი გამხდარიყო. მან მეტოქეს აჭიმვაში ნაჩვენები შედეგი ჩაუთვალა, რისი გაკეთებაც არ შეიძლებოდა. ასე რომ არ მოქცეულიყო, საქსონოვს სამჭიდში 7 კილოგრამს მოვუგებდი. მაგრამ არბიტრის ქმედების გამო, ვინერვიულე, სათანადოდ ვერ გამოვედი და მოწინააღმდეგესთან საერთო ჯამში, 2,5 კილოგრამი დავთმე. მსოფლიო ჩემპიონი 1954 წელს, ვენაში გავხდი, სადაც მეტოქედ უდოდოვი მყავდა. იმ ასპარეზობაში მსოფლიო რეკორდი დავამყარე, როგორც სამჭიდში, აგრეთვე აკვრაში. სამჭიდში 350 კილოგრამი ავწიე, აკვრაში კი — 143. მეორე დღეს, ადგილობრივ გაზეთებში ჟურნალისტებმა „პატარა სასწაულად“ მომნათლეს... მომდევნო წელს, მიუნხენში ჩემპიონის ტიტულს კვლავ მე და უდოდოვი ვეცილებოდით ერთმანეთს. ორივემ ერთნაირი შედეგი ვაჩვენეთ, მაგრამ აწონვისას, მეტოქეზე 300 გრამით მსუბუქი აღმოვჩნდი და კვლავ „ოქრო“ მოვიპოვე. ჩემთვის ყველაზე უცნაური 1957 წელს, თეირანში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატი აღმოჩნდა. ირანში, გაუგებარი მიზეზის გამო, სათადარიგო ძალოსნებს შორის მიმიჩინეს ადგილი და შეჯიბრებაში მონაწილეობის საშუალება მინაევს მისცეს. მან ისევე, როგორც ავსტრალიის ოლიმპიადაზე, კვლავ ამერიკელ ბერგერთან წააგო. ყველაზე გულდასაწყვეტი ის გახლდათ, რომ საქართველოში რადიოთი გადმოსცეს, თითქოს ჩემპიონატზე ავადმყოფობის გამო არ გამოვედი. ეს, რა თქმა უნდა, ტყუილი იყო, რადგან აბსოლუტურად ჯანმრთელი ვიყავი. მეორე დღეს, ირანის შაჰმა, მოჰამედ რეზა ფეხლევიმ, რომელსაც ძალიან უყვარდა ძალოსნობა, საგანგებოდ, რეკორდების საღამო მოაწყო... აღნიშნულ ტურნირზე ორი რეკორდი დავამყარე — ატაცსა და აკვრაში. განსაკუთრებით შთამბეჭდავი, აკვრაში ნაჩვენები შედეგი აღმოჩნდა. 145 კილოგრამი ავწიე და 2 კილოგრამით გავაუმჯობესე ძველი მიღწევა. კარგად მახსოვს, შაჰი ფეხზე ამდგარი მიკრავდა ტაშს.

ერევანში არშემდგარი ვიზიტი

— კარიერის განმავლობაში არაერთი საერთაშორისო ჯილდო მომიგია, მაგრამ ჩემთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია, რომ 10-ჯერ თბილისის ჩემპიონი ვიყავი. აღსანიშნავია, რომ ბევრ სპორტსმენს, რომელსაც უმაღლესი რანგის ტიტულები არ აკლია, მშობლიურ ქალაქში არასოდეს გაუმარჯვია. ფიცარნაგზე 17 წლის განმავლობაში გამოსვლის შემდეგ, სპორტს თავი 1963 წელს დავანებე. დღეგამოშვებით, ვარჯიშზე საერთო ჯამში, თითქმის 20 ტონას ვეწეოდი, რაც თავად წარმოიდგინეთ, რამხელა დატვირთვაა. გარდა ამისა, ჩემზე უკვე ძალიან მოქმედებდა ის ხმაური, რომელსაც ფიცარნაგზე შტანგის დაცემა იწვევდა. კარიერის დასრულებისას, სპორტსაზოგადოება „დინამოში“ მწვრთნელად ვმუშაობდი. შემდეგ, ვმსაჯობდი და საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი გავხდი. თავის დროზე, მე-3 სრულიად სომხურ თამაშებში უნდა მიმეღო მონაწილეობა, რომელიც ერევანში ჩატარდა. როგორც წინასწარ იყო ცნობილი, აღნიშნული ასპარეზობის გახსნაზე თბილისის დელეგაციის ხელმძღვანელი, საქართველოს დროშით ხელში, მე უნდა ვყოფილიყავი. მაგრამ ერთ-ერთი ადამიანის არაპროფესიონალიზმის გამო, რომელიც ჩვენი მრავალრიცხოვანი დელეგაციის გამგზავრებას ორგანიზებას უწევდა, ერევანში ვერ წავედით. ამ სიტუაციამ ის დრო გამახსენა, როდესაც ზოგიერთი ფუნქციონერის მიზეზით, პირველ რიგში, სპორტსმენები ზარალდებოდნენ. როგორც წინასწარ იყო ცნობილი, მგზავრობაში, ადგილზე დაბინავებასა და კვებაში სპორტსმენებს ფული არ უნდა გადაგვეხადა. მაგრამ უკანასკნელ მომენტში გაირკვა, რომ თამაშებში მონაწილეობის მიღება საკუთარი ხარჯით მოგვიწევდა და ცხადია, სომხეთში წასვლაც ჩაიშალა. აქვე გეტყვით, რომ ცხოვრებაში ჩხუბი არაერთხელ მომსვლია, მაგრამ მისი ინიციატორი არასოდეს ვყოფილვარ და ყოველთვის თავს ვიცავდი. როდესაც თბილისის „დინამოს“ რუსეთში ჰქონდა მატჩები, ადგილობრივ გულშემატკივრებთან ხელჩართული ბრძოლა ხშირად მქონია. როცა ისინი დაიძახებდნენ, — „ბეი გრუზინოვ!“ — და ჩვენკენ გამოიწევდნენ, ჩემგან საკადრის პასუხს იღებდნენ...

■

დენიზ რიჩარდსი ყოფილ მეუღლეს სახელს უფესს

მსახიობი ჩარლი შინი ყოფილი მეუღლის, დენიზ რიჩარდსის ბრალდების გაქარწყლებას შეეცადა, რომელმაც მას „უპასუხისმგებლობაში“ დასდო ბრალი. აპრილის შუა რიცხვებში, რიჩარდსმა ლოს-ანჯელესის უმაღლეს სასამართლოში მორიგი სარჩელი შეიტანა და შვილებზე, ორი წლის სემსა და 11 თვის ლოლაზე ერთპიროვნული მეურვეობის უფლება მოითხოვა. ამ მოთხოვნის დასასაბუთებლად ექსმეუღლის წინააღმდეგ რიჩარდსმა შემდეგი ბრალდება წამოაყენა: მათი ოჯახური თანაცხოვრების 3 წლის მანძილზე, ჩარლი შინი მუდამ აზარტული თამაშებით იყო გატაცებული, ბოროტად იყენებდა ტკივილგამაყუჩებელ პრეპარატებს და ყოველდღე ინტერნეტის ქსელში პორნოსაიტებს დაეძებდა. ხოლო როდესაც დენიზმა მეუღლესთან მისი პრობლემების



შესახებ გასაუბრება სცადა, შინმა მას მუშტებით შეუტია და დაემუქრა, რომ თუ დენიზი მის „ცოდვებს“ საქვეყნოდ გაამხელდა, „მის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნებოდა“.

ტელეშოუში — Entertainment Tonight ჩარლი შინმა განაცხადა: „ძალზე ვწუხვარ, რადგან ამგვარ საქციელს იმის შეუნიღბავ მცდელობად ვაფასებ, რასაც ცილისმწამებლური კამპანია ჰქვია. მას არ სურს, რომ მეურვეობის პასუხისმგებლობა თანაბრად გავინაწილოთ. დენიზს უნდა, რაც შეიძლება ძლიერი ტკივილი მომაყენოს, დამსაჯოს, სახელი გამიტეხოს, გამანადგუროს და ჩემი, როგორც მშობლის რეპუტაცია შელახოს... მე კი, ჩემი შვილებისათვის სიცოცხლესაც არ დავიშურებ. ყველაფერთან ერთად, დენიზი იმაშიც დამნაშავეა, რომ ჩვენი ცხოვრების დეტალები საქვეყნოდ გაახმაურა, რაც სრულიად მიუღებლად მიმაჩნია“. ■

სცენარის ავტორი ჯენიფერ ლოპესს სერიალის იდეის მოპარვას ამრალემს

ტელესცენარისტმა ჯეკ ბანიკმა ჯენიფერ ლოპესის წინააღმდეგ სასამართლოში სარჩელი შეიტანა. მომჩივანი მხარე მიიჩნევს, რომ ცნობილმა მომღერალმა, მსახიობმა და ახლა უკვე პროდიუსერმაც მას სერიალის იდეა მოჰპარა. ლაპარაკია საპნის ოპერაზე — „სამხრეთის პლაჟები“ (South Beach), რომლის პროდიუსერი ჯეი ლო იყო. ბანიკი ირწმუნება, რომ სერიალს მის მიერ 1999 წელს შექმნილი სცენარი დაედო საფუძვლად. ტელეარხ UTN-ის ეთერში 2000 წლის 11 იანვარს სერიალის პრემიერა შედგა. სცენარისტი აცხადებს, რომ თებერვალში მისი აგენტი არხის ხელმძღვანელობას დაუკავშირდა და სცენარის ასლიც კი გაუგზავნა, მაგრამ ფული ვერ მიიღო და ახლა მატერიალური ზარალის ანაზღაურებას ითხოვს. ჯენიფერ ლოპესის გარდა, საქმეში UTN და მისი მფლობელი CBS-იც ფიგურირებს. სერიალი „სამხრეთის პლაჟები“ ორი მეგობრის შესახებ მოგვითხრობს, რომლებმაც მაიამიში მიწიერი სამოთხე პოვეს. სერიალის ჩვენება თებერვლის ბოლოს დასრულდა. ■

ელვის პრესლის უმუშევარი ორეულები

როკ-ენ-როლის მეფის კომპანია Elvis Presley Enterprises-ს 85%-ის მფლობელი რობერტ სილერმანი, ელვისის ორეულების გამოსვლების აკრძალვას აპირებს, მათი რიცხვი კი, მხოლოდ აშშ-ში 3 ათასს აჭარბებს. სილერმანის გადაწყვეტილების მიზეზი ელვის პრესლის შესახებ შექმნილი გიგანტური შოუს პროექტია, რომელსაც მედიამაგნატი ლას-ვეგასში ამზადებს. „თუ ჩვენი შოუ ელვისის ორეულებზეა დაფუძნებული, მაშინ არაავტორიზებული ორეულები რაღაში გვჭირდება?“ — განაცხადა სილერმანმა. ადრე, როდესაც Elvis Presley Enterprises-ს მომღერლის მემკვიდრეები ფლობდნენ, ისინი ელვისის ორეულებს შოუს მოწყობას არ უკრძალავდნენ და მათგან ფულის გადახდას არ მოითხოვდნენ, მაგრამ სილერმანმა, ლიზა მარია პრესლისგან საოჯახო კომპანიის წილი შეისყიდა და ახლა, გრეისლენდის (მუსიკოსის მამული მემფისში, ტენესის შტატი) და მომღერლის სახელისა და სახის (მაგრამ არა მუსიკის) სრული მფლობელია. სილერმანმა Elvis-A-Rama — პოპულარული თეატრი და ლას-ვეგასთან მდებარე მუზეუმიც იყიდა, 2006 წლის ოქტომბერში კი, მის დახურვას აპირებს. ელვისის შოუს გარდა, სილერმანი გრეისლენდის ახლოს პოპულარული Heartbreak Hotel-ის ნაცვლად, ორი ახალი სასტუმროს აშენებასაც აპირებს. მედიამაგნატი პოპულარული შოუს — Pop Idol (დიდი ბრიტანეთი) და American Idol (აშშ) მფლობელია. მასვე ეკუთვნის სალიცენზიო კომპანია CKX, რომელმაც 2006 წლის 12 აპრილს ლეგენდარული მოკრივის მუჰამედ ალისგან მის სახელზე, იმიჯსა და გარეგნობაზე უფლება 50 მლნ დოლარად იყიდა. ■

კირა ნაიტლის პოპულარობამ სანანებელი გაუხდა

ჟურნალ Eclipse-ისთვის მიცემულ ინტერვიუში კირა ნაიტლი აღიარებს, რომ ადრეულ ასაკში მოპოვებული პოპულარობა სანანებელი გაუხდა. კინოში მისი დებიუტი ფილმში — „ითამაშე ისე, როგორც ბექჰემი თამაშობს“ 17 წლის ასაკში შედგა. მსახიობი ამბობს, თითქოს ყველაფრის მიტოვება სურს, რადგან მისი პერსონის მიმართ ჟურნალისტთა მოჭარბებული ყურადღება, წყნარი ცხოვრების საშუალებას არ აძლევს.

„მამაჩემიც კი ამბობს, რომ ჯობდა წარმატება მოგვიანებით მოსულიყო, მაშინ, როდესაც 20 წლის მაინც ვიქნებოდი და შევძლებდი, სადაც სურვილი მექნებოდა, იქ წავსულიყავი, მათ შევხვედროდი, ვისთან შეხვედრაც მომინდებოდა, თანაც ისე, რომ ამის შესახებ ვერავის ვერაფერი შეეტყო“. ■

ლენონის სული კავშირზე გამოდის

ჯონ ლენონი ამბობს: „მშვიდობა... ჩემი გზავნილია — მშვიდობა“, ირწმუნებიან მედიუმები, რომლებმაც ტელეგადაცემაში Spirit of Lennon („ლენონის სული“) გარდაცვლილ მუსიკოსთან თითქოსდა კავშირი დაამყარეს. გადაცემა ეთერში აშშ-ის კაბელური ტელევიზიით გავიდა. საათნახევრიან გადაცემაში მედიუმი ჯო პაუერი, პარანორმალურ მოვლენათა სპეციალისტი სანდრა ბელანჟერი და გადამღები ჯგუფის რამდენიმე წევრი იმ ადგილებში გადაადგილდებოდნენ, სადაც ლენონი ხშირად იმყოფებოდა ხოლმე. გადაცემის ავტორები ირწმუნებიან, რომ მუსიკოსმა მათთან კონტაქტი ნიუ-იორკის რესტორან La Fortuna-ში დაამყარა. კონტაქტი ე.წ. ელექტრონული ხმოვანი ფენომენის (EVP – Electronic Voice Phenomenon) მეშვეობით დამყარდა. მედიუმ პაუერის მიკროფონის ხმოვანი სიგნალის ფირზე ჩაწერა მოულოდნელად შეწყდა, ხოლო ფრაგმენტის მოსმენისას, ფირიდან ლენონის ხმა გაისმა. სპირიტუალური სეანსი ლენონის ქვრივის, იოკო ონოს და მუსიკოსის სხვა ნათესავების დასწრების გარეშე ჩატარდა. ლენონის მეგობარი და იოკო ონოს პრესასტაშე ელიოტ მინცი სატელევიზიო სპირიტუალური სეანსის მიმართ სკეპტიკურად იყო განწყობილი. ტელეკომპანია BBC-ს ეთერში გაკეთებულ განცხადებაში, მინცმა პროექტს „უგემოვნო, უხამსი და ექსპლოატატორული“ უწოდა. გადაცემის „ლენონის სული“ ხილვის უფლების მოსაპოვებლად, მაყურებელმა 9 დოლარი და 95 ცენტი უნდა გადაიხადოს. Reuters-ის ცნობით, ტელეტრანსლაციის შემოსავალმა 8 მლნ დოლარი შეადგინა. ■

მასაჟისტმა ქალმა კევინ კოსტნერს საქვეყნოდ თავი მოსჭრა



მსახიობი კევინ კოსტნერი ძვირად ღირებული სასტუმროდან მასაჟისტი ქალის დათხოვნის მიზეზად იქცა. სპა-სალონის თანამშრომელმა სასტუმროს ხელმძღვანელობას საჩივრით მიმართა, იმის შესახებ, რომ სახელოვანი კლიენტი უხამსად მოექცა. საჩივარის გამო მასაჟისტი ქალი სამსახურიდან დაითხოვეს და ახლა ის სასტუმროს ხელმძღვანელობას სასამართლოში უჩივის, ჰოლივუდის ვარსკვლავი კი, საჯარო მსჯელობის ობიექტად იქცა. შოტლანდიის ქალაქ სენტ-ენდრიუსის სასტუმრო Old Course Hotel-ის თანამშრომელმა 2005 წელს ხელმძღვანელობას აცნობა, რომ ერთ-ერთმა კლიენტმა, ჰოლივუდის ვარსკვლავმა უღირსი საქციელი ჩაიდინა და მასზე ძალადობა სცადა. მაშინ მსახიობის ვინაობა არ გახმაურდა. სამსახურიდან დათხოვნის შემდეგ, ქალმა სასამართლოს მიმართა და Old Course Hotel-ისგან უსამართლოდ დათხოვნის გამო, კომპენსაცია მოითხოვა. როგორც კი მხარეებს შორის დავა დასრულდა, საარბიტრაჟო სასამართლომ სკანდალის მიზეზის ვინაობის გამჟღავნების უფლება გასცა — ის ფილმების „ცეკვა მგლებთან“ და „რობინ ჰუდის“ ვარსკვლავი, კევინ კოსტნერი აღმოჩნდა.

კოსტნერი ამ ინციდენტში მონაწილეობას კატეგორიულად უარყოფს. მისი ერთ-ერთი მეგობარი ფიქრობს, რომ მსახიობის სახელი ტალახში განგებ ამოსვარეს. კოსტნერის პრესასტაშემ პოლ ბლოხმა გაზეთ The New York Daily News-ითვის მიცემულ ინტერვიუში მწუხარება გამოთქვა, რომ სასტუმროსა და მისი თანამშრომლის კონფლიქტის გამო, მსახიობს რეპუტაცია უმიზეზოდ შეულახეს. კევინ კოსტნერმა და მისი მეორე ცოლმა — კრისტინ ბაუმგარტნერმა სასტუმრო Old Course Hotel-ში თაფლობის თვე გაატარეს. სწორედ ამ დროს სენტ-ენდრიუსში გოლფის ჩემპიონატი ტარდებოდა, რომელშიც ცნობილი ადამიანები მონაწილეობდნენ. ჩემპიონატის მონაწილეთა შორის იყვნენ: მაიკლ დუგლასი და კეტრინ ზეტა-ჯონსი, ბილ მიურეი, კურტ რასელი და სხვები. ■

შარლიზ ტერონის ჩაშლილი ქორწილი

ჰოლივუდის ცნობილმა ვარსკვლავმა შარლიზ ტერონმა („მონსტრი“) აგენტების მეშვეობით პრესას ოფიციალურად აუწყა, რომ მისი და ირლანდიელი მსახიობის, სტიუარტ ტაუნსენდის („თავი ღრუბლებში“) 2006 წლის ზაფხულისთვის დანიშნული ქორწილი, აღარ შედგება. ასე დასრულდა რომანი, რომელსაც მთელ მსოფლიოში გაფანტული მსახიობის ათასობით თაყვანისმცემელი, 5 წლის განმავლობაში გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს. ჯერ კიდევ წლის დასაწყისში, პრესა მომავალი ქორწილის დეტალებს აქტიურად განიხილავდა, მაგრამ 5 მარტს, „ოსკარის“ დაჯილდოების 78-ე ცერემონიაზე, მსახიობი კავალერის გარეშე გამოცხადდა, რამაც მაყურებლის გაო-

ცება გამოიწვია და უამრავი კითხვაც წარმოშვა. ამიტომ, წყვილმა ბოლოს და ბოლოს, ოფიციალური განცხადება გააკეთა. აგენტების მტკიცებით, განხეთქილების მიზეზი მსახიობთა მოუცლელობა გახდა. გასულ წელს, ფილმის — „მეჯვარე“ გადაღებების გამო, ტაუნსენდი სახლში იშვიათად ჩნდებოდა. შარლიზ ტერონი კი, სურათის — „ჩრდილოეთის ქვეყანა“ გადაღებებით იყო დაკავებული. წყვილი ერთმანეთს თვეობით ვერ ნახულობდა. შარლიზი და სტიუარტი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ისინი მეგობრებად რჩებიან. საგულისხმოა, რომ ფილმებმა, რომლებიც მომავალი ოჯახის „არშექმნის“ ოფიციალურ მიზეზად იქცნენ, მსახიობებს არცთუ ისე ურიგო შემოსავალი მოუტანეს. დრამა — „ჩრდილოეთის ქვეყანა“, „ოსკარის“ ნომინაციაზე იყო წარდგენილი, ხოლო კომედიურმა სურათმა — „მეჯვარე“, 33 წლის სტიუარტ ტაუნსენდის სამსახიობო ნიჭი, მოულოდნელად ახალი კუთხით წარმოაჩინა. წარმატებული კარიერა ურიგო როდია, მაგრამ საკითხავია, შეავსებს კი ეს წარმატება იმ სიცარიელეს, რომელიც დანგრეულმა პირადმა ცხოვრებამ წარმოშვა? ■

დათო ხუჯაძე თბილისში ჩუმ-ჩუმად ჩამოდის

„საცოლეს ჭამოდა ოჯე ვასწავლე"

თბილისში, ერთ-ერთი ახალგახსნილი კლუბის კარი ის-ის იყო შევაღე, რომ მომღერალი დათო ხუჯაძის მოღიმარ მზერას წავაწყდი. არა, არ მომჩვენებია, ის მეგობართან ერთად იჯდა სუფრასთან. ვაღიარებ, რომ დათოს იქ, იმ საღამოს ნამდვილად არ ველოდი. მერე ვიღაცამ თქვა — ეს ასე, ჩუმ-ჩუმად ჩამოდის ხოლმეო თბილისში...

— დათო, შემთხვევით შეგხვდი. შენი თბილისში ჩამოსვლა რას უნდა მივაწეროთ?

— დრო ვიხელთე და ჩამოვედი. კიდევ როდის მოვიცლი, არ ვიცი.

— შენზე თქვეს, თბილისში ჩუმ-ჩუმად ჩამოდის ხოლმეო. მართალია?

— ხმაური რომ ავტეხო, რა საჭიროა?!

— რა ხდება მოსკოვში და თბილისში ხომ არ აპირებ დაბრუნებას?

— არა, არა.

— ვიცი, რომ იქ წარმატება გაქვს, თავდაუზოგავად შრომობ. კიდევ რას გვეტყვი ახალს?

— ვმუშაობ, ვმუშაობ და აქედან გამომდინარე, მაქვს კიდეც წარმატებები. მაქვს კონცერტები, გასტროლები...

— შარშან შენი კონცერტი სპორტის სასახლეში, ფაქტობრივად, ჩაიშალა. ამ ფაქტზე კიდევ განაწყენებული ხარ?

— განაწყენებული არავისზე ვარ, იმათ იდარდონ, ვინც მარტო მაგით ცხოვრობენ. მე სხვა საქმეებიც მაქვს. ჩემს ცხოვრებაში უამრავი სიახლეა. მათთვის ეტყობა, სიახლე ეს იყო და ასეც დარჩა. ამაზე საერთოდ არ ვფიქრობ.

— თბილისში კიდევ ერთი ასეთი ინფორმაცია გავრცელდა — დათოს ცოლი მოჰყავს, მისი საცოლე — მოსკოვში მცხოვრები, რუსულად აღზრდილი ქართველი ქალბატონიაო. მართალია?

— კი *(იღიმება)*.

— ვინ არის?

— მაგას არ გეტყვი. ეგ არავის საქმე არ არის.

— ვერ დაგეთანხმები. რადგან აქ შენ მიმართ ინტერესი მართლაც, დიდია და ბუნებრივია, ჩნდება კითხვა — ვინ მოჰყავს ხუჯაძეს ცოლად?

— დათო ხუჯაძეს აქვს უფლება, პირადი ცხოვრება ჰქონდეს...

— ამ სიყვარულს საფუძველი როდის ჩაეყარა?

— გარკვეული პერიოდია *(იღიმება)*...

— ქართული ენა თუ იცის შენმა მომავალმა მეუღლემ?

— ვასწავლე.

— ქორწილს როდისთვის გეგმავ?

— ჯერ არ ვიცი.

— თან ხომ არ ჩამოგიყვანია, მშობლებისთვის რომ გაგეცნო?

— არა, არა.

— რამდენ ხანს აპირებ თბილისში დარჩენას?

— კიდევ რამდენიმე დღე გავჩერდები და 2 მაისს წავალ *(ინტერვიუ ჩაწერილია 29 აპრილს. — ავტ.)*.

— აქ ჩამოსულს, თვალში რა გეცა, რა მოგეწონა და რა არ მოგეწონა?

— მაინცდამაინც ქალაქის თვალიერება არ დამიწყია. ერთი ის „მომეწონა", რომ 9 საათის შემდეგ, ამ ქალაქში ცხოვრება კვდება და სახლში უნდა წახვიდე, ვერაფერს გააკეთებ.

— მოსკოვში 9 საათზე ცხოვრება იწყება, არა?

— იქ 24 საათის განმავლობაშია მოძრაობა, სიცოცხლე დუღს.

— შენ 24 საათიდან რამდენ საათს ისვენებ?

— სულ „ჩართული" ვარ. თუ გინდა, რამეს მიაღწიო, 24 საათი უნდა იმუშაო, ცოტა იძინო...

— სულ მოძრაობა, მუშაობა დამღლელი არ არის?

— დამღლელია, მაგრამ შედეგი სასიამოვნოა ასეთი შრომის შემდეგ.

— ნოსტალგია თუ გაწუხებს მოსკოვში?

— ოჯახის წევრები, მეგობრები მენატრებიან.

— ყოველდღე ურეკავ ოჯახის წევრებს?

— დიახ.

— თბილისში ჩამოსულმა, დრო რას დაუთმე?

— ოჯახის წევრებს, მეგობრებს.

— მეგობრები შოუბიზნესის წრიდან არ მოინახულე?

— შოუბიზნესში მეგობრობა არ არსებობს — ამას ალალად გეუბნები...

— მოსკოვშიც ასეა?

— იქ — მით უმეტეს.

— „მგლური კანონი" მოქმედებს?

— კი.

— შენ „მგელი" ხარ?

— გავმგელდი *(იცინის)*.

— მადლობა საუბრისთვის. წარმატებებს გისურვებ.

■



თუ გინდა, რამეს მიაღწიო, 24 საათი უნდა იმუშაო, ცოტა იძინო...

ნდობის ტელეფონი ფსიქოლოგიური კონსულტაციები

☎822 42 55 44
822 006 005
822-006-099

ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია ტელეკომ-ბარათებითაც

დაშლილი „სახის" ყოფილი ლიდერი ბარის მფლობელი გახდა

მასპინძელი ცოლ-ქმარი ნინასთან ერთად

ყოფილმა „სახელმა" დათო ფორჩხიძემ და მისმა მეუღლემ — ხატიამ მეგობრები, ახლობლები და ზოგადად თბილისელები მათ მიერ ახალგახსნილ საუნდბარ „მიოში" მიიწვიეს. მახსოვს, ისინი ამაზე ჯერ კიდევ დიდი ხნის წინ ლაპარაკობდნენ, რომ ბარის გახსნა სურდათ. პრეზენტაციაზე დათო და მისი მეუღლე დიდ გაწამაწიაში იყვნენ, სტუმრებს გულითადად მასპინძლობდნენ და ცდილობდნენ, ყველასთვის სათანადო ყურადღება მიექციათ. ვის არ წავაწყდი იქ. თუმცა თითოეული სფეროს ხალხი, მაინც ერთად იყო თავმოყრილი და ამის გამო სტუმართა ჯგუფური კლასიფიკაციაც შესამჩნევი იყო. ფეხბურთელები ნემსაძე და ცხადაძე თავიანთი თანმხლები პირებით აღნიშნულ სივრცეში ცალკე „კუპეში" განმარტოვდნენ, ჟურნალისტები ცალკე ვიყავით შეკრებილები. რეპერი ძვალი და მომღერალი ნინა თავ-თავიანთ „სასტავებში" ერთობოდნენ, ბარში გამოჩნდა შალვა რამიშვილის მეუღლე თეაც, მისი და — მაკა, რომელიც სამცხე-ჯავახეთის მხარის გუბერნატორის, გოგა ხაჩიძის მეუღლეა. ის კი არა, მოსკოვიდან თბილისში ჩამოსული დათო ხუჯაძეც იქ იყო. ეს ყველაფერი კი იმაზე მეტყველებს, რომ დაშლილი „სახიდან" დათო ფორჩხიძე თითქმის ყველას შეეხმიანა. ისე, წარსულში ერთ-ერთი პოპულარული ჯგუფ „სახის" ბედი უცნაურად წარიმართა: მისი პროდიუსერი შალვა რამიშვილი ციხეშია და სასჯელს იხდის; მისი ერთ-ერთი ყოფილი წევრი — გოგა ხაჩიძე გუბერნატორი გახდა და ალბათ მოუცლელობის გამო ვერ ეწვია მეგობარს პრეზენტაციაზე, სამაგიეროდ, მეუღლე გამოუშვა, ხოლო ჯგუფის კიდევ ერთი ყოფილი წევრი მოსკოვში სოლო კარიერას „აწვება"; თავად დათო ფორჩხიძე კი, ბარის თანამფლობელი გახდა. როგორც დათო ამბობს, დღის განმავლობაში, მისი ბარი ჩვეულებრივად კლიენტებს მოემსახურება, საღამოს კი, ის დიჯეიკაფედ გადაიქცევა და მთელი ღამის განმავლობაში იქ მისულ ადამიანებს გართობის საშუალებას მისცემს. დათოსა და მისი მეუღლის სურვილია ღამის კლუბური ცხოვრება ქალაქში ამოქმედდეს და ამ საქმეში მისმა პატარა ბარმა დიდი წვლილი შეიტანოს. ■

კახა ცხადაძე და გიორგი ნემსაძე

ნუცა ჯანელიძემ მედეა ძიძიგურის მეგობრები ერთად ამღერა

ნუკრი კაპანაძე და გია ჭირაქაძე

„სითი ქლაბში" კონცერტმაისტერ ნუცა ჯანელიძის ინიციატივით შესანიშნავი მომღერლისა და ქალბატონის, მედეა ძიძიგურის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა; როგორც ნუცა აღნიშნავს, მან ამ საღამოს მოწყობით ერთგვარად ქედი მოიხარა ქალბატონი მედეას ხსოვნის წინაშე, რომელმაც თავის ცხოვრებაში რომანსების ხელოვნების თავისებურებებს აზიარა. ის მასთან გარკვეული პერიოდის განმავლობაში კონცერტმაისტერად მუშაობდა. ნუცამ სურვილი ერთგვარად აისრულა, რადგან თავისებურად გამოხატა პატივისცემა ქალბატონის მიმართ, რომელიც ავადმყოფობის შედეგად 1998 წლის 6 ნოემბერს გარდაიცვალა, რითაც ბევრ ადამიანს გული დასწყვიტა. ნუცა ჯანელიძე იმ საღამოს შეეცადა იმ შემოქმედებითი ადამიანებისთვის მოეყარა თავი, ვინც მედეა ძიძიგურს იცნობდა და მეგობრობდა მასთან. რა თქმა უნდა, საღამოზე იყო მედეა ძიძიგურის ვაჟი ბიძინა ბარათაშვილი მეუღლესთან ერთად, რომელმაც, აღნიშნა, რომ უზარმაზარი სიამოვნება მიიღო, რადგან ყველამ თბილად გაიხსენა ქალბატონი მედეა. შესრულდა არაერთი შესანიშნავი სიმღერა, რომანსი. ეს იყო ნამდვილი ქართული სიმღერის ზეიმი, თავის ექსპრომტებითა და იმპროვიზაციებით. მღეროდა „ფორტე", ტრიო „სიმი" ნანული აბესაძე, თამრიკო ჭოხონელიძე, ეთერ კაკულია, ზურა დოიჯაშვილი, მაია ჯაბუა, რომა რცხილაძე, ეკა მამალაძე, ნუკრი კაპანაძე, გია ჭირაქაძე, ლადო ჯანელიძე. საღამო ენაწყლიან გია ჯოხაძეს მიჰყავდა. თბილი სიტყვები არ დაუშურებიათ ჯემალ მონიავას, ოთარ ტატიშვილს, ნუნუ გაბუნიას, მარიკა კვალიაშვილსა და დათო ოქიტაშვილს.

ეკა მამალაძე და ბიძინა ბარათაშვილი

მაია ჯაბუა მეუღლესთან ერთად

■

რუსუდან ბერიძე

ოქეი

(დასაწყისი იხ. გზა №42-17)

ახალგაზრდა ექიმის, ლანა მესხისა და ბიზნესმენ ლევან ქართველიშვილის ურთიერთობა საკმაოდ რთულად ვითარდება. ლანას ბებიის გარდაცვალების შემდეგ, ისინი გარკვეულ ხანს, რაჭაში, სოფელში დაყოფენ. ლანას დედა, თამარი ალმაცერად უყურებს ლევანს: ის ქვრივია, 6 წლის ქალიშვილი ჰყავს...

ერთხელ, მათ სტუმრად ვინმე ნიკოლოზ დვალი გამოეცხადებათ, რომელიც თვალს არ აშორებს ლანას. როგორც შემდგომ გაირკვევა, ის კარგად იცნობს ლევანს. ქალიშვილთან დაახლოებას კი, იმის გამო ცდილობს, რომ ლანას ბებიის, ქეთოს მიერ დატოვებული რაღაც განძეულობის ხელში ჩაგდება სურს. დვალი ლანას ემუქრება კიდეც: თუ ლევანს გაჰყვები ცოლად, მის შვილს კარგი დღე არ ელისო... ცოტა ხანში, ლანა თბილისში ბრუნდება და იმ ნოტარიუსს ეწვევა, რომელთანაც ქეთოს, დალუქული წერილი დაუტოვებია.

ამ წერილით ქეთო შვილიშვილს აუწყებს, რომ ბანკში ანდერძი აქვს ჩაბარებული და იმასაც ჩამოუთვლის, თუ მისი მოკრძალებული ქონებიდან, კონკრეტულად ვის რა შეხვდა...

ნოტარიუსისგან გამოსულ ლანას, გზაში ლევანი წამოეწევა. ამ მოულოდნელი შეხვედრით დაბნეული ქალიშვილი ლევანს შინ წაჰყვება, სადაც წყვილი რამდენიმე ბედნიერ საათს გაატარებს. თუმცა მოგვიანებით, წყვილს უსიამოვნება მოუვა. შესარიგებლად მისულ ლევანს, ლანა თავიდან, გაცოფებული დახვდება, მაგრამ მერე, ცოტა მოლბება და მის არგუმენტებსაც შედარებით მშვიდად მოისმენს. მოულოდნელად, მას ახალდაქორწინებული თინიკო და ლაშა მიადგებიან კარზე. თინიკო მეგობარს უცნაურ ამბავს აუწყებს: გივი გიგაური ისევ თავის ფირმაში გვეპატიჟებაო, — რაზეც ლანას ცივ უარს მიიღებს.

ხელობასთან ერთად ლანას ბებია მთავარ საგვარეულო განძს — ლალისთვლიან ძვირად ღირებულ ბეჭედსაც დაუტოვებს, რომელიც მათი შორეული წინაპრისთვის ერთ-ერთ ქართველ მეფეს უბოძებია. ლანა საბოლოდ რწმუნდება, რომ ნიკოლოზ დვალის მთავარი მიზანი სწორედ ამ ბეჭედის ხელში ჩაგდებაა და ამიტომ, მისგან თავის დახსნას ყველანაირად ცდილობს...

— რა თქვი?!. — ხმა შეეცვალა ლანას. — როდის?

— ერთი სათის წინ... დედაჩემმა დამირეკა რაჭიდან... — ნაწყვეტ-ნაწყვეტ პასუხობდა ლევანი. — ბავშვი ეზოში თამაშობდა, წამით სახლში რაღაცაზე შევედი და უკან გამოსულს აღარ დამხვდაო...

— კი, მაგრამ თამუნა რაჭაში როდისღა წაიყვანე?

— მე არ წამიყვანია, დედაჩემს გავატანე ორი დღის წინათ... ხომ გითხარი, ექმიმა ჰაერის გამოცვლა ურჩია-მეთქი...

— თავად სადღა ხარ ახლა?

— ჯანდაბაში... — ბოღმიანად ჩაილაპარაკა ლევანმა. — სად უნდა ვიყო?.. რაჭაში მივდივარ...

— ქალაქიდან უკვე გახვედი?

— კი, მცხეთასაც გავცდი. რა იყო?

— არა, არაფერი... თბილისში რომ იყო, მეც წამოგყვებოდი... ჰო, მართლა, ვინმეზე ხომ არ გაქვთ ეჭვი?

— რა გითხრა, აბა?.. — ამოიოხრა ლევანმა. — ჯერ იმდენად ვარ გაოგნებული, რომ...

— აბა, რატომ ფიქრობ, რომ მაინცდამაინც მოგტაცეს?

— რატომ და ორი დღის წინ ჩემთან, ფირმაში ვიღაც ახვარმა დარეკა თურმე და მდივანს ჰკითხა, შენს შეფს შვილი აქ ჰყავს თუ სოფელშიო?

— მერე?

— მერე, იმ სულელმაც ყველაფერი ჩაუკაკლა. რომ გავუჯავრდი, უცხო ადამიანთან რა გალაპარაკებდა-მეთქი, ცრემლები წამოსცვივდა, იმ კაცმა მითხრა, ბავშვის მკურნალი ექიმი ვარ და გვარი და სახელიც დამისახელაო... მოკლედ, ერთი გულუბრყვილო გოგოა და ვიღაცამ ადვილად გააბრიყვა...

— ვერ ხვდები, ვინ უნდა ყოფილიყო?.. ან, იქნებ, დედაშენს დაურეკა უკვე ვინმემ?..

— არა, ჯერ არავის დაურეკავს...

— კარგი, მაშინ... — წამით ჩაფიქრდა ლანა. — ახლა გავთიშავ აპარატს და მერე კიდევ დაგირეკავ. ხვალ დილით კი მეც რაჭაში წამოვალ...

— კარგს იზამ... — გაისმა ყურმილში ლევანის ჩამქრალი ხმა.

— რა მოხდა? — როგორც კი აპარატი გამორთო, მაშინვე ჰკითხა შვილს თამარმა.

— ძალიან ცუდი ამბავი, — ამოიოხრა ლანამ. — ლევანის ბავშვი დაიკარგა.

— რას ჰქვია, დაიკარგა?

— სოფელში, ეზოში თამაშობდა და როგორც კი ბებიამისმა ერთი წამით უყურადღებოდ დატოვა, ბავშვი მაშინვე უკვალოდ გაქრა. ლევანი ფიქრობს, რომ ვიღაცამ მოსტაცა.

— კი, მაგრამ რა მიზნით?.. რა იმხელა ფული ლევანს აქვს, რომ...

— მე მგონი, ლევანის ფული და ქონება აქ არაფერ შუაშია...

— აბა, სხვა რაღა ეშმაკი უნდა იყოს? — გაუკვირდა თამარს. — თვითონ ლევანი რას ამბობს?

— არც არაფერს... — საძინებელში სწრაფი ნაბიჯებით შევიდა ლანა და პირსახოცის ხალათის გახდა დაიწყო.

— ეგ როგორ, კაცო?.. — შვილს უკან მიჰყვა თამარი. — ეჭვიც არავისზე აქვს?

— ლევანს — ჯერ არა, მაგრამ მე ნამდვილად მაქვს ეჭვი... — ტანსაცმელი უცბად გამოიცვალა ლანამ.

— შენ რა, გარეთ აპირებ გასვლას? — შეიცხადა თამარმა.

— ჰო, მერე რა იყო?

— როგორ თუ რა იყო, გოგო? — ხმას აუწია თამარმა. — ახალი ნაბანავები ხარ და თმაც სველი გაქვს! გინდა, მენინგიტი დაგემართოს?!

— მენინგიტი არა, კიდევ ის. — ფენი ჩართო და თმის გაშრობა დაიწყო ლანამ.

— აღარ იტყვი, სად მიდიხარ? — ყვირილზე გადავიდა თამარი.

— საქმეზე, — მოკლედ მოუჭრა თამარს ლანამ.

— ასეთი რა საქმეა, რომ ერთი საათიც ვერ მოიცდის?.. თმა მაინც გაგეშრო წესიერად და მერე წასულიყავი...

— არა, დედა, — ფენი გამორთო და სანახევროდ გამშრალ თმაზე სავარცხელი რამდენჯერმე გადაისვა ლანამ. — ახლავე რომ არ წავიდე, მერე ძალიან გვიან იქნება, — წამში ჰოლში გაჩნდა ის შემდეგ, სანამ თამარი მორიგ იერიშს მიიტანდა, საკიდრიდან ლაბადა და ხელჩანთა ჩამოხსნა და შემოსასვლელი კარი ხმაურით გამოაღო.

— ის მაინც მითხარი, როდის დაბრუნდები? — ლიფტთან დაეწია შვილს თამარი.

— ძალიან მალე... მისული არ გეგონები, რომ ისევ აქ გავჩნდები, — უპასუხა მას ლანამ და ლიფტის კარიც მაშინვე ხმაურით დაიხურა...

ქუჩაში გასულმა ლანამ ლაბადის ყველა ღილი გულმოდგინედ შეიკრა და გზას ჯერ ფეხით გაუყვა, ქუჩის კუთხეში კი საიდანღაც დაბარებულივით გამოჩენილი

ტაქსი გააჩერა... კაფე, სადაც რამდენიმე საათის წინ, ის ნიკოლოზ დვალთან ერთად იჯდა, უკვე ხალხით იყო გადავსებული. ლანამ შესვლისთანავე ნაცნობ ოფიციანტ გოგონას დაუწყო ძებნა, მაგრამ ვერსად დალანდა და ამიტომაც პირდაპირ ბარმენისკენ გასწია.

— გისმენთ! — მაშინვე დაყენებული ღიმილი შეაგება მას ბარმენმა. — შემთხვევით, თამუნას ხომ არ ეძებთ?

— დიახ, დიახ... — მაშინვე დაეთანხმა მას ლანა. — თქვენს ოფიციანტს... რამდენიმე საათის წინ ვიყავი თქვენს კაფეში და სწორედ ის გვემსახურებოდა...

— მაგრამ თამუნა რომ უკვე წავიდა?!. — ახლა თანაგრძნობის ღიმილი აიწება სახეზე ბარმენმა.

— სად? — დაუფიქრებლად ჰკითხა ლანამ.

— თვითონ თქვა სახლშიო, მაგრამ დღევანდელ გოგოებს რას გაუგებ? — თვალები ეშმაკურად მოწკურა ბარმენმა.

— მისი ტელეფონის ნომერს ხომ ვერ მომცემთ?

— უფლება არ მაქვს...

— ძალიან რომ გთხოვოთ? — ბარმენს დახლზე ათლარიანი დაუდო ლანამ.

— თუ ასე ძალიან მთხოვთ. — ფული მაშინვე ჯიბეში ჩაიცურა ბარმენმა, შემდეგ დახლს ქვემოდან ოთხად მოკეცილი ქაღალდის ხელსახოცი ამოიღო და დახლზე ფრთხილად გაშალა: — თამუნას ტელეფონს — ვერა, მაგრამ ამას ნამდვილად მოგცემთ... მით უმეტს, რომ ეს მობილურის ნომერი თამუნამ ისედაც თქვენ დაგიტოვათ. მგონი, თქვენი მეგობრის ნომერი უნდა იყოს, ხომ?..

— დიახ, ის არის... — ხელსახოცს სწრაფად წამოავლო ხელი ლანამ და სანამ მრავალმნიშვნელოვნად მოღიმარი ბარმენი მორიგ „სიბრძნეს“ ეტყოდა, სწრაფი ნაბიჯით გასასვლელისკენ გაემართა.

ქუჩაში გასულმა ლანამ ჯერ აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა, შემდეგ ხელჩანთიდან მობილური ტელეფონი ამოიღო და ხელსახოცზე გაკრული ხელით წაწერილი, ნიკოლოზ დვალის ნომერი აკრიბა. ზარი მალევე გავიდა და ყურმილში მამაკაცის უსიამოვნო ხმა გაისმა:

— უკვე მოგენატრე, საყვარელო?..

— ბავშვი სად არის? — უხეშად შეაწყვეტინა მას ლანამ.

— რომელი ბავშვი? — თავი მაინც მოიკატუნა დვალმა.

— კარგად იცი, რომელიც!.. — ისევ შეტევაზე გადავიდა ლანა. — იცოდე, ერთი თმის ღერიც რომ ჩამოუვარდეს...

— მემუქრები კიდეც?.. — ბოროტად ჩაიქირქილა დვალმა. — საინტერესოა, ასე ვისი იმედით იფხორები?..

— თამუნა სად არის-მეთქი?! — კიდევ ერთხელ შეაწყვეტინა სიტყვა ლანამ.

— თამუნა საიმედო ადგილზეა, — კვლავ მშვიდად განაგრძო დვალმა. — აი, შენ კი, ლამაზო, უკვე ნამდვილად ზედმეტი მოგდის და თუ ასე გააგრძელებ, ტელეფონს გაგითიშავ და...

— არა, არა, მოიცა! — შეშინდა ლანა. — არ გათიშო!.. თამუნას ამბავი ახლა გავიგე და ჯერ ნერვებს ვერ ვთოკავ.

— როცა მოთოკავ, მაშინ დამირეკე...

— უკვე მოვთოკე! მითხარი, რა გინდა?

— მე-ე? — გაუკვირდა დვალს. — მე რა უნდა მინდოდეს?.. თუ მახსოვრობა არ მღალატობს, მგონი, შენ დამირეკე რაღაცის საკითხავად თუ სათხოვნელად...

— კარგი. მითხარი, რას ითხოვ ბავშვის სანაცვლოდ?

— ო-ო, აი, ეს უკვე შედარებით ლოგიკური კითხვაა, მაგრამ ტელეფონით სალაპარაკო ნამდვილად არ არის. ამიტომ შებრუნდი ჩვენს „მშობლიურ“ კაფეში და დამელოდე.

— მალე მოხვალ?

— ასე ძალიან მოგენატრე?.. კიდევ ერთხელ ავად ჩაიქირქილა დვალმა. — მოთმინება, საყვარელო, მოთმინება, — დაუმატა მან შემდეგ და აპარატი გათიშა.

ცოტა ხანს ლანა ქუჩაში დაბნეული იდგა, შემდეგ აპარატი ხელჩანთაში შეინახა და ისევ კაფეში შებრუნდა. ბარმენმა ის მაშინვე შენიშნა და ხელი შინაურულად დაუქნია, ჩემთან მოდიო.

— ეს იდიოტიღა მაკლდა... — გაიფიქრა გაღიზიანებულმა ლანამ, მაგრამ ბარმენს მაინც მიუახლოვდა და მკაცრად ჰკითხა:

— რა გნებავთ?

პასუხად, ბარმენმა ერთ-ერთ ოფიციანტ გოგონას თავისთან უხმო და ლანას გასაგონად უთხრა:

— თამუნა, ეს ქალიშვილი წელან რომ გითხარი, იმ მაგიდასთან დასვი!

— წამობრძანდით... — მაშინვე წინ გაუძღვა ლანას ოფიციანტი და კაფეს ყველაზე მყუდრო კუთხეში, განმარტოებით მდგარ მაგიდასთან მიიყვანა და სკამიც გამოუწია — დაბრძანდით...

— გმადლობ, — მაგიდას მიუჯდა ლანა და მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ, გოგონას მაინც ჰკითხა: — თქვენ ნამდვილად თამუნა გქვიათ?

— დიახ, — გაეღიმა ოფიციანტს — აქ სამი თამუნა ვართ... თქვენი მეგობრის მოსვლამდე ხომ არაფერს ინებებთ? — თადარიგი დაიჭირა მან.

— თქვენ საიდანღა იცით, რომ ვიღაცას ველოდები?

— მიშამ მითხრა, ბარმენმა, — უპასუხა ოფიციანტმა. — თქვენს მეგობარს დაურეკავს, ყველაზე კარგ ადგილზე დასვითო. ეტყობა, ძალიან ზრუნავს თქვენზე...

— აი, თურმე, რაშია საქმე? — ცივად გაეღიმა ლანას. — მაშინ, მეც ამითვე ვუპასუხებ და მის მოსვლამდე პირს არაფერს დავაკარებ.

— როგორც გენებოთ, — თავაზიანად დაუკრა თავი ოფიციანტმა და გაეცალა.

დვალი კაფეში მალევე გამოჩნდა, პირდაპირ ლანასკენ წამოვიდა და დაჯდომამდე შინაურულად გადაკოცნა.

— ხომ არ მოიწყინე, სიყვარულო?

— მოდი, რა, საქმეს



მივხედოთ! — უკმეხად უპასუხა მას ლანამ. — პირდაპირ მითხარი, ბავშვის სანაცვლოდ რას ითხოვ?

— ცოტა ჩუმად! — აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა დვალმა. — თორემ, ვიღაცას მართლა რაღაც ეგონება. ბავშვი საიმედო ადგილზეა, თანაც — ნასმევ-ნაჭმევ-ნაპატივები... ისე, მამიკო კი მოენატრა, მაგრამ რას იზამ?.. ცოტა კიდევ უნდა მოითმინოს და ყველაფერი რიგზე იქნება.

— სანაცვლოდ რას ითხოვ? — მაინც ჩაეკითხა ლანა.

— ბევრს არაფერს, საყვარელო, — უშნოდ გაიკრიჭა დვალმა. — ბებიაშენის დანატოვარ სიმდიდრეს და შენთან ლოგინში კოტრიალს.

— ვერ მოესწრები... კბილებში ავად გამოცრა ლანამ.

— რას?

— ჩემთან კოტრიალს.

— მაშინ, ვერ შევთანხმდებით... — სკამიდან წამოიწია დვალმა.

— კარგი, კარგი... — დანანების ნიშნად, აკანკალებული ხელები ასწია ლანამ. — რასაც ითხოვ, ყველაფერს მიიღებ ოღონდ, მას შემდეგ, რაც ბავშვს მამას უვნებლად დაუბრუნებ.

— ჩათვალე, რომ უკვე დავუბრუნე, — უთხრა დვალმა, შემდეგ ჯიბიდან მობილური ტელეფონი ამოიღო, სადღაც დარეკა და მოკლე ბრძანება გასცა: — ბავშვი პატრონს მიუყვანეთ!

— ვის ელაპარაკე? — დაინტერესდა ლანა.

— აბა, ამას შენთვის რა მნიშვნელობა აქვს?! — კითხვაზე კითხვითვე უპასუხა დვალმა. — მთავარია, რომ ბავშვი თავისუფალია. ასე რომ, ახლა დანარჩენ საქმეებსაც უნდა მივხედოთ!

— არა, დანარჩენ საქმეებზე მაშინ ვილაპარაკებთ, როცა მამა-შვილი ერთმანეთს ნახავს?

— ნახვით კი ნახავს, მაგრამ ამისთვის სულ მცირე, მამის რაჭაში ჩასვლაა საჭირო. ის უდღეური კი, მგონი, ჯერ შუა გზაში უნდა იყოს...

— ახლავე დავურეკავ ლევანს და ვკითხავ სად არის, — ხელჩანთიდან მობილური ამოიღო ლანამ.

— მოიცა! — შეაჩერა ის დვალმა. — ხომ შეიძლება, რამე იეჭვოს!

— რა უნდა იეჭვოს? — ნომრის აკრეფა მაინც დაიწყო ლანამ. — უბრალოდ, ვკითხავ სად არის, აბა, იმას ხომ არ ვეტყვი, თამუნა უკვე სახლში გელოდება-თქო?.. თუ არავინაც არ ელოდება და მატყუებ? — გამომცდელად ახედ-დახედა მან დვალს.

— ელოდება, ელოდება, დამშვიდდი... — მაჯის საათზე დაიხედა დვალმა. — უკვე ათი წუთია, რაც ბავშვი სახლშია.

— კი, მაგრამ ასე უცბად როგორ დააბრუნეს?

— არც არსად წაუყვანიათ... ყოველ შემთხვევაში, თამუნა ნამდვილად იტყვის, რომ არსად წასულა, უბრალოდ, ბებიების შეშინება მოუნდა და მარანში დაიმალა — ეს არის და ეს... — გემრიელად გაიზმორა დვალმა.

— ესე იგი, ბავშვიც დააშინეთ, ხომ? — გაცეცხლდა ლანა.

— კი არ დავაშინეთ, დავარიგეთ... — სკამზე არხეინად გადაწვა დვალი. — ბავშვი უძახე შენ და ბევრ უფროსზე უფრო გონივრულად და წინდახედულად კი იქცევა... იმიტომ, რომ იცის, თუ ისე არ მოიქცევა, როგორც ბიძიებმა დაარიგეს, მის მოსაძებნად თბილისიდან გიჟივით გამოვარდნილ მამამისს გზაში დიდი პიპია დაეჯახება და...

— გაჩუმდი! — ყურებზე ხელები გამეტებით მიიჭირა ლანამ. — აღარ შემიძლია შენი მოსმენა!

— არადა, აუ, რამდენ ხანს მოგიწევს... — ჩაიქირქილა დვალმა და შემდეგ დაუმატა: — მაშ ასე, მამა-შვილის საქმე გარკვეულია, ახლა ჩვენსასაც მივხედოთ!

— არა? — გააწყვეტინა ლანამ — ჯერ ლევანს უნდა დავურეკო.

— კი, ბატონო, დაურეკე! — დაეთანხმა ქალს დვალი. — მე ის მიკვირს, აქეთ რატომ არ დაგირეკა: ბოლოს და ბოლოს, მისი ნაბიჭვრის გადასარჩენად ამხელა მატერიალური და სულიერი ზარალი გადგება...

— ჯერ კიდევ საკითხავია, საბოლოოდ ვის მეტი ზარალი მიადგება... — ბოღმიანად ჩაილაპარაკა ლანამ და ის იყო, ლევანის ნომერი უნდა აეკრიბა, რომ მისმა მობილურმა დაიწკრიალა.

— მგონი, გეშველა და აქეთ გირეკავს, — უშნოდ გაიკრიჭა დვალმა.

ლანამ დაფიქსირებულ ნომერს დახედა და ყურმილში გახარებულმა ჩასძახა:

— ჰო, ლევან, გისმენ!.. ახალი ხომ არაფერია?

— არის და მერე როგორი?! — გაისმა ყურმილში ლევანის ხალისიანი ხმა. — თამუნა გამოჩნდა.

— მართლა?! — გახარების ნაცვლად, გული უცნაურად ჩასწყდა ლანას. — სად იყო?

— სად იყო და რომ ავალ, ყურები უნდა დავახიო იმ მაიმუნს, — კვლავ ხალისიანად განაგრძო ლევანმა. — მარანში დამალულა: მაინტერესებდა, ბებიები რამდენ ხანში მიპოვიდნენო... იცი, ამ წუთში რა ბედნიერი ვარ?

— ვიცი... — უხალისოდ უპასუხა ლანამ. — მეც ძალიან ბედნიერი ვარ... რაჭაში დიდხანს დარჩები? — დაინტერესდა ის შემდეგ.

— ჯერ არ ვიცი. ბავშვს კი უკვე ველაპარაკე, მაგრამ სანამ საკუთარი თვალით არ ვნახავ, სხვა ვერაფერზე ვიფიქრებ... ისე, იმ პატარა მაიმუნის სისულელის გამო, იმხელა სტრესი მივიღე, რომ ცოტა ხნით სოფელში დარჩენა და დასვენება ნამდვილად არ მაწყენდა. ამასობაში კი, ბებიაშენის ორმოციც მოაწევდა და... ხომ ასეა?..

— კი, ასეა... — დაეთანხმა ლანა.

— შენ რაღაც ისე უხალისოდ მელაპარაკები, თითქოს თამუნას გამოჩენა დიდად არც გაგხარებოდეს... — იწყინა ლევანმა.

— აბა, რას ამბობ?! — შეიცხადა ლანამ. — არ გრცხვენია? უბრალოდ, მეც სტრესი მივიღე და ჯერ ბოლომდე გონსაც ვერ მოვსულვარ...

— მართალი ხარ, — უმალ მოლბა ლევანი. — მეც ისე ვარ არეული, რომ საჭეს ძლივსღა ვატრიალებ...

— გაგიუდი? — გააწყვეტინა ლანამ. — თავს გაუფრთხილდი! შენს შვილს ცოცხალი მამა სჭირდება!

— და ცოცხალი და ცინცხალი დედიკო — შენი სახით... — დაუმატა ლევანმა. — ხომ გაუწევ ჩემს შვილს დედობას?

— მე-ე?.. — დაიბნა ლანა. — ჯერ არ ვიცი...

— რა არ იცი? — გაუკვირდა ლევანს. — კიდევ რამეზე ხომ არ მებუტები?

— არა, მაგრამ საბოლოოდ მაინც ბებიაჩემის ორმოცის შემდეგ გადავწყვიტოთ ყველაფერი, კარგი?

— კარგი, კარგი... ოღონდ იცოდე, მე და თამუნა დიდხანს აღარ გვალოდინო...

— თამუნა რაღა შუაშია?.. — შეკრთა ლანა. — ბავშვს ჩემზე ხომ არაფერი უთხარი?

— ჯერ არა, მაგრამ მტკიცედ გადავწყვიტე, რომ ვნახავ, აუცილებლად უნდა ვუთხრა.

— არა, არა, ჯერ არ არის საჭირო! — ხმას აუწია განერვიულებულმა ლანამ.

— ნუ ბავშვობ, რა!.. — მაინც თავისას განაგრძობდა ლევანი. — თამუნა ისედაც ყველაფერს ხვდება და ერთი სული აქვს, დარწმუნდეს, რომ შენ ნამდვილად ის დეიდა ლანა ხარ, რაჭის გზაზე რომ გაიცნო... ასე რომ, მოემზადე?.. გასაგებია?

— გასაგებია... — ძლივსღა ამოილუღლუღა ლანამ.

— ახლა კი — დროებით! უნდა დაგემშვიდობო, თორემ თამუნა ალბათ, ტელეფონზე კიდია და ძალიან უკვირს, ამდენ ხანს ვის ველაპარაკები...

ლევანთან დამშვიდობების შემდეგ ლანამ ტელეფონი გამორთო, ჩანთაში შეინახა და თავი უმწეოდ ჩაქინდრა.

— ხომ მშვიდობაა? — ჰკითხა მას დვალმა.

— გააჩნია, შენ რას ეძახი მშვიდობას... — თავი არ აუღია, ისე უპასუხა ლანამ.

— შენც მართალი ხარ... — უპასუხა დვალმა. — მშვიდობაზე მე ჩემი, განსაკუთრებული წარმოდგენა მაქვს, მაგრამ ფილოსოფოსობა — სხვა დროს, ახლა კი კონკრეტულ საქმეებს მივხედოთ!

— გისმენ! — თავი ასწია ლანამ. — მითხარი, მე რა უნდა გავაკეთო?

— ჯერჯერობით — ბევრი არაფერი... — საქმიანად დაიწყო დვალმა. — უბრალოდ, როცა ბებიაშენის ორმოცზე ამოსული თბილისელი ნოტარიუსი ყველა შენი ახლობლის თანდასწრებით, ბებიაშენის ანდერძს წაიკითხავს, ადგები და იტყვი, რომ ჩემზე გათხოვებას აპირებ და ამდენად, ყველაფერი, რაც ბებიისგან გერგო, მეც მეკუთვნის. დანარჩენს უკვე მე და შენ ერთმანეთში გავარკვევთ და ალბათ, შევთანხმდებით კიდეც...

— გამოდის, რომ ამ წუთში ჩემგან არაფერს ითხოვ, ხომ? — გაუკვირდა ლანას.

— ნამდვილად არაფერს, — დაუდასტურა დვალმა.

— მერედა არ გეშინია, რომ პირი გიშალო?..

— არ მეშინია... იმიტომ, რომ თუ ჭკუით არ მოიქცევი, იქით შეშინდები და თანაც, ისე მწარედ, რომ სიკვდილს ინატრებ...

— რას გეტყვი, იცი?.. — გაღიზიანდა ლანა. — ძალიანაც ნუ მემუქრები!

— მაშინ, ნურც შენ აურევ ძალიან!

— კარგი, — დაეთანხმა ლანა. — არ ავურევ, ოღონდ — ერთი პირობით...

— გისმენ. მითხარი, — რა პირობაა.

— რა და, თუ გინდა, ყველაფერი ისე მოხდეს, როგორც შენ დაგეგმე, ბებიაჩემის ორმოცზე საერთოდ არ უნდა გამოჩნდე!

— რა პრობლემაა?! არ გამოვჩნდები, — დაეთანხმა დვალი. — ხომ არ გგონია, რომ ძალიან მეხალისება გასვენებესა და ორმოცებში სიარული?.. კიდევ არის რამე პრობლემა?

— შენ თავად ხარ ჩემი ყველაზე დიდი პრობლემა, მაგრამ ალბათ, ამას აღარაფერი ეშველება... — დარდიანად ჩაილაპარაკა ლანამ და თავი ჩაქინდრა.

— გინდა, ცოტა ხნით მაინც ჩამოგშორდეს ეგ პრობლემა? — აგდებულად ჰკითხა დვალმა.

— რა თქმა უნდა.

— მაშინ მე წავედი, — ფეხზე სწრაფად წამოდგა დვალი და სანამ ლანა თავს ასწევდა, უკვე უკვალოდაც გაქრა...

ლანას დაჟინებული თხოვნის შემდეგ, ქეთოს ორმოცზე ლევანი თამუნას გარეშე ამოვიდა. სასაფლაოდან მობრუნებული ჭირისუფლები თბილისიდან საგანგებოდ ჩამოსულმა ნოტარიუსმა ციცინო მჭედლიშვილმა ცალკე ოთახში გაიხმო და ქეთოს ანდერძის ტექსტი გააცნო. თავიდან ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა და შეკრებილებმა ერთმანეთს გამომცდელად გადახედეს. შემდეგ, ყველას გოგამ დაასწრო და დაიწყო:

„მალადეც“, ქეთო!.. რავა კარქათ მოუფიქრებია ყოლიფერი...

— შენ რა გენაღვლება, ძმაო, მე ვიკითხო... — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა რეზომ და ფეხზე წამოდგა. მას მაკაც მაშინვე მიჰყვა.

— ჰა, ახლა! — რეზოს ბურტყუნი არად ჩააგდო გოგამ. — მაღარიჩს ვინ კისრულობს?

— ნეტავ, ვის ეკითხები?! — კიდევ უფრო გაღიზიანდა რეზო. — პირველ რიგში, შენ თვითონ გაქვს საქმე სამაღარიჩოდ...

— რავა, ვითამ, მამიდაჩემი და ლანაუკა კი დაჩაგრა ქეთომ თუ რა?..

ერთს — სახლ-კარი, მეორეს — საქმე და სახელი..

— კარგი ახლა, მორჩით სისულელეებს! — შვილს და ძმისშვილს ერთდროულად ჩააკმენდინა ხმა თამარმა. — ხომ არ გავიწყდებათ, რომ ბებიის ორმოცი გაქვთ და გარეთ, სუფრასთან, მთელი სოფელი გველოდება?

— მაგას რა დამავიწყებს, შე ქალო?! — სასწრაფოდ ფეხზე წამოხტა გოგა. — რაც მე გუშინ და გუშინწინ ქალებმა შეშის ჩეხით და წყლის ზიდვით წელში გამწყვიტეს!..

— ჰოდა, ბარემ მადლს მარილი მოაყარე, გადი და ხალხს მოემსახურე! — კარისკენ ანიშნა ძმისშვილს თამარმა.

— რეზოუკაც წამომყვეს და კი, ბატონო! — ადგილიდან ფეხი მაინც არ მოიცვალა გოგამ.

— დამშვიდდი, ყველანი მოვდივართ, — ფეხზე წამოდგა თამარი და ნოტარიუსს მიუახლოვდა: — ქალბატონო ციცინო, ყველაფრისთვის დიდი მადლობა, ახლა კი, სუფრასთან მობრძანდით...

ლანას დიდი მცდელობის მიუხედავად, ის და ლევანი სუფრასთან მაინც გვერდიგვერდ აღმოჩნდნენ.

— დღეს რაღაც არ მომწონხარ, — ხმადაბლა გადაულაპარაკა ქალს ლევანმა. — მოხდა რამე?

— მოხდა... — უხალისოდ უპასუხა ლანამ.

— არ მეტყვი, რა?

— აუცილებლად, ოღონდ — ამ სუფრის შემდეგ.

— ამ სუფრის დასრულების შემდეგ, მეც მაქვს შენთვის, უფრო ზუსტად კი — ყველა შენი ახლობლისთვის მნიშვნელოვანი სათქმელი.

— ვიცი... ოღონდ, პირველი მე ვიტყვი, კარგი?.. — სთხოვა ლანამ.

— თუ ჩვენს დაქორწინებაზე აპირებ რამის თქმას, იცოდე, რომ არ დაგანებებ... წესი — წესია და ასეთ საქმეში ქალი კაცს წინ არ უნდა გადაუხტეს!

— არა, — ამოიოხრა ლანამ, — სულ სხვა რამის თქმას ვაპირებ.

— კარგი, მაშინ დაგითმობ, — გაკვირვებით შეათვალიერა ის ლევანმა.

სუფრა მალევე აიშალა და რამდენიმე გამოუსწორებელი ლოთის გარდა, ყველა წავიდ-წამოვიდა. მოგვიანებით, თამარმა ციცინო მჭედლიშვილი ერთ-ერთ შორეულ ნათესავს ჩაუსვა მანქანაში და თბილისში გააყოლა, ლოთებს ცოლებმა მოაკითხეს, წინ ბუზღუნ-ბუზღუნით გაიგდეს და ბოლოს და ბოლოს, სუფრასთან მხოლოდ ახლობლებიღა დარჩნენ. მათ შორის იყო ლევანიც, რომელსაც უკვე ყველა სიძედ მიიჩნევდა. სუფრას შალიკო თამადობდა. რამდენიმე აუცილებელი სადღეგრძელოს შემდეგ, მან ერთი საქმიანად ჩაახველა და დაიწყო:

— ახლა კი, ჩვენს ლანაუკას და მის საქმროს გოუმარჯოს!

— ჩვენებურათ, თქვი, შე კაცო, ჩვენს სიძე-პატარძალს-თქო-! — გაუსწორა მამას გოგამ

— შენ გაჩუმდი! — თვალები გადაუბრიალა გვარიანად გამომთვრალ შვილს შალიკომ. — სიძე-პატარძალი, რომ დაქორწინდებიან, მერე გახთებიან, ახლა კი საქმრო დ საცოლე არიან... იცოცხლეთ, შვილებო! — ისევ ლანას და ლევანს მიუბრუნდა ის. — მზე და მთვარესავით შეაბერდით ერთმანეთს!..

— მას შემდეგ, რაც წყვილი ყველამ დალოცა და ჯერი სამადლობელზე მიდგა, პირველი ფეხზე ლანა წამოდგა.

— ე, ბიჯო, ლევანა, არ დოუთმო! — აყვირდა გოგა — თუ არა, აქედანვე თავზე წამოგაჯდება!

— ამ ერთხელ, ჩემო გოგა, — გაეღიმა ლევანს. — მხოლოდ ამ ერთხელ...

ლანამ ლევანს სიტყვის დასრულება აცალა, შემდეგ შეკრებილთ თვალი სევდიანად მოავლო და ჩამქრალი ხმით ჩაილაპარაკა — მაპატიეთ, მაგრამ აქ რაღაც გაუგებრობასთან უნდა გვქონდეს საქმე... მე ლევანს კი არა, ნიკოლოზ დვალს მივყვები ცოლად...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

„ლუზიტანიის“ უკანასკნელი რეისი



დასაწყისი იხ. „გზა“ №17

1915 წლის 30 აპრილს, ბრიტანული ლაინერი — „ლუზიტანია“ ნიუიორკის ნავსაყუდელში იდგა. კაპიტანი, ოფიცრები და მგზავრები, მოახლოებულ უბედურებას ვერ გრძნობდნენ. გაგანია ომში, გერმანული სუბმარინები ინგლისურ გემებზე ნადირობდნენ... სანაპიროზე ფოსტალიონი გამოჩნდა, რომელმაც მილიონერ ვანდერბილტს კონვერტი გადასცა. ვანდერბილტმა კონვერტი გახსნა. წერილი ჯერ ჩუმად წაიკითხა, შემდეგ კი, ხმამაღლა: „სარწმუნო წყაროებიდან ცნობილი გახდა, რომ „ლუზიტანიას“ ტორპედოებით შეუტევენ. გამგზავრება დაუყოვნებლივ უნდა გადადოთ. ხელმოწერა: „სიკვდილი“.

„ლუზიტანიის“ მგზავრები ჩაჩუმდნენ, მაგრამ სიჩუმე დიდხანს აღარ გაგრძელებულა. მათთან მეორე ფოსტალიონი მივიდა, მეორეს მესამე მოჰყვა, მესამეს — მეოთხე, დაბოლოს, ცნობილ პროვინციათა უმრავლესობამ მსგავსი შინაარსის წერილი მიიღო, მაგრამ ისინი ამ წერილებს არ შეუშინებია — აყაყანებულმა მგზავრებმა ტრაპს მიაშურეს, ნაპირზე არც ერთი მათგანი არ დარჩენილა. „ლუზიტანია“ ზღვაში ზუსტად დათქმულ დროს გავიდა და თან, 1257 მგზავრი გაიყოლა.

...ხომალდი იმ ადგილებს უახლოვდება, სადაც კაიზერის წყალქვეშა ნავები პატრულირებენ, ამიტომ კაპიტანმა სიფრთხილის ზომები გაამკაცრა. ირლანდიის ზურმუხტოვანი ნაპირების გამოჩენამ, მგზავრთა მღელვარებას ბოლო მოუღო. „ლუზიტანია“ მალე ლივერპულის ნავსადგურში შევა...

მესამე კლასის გემბანზე, ელიზაბეტ დაკვორტი 3 წლის ბიჭუნას თვალყურს ადევნებს (ბავშვის დედა ქერათმიან კანადელ ჭაბუკთან ერთად, სასეირნოდ წავიდა), ალფრედ ვანდერბილტი და მის მერტი, ჩარლზ ფრომანს ესაუბრებიან, კაპიტანი კი, ხომალდის კურსს განსაზღვრავს. კედლის საათი 2 საათსა და 10 წუთს უჩვენებს. ამ დროს, მეზღვაური ლესლი მორტონის ხმა გაისმა: „მარჯვენა ბორტთან ტორპედოა!“ V-20-ის სატორპედო აპარატმა, „ყვითელი ბერტა“ გამოტყორცნა. ალფრედ ვანდერბილტმა თავბრუდამხვევი სისწრაფით მოახლოებული ქაფიანი ბილიკი დაინახა და იგრძნო, რომ მის ფეხქვეშ გემბანი შეირყა. კაპიტანმა მანევრის ჩატარება სცადა, მაგრამ უკვე გვიან იყო. „ლუზიტანიის“ მარჯვენა ბორტთან „ყვითელი ბერტას“ შეჯახების შედეგად, 150 კგ ტროტილი აფეთქდა. კაპიტანმა შვიგერმა საბორტო ჟურნალში შემდეგი ჩანაწერი გააკეთა: „უჩვეულოდ ძლიერ დეტონაციას, უდიდესი კვალის ღრუბელიც ახლავს. როგორც ჩანს, ტორპედოს აფეთქებას მეორე აფეთქებაც დაემატა. მოხვედრის ადგილას, კაპიტნის ჯიხური და სხვა ნაგებობანი შუაზე გაიპო. ხომალდი მაშინვე გაჩერდა, მარჯვენა მხარეს გადაიხარა და ცხვირით იძირება...“

შვიგერმა „ელვარე მარიას“ მომზადების ბრძანება გასცა.

გრუხუნი, ყვირილი, ავეჯის მსხვრევის ხმა ერთმანეთში აირია. გემბანზე სრული ქაოსი სუფევს. ფილოლოგიის პროფესორი, რომელიც ამავე დროს, საზღვაო საქმეში ჩახედულიც აღმოჩნდა, მომკივან ქალბატონებს აწყნარებს, არწმუნებს, რომ საშიში არაფერია: „ლუზიტანია“ უსაფრთხოების უახლესი მოთხოვნების გათვალისწინებით აგებული ხომალდია, ტორპედო მისი წყალგაუმტარი კედლების დაზიანებას ვერ შეძლებს. კაპიტანი ხომალდს სულ მალე გაასწორებს...“

როგორც კი ხომალდს ტორპედო მოხვდა, კაპიტანმა ტერნერმა ყველა წყალგაუმტარი კარის გადაკეტვის ბრძანება გასცა, თავად კი, პოსტზე დარჩა და ინდიკატორებს ადევნებს თვალყურს. ორიოდ წამში მეორე, კიდევ უფრო მძლავრი აფეთქების ხმა გაისმა. ინდიკატორების ისრები შლეგიანივით ამოძრავდნენ. ვენტილატორებიდან კვამლი და ქვანახშირის მტვერი გამოდის. ხომალდი გვერდზე გადაიხარა. გემბანიდან ქალების კივილის ხმა ისმის. ხალხი კაიუტებს მიაწყდა — იქ ხომ სამაშველო ჟილეტები ეგულებათ! ზოგიერთები სამაშველი კანჯოებისკენ გარბიან. გემბანზე შიშისაგან თავზარდაცემული, ზანგებივით გაშავებული ცეცხლფარეშები გამოცვივდნენ. საქვაბეები უკვე წყლით გაივსო. გემის ცხვირი წყალში ჩაიძირა, კიჩო მაღლა აიწია და სახელურებს ჩაბღაუჭებული მგზავრები ზევით, კიჩოსკენ მიბობღავენ. კანჯოები გვერდზე გადაყირავდა, მეზღვაურები მათ ზღვაში ჩაშ-



„ლუზიტანიის“ 1257 მგზავრიდან და ეკიპაჟიდან მხოლოდ 761 ადამიანი გადარჩა

ინტიმური ტელეფონი

822-006-008
822-006-088
822-006-108

(ზარი ფასიანია)
18 წლიდან

ვებას ვერ ახერხებენ. ხოლო ის კანჯოები, რომელთა ზღვაში ჩაშვება მაინც მოხერხდა, წყლის ზედაპირთან შეხებისთანავე ყირავდებიან, რადგან თითოეული მათგანი ხალხითაა გადავსებული.

ჰორიზონტზე ნაპირი მოჩანს. კაპიტანი „ლუზიტანიას“ ირლანდიის სანაპიროსკენ მიმართავს. უზარმაზარი ხრახნები წყალს ამაოდ აქაფებენ — ლაინერი ღია ზღვისკენ შებრუნდა... ავეჯის და ჭურჭლის მსხვრევის ხმა, მეზღვაურთა ყვირილი, ბავშვების ტირილი და წყევლა-კრულვა გრძელდება... კაპიტან-ადმინისტრატორი ანდერსონი რევოლვერით ხელში წესრიგის დამყარებას ცდილობს, მაგრამ ბრბო მასაც ისევე ქელავს, როგორც ყველაფერს, რაც წინ ეღობება. ალფრედ ვანდერბილტი საკუთარი თვალით ხედავს, როგორ ვარდება ბორტს მიღმა მის მერტი და მუქ, ტყვიისფერ ტალღებში უჩინარდება, მაგრამ მას საყვარელი ქალის გადარჩენა არ შეუძლია: მილიონერ სპორტსმენს მრავალ დოღსა და კრივის ჩემპიონატში გაუმარჯვია, მაგრამ ცურვა არ იცის!

ვანდერბილტმა საკუთარი სამაშველო ჟილეტი, პანიკაში ჩავარდნილ ქალბატონს გადასცა, კანჯოში ჩასვა და მსახურს ქალის და მისი ბავშვების დახმარება დაავალა, შემდეგ ბრბოში გაუჩინარდა. ამის შემდეგ მისთვის თვალი არავის მოუკრავს. ერთნი ამბობენ, რომ მილიონერმა სიკვდილთან შეხვედრა კომფორტულ გარემოში ამჯობინა და კაიუტაში დაბრუნდა. თავისი ჟილეტი, პროდიუსერმა ფრომანმაც სხვას დაუთმო — მისი ართრიტი ცივ წყალში დიდხანს ყოფნას ვერ გაუძლებდა.

ხომალდზე მყოფი 129 ბავშვიდან 94 დაიღუპა

2 საათსა და 20 წუთზე, კაპიტანმა შვიგერმა ჟურნალში მორიგი ჩანაწერი გააკეთა: „ბორტზე დაბნეულობა სუფევს. ხალხით გადატენილი კანჯოები წყალში ცხვირით ან კიჩოთი ჩაუშვეს, ამიტომ, ნავები მაშინვე წყლით აივსო და ჩაიძირა. საცაა ხომალდიც ჩაიძირება. წყალში 24 მეტრის სიღრმეზე ჩავეშვით. დასაღუპავად განწირული ხალხის მიმართულებით მეორე ტორპედოს გაშვება ვერ შევძელი“.

„ლუზიტანიის“ დაღუპვამდე, რამდენიმე წუთი იყო დარჩენილი. პანიკა სულ უფრო იზრდებოდა. ხალხი ტანსაცმელს იხდიდა და წყალში ხტებოდა. ცნობილი ნიუ-ორკელი ბიზნესმენი ცოლს სამოსს მეთოდურად ხდის. როდესაც ქალი პანტალონების ამარა დარჩა, სამაშველო ჟილეტი ჩააცვა, წყალში გადააგდო და თავადაც უკან მიჰყვა. ტერნერი ხალხს ადგილებზე დარჩენას სთხოვდა: „საშიში არაფერია, მადამ, სამანქანო განყოფილებიდან ზუსტი ცნობები მომაწოდეს. ხომალდი მალე გასწორდება“. ახალგაზრდა რადისტი სამუშაო ადგილს წუთითაც არ ტოვებს, „SOS“-ს მანამდე გადასცემს, სანამ ელექტროენერგია არ გაითიშება. ის გემები, რომლებმაც უბედურების სიგნალი მიიღეს, კურსს იცვლიან და „ლუზიტანიის“ მგზავრების გადასარჩენად მიეშურებიან, მაგრამ უფრო ახლოს, სხვა მხსნელები არიან: ნაპირზე კარგად ჩანს, თუ რა ხდება „ლუზიტანიაზე“. ადგილობრივმა მებადურებმა ბარკასები წყალში უკვე ჩაუშვეს.

მარი დე პაუიც წყალში გადაეშვა. გადარჩენილთა სიებში მისი გვარი არსად ფიგურირებს. ბიზნესმენ პლემანდონს კი, გაუმართლა, ის დახრჩობას ერთ-ერთი კანჯოს მგზავრებმა გადაარჩინეს. პროდიუსერმა ფრომანმა გადაწყვიტა, სიკვდილს ღირსეულად შეხვდეს — გემბანზე სეირნობს და სიგარას აბოლებს. მის მერტმა შეშინებაც კი ვერ მოასწრო, ფსკერისკენ ქვასავით ჩაეშვა და მხოლოდ მაშინღა გაახსენდა ცურვის ის გაკვეთილები, რომელსაც კეთილშობილ ქალთა დახურულ სკოლაში უტარებდნენ — ზევით, სულ ზევით, იქით, სადაც წყლის მწვანე ზედაპირი და სინათლის სხივი მოჩანს! რადაც არ უნდა დაუჯდეს, უნდა ამოყვინთოს, ფეხსაცმელები და გრძელი ქვედაბოლო გაიხადოს, „ლუზიტანიას“ რაც შეიძლება შორს გაეცალოს და წყლის ზედაპირზე მოტივტივე ნიჩბის ნამტვრევს ჩაებღაუჭოს... მის მერტი ნიჩაბს ჩაებღაუჭა, ირგვლივ მიმოიხედა და შემზარავი სურათის მოწმე გახდა: წყალში, მისგან ერთი მეტრის მოშორებით ქალი მშობიაროობდა, დახრჩობისაგან მშობიარეს ჟილეტი იცავდა. ხალხი ხომალდიდან პანტაპუნტით ცვიოდა, კანჯოები ყირავდებოდა. „ლუზიტანია“ წუთით გაირინდა, შემდეგ, ვერტიკალური მდგომარეობა მიიღო, გვერდზე გადაწვა, ფსკერისკენ დაეშვა და თან გაიყოლა ყველა და ყველაფერი, რაც მის მორევში მოხვდა: მამაკაცი საკვამლე მილმა შეიწოვა. ხომალდის წყალში გაუჩინარებიდან ერთი წუთის შემდეგ, მილიდან ამოსულმა წყლის ნაკადმა გაჭვარტლული, შიშისგან სიგიჟის ზღვარზე მისული ადამიანი წყლიდან ამოტყორცნა. ჩალის სავარძელს ჩაბღაუჭებული კაპიტანი ტერნერი, წყლის ზედაპირზე ტივტივებს. მის გვერდით, ვანდერბილტის ძველი ნაცნობი, იტალიელი გრაფი მიცურავს. მის მერტს მოეჩვენა, რომ იტალიელი გაგიჟდა: ზურგზე მოცურავე გრაფი იღიმებოდა და ვერდის უკვდავი ოპერიდან — „აიდა“ არიებს მღეროდა.

„ლუზიტანიის“ მარჯვენა ბორტთან „ყვითელი ბერგას“ შეჯახების შედეგად, 150 კგ ტროტილი აფეთქდა

მის მერტი იმ კანჯომ აიყვანა, სადაც განკარგულებებს შუახნის ქალბატონი იძლეოდა. ის მოგვიანებით შეიტყობს, რომ მას ელიზაბეტ დაკვორტი ჰქვია და რომ გადარჩენას, სწორედ ამ ქალბატონს უნდა უმადლოდეს. ტრაგიკულ წუთებში მისის დაკვორტი კანჯოში ჩახტა. მის შემატებას მგზავრები სიხარულით არ შეხვედრიან, მაგრამ მისი მტკიცე ხელი, იქ მყოფებმა მალევე იგრძნეს. მეზღვაურებმა ნიჩბები მოუსვეს და გეზი ნაპირისკენ აიღეს, მაგრამ ელიზაბეტის დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ, კურსი შეცვალეს, დასაღუპავად განწირული ხალხის გარშემო ცურვა დაიწყეს და ნაპირისაკენ მხოლოდ მაშინ გაცურეს, როდესაც კანჯო ხალხით გაივსო. კანჯო კუინსტაუნიდან მათ საშველად მოსულმა გემმა ბუქსირზე აიყვანა. მოგვიანებით, მეზღვაურები ვერაფრით ხსნიდნენ, თუ რატომ დაემორჩილნენ უცნობ ქალბატონს და თავის გადარჩენის ნაცვლად, „ლუზიტანიის“ დაღუპვის ადგილზე მიბრუნდნენ. მის მერტი გონს ბუქსირის გემბანზე მოეგო. ახალგაზრდა ქალი წამოჯდა და აქვითინდა: ბოლოს და ბოლოს გააცნობიერა, რომ ამიერიდან შეყვარებულს ვეღარასოდეს ნახავდა.

„ლუზიტანიის“ დასახმარებლად სხვადასხვა მხრიდან წამოსული დიდი ხომალდები უკან გაბრუნდნენ, რადგან, რადიოთი გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ შორიახლოს წყალქვეშა ნავი შეამჩნიეს. კატასტროფის ადგილზე არც სამხედრო ხომალდები გამოჩენილან. 762 ადამიანი იმ მებადურებმა და პაწია გემების კაპიტნებმა გადაარჩინეს, რომლებიც ტორპედოებს არ შეუშინდნენ.

გაგრძელება იხ. გვ. 72

მსოფლიო ჩემპიონატი – ურუგვაიდან გერმანიამდე

ფეოლას გასაჭირი და ინგლისელთა პირველი გაჩემპიონება

1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩილეში ჩატარება, ფიფა-ს მხრიდან ცოტა არ იყოს უცნაური გადაწყვეტილება იყო. ამ ქვეყნის ნაკრებს მანამდე, თავი არაფრით გამოუჩენია. გარდა ამისა, ჩილე ეკონომიკურ კრიზისში იმყოფებოდა, პოლიტიკური ვითარებაც უკვე მაშინ, პინოჩეტის მიერ მოწყობილ სამხედრო გადატრიალებამდე 11 წლით ადრე, მეტისმეტად არასტაბილური გახლდათ. რა თქმა უნდა, ასეთ ვითარებაში მუნდიალის მასპინძლობის უფლების მოპოვება, არცთუ ისე იოლი უნდა ყოფილიყო, თუმცა, ჩილეს ფეხბურთის ფედერაციის თავკაცმა, კარლოს დიტბორნ პინტომ ეს მაინც მოახერხა.

როდესაც 1956 წლის 10 ივნისს, ფიფა-ს კონგრესზე ტურნირის ჩილეში ჩატარების გადაწყვეტილება მიიღეს, გერმანული წარმომავლობის პინტო მხოლოდ 32 წლის იყო. მიუხედავად ამისა, მან თითქმის მარტომ გადაწყვიტა საორგანიზაციო საკითხები.

ფინალური მატჩის დაწყებამდე

1960 წელს ჩილეში მომხდარი დიდი მიწისძვრის შემდეგ, ფიფა-ში, მსოფლიო ჩემპიონატის სხვა ქვეყანაში გამართვის შესახებ დასვეს საკითხი. „დაგვიტოვეთ მსოფლიო ჩემპიონატი მაინც — მის გარეშე ხომ აღარაფერი დაგვრჩენია!“ — უთქვამს შეშფოთებულ დიტბორნს, რომლის ეს ისტორიული ფრაზაც მოგვიანებით, სანტიაგოს სტადიონის ტრიბუნაზე გამოსახეს. სამწუხაროდ, თავად დიტბორნი, მძიმე სენის გამო, ტურნირის დაწყებამდე ერთი თვით ადრე გარდაიცვალა.

ჩილეში ჩატარებული მსოფლიო ჩემპიონატის არაერთი მატჩი (განსაკუთრებით, საწყის ეტაპზე) მეტისმეტი უხეშობით (და თუ გნებავთ, სისასტიკითაც კი) გამოირჩეოდა. ამის გამო, ბევრმა ფეხბურთელმა ტრავმა მიიღო, ბევრიც მოედნიდან გაძევეს. უფრო ზუსტად, მსაჯებს 7-ჯერ დასჭირდათ წითელი ბარათის გამოყენება. მათ უფრო მეტი პრინციპულობა რომ გამოეჩინათ, ეს ციფრი კიდევ გაიზრდებოდა. მაგალითად, იტალიისა და ჩილეს ნაკრებთა დაპირისპირებისას მომხდარი ჩხუბის შემდეგ, ინგლისელმა არბიტრმა, ასტონმა მოედნიდან მხოლოდ ევროპული გუნდის წარმომადგენელი, ფერინი გაძევა.



გასარებული ინგლისელები „ნიკეს ქალღმერთით“ ხელში

ფინალური მატჩის წინ, ბრაზილიელთა ბანაკი დიდმა მღელვარებამ მოიცვა: დისკვალიფიკაციის გამო, გარინჩას თამაშის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა. ბრაზილიის პრემიერ-მინისტრი ფიფა-ს სამსაჯო კომიტეტს ტელეგრამას ტელეგრამაზე უგზავნიდა და მისგან გადაწყვეტილების შეცვლას მოითხოვდა. მართლაც, ფიფა-მ პოლიტიკოსისაგან ასეთ ზეწოლას ვერ გაუძლო და დათმობაზე წავიდა: გარინჩა მატჩზე დაუშვეს. მოვლენების ასეთი განვითარებით გაგულისებულმა ჩილელებმაც მოითხოვეს, რომ მათი ერთი მოთამაშისთვის მაინც მოეხსნათ დისკვალიფიკაცია. იუგოსლავიელთათვის საუბედუროდ, როხასი შეიწყალეს. სწორედ მან, მესამე ადგილისთვის გამართული მატჩის ბოლო წუთებზე, იუგოსლავიის ნაკრების კარში გაიტანა გოლი, რომლის წყალობითაც, მასპინძლები ბრინჯაოს მედლებს დაეუფლნენ.

ფინალში ბრაზილიელები ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს დაუპირისპირდნენ. მატჩს საბჭოთა არბიტრი, ნიკოლაი ლატიშევი სჯიდა, რომელიც ტურნირის საუკეთესო მსაჯად აღიარეს. ისევე, როგორც 4 წლით ადრე, ამჯერადაც ბრაზილიის გუნდმა პირველმა გაუშვა გოლი, მაგრამ სულ მალე, სამხრეთამერიკელებმა 3 ბურთი გაიტანეს აღმოსავლეთევროპელთა კარში (3:1) და ზედიზედ მეორედ მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონის ტიტული.

მსოფლიო ჩემპიონი ინგლისის ნაკრები

ფინალურ ტურნირში, რომელიც 30 მაისიდან 17 ივნისამდე მიმდინარეობდა, 16 გუნდი მონაწილეობდა. გუნდები 4 ქვეჯგუფად იყვნენ დაყოფილნი, სადაც წრიული სისტემით თამაშობდნენ. ჯგუფებიდან ორ-ორი საუკეთესო ნაკრები მეოთხედფინალში გადიოდა და ოლიმპიური სისტემით აგრძელებდა ასპარეზობას.

გაიმართა 32 მატჩი. დაესწრო 776000 მაყურებელი (საშუალოდ, 24250 თითო შეხვედრას).

გავიდა 89 გოლი (საშუალოდ, 2,78 თითო შეხვედრაში).

1962 წლის მსოფლიო ჩემპიონატში მსაჯებმა 6-ჯერ გამოიყენეს წითელი ბარათი, თანაც ეს მხოლოდ ორ მატჩში მოხდა: იუგოსლავია-ურუგვაისა და ბრაზილია-ჩილეს წყვილებში მეტოქეებმა 10-10 მოთამაშით დაასრულეს პაექრობები. იტალიელთა და მასპინძელთა დაპირისპირებისას კი, ევროპელები უკვე პირველსავე ტაიმში დარჩნენ 9 ფეხბურთელის ამარა.

ბრაზილიის ნაკრებმა ფინალურ ტურნირში სულ 12 მოთამაშე გამოიყენა. 5 მათგანი „ბოტაფოგოს“ წარმომადგენელი იყო, ხოლო 4 ფეხბურთელი, მათ შორის პელეც, „სანტოსის“ ღირსებას იცავდა.

იმის გამო, რომ ტურნირში ყველაზე მეტი — 4 გოლი 6-მა ფეხბურთელმა გაიტანა, საუკეთესო ბომბარდირი კენჭისყრის შედეგად გამოავლინეს. მონეტამ ბრაზილიელ გარინჩას „გაუღიმა“. ამასთან, პირველად, საუკეთესო ბომბარდირთა შორის, საბჭოთა ფეხბურთელი, ვალენტინ ივანოვი მოხვდა. ■

რუბრიკა მოამზადა ალექსი რეხვიაშვილმა

ირაკლი ლომაია: ხშირ შემთხვევაში წარუმატებლობის მიზეზი აურის დაბინძურებაა

ცნობილი მკურნალი, ექსტრასენსი და შემლოცველი ირაკლი ლომაია, რომელსაც 17 წლის ასაკში სხეულზე ჯვრები გამოესახა და მირონი გადმოსდინდა, 2000 წელს მთელმა საქართველომ გაიცნო. მისი ფენომენით უცხოელებიც დაინტერესდნენ და საგანგებოდ მიიწვიეს იტალიაში, გერმანასა და ავსტრიაში. ირაკლი ლომაიას სამკურნალო ენერგია და ხილვაში ნასწავლი რეცეპტებით დამზადებული წამლები დადებითად მოქმედებს ფსიქიკურად დაავადებულებსა და ეპილეფსიანებზე. ლოგინად ჩავარდნილები ფეხზე წამოაყენა, უამრავი ადამიანი ემადლიერება, საიდან აღარ ჩამოდიან მასთან დახმარების სათხოვნელად. ირაკლის ოფისში მუდამ ცოცხალი რიგია. მას ხშირად აკითხავენ ბიზნესმენები და მაღალჩინოსნები. იგი ხილვებით უკავშირდება გარდაცვლილთა სულებს, ხედავს აურის დაბინძურებას და ბიოველს ენერგეტიკული მეთოდით ასუფთავებს, ხსნის თვალს, ჯადოს, საგვარეულო წყევლას, ახდენს დამძიმებული კარმის კორექციას.

— **ირაკლი, მკითხველებს აინტერესებთ თქვენი ონკოპრეპარატი** Extra longlaibi.

— არაჩვეულებრივი შედეგები მივიღეთ, ძალიან კმაყოფილი ვარ. სამწუხაროდ, ლაბორატორია არა მაქვს, რომ ადგილზე დავამზადო. ამჟამად წამალი თურქეთის ონკოლაბორატორიაშია გაგზავნილი, რათა ლიცენზიის სერტიფიკატი მიიღოს და ერთჯერადი ნემსების სახით მოხდეს მისი დაფასოება. არაჩვეულებრივი ონკოწამალია, არ მეშინია ამის ხმამაღლა თქმის. ვინც მიიღო, ყველა გადარჩა, ხანგრძლივი რემისია აქვს.

— **რა ჯდება თქვენთან დიაგნოსტიკა და ორგანიზმის უარყოფითი ენერგიისგან გასუფთავება?**

— დავაფუძნე შპს. ვაფიქსირებ და ვიხდი ყველა შემოსავალს. ლიცენზირებული სპეციალისტი ვარ, პროფესიით ექიმი. გამოლოცვა ანუ უარყოფითი ენერგიისგან ადამიანის აურის გაწმენდა 60 ლარი ჯდება. ამ თანხაში დიაგნოზის დასმაც შედის. თუ ერთი კურსი საკმარისი არ აღმოჩნდება და საჭირო გახდება გამეორება, პაციენტი შესაბამისად დამატებით საფასურს გადაიხდის. თუ 3 დღეში, დიაგნოზის დასმის შემდეგ, აღმოჩნდება, რომ ავადმყოფის ორგანიზმი ენერგეტიკული მეთოდით მკურნალობას არ ექვემდებარება, გადახდილი თანხის 80% უკან დაუბრუნდება, 20%-ს დატოვებს დიაგნოზის დასმისთვის და გადასახადის გასასტუმრებლად.

— **მკურნალობა რა ჯდება?**

— 125 ლარი. ამაში შედის ჩემ მიერ დამზადებული წამლები, მალამოები და სპეციალური სეანსები, რომელთა ჩასატარებლადაც, სამკურნალო ენერგიას ვიყენებ. საერთო ჯამში, ჩვენთან სამკურნალოდ მოსულმა ადამიანმა 185 ლარი უნდა გადაიხადოს.

— **თქვენ პაციენტები კმაყოფილები არიან მკურნალობის შედეგებით?**

— ორი წლის განმავლობაში, 18299 პაციენტი მივიღე (ევროპის ქვეყნების ჩათვლით). აქედან სიმსივნით 2697 იყო დაავადებული. მათი 80% დღესაც ცოცხალი და ჯანმრთელია. 3018 დაინვალიდებული, ლოგინს მიჯაჭვული ადამიანი ფეხზე დავაყენე. გამოჯანმრთელებულ ბავშვთა რიცხვია 4327, ხანდაზმულთა — 4235, ხოლო ვინც მკურნალობა ბოლომდე არ მიიყვანა და სასურველი შედეგები ვერ მიიღო — 1536. სამწუხაროდ, ყველა ავადმყოფი ექიმის დანიშნულებას ზედმიწევნით როდი ასრულებს.

— **ზოგი ადამიანი ისე ითარსება, რომ ცხოვრებაში გზები ეკეტება და წარმატებას ვერ აღწევს. რა არის ამის მიზეზი?**

— აურის უკიდურესად დაბინძურება. თუ კაცს აურა დაბინძურებული აქვს, წარმატებას ვერ მიაღწევს და უამრავ გაუთვალისწინებელ სირთულეს წააწყდება ცხოვრებაში. ჩემთან ხშირად მოდიან დახმარების სათხოვნელად ბიზნესმენები და თანამდებობის პირები, რათა ადვილად გაართვან თავი დაკისრებულ საქმეს და კარიერა დაუბრკოლებლად შეიქმნან. ასეთ ადამიანებს ენერგეტიკული დაცვა სხვებზე მეტად სჭირდებათ, მდგომარეობის შენარჩუნება იოლი არ არის. საერთოდ, დაბინძურებული აურის გასუფთავება აუცილებელია ყველასთვის, რათა წარმატებას იოლად მიაღწიონ. გამოლოცვა ჩაკეტილ გზებს გაგიხსნით და ცხოვრებას გაგიადვილებთ.

— **როგორ ასუფთავებთ დაბინძურებულ აურას?**

— ვინც ჩემთან სამკურნალოდ არ მოდის და მხოლოდ გამოლოცვა სურს, ღამით თავქვეშ დაიდოს ეკლესიაში ნაყიდი ორი პატარა სანთელი, ზედ ოცთეთრიანი დააკრას და სურათთან ერთად მომიტანოს. დიაგნოზის დასადგენად 3 დღე მჭირდება, რათა ზუსტად ვუთხრა ადამიანს, რა არის მისი წარუმატებლობის მიზეზი — ჯადო, წყევლა, თვალი — ანუ კერძოდ, რა სახის უარყოფითი ენერგია ახდენს მასზე მავნე ზემოქმედებას.

— **რა მეთოდით კურნავთ ავადმყოფებს?**

— ექსტრასენსული ანუ ენერგეტიკული მკურნალობის უკონტაქტო მეთოდს ვიყენებ. სეანსების დროს, საკუთარი ბიოენერგიით ვარჩენ პაციენტებს. გარდა ამისა, ხილვებში ნასწავლი რეცეპტების მიხედვით, თვითონვე ვამზადებ წამლებს და მალამოებს სამკურნალო მცენარეებისგან. ყველა პაციენტს ერთნაირად ვერ მიუდგები, ნებისმიერი დაავადება ინდივიდუალურად მიმდინარეობს. თითოეული პაციენტისთვის საგანგებო სქემას ვადგენ, თუ რა თქმა უნდა, მისი ორგანიზმი მკურნალობას დაექვემდებარება. დადებითი პასუხის შემთხვევაში, ვირჩევ მეთოდს, იმისდა მიხედვით, თუ რა დაავადებასთან გვაქვს საქმე. ზოგჯერ ჩემ მიერ სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებულ წამლებსაც და საკუთარ ბიოენერგიასაც ერთდროულად ვიყენებ, რათა სასურველი შედეგი დროულად მივიღო.

— **რა გჭირდებათ დიაგნოზის დასასმელად?**

— ახალ გადაღებული ფერადი ფოტოსურათი (3X4-ზე), ღამე სასთუმალქვეშ ნადები ორი პატარა საეკლესიო სანთელი (ზედ ოცთეთრიანი დააკარით!) და პირადობის მოწმობა ან პასპორტი, ოფისში შემოსასვლელად.

ლაურა გოგორიშვილი, *ირაკლი ლომაიას პაციენტი:.*

— პირველად, 20 წლის ასაკში გავთხოვდი, მაგრამ ბავშვი არ გამიჩნდა. 5 წელი ვმკურნალობდი, უამრავი ექიმი გამოვიცვალე, სხვადასხვა მეთოდი ვცადე, მაგრამ უშედეგოდ. მე და ჩემს მეუღლეს ერთმანეთი გვიყვარდა, მაგრამ დედამთილმა არ მოისვენა, იმდენი უჩიჩინა შვილს, სხვა ქალი შეირთე და შვილები გაჩენინეო, რომ ოჯახი დაგვენგრა. ბევრი ვინერვიულე, მაგრამ რა უნდა მექნა.

— **ამის შემდეგ აღარ გათხოვილხართ?**

— იმედი უკვე გადაწურული მქონდა, როცა ბედი კარზე მომადგა. ქვრივს გავყევი ცოლად, ერთი შვილი ჰყავს. მეუღლე ძალიან ადრე გარდაეცვალა, ბავშვს თვითონ ზრდიდა, დედა ეხმარებოდა. საკუთარ შვილზე არც კი ვოცნებობდი, გერს ვუვლიდი, სიყვარულსა და მზრუნველობას არ ვაკლებდი. ერთხელაც, დედაჩემმა დამირეკა და მითხრა: უცნაური სიზმარი ვნახე: მოხუცმა ქალმა ტელეფონის ნომერი მომცა, დარეკე, თუ გინდა, შენი ქალიშვილი დაფეხმძიმდესო.

— **ვისი ნომერი აღმოჩნდა?**

— დავრეკე და ოპერატორმა მიპასუხა, ირაკლი ლომაიას ოფისიაო. გაოგნებული დავრჩი, როცა გავიგე, ვისი ტელეფონი ჩააწერინა დედაჩემს სიზმარში მოხუცმა ქალმა... 35 წლის ასაკში, პირველად დავფეხმძიმდი, უბედნიერესი ქალი ვარ, რამდენიმე თვეში დედა გავხდები, სხვა რაღა უნდა ვინატრო, შვილი მეყოლება!

ინფორმაციის მისაღებად დაუკავშირდით შპს „მკურნალ-ექსტრასენს-პარაფსიქოლოგ“ ირაკლი ლომაიას სათავო ოფისს. მისამართი: ცისარტყელას ქუჩა №21 („ნახალოვკა“, მეტროს სადგურ „ნაძალადევსა“ და „ელექტროდეპოს“ შორის, პირველ სამშობიაროსთან). მიღება ყოველდღე, შაბათ-კვირის გარდა, 12-დან 18 საათამდე. მისაღების ტელეფონები: (99532) 20-50-51; (99532) 20-50-52; ფაქსი (99532) 20-50-53. მობილური (24 საათის განმავლობაში): (99599) 50-15-78. (99593) 92-65-78.

მონაცემები შეტანილია ინტერნეტში: *www.ikaextrasens.com - E-mail:ika@ikaextrasens.com*

R

Russo-Baltique Impression

აღორძინებული მარკის — „რუსო-ბალტ“ — პირველი ნიმუშის საპრემიეროდ, მართლაც საუკეთესო ადგილი შეურჩევიათ: ეს გახლავთ „საავტომობილო სილამაზის კონკურსი“ — Concorso d'Eleganza Villa d'Este. საყოველთაოდ ცნობილი ეს ფესტივალი იტალიაში, კომოს ტბის თვალწარმტაც მიდამოში იმართება...

„რუსო-ბალტის“ კლასიკური ოთხადგილიანი კუპეს სახელია — Impression, რაც ინგლისურად „შთაბეჭდილებას“ ნიშნავს. ის მართლაც, ძალზე შთამბეჭდავია: ელეგანტური სილუეტით, როგორც ექსტერიერში, ისე ინტერიერში რეტრო და თანამედროვე მოტივების ურთიერთშეხამებით, ძვირად ღირებული ხის მასალის დეტალებით გამოირჩევა.

რუს ინჟინრებსა და დიზაინერებს მის შექმნაში გერმანული კომპანიის — GERG — სპეციალისტები ეხმარებოდნენ. ამიტომაც, არ არის გასაკვირი, რომ ახალი მანქანა ბევრ კომპონენტს, Mercedes CL 65 AMG-ს დაესესხა. მის კონსტრუქციაში უხვადაა გამოყენებული ნახშირპლასტიკი, სახურავი კი, ისეთი მასალისგანაა დამზადებული, რომლის წყალობითაც, სალონში შემომავალი ბუნებრივი შუქის გაძლიერება ან შესუსტებაა შესაძლებელი.

თავის დროზე, „რუსო-ბალტის“ ავტომობილებით რუსეთის საიმპერატორო კარი სარგებლობდა. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ, მარკა ისტორიას ჩაჰბარდა. ამ ცოტა ხნის წინ, ფირმამ — A:Level — ბრენდის გამოყენების უფლება შეიძინა.

Impression, რუსი და გერმანელი ავტომწარმოებლების პირველი ერთობლივი პროდუქტი იქნება. მეორე პროექტად პარტნიორები, ორადგილიანი კუპეს შექმნას აპირებენ. ■

Nissan Almera Classic

ცოტა ხანში, აღმოსავლეთ ევროპასა და რუსეთში, იაპონური ავტოგიგანტი ერთდროულად ორი ახალი მოდელის გაყიდვას დაიწყებს. Almera Comfort-ის მარკის სედანისა და ჰეჩბეკის ნაცვლად, ბაზარზე შემოდის სრულიად ახალი ვერსია — Almera Classic. ძველი „ალმერა“ მხოლოდ ერთი კომპლექტაციით — Luxury — დარჩება.

მისგან განსხვავებით, ახალი მოდელი გარეგნული იერითაც გამოირჩევა და ტექნიკური მახასიათებლებითაც. ის სრულიად ახალი (და უალტერნატივო), 1,6 ლ მოცულობისა და 170 ცხ.ძ-ის ძრავათია აღჭურვილი. განსაკუთრებით აღსანიშნავი ის არის, რომ ეს აგრეგატი 92-ე მარკის ბენზინზე სამუშაოდ არის გათვალისწინებული, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აღნიშნული რეგიონის ქვეყნებისთვის, რადგან იქ ეს საწვავი ხშირად, გაცილებით სუფთაა, ვიდრე 95-ე მარკის ბენზინი.

საინტერესოა, რომ ახალ „ალმერას“ აწარმოებენ არა იაპონიაში, არამედ სამხრეთ კორეაში და ადგილობრივ ბაზარზე ის „სამსუნგის“ ბრენდით გამოდის. ვისაც ეს შეაშფოთებს, მათ საყურადღებოდ ვიტყვით: „კორეელი“, Almera Comfort-ზე იაფი ღირს: 13,5 ათასი დოლარი — მექანიკურ გადაცემათა კოლოფით, ხოლო 16,2 დოლარი — „ავტომატიკით“.

რაც შეეხება იაპონელ ავტომწარმოებელთა მეორე სიახლეს — Nissan Teana-ს— ის აღმოსავლეთ ევროპაში ივლისში გამოჩნდება და ბიზნესკლასის სედანს — Maxima QX-ს შეცვლის. ■

Peugeot 307 SW

ცოტა ხნის წინ, ბევრ ქვეყანაში, გამჭვირვალესახურავიანი „პეჟოები“ გამოჩნდა. სპეციალურ სერიაში — Panoramic — ხუთკარიანი Peugeot 206 და 307-ე და 407-ე სერიების უნივერსალები მოექცა. ამ მანქანების თითქმის მთელი ჭერი, გარდა უკანა ნაწილში დარჩენილი მცირე ფართობისა — მთლიანად მინისგანაა დამზადებული.

„პეჟო-206“-ის ასეთი მოდიფიკაცია მომხმარებელს 15,3 ათასი, 307 SW — 21,8 ათასი (მას აგრეთვე, კლიმატ-კონტროლი და პარკტრონიკი ახლავს), 407 SW კი (ასევე კლიმატ-კონტროლით, პარკტრონიკითა და 2-ლიტრიანი ძრავათი აღჭურვილი) — 27, 8 ათასი დოლარი დაუჯდება. ■



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. ტრიტონი; 2. ერაყი; 3. სეტი; 4. საინი; 5. ესე; 6. რენესანსი; 7. სტადიონი; 8. ინტერი; 9. გალა; 10. დასტა; 11. სატელიტი; 12. სამიტი; 13. ლოყა; 14. ნისლი; 15. რინგი; 16. ტრამალი; 17. ტუგრიკი; 18. იდილია; 19. ბინოკლი; 20. დიდა; 21. არვე; 22. სარი; 23. სირიუსი; 24. ლარდი; 25. მუფთი; 26. დანა; 27.; ევრო; 28. ფარაონი; 29. თოლია; 30; ტვიდი; 31. დერბი; 32. კვარტალი; 33. ლეჩე; 34. რეა; 35. ფარაჯა; 36. ჩაჩქანი; 37. ხარაზი; 38. სი; 39. ზვირთი; 40. ბობ; 41. იერი; 42. ედგარ; 43. ქორი; 44. აბორიგენი; 45. ის; 46. მთვარე; 47. ჯიხვი; 48. რიდე.

სურათებზე: მეგ რაიანი, ჯერემი აირონსი.

kviris astrologiuri prognozi

(4 — 10 maisi)

ᲕᲔᲠᲫᲘ 21.03-20.04

კვირის პირველსავე დღეებში ისეთ ინფორმაციას მიიღებთ, რომელიც გაიძულებთ, თქვენს საქმეს სხვა თვალით შეხედოთ და ფულის შოვნის დამატებითი საშუალება გამონახოთ. ოთხშაბათამდე მნიშვნელოვანი საქმეების მოგვარებას და საჭირო ადამიანებისთვის ახალი იდეების გაცნობას მოასწრებთ. კვირის მეორე ნახევარში კი, ცხოვრების დინებას მიჰყევით.

ᲙᲣᲠᲝ 21.04-20.05

საწუწუნო ნამდვილად არაფერი გაქვთ. მთავარია, მოზღვავებული ენერგია სასიკეთო საქმეებისკენ მიმართოთ. ამ კვირაში წარმოთქმული ყოველი თქვენი სიტყვა, ადამიანებს დიდხანს ემახსოვრებათ. უქმე დღეებში, საოჯახო საქმიანობით დაკავდით. კარგი იქნება, თუ ახლობლებს სიურპრიზს მოუმზადებთ.

ᲢᲧᲣᲐᲜᲘ 21.05-21.06

ეს კვირა, თქვენი ინტელექტუალური შესაძლებლობების გაფურჩქნის ხანაა — ყველაზე რთული ამოცანის გადაჭრასაც კი, შესანიშნავად გაართმევთ თავს. ამიტომ ჯობს, საქმეებს მიხედოთ და გასართობი ღონისძიებები შემდეგი კვირისთვის გადადოთ.

ᲙᲘᲑᲝ 22.06-22.07

ამ კვირას, ადამიანებთან კონტაქტის დამყარება არ გაგიჭირდებათ და ბევრ ახალ ნაცნობსაც გაიჩენთ. ცხოვრება გამოცდას მოგიწყობთ: როცა ადამიანის არ გჯერა, ეს მის უპატივცემულობას ნიშნავს, ყველას თუ ენდობით, შესაძლოა, შეცდომა მოგივიდეთ. ამიტომ უნდა გაითვალისწინოთ: ოქროს შუალედის პოვნა უნდა მოახერხოთ. ორშაბათს, საკმაოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება მოგიწევთ. ოთხშაბათს კი, შეიძლება, ორიგინალური იდეები მოგივიდეთ თავში, ამიტომ უმჯობესია, ამ დღეს იმუშაოთ, რუტინა კი — მოიცდის.

ᲚᲝᲛᲘ 23.07-23.08

სამსახურში სასიამოვნო ცვლილება გელით. მთავარია, ინტუიციამ არ გიღალატოთ და კოლეგებთან ურთიერთობაში შეცდომა არ დაუშვათ. იყავით კორექტული და გულისხმიერი. მოერიდეთ დაძაბულ გარემოს და კონფლიქტურ პირებთან ურთიერთობას. შესაძლებელია, კვირის ბოლოს, საყვარელმა ადამიანმა დღის რომანტიკულად გატარება შემოგთავაზოთ.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ 24.08-23.09

ახალი ცხოვრება დაიწყეთ — ყოველ შემთხვევაში, შეეცადეთ მაინც. ძალა მოიკრიბეთ და უარი თქვით მავნე ჩვევებზე, მოერიდეთ სკანდალებს და ყურს ნუ დაუგდებთ ჭორებს, რომელიც თქვენ შესახებ მიზანმიმართულად ვრცელდება. ომი გამოუცხადეთ თქვენს ნაკლოვანებებს და წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

ᲡᲐᲡᲬᲝᲠᲘ 24.09-23.10

კვირის დასაწყისში ენერგიის მოზღვავებას იგრძნობთ. იმდენად მოწადინებული იქნებით, ყველაფერი საუკეთესოდ და სწრაფად გააკეთოთ, რომ კვირის ბოლოს არაქათგამოცლილი დარჩებით. ამიტომ ჯობს, ზომიერების გრძნობას მოუხმოთ. კვირის მეორე ნახევარში, სასიამოვნო სიურპრიზი გელით.

ᲛᲝᲠᲘᲔᲚᲘ 24.10-22.11

თქვენს პრობლემებს მეუღლესა და ოჯახის წევრებს ნუ მოახვევთ თავს, თორემ მდგომარეობა ძალიან დაიძაბება. ზედმეტად აგრესიული ხართ და თუ თავს ხელში არ აიყვანთ, მომდევნო კვირაში საბოდიშოდ გაგიხდებათ საქმე. წვრილმანებზე დროს ნუ დაკარგავთ, საქმეს გულისყურით მოეკიდეთ და წარმატებაც არ დააყოვნებს.

ᲛᲒᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ 23.11-21.12

სევდა, რომელიც კვირის დასაწყისში დაგეუფლებათ, უმჯობესია, ოჯახურ ატმოსფეროში გაიქარწყლოთ. სწორედ, ახლობელი ადამიანების გვერდით იგრძნობთ თავს მშვიდად და კომფორტულად. სამშაბათი და პარასკევი საუკეთესო დღეებია იმ საუბრისთვის, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე უფრთხოდით.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ 22.12-20.01

საკუთარ თავში მიძინებული ტალანტის გამოღვიძება სცადეთ. შეგიძლიათ, ახალ ასპარეზზე გაბედულად იმოქმედოთ. ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებების შესატანად პარასკევი აირჩიეთ. კვირის ბოლოს, დაძაბული საუბარი გელით, მაგრამ ნუ შეშინდებით — მოვლენები თქვენს სასიკეთოდ განვითარდება.

ᲕᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ 21.01-19.02

ცხოვრების ჩვეულ რიტმს, რაღაც მნიშვნელოვანი საქმე ან ოჯახში წარმოქმნილი პრობლემები დაგირღვევთ. უქმე დღეებში, თქვენი ყურადღება ყველაფერ უჩვეულოსა და ექსტრავაგანტურისკენ იქნება მიპყრობილი. გაითვალისწინეთ, რომ ფლირტით დაწყებული ურთიერთობა შესაძლოა, ქორწინებამდეც კი მივიდეს.

ᲗᲔᲕᲖᲔᲑᲘ 20.02-20.03

ამ კვირას, წარმატება გელით. ბოლოს და ბოლოს, ყველა უსიამოვნებას წერტილს დაუსვამთ და შვებით ამოისუნთქავს. ხუთშაბათს, საინტერესო წინადადებას შემოგთავაზებენ. შაბათ-კვირა კი, ფიზიკურ ვარჯიშს დაუთმეთ.

ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲗᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲘᲗᲑᲘᲡᲐᲜ

***

ჯეკ ლონდონმა დააგვიანა მოთხრობის ჩაბარება, რომელსაც ის, ნიუ-იორკის ერთ-ერთი ჟურნალის რედაქციას დაჰპირდა.



რედაქტორმა, თვითონ მიაკითხა სასტუმროში ჯეკს და ასეთი წერილი დაუტოვა:

„ძვირფასო ჯეკ ლონდონ! თუ არ მივიღებ მოთხრობას 24 საათში, ამოვალ თქვენს ოთახში და პანღურისკვრით ჩამოგაგდებთ. თანაც, იცოდეთ, მე ყოველთვის ვასრულებ პირობას...“

ლონდონმა უპასუხა:

„ძვირფასო დიკ! თქვენსავით ფეხებით რომ ვმუშაობდე, მეც შევასრულებდი დანაპირებს“.

***

მეცნიერმა სმიტმა, ერთ-ერთი გამოჩენილი მანდილოსნის სალონში მოხსენება წაიკითხა — წყალქვეშა ტელეგრაფის შესახებ, რომელიც მაშინ გაჰყავდათ ევროპასა და ამერიკას შორის. მოხსენების დამთავრების შემდეგ, მანდილოსანმა დიდი მადლობა გადაუხადა მეცნიერს საინტერესო და გასაგები მოხსენებისთვის.

— ყველაფერი ნათელია, უმნიშვნელო წვრილმანებიც კი, კარგად ახსენით, მაგრამ ერთი რამ ვერ გავიგე: გადაცემის დროს, დეპეშები რატომ არ სველდება?

ვის აწევს მხრებზე ოჯახის ტვირთი?

უამრავი ქალი დარწმუნებულია იმაში, რომ საზოგადოება ბევრად უფრო მომთხოვნია სუსტი სქესის მიმართ, ვიდრე მამაკაცებისადმი. ზოგიერთი ძლიერი სქესის წარმომადგენელი მიიჩნევს, რომ ოჯახურ საქმეებზე იოლი საკეთებელი ამქვეყნად ბევრი არაფერია, ბავშვებისთვის კი, ღვთის წყალობით, ბაგა-ბაღები არსებობს. ზოგიერთი მამაკაცის აზრით, ქალები არ ინტერესდებიან თავიანთი მეუღლეების საქმიანობით და სწორედ ამიტომაა, რომ ვერაფრით იგებენ, თუ საღამოობით რატომ ბრუნდებიან შინ კაცები ასეთი დაღლილები. უამრავი ცოლ-ქმარი დაობს იმაზე, თუ ვინ უფრო მეტად ზრუნავს ოჯახზე... ამის გარკვევაში ქვემოთ მოცემული ტესტი დაგეხმარებათ.

ყოველ კითხვაზე, რომელსაც გულწრფელად შეგიძლიათ უპასუხოთ — „მე“, დაიწერეთ 1 ქულა.

1. რომელს უფრო დაძაბული ცხოვრების რიტმი გაქვთ — თქვენ თუ თქვენს მეუღლეს?
2. რომელი თქვენგანი ზრუნავს შვილებზე უფრო მეტად?
3. საკუთარი პრობლემების გადასაჭრელად დახმარების თხოვნით ვის უფრო ხშირად მიმართავენ თქვენი შვილები?
4. რომელი თქვენგანი ესწრება უფრო ხშირად მშობელთა კრებას?
5. ვინ აგვარებს დღესასწაულებზე თქვენი შვილებისთვის მოწყობილი ზეიმების (საბავშვო ბაღში, სკოლაში თუ შინ) ორგანიზაციულ მხარეს?
6. რომელი თქვენგანი ეცნობა უფრო მეტ ლიტერატურას ბავშვის აღზრდის თაობაზე?
7. რომელი თქვენგანი ბრუნდება შინ უფრო გვიან?
8. ვინ ასრულებს თქვენს ოჯახში ფიზიკურ სამუშაოს?
9. რომელ თქვენგანს უფრო ხშირად ეუფლება სევდიანი განწყობილება, აპათია ან ვარდება სტრესულ მდგომარეობაში?
10. რომელ თქვენგანს უფრო მძიმე სამუშაო აქვს?
11. რომელი თქვენგანის სამსახური მდებარეობს შინიდან უფრო მოშორებით?
12. რომელი თქვენგანი ზრუნავს უფრო მეტს ოჯახზე?
13. რომელი თქვენგანია გაღიზიანებული უფრო ხშირად?
14. ვინ ასრულებს იმ ტიპის საოჯახო საქმეებს, რომლის კეთებაც განსაკუთრებულ გულისყურს მოითხოვს?
15. ვის უფრო ხშირად მოაქვს პროდუქტები?
16. ვინ რეცხავს და აუთოებს?
17. ვინ ალაგებს სახლს?
18. ვინ ასრულებს სახლში მსუბუქ სარემონტო სამუშაოებს?
19. ძირითადად, ვინ უფრო მეტად ზრუნავს მეზობლებთან თუ მეგობრებთან ურთიერთობების შესანარჩუნებლად?
20. ვინ ზრუნავს ნათესავებთან კონტაქტების შენარჩუნებაზე?
21. ოჯახის სახელით ვინ აწარმოებს მიმოწერას?
22. ვინ იხდის შუქისა და სხვა გადასახადებს?
23. ვინ აჭმევს კატას, ძაღლს თუ თევზებს?
24. ვინ უვლის ოთახის მცენარეებს ან ვინ მუშაობს აგარაკზე ბოსტანში?
25. რომელ თქვენგანს აქვს უფრო მეტი თავისუფალი დრო?
26. ვინ უფრო მეტ დროს უთმობს ბავშვების აღზრდას და ზრუნავს მათ სწავლა-განათლებაზე?
27. ვინ გეგმავს ოჯახის ბიუჯეტს?
28. ვინ გეგმავს, თუ ოჯახის წევრებმა სად და როგორ უნდა გაატარონ თავისუფალი დრო (იგულისხმება უქმეები, არდადეგები, შვებულება)?

ტესტის შედეგები

20 და მეტი ქულა: თქვენს ოჯახში საზრუნავის იდეალურ გადანაწილებაზე ჯერჯერობით, ლაპარაკიც ზედმეტია. გაარკვიეთ მეუღლესთან, თუ რით შეგიძლიათ დაეხმაროთ მას: იქნებ, ძალზე ხშირად ეუბნებით ცოლს, რომ რაღაც გარკვეული მიზეზის გამო, მისი თხოვნისა თუ დავალების შესრულება არ შეგიძლიათ?.. დაფიქრდით, რამდენად გულწრფელი ხართ ხოლმე ასეთ დროს. ცოლს კი ვურჩევთ — სცადეთ, როგორმე საოჯახო საქმეების კეთების ინტერესი გაუღვიძოთ თქვენს ქმარს. მაგალითად, სულ მცირე დახმარებისთვისაც კი, ქებით წაახალისეთ იგი.

11-19 ქულა: შეგიძლიათ დამშვიდდეთ — თქვენს ოჯახში საგანგაშო არაფერი ხდება. შესაძლოა, ზოგჯერ ცოლი მეტად იყოს დატვირთული, ვიდრე ქმარი, მაგრამ ეს არცთუ ისე ხშირად ხდება. ქმარს, როგორც კი ამის შესაძლებლობა ეძლევა, მაშინვე უშურველად ეხმარება მეუღლეს.

10 და ნაკლები ქულა: შესაძლოა, გეჩვენებათ, რომ თქვენს ოჯახში საზრუნავი მეუღლეებს შორის თანაბრადაა გადანაწილებული. მაგრამ სავარაუდოა, რომ თქვენ თავს იტყუებთ. როგორც ჩანს, თქვენი ცოლი საკუთარი მხრებით ბევრად უფრო მძიმე ტვირთს ეზიდება.

„ლუზიტანიის“ უკანასკნელი რეისი

დასაწყისი იხ. გვ. 64

კატასტროფის შემდეგ, ამერიკას გერმანელების კუთვნილი მაღაზიების მასობრივი დარბევის ტალღამ გადაუარა. ამერიკელები გერმანიის იმპერიის სიძულვილმა და შურისძიების გრძნობამ შეიპყრო, მაგრამ კიდევ ორი წელი გავიდა, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატები მეორე მსოფლიო ომში ჩაერთვებოდა.

კაიზერმა ფლოტის მეთაურებს სასტიკი საყვედური გამოუცხადა. ამის საპასუხოდ, ადმირალებმა სატვირთო მანიფესტის ასლი უჩვენეს: „ლუზიტანიას“ ნაღმებით დატვირთული 1248 ყუთი და შაშხანის ვაზნების 4927 ყუთი გადაჰქონდა. იმპერატორს აუხსნეს, რომ ტორპედოს აფეთქებამ, ამ სასიკვდილო ტვირთის დეტონაცია გამოიწვია.

ამერიკულმა ფირმებმა ომზე დიდი ბიზნესი ააწყვეს. ისინი იარაღს რუსებზე, ფრანგებსა და ინგლისელებზე ყიდდნენ. სამხედრო ტვირთს კი, იმ სამგზავრო ხომალდებით აგზავნიდნენ, რომლითაც ამერიკის მოქალაქეები მგზავრობდნენ და თანამემამულეთა სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდნენ. ეს რომ ამერიკელ ერს შეეტყო, გრანდიოზული სკანდალი გარდაუვალი იქნებოდა.

ასეთია ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ვერსია იმის შესახებ, თუ რატომ ჩაიძირა ჩაუძირავი ხომალდი. თანამედროვე გამოკვლევები ამ ვერსიას ვერ ადასტურებენ, მაგრამ ვერც უარყოფენ. ოკეანის ფსკერზე ჩაძირულ ხომალდთან, მყვინთავები და წყალქვეშა აპარატები ეშვებიან. მათ მიერ ჩატარებული გამოკვლევები ცხადყოფს, რომ „ლუზიტანია“ შინაგანმა აფეთქებამ იმხვერპლა. ერთნი ფიქრობენ, რომ ხომალდზე ნაღმები აფეთქდა, მეორენი ირწმუნებიან, რომ აფეთქება ქვანახშირის მტვრის დეტონაციამ გამოიწვია. ეს დავა დღესაც არ შეწყვეტილა.

სატვირთო მანიფესტის ორიგინალი, რომელშიც „ლუზიტანიის“ მომაკვდინებელი ტვირთია აღწერილი, ამერიკის პრეზიდენტმა უილსონმა საკუთარი ხელით დალუქა და არქივში გადაგზავნა. კონვერტზე გაკეთებული წარწერა იუწყება: „გაიხსნას მხოლოდ აშშ-ის პრეზიდენტის მიერ“ (უილსონი ამერიკული ფირმებისა და ქვეყნის რეპუტაციის შელახვას მოერიდა). 25 წლის შემდეგ, კონვერტი პრეზიდენტმა რუზველტმა გახსნა და მანიფესტის შინაარსი გამოაქვეყნა.

კაპიტანი ტერნერი სასამართლოს წინაშე წარდგა. ნაფიცმა მსაჯულებმა, მას გამამართლებელი განაჩენი გამოუტანეს. მოგვიანებით, როდესაც ხმაური ჩაცხრა, კაპიტანი ბრიტანეთის იმპერიის ორდენით დაჯილდოვდა. ტერნერმა სხვა გემზე დანიშვნის ბრძანება მიიღო, მაგრამ მტრის ტორპედოებმა, ეს ხომალდიც ზღვის ფსკერზე გაისტუმრა. კაპიტანი წყალში მოტივტივე სკამს ჩაებღაუჭა და დახრჩობას გადაურჩა, მაგრამ ზღვას საბოლოოდ გამოეთხოვა და ყველასგან მივიწყებული, ლივერპულში დასახლდა.

ომის დასასრულს კაპიტან ვალტერ შვიგერის წყალქვეშა ნავი ნაღმზე აფეთქდა; შვიგერი დაიღუპა.

ელიზაბეტ დაკვორტმა ღრმა მოხუცებულობამდე იცოცხლა. ამ ღირსეულ ქალბატონს არანაირი ჯილდო არ მიუღია. სამაგიეროდ, მის მიერ გადარჩენილ ადამიანთა შვილები და შვილიშვილები, მასზე დღემდე ლეგენდებს ჰყვებიან.

მოამზადა ნატო მანჯავიძემ

იაპონური სენსაციია სუდოკუ

გთავაზობთ ციფრულ თავსატეხს სუდოკუს (იაპონურად „სუ“ ნიშნავს ციფრს, „დოკუ“ — ცალკე მდგომს). სუდოკუმ უკვე მოასწრო ევროპის კროსვორდომანების გულების დაპყრობა და ჩვენი ჟურნალის ფურცლებზეც გამოჩნდა. მის ამოსახსნელად ცარიელ უჯრებში უნდა ჩაწეროთ ციფრები 1-დან 9-მდე ისე, რომ არც ერთ სვეტსა და არც ერთ სტრიქონში ერთნაირი ციფრი არ გამეორდეს. სწორად ამოხსნილ სუდოკუში აგრეთვე, არ მეორდება ციფრები ბლოკებში 3X3. ჩვენ გთავაზობთ მარტივ და საშუალო სუდოკუს. გისურვებთ წარმატებას!

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

6	3	2	1	4	8	7	9	5
7	4	1	9	6	5	2	8	3
5	9	8	3	7	2	6	4	1
1	7	3	4	2	9	8	5	6
8	2	9	6	5	1	3	7	4
4	5	6	7	8	3	1	2	9
9	6	7	2	3	4	5	1	8
3	8	4	5	1	7	9	6	2
2	1	5	8	9	6	4	3	7

2	8	6	9	4	5	1	7	3
7	5	4	2	1	3	9	6	8
3	1	9	7	6	8	2	4	5
1	7	8	6	2	4	3	5	9
5	9	3	8	7	1	4	2	6
6	4	2	5	3	9	8	1	7
4	6	1	3	9	7	5	8	2
9	2	5	1	8	6	7	3	4
8	3	7	4	5	2	6	9	1

* მარტივი

5		4		9	7	3		8
		7	3	6	1			4
	3	9				2	1	7
1	5		9		8		3	6
	4		6	5	3		2	
3	7		1		4		5	9
4	6	5				1	7	
7			5	4	2	6		
2		3	7	1		9		5

** საშუალო

		6	4	2	7		8	
8		9				2	3	4
2		5	8	9	3		6	
3	5				2	6	4	8
6			1	8	4			5
4	9	8	3				7	2
	1		5	3	9	8		6
5	8	2				9		3
	6		2	1	8	4		

ფოტოკუიიოზები











ეკლესიური ცხოვრება

არ გამოგრჩეთ!

№9(44), 5-18 მაისი, 2006

ფასი 80 თეთრი

ეპოქა

მართლმადიდებლური ჟურნალი

585/18

ნომრის თემა:
ფარისევლობა

„სულს მიხედეთ, ბატონებო, სულს!"

რითი ვართ სხვაზე აღმატებული?

როცა განსაცდელში ხართ, იყავით ღვთის მადლობელნი, რამეთუ ის ამით რაღაცას გასწავლით

ვეუფე ანტონი:
როდესაც ტაძარში მრევლს ეუყურებ, უნებურად გავიფიქრებ ხოლმე, – ღვთის ბრილიანტები-მეთქი

ნაბიჯი ჭეშმარიტებისაკენ